

617
1973/2



ტესტი

მეცესალგებით

კომპლუტური კოეზიის

ღეეგს სეპეტიველოვი!

88 98

7

1973



სიხე

12722

193

გამომცემი: მეტაქსეშობა შპს

7

თბილისი

1973

თბილისი

საქ. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მსახვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

80 — მანიაკოვსკი — 80

- 3. მუსხან მახაზარიანი. ვალეოსდელი
- 4. მიხეილ ძვლივიძე. ჩემი მანიაკოვსკი
- 5. ვასილ ლაფაზაშვილი. მანიაკოვსკი და ახალ-ბაზრდოვა
- 8. ტატიანა შაროვა. „ჩემს ასტრონომულ კარტიულ ფიგნაკვიზისას“
- 16. ივანე ვორობაიჩიკი. კომეტური ოცი წელი;

პროზა, კოეზიკა

- 19. ვახტანგ გორგანელი. ნაწევები კომედიან „შირაქის მზე“. ლექსი
- 21. ტაგუ მებურეშვილი. ლექსები
- 23. გურამ დონაშვილი. კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უშვებდა. მოთხრობა
- 51. გიორგი გუბლია. ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა მურმან ხურცილავამ
- 55. ითარ კუარაბა. სანემსე ბალიში. ლექსი
- 56. დავით მხედველი, ლექსები
- 59. გიორგი კაკაბაძე. შვილი. მოთხრობა
- 67. შოთა შავთარაძე. ლექსები
- 68. ფოტულა იანოკოშვილი. სოტირიოს კატრულასს ლექსი. თარგმნა ნაზი კილასონიამ
- 70. ილია ხოშტარია. უში შორეთის. ლექსი
- 71. ზაალ მახარიაძე. გზა, საუკუნეში ლექსი

თარგმანი

- 72. ავღანური კიჰანიათები. თარგმნა ლადო მრელაშვილმა;

მეცნიერება

- 89. კაკაბაძე წამბეთელი. ექიმბე და კომედიან
- კრიტიკა და კუბლიცისტიკა
- 100. თამაზ წიფვიძაძე. წიგნი და რედაქტორი
- 110. როლანდ ბერიძე. ისევ მართული ლექსი ვიშუა ნებელ საუთნთა ბაშო

წერილები

- 118. დავით მინდორაძე. გვირგვინი გზა
- 123. ლევან მანაგაძე. რუსთველი ბულბუღითი
- 129. ლევან შრუშიძე. ვაჟის საბავშვოელი
- 134. ნანა გუნდაძე. კომეტური ტრადიციების წინააღმდეგ ავღანური კომედი
- 141. გურამ მებურეშვილი. ტყვეთა სურვილის საკითხისათვის დასავლეთ საქართველოში

ნარკვევი

- 146. თამარ გომიგური ჩემი დღიურიდან

სკოლტი

- 150. მიხეილ გომიგური, კოლეგიალური ინსტიტუტი

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ნარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
პაპი ბაქრაძე,
გივი გეგეჭორი,
გურამ გვერდფითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
ბარდო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტიკა კახიკორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფრეხაძე,
ნოდარ წულუკიანი,
ბარბელ მანუჩარი,
სერგი შილაია,
თამაზ ვილახე,
ლაშა ჯანაშია,

მუსრან მაჭავარიანი

ვალმოხდილი

Я
в долгу
перед вами
багдадские небеса...

მაიაკოვსკის ამ ტევად სტრიქონში უთუოდ იგრძნობა პაწია სინანული: —
ვაგლახ, თქვენთვის ვერ მოვიცალეო!

სწორია, მერე, პოეტი ამაში?

არის და არცაა!

არის იმიტომ, რომ ეს ფაქტია!

არაა იმიტომ, რომ მაიაკოვსკი თავისი პოეზიით, სწორედ ისეთით, როგორიც მისი პოეზიაა, ვალმოხდილია არამცთუ ბაღდადის ზეცის, არამედ, დღეს რაც კარგია ჩვენში, ყველაფრის წინაშე!

ასე ლაღი რთა ახლა ბაღდადის ზეცა! —

ეს მაიაკოვსკის რიხიანი პოეზიის ღვაწლიცაა!



კ. მარტის ს.ბ. ს.ბ. ს.
სახელმწიფო ს.ბ. ს.ბ. ს.
ბიბლიოთეკა

ჩ ე მ ი მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი

„პროფესორო! მოიხსენით ეგ სათვალე-ველოსიპედი! მე თვითონ მოყვები ჩემი დროისა და ჩემს თავგადასავალსო!“ — წერდა ვლადიმერ მაიაკოვსკი და მართლაც, ბევრ ისტორიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეზე უკეთესად უამბო რუს ხალხს, — (და არა მარტო რუსებს, მსოფლიოს სხვა ხალხებსაც) ოქტომბრის რევოლუციისა და ამ რევოლუციის მგზნებარე მესაყვირის თავგადასავალი. მის პოეზიაში სწორედ ეს მომწონს: საზოგადოებრივისა და პიროვნულის ერთიანობა, მათი განუყოფლობა. მაიაკოვსკი ისე წერდა, როგორც ცხოვრობდა და ცხოვრობდა ისე, როგორც წერდა. მისი ლექსი პირდაპირი და შეუპოვარი იყო, როგორც მისი ყოველდღიური საქმიანობა, საზოგადოებრივი თუ ლიტერატურული ბრძოლა. ეს კი თავისთავად დასტურია იმისა, რომ პოეზია ტყუილს ვერ იტანს და ხელოვნებაში საკუთარ თავს ვერ გადაახტები. იმაზე დიდი, რაც სინამდვილეში ხარ, ბევრიც რომ ეცადო, ვერ გამოიჩნდება — ვერც ლექსში, ვერც სურათში, ვერც მუსიკაში. მაიაკოვსკის კი, იცოცხლეთ. იმხელა სული ჰქონდა, რომ მთელი ხალხის იმედი და სიხარული, ეჭვი და მწუხარება დაიტიო!

კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო მაიაკოვსკის შემოქმედებაში. იგი წერდა:

Дрянь
еще не мало поредела,
Дела много —
только поспевать;
Жизнь
сначала
надо переделать,
Переделав,
можно воспевать!

ამ სტრიქონების გახსენება არასოდეს არაა ზედმეტი, მით უმეტეს ახლა, როცა ქართველი ხალხი განახლების ფერხულშია ჩაბმული.. ხომ არა ვჩქარობთ ხოლმე ზოგჯერ, როდესაც მავან და მავან პოეტს უმაღლესი შექების ხარისხში აყვანილი ეპითეტით ვაჭილდოვებთ: ესა და ეს პოეტი „შთაგონებულად უმღერის ცხოვრებასო“? ხომ არ ვანთავისუფლებთ ამ სიტყვებით ხსენებულ პოეტს, — წინასწარ და სამუდამოდ, — მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოქალაქეობრივი მოვალეობისაგან: დაეხმაროს ხალხს ცხოვრების გარდაქმნაში? ამ კითხვამ, მე მგონია, ბევრნი უნდა ჩააფიქროს, განსაკუთრებით კი — ლიტერატურული კრიტიკოსები. მათ ხშირად ავიწყდებათ, თუ რა დიდი გავლენა აქვს მხატვრულ სიტყვას ადამიანთა შეგნებაზე და რამდენის გაკეთება შეუძლია მწერალს ცხოვრების გარდაქმნის თვალსაზრისით. მაიაკოვსკის შემოქმედება ამის საუცხოო მაგალითია. თავისი ლექსით (სწორედ ლექსით, მე ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას) იგი ეხმარებოდა პარტიას არა მარტო ხალხის სულიერ აღზრდაში, არამედ მრავალი სამრეწველო, სამეურნეო და სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტაშიც. მაიაკოვსკის ამ შესანიშნავი რევოლუციური ტრადიციის გაგრძელება, მისი გაღრმავება და განვითარება ქართული ლიტერატურის დღევანდელ ეტაპზეც არ იქნებოდა ურიგო.

პასილ ლაუჩაჰვილ

მაიაკოვსკი და ახალგაზრდობა

ოქტომბრის რევოლუციის მგზნებარე მომ-
ორნალი ვლადიმერ მაიაკოვსკი მუდამ დიდი
საყვარულით ხედებოდა ჩვენს ჭაბუკებსა და
გოგონებს, მოსწავლეებს, პიონერებსა და კომ-
კავშირელებს, მთელს ჩვენს საბჭოთა ახალ-
გაზრდობას. პოეტი მათში ხედავდა საბჭოთა
ქვეყნის ბედნიერ აწმყოსა და დიად მომავალს.
კომუნისტების დაუღალავ შეწინებლებს, ჩვენს ქვე-
ყანაში ყველაფერი ახლისა და პროგრესულის
მედროშეებს, ახალი პოეტური სიტყვის ბაი-
რახტარებს.

ორიოდე სიტყვით შევეხებით ჩვენი ახალ-
გაზრდობის ერთ თაობას — ნორჩ პიონერებს,
მაიაკოვსკის დიდ ყურადღებას ამ თაობისადმი.
პოეტი გულწრფელად შეხზაროდა პიონერები-
სა და ოქტომბრელების კარგ ყოფაქცევას, სი-
მამაცეს, გამჭვირებობას და პატრიოტულ საქ-
ციელს.

თელაყურს იღვენებდა აგრეთვე კაპიტალის-
ტურ ქვეყნებში მცხოვრები ბავშვების აუტა-
ნელ მღგომარეობასაც. ერთხელ ჩეხოსლოვაკი-
აში მაიაკოვსკი შეხვდა ჩებ პიონერებს და მე-
გობრულად ესაუბრა მათ.

თავის მოთხორობაში „ჩები პიონერი“
ვლადიმერ მაიაკოვსკი გვიამბობს პიონერთა
მეშობის შესახებ იმდროინდელ ჩეხოსლოვა-
კიაში.

„ი პოეტი პრალაშია. საღამოთი იგი სახალ-
ხო სახლში გამოვიდა. „გვიითულობ ლექსებს
და თანაც დარბაზს ვთავალიერებ, — მოგი-
თხორობს მაიაკოვსკი. — ბავშვებს ეხედავ, მაგ-
რამ პიონერები არსად ჩანან. არც ერთი წი-
თელი ყელსახვევი არა ჩანს. ლექციის შემდეგ
ჩემთან ერთი ამხანავი მოვიდა. თან ორი ბი-
ქუნა მოჰყვა: გახარებულმა ეკითხე ამხანავს:

— შენი პიონერები საღდა არიან?
ორმა ბიჭუნამ ერთად მიპასუხა:
— ჩვენა ვართ პიონერები...
— მაშ, თქვენი ყელსახვევები საღ არის?
ერთმა მათგანმა ჯიბეში ჩაიყო ხელი და დაქ-
მუქნილი წითელი ყელსახვევი ამოიღო.
— იი ყელსახვევი მას მხოლოდ შინ ვიკე-
თებთ. ვართ რომ გამოვდივართ, ჯიბეში ვი-
ნახავთ, რადგან პოლიციელები გვართმევენ.
ჩვენცა და ყელსახვევებსაც ბევრი გაპირვების
გადატანა გვიხდება... ერთხელ მე დ ჩემი ძმა
მუშათა თეატრში წავედიო. სექტაკლის შემ-
დეგ მოვდივართ, მე ყელსახვევი მიკეთია, ძმან
კი ლურჯი ხალათი იცვია უცბად, საიდანღაც
პოლიციელი დაგვადგა თავს. უბანში წამობრ-
ძანდითო, — გვეუბნება. წავედიო. იქ ვილაც
დიდულვაშა გვეკითხება: რა ხალხი ხართ და ეს
რა ფორმა გაქვთო? ჩვენ ვუპასუხეთ: — კო-
მუნისტები ვართ... — დიდულვაშა გარისხდა
და გვეუბნება: — გაიხადეთ ფორმაო. გვინ-
დოდა წინააღმდეგობა გავეწვია, მაგრამ სემი
კაცი დაგვესხა თავს და არ მოგვეშვა. როგორ
გაუსხლტები ხელიდან. ერთმა ყელსახვევი ამ-
ხსნა. ორმა კი ძმას ხალათი გააძრო. ასე დაე-
ბრუნდითო შინ. მე კიდევ რა მიშავდა, ჩემმა
ძმამ კი უსაღათოდ გამოირბინა ქალაქის დიდი
მანძილიო.
— არა უშავს რა, — ვეუბნები, — მოსკოვში
ჩამოდიო. იქ შეგიძლიათ იმდენი იაროთ, რამ-
დენიც მოგესურვებთო.
ბავშვებმა სამართლიანად მიპასუხეს:
„მოსკოვის ამბავი კარგად ვიცით, მაგრამ
ჩვენს პრალაშიც მივალწვეთ მოსკოვურ თავა-
სუფლებას...“
ვლადიმერ მაიაკოვსკი მეგობრობდა ჩვენს



პიონერებთან. ერთხელ ვაზეთ „პიონერსკაია პრადამი“ გამოქვეყნდა მოსკოვის პირველი პიონერული რაზმების ერთ-ერთი ყოფილი პიონერის მოგონება, სადაც ნათქვამია, რომ მათ, პირველმა პიონერებმა, გადაწყვიტეს მაიაკოვსკის ლამეგობრებოდენ ვლადიმერ გლადიმერის ძეს ბარათიც გაუგზავნეს, სადაც პოეტს მუკაბრობაზე თანხმობას თხოვდნენ. პიონერებმა პასუხი მალე მიიღეს, ოღონდ მოულოდნელად სხაით. „მასხოს, — ნათქვამია მოგონებაში, — რაზმის შეკრებაზე ვიყავით. ჩვენ რაღაცაზე ცხარედ ვდამბდიო, ვწყვიტლო სხვადასხვაგვარი საკითხებს, უცბად ფართოდ გავილო კარი და ზღურბლზე გამოჩნდა მაიაკოვსკი, რომელსაც ხელში ბუკი და დოლი ეჭირა. რა თქმა უნდა, მისმა მოხელამ ყველა აღტაცებაში მოიყვანა! ვლადიმერ გლადიმერის ძე ჩვენთან დიდხანს დარჩა, აინტერესებდა სკოლის ცხოვრება, ნატურალისტმა წრეების მუშაობა. მაიაკოვსკიმ დაათვალიერა „ცოცხალი კუთხე“ და შემდეგ ახალი ლექსები წავკვიტოხა“.

აქვეა მოთხრობილი, რომ პოეტის მგობრობა ბიოსადგურის ნორჩ ნატურალისტებთან ჩამდინებულ წელს გაგრძელდა. მაიაკოვსკის ტყის დღის პირველსავე ზემოთ ვეჭო პაქშეებს. პიონერებთან ერთად იგი რაჯაჯ: ხეებს და უკითხავდა მათ თავის ლექსებს, შენარჯთა დაცვის შესახებ. როცა მოსკოველმა ნორჩმა ნატურალისტებმა ფრინველთა დღე იზიემეს, მაიაკოვსკიმ დაწერა საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „გელედებით, ამხანავო ფრინველო, რატომ არ მოფრინდები!“

ახლა მინდა გავიხსენო ის უკვე შორეული წლები, როცა ლენინური კომპაგვირი მხოლოდ 12 წლისა იყო. ამ სტრუქტურების ავტორი, რომელიც 1930 წელს მოსკოვში ფრუშენს სახელობის რაიონის კომპაგვირის რაიკომში მუშაობდა, იმავე წლის 25 მარტს დაესწრო ვლადიმერ მაიაკოვსკის ცნობილ ლიტერატურულ საღამოს მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაიონის კომპაგვირის სახლში. ამ საღამოზე მოსკოველმა კომპაგვირებებმა თბილი შეხვედრა მოუწყვეს საყვარელ პოეტს. მაიაკოვსკიმ ამ შეხვედრაზე მოხსენებას კი არ აკეთებდა, არამედ ესაუბრებოდა ახალგაზრდობას, ბევრ რამეს უმტკიცებდა და უხსნიდა, შეკითხვებზე პასუხობდა. პოეტის ხმა მძლავრად და გულწრფელად გრვინავდა. იქ, კომპაგვირის სახლში, მაიაკოვსკიმ განაცხადა: „მხოლოდ მუშათა აუდიტორია, მხოლოდ პროლეტარულ-გლეხური მასები, ისინი, რომლებიც ახლა აშენებენ ჩვენს ახალ ცხოვრებას, ისინი, რომლებიც აშენებენ სოციალიზმს, მხოლოდ ისინი უნდა იქნენ ნამდვილ მკითხველებად და ამ ადამიანთა პოეტი მე უნდა ვიყო“. თავის გამოცხადების დასასრულს მაიაკოვსკიმ ლექსები წაიკითხა, რომელნიც სამუდამოდ დამამახსოვრდა. მაიაკოვსკი ხომ უბადლოდ კითხუ-

ლობდა თავის უკვდავ ლექსებს. განსაკუთრებული მოწონება ხვდა სახელგანთქმულ ლექსს „მთელი ხმით“. იგი მართლაც მთელი ხმით ამბობდა: „როგორც პარტიზელთს ბოლშევიკურს მე მალა ავწევ ჩემს ასტომულს პარტიული წიგნაკებისას“. პოეტი მიმართავდა ახალგაზრდობას: „მე გამიგონე, ამხანავო შთამომავლობა, მე, ავტატორს, წინამძღოლის ხმით მოგუგუნეს“. ამავე საღამოზე მაიაკოვსკიმ უთხრა კომპაგვირებს: „ხელდამკლავებულე ვიწყებ ბრძოლას, რათა განვსაზღვრო ჩემი უფლება არსებობაზე, როგორც რევოლუციისათვის და რევოლუციის პოეტმა... მწერალი-რევოლუციონერი ადამიანო, იგი მონაწილეა საყოველთაო ცხოვრების და სოციალიზმის შენგებლობისა. მაიაკოვსკიმ აღნიშნა, რომ იგი გამოადის კომპაგვირულ აუდიტორიაში, რომ ეს „აუდიტორია მას ღებულობს როგორც თავის მწერალს“. თავის გამოცხადებაში 1930 წლის 21 თებერვალს მაიაკოვსკიმ ვაზეთ „კომსომოლსკაია პრადას“ მკითხველთა საერთო კრებაზე მოსკოვში ასევე გულთბილად და მადლიერების გრძნობით თქვა: „ძალიან მოხარული ვარ, რომ კომპაგვირული აუდიტორია, რომელსაც ყოველთვის მივმართავ რევოლუციის დაწვევიდან, რომელსაც მივმართავდ წინათაც, როდესაც ვლაპარაკობდი ახალგაზრდა კადრების შესახებ კულტურული მუშაობის ყველა დარგში, ძალიან მიხარია, რომ კომპაგვირული კრება მხარს მიჭერს“.

რწმენა საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა ძალეებისადმი მაშინაც აღაფრთოვანებდა მაიაკოვსკის, როდესაც იგი ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ წერდა თავის პირველ საბჭოთა პიესას „მისტერია-ბუფს“, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლისთავს მიუძღვნა. პიესის წინასიტყვაობაში წინასწარმეტყველურადაა ნათქვამი: „მისტერია-ბუფი“ არის გზა. რევოლუციის გზა... დღეს კომუნისკენ მიიღტების მილიონთა ნებისყოფა, ნახევარი საუკუნის შემდეგ კი, ალბათ, შორეულ პლანეტებზე იერიშის მისატანად ვაეშურებიან კომუნის საპაერო დრეკოლები“. ახალი ძალით ძღერს ეს წინასწარმეტყველური სიტყვები დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად ვაგზავნა კოსმოსურ სიერცეში ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანები იური გაგარინი და ვალენტინა ტერეშკოვა. და როგორი სიხუსტეა პოეტის ამ წინასწარმეტყველებაში: „ნახევარი საუკუნის შემდეგ, ალბათ...! დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სასახელოდ კი საბჭოთა ქვეყანამ შორეულ პლანეტაზე „ვენერაზე“ დასვა თანამგზავრი.

ახლა შევეხთ მაიაკოვსკის, როგორც ახალგაზრდობის პოპულარული ვაზეთის „კომსომოლსკაია პრადას“ კორესპონდენტს. ეს ხომ

მთელი ერთპიპა პოეტის ცხოვრებანსა და შემოქმედებაში! ამ გაზეთში 1918 წელს მაიაკოვსკიმ ორმოცდაათამდე ლექსი გამოაქვეყნა კომკავშირულ თემაზე. ახალგაზრდობისადმი დიდი სითბოთი და მშობლიური გრძნობითაა გატენილი ეს ლექსები. პოეტს მკვიდრო მეგობრობა ჰქონდა კომკავშირულ გაზეთთან, რომლის რედაქციაში დიდი ყურადღებით ეცნობოდა ახალგაზრდა მკითხველების წერილებს, ლექსად წერდა ლოზუნგებს, რეპორტაჟებს, თხზავდა საგაზეთო „ჭულდებს“.

გლადიმერ მაიაკოვსკი სინარულით იღებდა მონაწილეობას ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანების კომუნისტურად აღზრდის დიდ მუშაობაში. ამიტომ არის, რომ მის პოეზიაში ასე შთაგონებითაა დაკავშირებული კომუნისმის მშენებლობის საქმე ახალგაზრდა თაობასთან:

კომუნისმი
ქვეყნის სიხალგაზრდავეა
და იგი
ახალგაზრდობამ
უნდა აავოს.

საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა მაიაკოვსკის ფართოდ ცნობილი ლექსები, რომელნიც დაწერილია ახალგაზრდობაზე, კომკავშირულთა მეზობლ რიგებზე, მათ სავაჭრო საქმეებზე. მილიონობით ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანებისათვის ცნობილია ლექსები — „კომკავშირული“, „ახალგაზრდა გვარდია“, „კომკავშირელის მარში“, „მეორეც მოიპოვე“, „ლოზუნგები-რიტმები“, „ხელში ავიღებთ ახალ შაშხანებს“, „წყალქვეშა კომკავშირელი“ და მრავალი სხვა. ეს ლექსები დროულად ესმაურებოდნენ ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

საბჭოთა ახალგაზრდობამ ზეპირად იცის პოეტის სახელგანთქმული ლექსი ლენინელი კომკავშირელების შესახებ. მას ჰქვია „კომკავშირული“. იგი პირველად 1924 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მოლოდია გვარდიაში“.

უნდა ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი მაიაკოვსკის პოეზიაში, ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი ახალგაზრდობის შესახებ, კომკავშირის შესახებ, დიდი ოქტომბრის რევოლუციის გენიალური მესაჟის ლენინის შესახებ. ხალხმა ზეპირად იცის პოეტის მგზნებარე სიტყვები ბელადის შესახებ:

ლენინი ცოცხლობდა,
ლენინი ცოცხლობს,
ლენინი იცოცხლებს მარად.

რა შესანიშნავად და ომახიანად ქდერს ახალგაზრდობაზე დაწერილ მაიაკოვსკის მრავალ ლექსთა შორის ლექსი „კომკავშირელის მარში“. პოეტი მოუწოდებს ახალგაზრდობას ისწავლოს, რადგან სწავლის გარეშე არ არსებობს ქვეყნად არაფერი პროგრესული, პოეტი მოუწოდებს ახალგაზრდობას იყოს ფხიზელი და ჭანმრთელი, თიხიკურად ძლიერი, რადგან ამის გარეშე არ არსებობს მეზობლი — ოქტომბრის დიად მონაპოვართა დამცველი. კვლავ ახალი ძალით გრგვინავს მაიაკოვსკის სიტყვები, რომლებიც მოუწოდებენ ახალგაზრდობას, კომკავშირელებს:

ძველთა
არ მორჩა დეა,
თვალნი
ანთია ჩვენს.
საორტი,
ვარჯიში,
სწავლა —
აი,
საბრძოლო
დღენი!

პოეტი შთამბეჭდავი მხატვრული ძალით გვახატავს დიდსა და შინაარსიან შრომითს დღეებს, ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც მტკიცე ნაბიჯებით მიდის წინ და მაიაკოვსკის ამ მოგუგუნე ლექსში ისინი სინარულით ამბობენ: „ვიცით, რომ შევეალთ მზიან კომუნის შუადღეში“.



გაგინა შაროვა

„ჩემს ასტორელს პარტიული წიგნაკების“

(ტრიზნი და კუბლიცინტი სოციალისტური ხელმძღვანელთა შორის)

დაბადების თხზილი წელი უსრულდება და „როგორც ცოცხალი ცოცხლებს, ისე გვესუბრება“ კომუნისტური მანუალებისათვის მებრძოლი პოეტი, მხატვრული სიტყვიან — მოწოდების, თანამედროვე და მომავალი თაობებისადმი მიმართვის შემქმნელი, მაღალი პოლიტიკური პათოსით აღვსილი ტრიზნი და პუბლიცისტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომლის შემოქმედებაშიც ა. ფადეევი დაინახა ორგანული „შერწყმა პოეზიისა და კომუნისმისა“. კემარტად საყოველთაო-სახალხო საკუთრებად იქცა პოეზია, ნოვატორულად რომ შეიქცა საბჭოთა ქვეყნის — „კაცობრიობის ამ გაზაფხულის“ — საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ფილოსოფიური პრობლემებისა და ამავე დროს ზოგადესთეტიკური საკითხებისა და ცალკეულ ადამიანთა შინაგანი სამყაროს მოთხოვნების ფართო წრეში. პოლიტიკა, რევოლუციური ხანის პუბლიცისტური მცხუნვარება, ლენინიზმის სამშობლოს პოლიტიკური იდეები ფართოდ და ყოველმომცველად პირველად მისი, როგორც ტრიზნის, ლირიკაში გადაიშალა, მისი კალმის წყალობით კემარტად პოეზიად იქცა და ბუნებრივად დეფიულა პ. ნერუდას, ნ. პიმეტის, ვ. ბრონესკისა და ვ. ალბერტის, ბ. ბრეტისა და ჯ. მეველიაიტისის, ი. ბეხერისა და პ. ელიუარის მხატვრულ ცნობიერებას. „დიდ საქმეებდა, სტრუქტურებად და ხომალდებდა“ ვ. მაიაკოვსკის პოეზია იმეტრად განხორციელდა, რომ მან განსაზღვრა მსოფლიო სოციალისტური ლირიკის განვითარების მაგისტრალური ვხა, რომელმაც საბოლოოდ უარყო მარტოდენ კამერული ლირიკის ვიწრო ტრექტორია და უზარმაზარი მოქალაქეობრივი ტემპერამენ-

ტი, შინაარსისა და ფორმის სიახლით გამოსახა ხალხის მილიონიანი მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვითცნობიერების ქმნალობა. ხალხის მასების ცხოვრების გამოცოცხლება, რომელთაც ოქტომბრის რევოლუციის ცეცხლი განვლეს და შექმნეს მშრომელთა ჯერარნახული ქვეყანა, საზოგადოების, სოციალიზმის მშენებელი პიროვნების ფსიქოლოგიისა და შინაგანი სამყაროს ლირიკული თვითშემეცნების თავისებური აქტი იყო.

ამიტომ, რომ ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზია შეუძლია ამოძრავს „მილიონების გული ათასწელს“, ხოლო კომუნისმის მშენებლობის პუბლიცისტური, პროპაგანდისტული, მოქალაქეობრივი ამოცანებისადმი მისი პოეზიის აშკარა სამსახურმა ქვეთკირივით შეადგინა საბჭოთა პოეტების არა ერთი თაობის ნაბიჯი და მსოფლმხედველობა — დაწყებული უფროსი თაობის პოეტებიდან, დამთავრებული თანამედროვე პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლებით. ამიტომ, რომ ჩვენთვის, 60-70-იანი წლების თანამედროვეებისათვის თვითონ წარმოდგენა მაიაკოვსკისა განუყოფელია ტრიზნის, პუბლიცისტის გამოსვლებისაგან მითინგებსა და დისპუტებზე, პოლიტკინკურ მუხეუმში, სადაც იგი მხურვალედ იცავდა პოეზიის მნიშვნელობას და აკრიტიკებდა „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“ თეორიას. ასეთი ახსოვს ამხანაგი მაიაკოვსკი კაბუკ ვ. ვიშნევსკის 1917 წელს: „რა დამაფიქვებს მიტინგს პიტერში, ზამთრის სასახლეში. უზარმაზარი დარბაზი. სიცივე. გამოდის ვლადიმერ მაიაკოვსკი და ლაპარაკობს ომახინად, კარგად, ახალგაზრდულად... ეს ჩვენი ამხანაგი იყო. ჩვენ იგი მივიღეთ!“, იგი ა. ვოზნესენსკის მიერ დახა-

ტულ სურათშიც ესტაბლეთას ვადასცემს თანამედროვე პოეტებს:

მაიაკოვსკი, შენ გაცდი ღროს და
თითქოს ხიდი ხარ, როგორც გიმნასტი
იქით ფეხებით ეხები „როსტას“,
აქეთ კი ხელებს ჩვენამღი აწვდი.²

უკვე ასეთი — დიდი ნაბიჯით მოსიარულე, წინმძევრები, საბჭოთა პოეტების მწყობრში პირველი — გვესახებოდა ჩვენ მაიაკოვსკი ოქტომბრის დღეებში სმოლნის კიბეებზე, პიტერულ მუშეთან, ჯარისკაცებთან, სტუდენტებთან საუბრისას, ქუჩებში დანთებულ ცოცონებთან, ლენინის პირველი დეკრეტების მღვღანე კითხვისას, პოეტი, რომელიც შეეპყრო ზრუნვას ახალი სოციალისტური ხელოვნების შექმნაზე, იმაზე, თუ „რა აღგილი აქვს... მწერალს მუშების რაგში“.

როგორც ოქტომბრის რევოლუციის მონაწილნი იხსენებენ, იგი ეკითხებოდა ხელმძღვანელ კომუნისტებს: „რა უნდა ვაკეთოთ? ტვირთი ვადავნიდით, ვღებოთ თუ ვეკითხოთ? მას პასუხობდნენ: „შენ პოეტი ხარ და უნდა წერო“. და მხატვართა არმია დაიჭრა წინ, — ახალი ხელოვნებისაკენ“.³

და პოეტი-ტრიბუნიც მაშინვე უწყომანოდ და უკომპრომისოდ დადგა რევოლუციური მენაღრე პოეზიის შექმნის მხარეზე: ვერ ნახავდი ვერც ერთ ჰიტინგს, დისპუტს, სადაც ვ. მაიაკოვსკი არ გამოსულიყო და მგზნებარედ არ მოეწოდებია კულტურის ოსტატებისათვის — მდგარიყვენ თავის გვირგული ღროის სიმაღლეზე. ის ყოველდღე მუშაობდა სახვითი ხელოვნების კოლეგიაში, ოპერატორულ განყოფილებაშიც, ჩამოაყალიბა გამოცემლობები „ასის“ (სოციალისტური ხელოვნების ასოციაცია), „იში“ (ახალგაზრდათა ხელოვნება), მცირე ფორმატის, პაგრამ უჩვეულო ლოზუნგებით გაკედილი „მემარცხენე“ გაზეთი „ისკუსტრო კომუნა“, უშეებდა ალბომს „რევოლუციის გმირები და შეწირულნი“.

ამრიგად, ვ. მაიაკოვსკიმ ჯერ კიდევ ოქტომბრის დღეებში დააყენა ხელოვნებისა და ტიპოგრაფიის, ხელოვნებისა და პოლიტიკის, პოეტისა და საზოგადოების ურთიერთდაშორების პრობლემაზე, რომლებიც ნახევარსაუკუნეზე მეტ ხნის განმავლობაში აღელვებდა ჯერ რ. როლანსა და პ. უელსს, მერე კი ჩვენს თანამედროვეებს — ჯ. ოლდრიჯს, ა. პი-დაშს, ი. ტუვიმს, პოლ ვიან-ჟურტიურისა და სტანისლავ კოსტკა ნეიმანს.

მართლაც და, რა უნდა გვრძნობოთ რევოლუციისაგან განსხვავებულ პოეტებს თ. სოლოგუბს, მ. კუზმინს, ვ. ხოდასევიჩს, მ. ვოლოშინს ან თორებტიკოს იმაინისს ვ. შერშენგინს, რომელიც ამტკიცებდა, რომ პოეტს უფლება აქვს იყოს განმარტობული წინასწარი-

მეტყველი და ანათოს „ბრა ქუჩის ფარანის სინათლით იღებებისა“, — როცა გაზეთი „ისკუსტრო კომუნა“ მეტადორულ ლოზუნგთა ფონზე ისეთ მხურვალე, მრისხანე და ამაღლებულ მოწოდებებს ისროდა, როგორიც იყო „დეკრეტი №1 — ხელოვნების დემოკრატიზაციის შესახებ“, მაიაკოვსკის ლექსები „ბრძანება ხელოვნების არმიას“, „პოეტი მუშა“, „მარცხენა მარში“. თუ, ერთი მხრივ, №1 დეკრეტში ვ. მაიაკოვსკი, ვ. კამენსკი და დ. ბურ-ლოუი პირდაპირ მოუწოდებდნენ „გამოვლენათ ხელოვნება საცავ-სასახლეებიდან, გალერეებიდან, სალონებიდან... „და გაეტანათ იგი ქუჩებში როგორც „ზეიმი ხელოვნებისა ყველასათვის“, მეორე მხრივ — მაიაკოვსკის მკაფიო, შეუშუალო, პოეტურად უჩვეულო სტრიქონები მგზნებარე პუბლიცისტური მოწოდება იყო თანამედროვეებისადმი — პოეტებისა და რევოლუციური მასებისადმი: — „ქუჩები ჩვენი ფუნჯია, მოედნები კი — პალიტრა“. პოეტური სახის განსაკუთრებულ ტევადობას და ემოციურ გამოსახველობას მაიაკოვსკის ტრიბუნა, როცა ხელოვნება რევოლუციური ბრძოლას შეადარა:

ამხანაგებო!
ბარიალებზე! —
ბარიალებზე გულთა და სულთა.⁵

მართალია, მაიაკოვსკი ჯერ კიდევ აქ, იმ „წმინდა“ ესთეტთა წინააღმდეგ პოლემიკის დროს გაეცხარებულ, რომლებიც ხელოვნებას საზოგადოებრივ ფუნქციას აცლიდნენ, გადაქარაბებით აფასებდა სამოქალაქო ხელოვნების რაოს, რამაც საშუალება მისცა მის მოწინააღმდეგეებს — პუბლიცისტებს „ზეპარტიული ძურნალებიდან: „ხაპისკი მეტატალები“, „უიზ ისკუსტვა“, „დომ ისკუსტვა“, „რუსკი სოვრემენიკი“ — მისი პოეზია ერთთავად გაეგვივებინათ „მონოპოლიურ-ფურტურისტულ“ პოზიციისაგან. ასეთვე პოლემიკური სიფიქსით გამოარჩევა ვ. მაიაკოვსკის მეორე ლექსიც — „იმ მხარეს“, რომელიც „ისკუსტრო კომუნის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, სადაც პოეტი მძაფრ კამათს უმართავს ა. ლუნახარსკის და თუმცა ფურტურისმ იცავს და ლაპარაკობს მის დამსახურებაზე რევოლუციის წინაშე — ახალი ხელოვნების შექმნის საქმეში, მაგრამ ამავე დროს ხაზს უსვამს კომუნისტური მომავლისათვის ბრძოლის — ახალი ხელოვნების ამ იდეური ბირთვის — მთელ სიდიადეს. და უკვე „მარცხენა მარში“ თავის თანამებრძოლებისადმი, ხალხის მასებისადმი პოეტის მოწოდებების „დარტყმითი“ ძალა ისე ძლიერი იყო, რომ მან ახალი ეპოქის ხელოვნება

ბატონან შაროვაკა
„ჩამს ბსტრმეულს ბატრბიული ფიზნაკვიბისას“

მსოფლმშენებლობრივად წინააღმდეგობრივი „ისკუსტო კომუნის“ ფურცლებიდან პირდაპირ გაიყვანა ჭეშმარიტი სოციალისტური პოეზიის შექმნის დიდ გზაზე. როგორც მაშინ ლენინური სკოლის პუბლიცისტები აღნიშნავენ, იმ წლების საბჭოთა ქვეყნის პუბლიცისტკიამ, პოლიტიკამ, სამოქალაქო სუნთქვამ ადვკატური ეპოქისური გამოხატულება პოეზიაში მარცხენა მარშის“ ქედურ, ორატორულ მეტყველებით ინტონაციაში, ლექსისა, რომელიც წარმოადგენდა რევოლუციისა და ახალი სამყაროს შემოქმედ მილიონობით დამიანის ნებისყოფათა, განცდათა, ზნეობრივ თვისებათა შენედლებს „კომუნა არსიდეს დამარცხლებს“, „რუსეთს ვერ დამონებს ანტანტა“, „დაპკარი ნაბოჯის ურიცხვი დალი“. დახ, „მარცხენა მარში“ იყო თვისობრივად ახალი პოეზიის ნიმუში, რომელზეც სწორებას ახდენდა რევოლუციური ხალხი. ტყუილად როდი აღნიშნა „პრავდამ“ (1923 წ. 13 მაისი) პოეტი-ტრიბუნის ამ საპროგრამო ლექსის მთელი საზოგადოებრივი ღიაპასონი: „დიდი, უშველებელი მიაკოვსკი თავისუფლების ქანდაკების ოქნიდან თავისი ომხიანი ხმით გაჰყვირის: „მოეწყეთ სალაშქრო მარშის!.. მარცხენას“, და ქვევიდან ათაობით ხმა შესძახის — „მარცხენა“. შემდეგში ა. ტოლსტოის ტყუილად როდი მიუთითებდა „მარცხენა მარშის“ მთელ პრინციპულ მნიშვნელობაზე სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ჩამოყალიბებისათვის: „მიაკოვსკისათვის არავის გამოუხახავს რევოლუციის სული... ეს იყო პოეზია წინგაწვდილი, გზისმარჩენებელი ხელისა, რომელიც პასუხს იძლეოდა კითხვაზე, თუ რა უნდა გააკეთოს კაცმა დღეს, ახლა, ამ წუთში, თუ იგი პროლეტარული რევოლუციის მხარეზეა.“

ე. მიაკოვსკის „მარცხენა მარში“ უდავოდ დასაწყისისა საბჭოთა პოეზიის მძლავრი წინსვლისა, აქედან იწყება მისი პუბლიცისტური მგზნებარება და კომუნისტური იდეურობა, ეპიკურისა და ლირიკულის ორგანული შედღეულება მხატვრულ ხილვაში ე. ბაგრიცკისა და ნ. ტიხონოვთან, ი. სმოლიაკოვსა და კ. სიმონოვსთან, ა. ტვარდოვსკისა და რ. როვდესტვენსკისთან, გალაკტიონისა და ტციანთან, — ლირიკის ისეთი ეტალონების შექმნა, როგორიცაა მიაკოვსკის „მთელი ხმით“, ბაგრიცკის „პიონერის სიკვილი“, ნ. ტიხონოვის ბალადები, გალაკტიონის „ეპოქა“, ტციანის „როინი-პორტი“, გ. ლენინის „პოეტს“, კ. სიმონოვის „გვერდრალი“, ა. ტვარდოვსკის „შორეთს იქით შორეთი“ და ა. შ.

„მარცხენა მარშიდან“ ვითარდება ე. მიაკოვსკის შემდგომი შემოქმედება: პოემა „მისტერია-ბუფი“ — ეპიკური თხრობა ლენინის მის იდეების ძლევამოსილი სელის შესახებ მთელს პლანეტაზე, პოეტი-ტრიბუნის საავტორ-

ციო მუშაობა როსტას „ოცნა სატირიში“, „ბრძანება №2 — ხელოვნების არმისა“, და უდავადი პუბლიცისტური ბრძოლა იმეინისტების, სერაპიონელების როგორც აპოლიტიკური ხელოვნების წარმომადგენლების წინააღმდეგ. როცა ე. შერშენევიჩი, ა. მარინეგოფი და სხვა იმეინისტები, პოლიტიკისა და ლიტერატურის შერწყმისა და „უფროთ“ რეალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ე. ზამიტიანის ეროიად, რომელმაც გამოსცა კონტრრევოლუციური პამფლეტი „მე მეშინია“, ხელოვნების „არაქლისობრიობას“, „ზეპარტიულობას“ და „აზნოლუტურ თავისუფლებას“ მოითხოვდნენ, მაშინ ე. მიაკოვსკი, 1919 წლის ოქტომბრიდან 1922 წლის თებერვლამდე, როსტას „ოცნა სატირიში“ ითვისებდა სინამდვილეში პოეზიის კონკრეტული, პუბლიცისტური შექმნის ხერხებს. 1550 — 1600 „უზარქიდან“ 450-500 მიაკოვსკის ეყუთენოდა. ეს, უდავოდ, რევოლუციისათვის მოწოდებული და მობილიზებული“ პოეტის მოქალაქეობრივი გვირობა გახლდათ.

ე. მიაკოვსკი მისი როსტასეული პლაკატების მკაცრმა პირდაპირობამ, ფერადოვნებამ, ლოზუნგურობამ, მოქალაქეობრივმა მგზნებარებამ ფართო პარტიული პრესის წინა ხაზზე წამოსწია და ისელი მგზნებარე პუბლიცისტთა გვერდით დააყენა, როგორც იყვენენ დ. ბედნი და დ. ფურმანოვი, მ. კოლცოვი და ლ. რეისნერი, აი, მომსწრის, ყურნალ „პეჩატ ი რევოლუციის“ რედაქტორის ე. პოლონსკის აზრი, პოლინსკისა, რომელიც განვიკვირდა მიაკოვსკის პლაკატების ძალამ, ვიტრინებიდან, კედლებიდან, ღობეებიდან მბრძანებლურად რომ მიუთითებდნენ გამვლელს — „შესდექი“ და რევოლუციისათვის მოქმედებისაკენ მოეწოდებდნენ: „მიაკოვსკი სხვებზე უფრო მძლავრად და სწორად იგრძნო ბუნება პლაკატისა როგორც ქუჩების, მოედნების, ხალხის ხელოვნებისა, რომელიც გააკივის, გრკვიანავს, არეტანებს, თვალსა ქრის სიკაშკაშით...“⁴⁷

პოეტი-ტრიბუნი თითქმის დღენიდავ პლაკატის მახელით იბრძოდა საბჭოთა ხელოვნების გამარჯვებისათვის, ებრძოდა იმეინისტებისა და სერაპიონელების აპოლიტიკურობასა და პერევალებების „ზეპარტიულ“ ლოზუნგებს. ე. მიაკოვსკი აღაშფოთა იმეინისტი ე. შერშენევიჩის დეკლარაციაში „ბრწყინვალე შედომანში“ იმის შესახებ, რომ პოეტის უფლება აქვს განუდგეს ცხოვრებას, ღანძრის ჩაქრობაშიც კი არ ჩაერიოს, რადგანაც თუ იგი ხანძარს ჩააქრობს, ამით მოქალაქედ გადაიქცევა და პოეტობას დაკარგავს. ა. მარინეგოფმა იმეინისტთა ყურნალის ფურცლებზე ისიც კი თქვა, რომ ხელოვნება კატეგორიულად უნდა დაუპირისპირდეს პოლიტი-

კეს, ტენდენციურობას, ეურნალისტიკას, რომელიც თავისი „ზარბაროსული სიტყვითა“, „მთარული საზოგადოებრივი კემპარიტებებით“ ნამდვილი ღირებულებებისაგან ჩამოაცილებს პოეტს. ხელოვნებაში აპოლიტიურობის, პუბლიცისტიკისაგან განრიღების ასეთივე აშკარა ქადაგებით გამოვიდნენ აგრეთვე ე. ზამიატინი და „სერაპიონელი ძმების“ ჯგუფი და, ბირველ ყოვლისა, მისი თეორეტიკოსი ლ. ლუნცი. ჯერ კიდევ ეურნალის „დომ ისკუსტე“ ფურცლებზე (1920, 1) ე. ზამიატინი თავის მოწოდებაში „მე მემინია“ ამართლებდა „შეშლილ“, „ვანდევით“, „ერეტიკოს“ პოეტებს, დასცინავდა საზოგადოების სამსახურში ხელოვნების ჩაყენების იდეას და აცხადებდა, რომ ჩვენს დროში გერცენი ალბათ ბალტიის ფლოტში ლექციების კითხვაზე გადავიდოდა, ნეხოვი კი ჭანახკოში იმსახურებდაო. ლ. ლუნცი მის მსგავსად სწუხდა („ლიტერატურნიე ზაპისკი“, 1922, № 3), რომ რუსულ ლიტერატურას მეტად „დიდხანს და აუტანად“ მართავდა საზოგადოებრიობა, მწერლებს კი არ სურთ „უტილიტარობა“ და „პროპაგანდისტობა“ როლი წერენ. მაიაკოვსკი ებრძოდა როგორც იმპიონისტებსა და სერაპიონელებს, ისე „პერეტიკოს“ ჯგუფს და მის მეთაურს, ეურნალ „კრანსია ნოვის“ რედაქტორს ა. ვორონსკის, ნიჟიერ კრიტიკოსს, რომელიც მოდერნიზმის ესთეტიკის გავლენის ქვეშ მოექცა და იმას ქადაგებდა, რომ ლიტერატურაში აუცილებელია „გულწრფელობა“, „ქვეყნობიერის, ზეგრობობის“, ე. ი., თანამედროვე ენაზე თუ ვრცელი, „ცნობიერების ნაიაღის“, „ფსიქოიმპულსებისა“ და „ბიოიმპულსების“ გამოხატვა. 20-იანი წლების ბირველი ნახევარი ასეთ მწვევე ლიტერატურულ ბრძოლაში მაიაკოვსკი მკაცრად აკრიტიკებდა ყოველ მსგავს „თეორეტიკოსს“, ვინც ახალი ხელოვნების იდეურ-აღმშრდელობით მნიშვნელობას უარყოფდა. ვერ ნახავთ პოეტის ვერც ერთ გამოცვლას დისპუტებსა და მიტინგებზე, ვერც ერთ ლექსს იმაზე, თუ „რა ადგილი აქვს... მწერალს მუშების რიგში“, რომელიც მწვევე პოლემიკურ ხასიათისა არ იყოს და მიმართული არ იყოს ხელოვნების „სეკლასობრიობის“, „ზედროულობის“ წინააღმდეგ. „საბჭოთა ხელისუფლების სათვართო პოლიტიკის“ შესახებ გამოართულ დისპუტზე იგი პირში ახლის განათლების სახალხო კომისარს ა. ლენინარსკის: „ჩვენ გვინდა ამხანაგმა ლენინარსკიმ იქვას იმ მწერლების შესახებ, რომლებიც მეტაფიზიკისა და ხელოვნების აპოლიტიურობის ებრძვიან: „გაუმარკოს თქვენს პოლიტიკურ მუშაობას, კიდევ უფრო მჭიდრო იმუშავეთ პოლიტიკურად და ემშაოსცე შეიღია აპოლიტიურობა“. „პოეტების წმენდის“ პერიოდში, 1922 წლის დისპუტზე აღმოვაჩინებ-

ლი ესხმის თავს ე. შერშენეიჩის „ესთეტიკურ სტანესებ“ და ა. მარინევაგის ლექსებს და დაცინებით ამბობს, რომ რევოლუციის მკერეტელებს „ზეგარის მოხდა“ უნდა მიესაჯოს. იმავე პერიოდის ლექსში „ზრძანება № 2 — ხელოვნების არმისა“ იმპიონისტებს ასე ახსიათებდა:

ოქენი,

ანიღბულნო მისტიკის ფურცლებით,

ხოლო მოგვიანებით მათ უწოდებდა „ნამიკეცა ჯგუფს“, რომელიც პოეზიაში ჩალიჩობდა, მაშინ როცა სხვა, მოწინავე ჯგუფები მშენებლობებსა და პოლიტიკურ მუშაობას ემსახურებოდნენ. მეორე დისპუტზე აშკარად გამოთქვა მისი თვის გულისწყრომას ლ. ლუნცისა და ევგ. ზამიატინის აპოლიტიურობის მიმართ, რომლებიც რევოლუციურ შინაარსსაც და რევოლუციურ იდეურობასაც ისე უყურებდნენ, როგორც რაიმე ახალ ტექნიკურ ხერხს. მაიაკოვსკის აზრით, ხელოვნების იდეოლოგიური მიმართულების უარყოფამ სერაპიონელები და ე. ზამიატინი იქამდე მიიყვანა, რომ მათთვის „წითელი ფერი გამოზიანებულ მოღურ ფერად იქცა“ მაშინ, როცა სოციალისტური საზოგადოებისა, ხელოვნებისა და კულტურის შემოქმედთათვის წითელი ფერი — ესაა სამარადისო ფიცი, მსოფლმეგრძნება, მეორე სუნთქვა, იგი თვალს ახარებს და ესთეტიკურ სიამოვნებას გვრის! ლექსში „ლექსისა და პროზის მუშაყებს“, მაიაკოვსკი ირონიულად დასცინოდა „სერ ე. ზამიატინის“ სტუმრობას კოლმეურნოებში, როგორც ხელოვნების აპოლიტიურობისა და უმიზნობის მქადაგებლის „საერო მოღვაწეობას“.

ე. მაიაკოვსკი დაუცხრომლად ებრძოდა აპოლიტიზმს ხელოვნებაში, რითაც არ უნდა ყოფილიყო იგი შენიღბული, — „სპეციფიკური სახით“, „პოეტური ინდივიდუალობით“, „სტილისტური ხერხების ერთობლიობით“, „გულწრფელობით“, რასაც პერველელი კრიტიკოსები ა. ვორონსკი და ა. ლენინევი მიზნად ედნენ. — და ამტკიცებდა, რომ აპოლიტიზმს მწერალი მანკიერ მოქალაქეობრივ პოზიციამდე მიჰყავს ბ. პილნიაცივით, რომელმაც სასლავარგარეთულ თერთმეგრანტულ გამოცემლობას გაუზავნა თავისი ანტისაბჭოური რომანი „წითელი ხე“. იგი მთელი მგზნებარებით ამბობდა: „ჩვენ მოვიტხოვთ ყოველი ნაწარმოებისაგან, რომ იგი საქმეს აკეთებდეს, ზემოქმედებას ახდენდეს, და არა იმას, რომ ნახ ლენინეზე ახდენდეს შთაბეჭდილებას, ანდა გულწრფელად გამოხატავდეს მწერლის

ბახმანა შაროვა
„ჩამს ასტომეშლს პარტიული ჟიზნაპაბისას“

გრძნობებს წილიაქისეწერად. ბ. წილიაქისე
ქვეყა პოეტის მიაჩნდა აშკარა გამოხდომად
პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ,
რადგანაც ეს კიდევაც რომ ზეკლასობრივ
იარაღი იყოს... (როგორცადაც იგი მიაჩნდა
პილიაქის), მისი თეორებისათვის გადაცემა
მიინც მტრის არხენალს ამდიდრებს". (ტ. 12,
გვ. 204, 196).

როგორც ვხედავთ, მიაიკოვსკისათვის სოცია-
ლისტური ხელოვნება კვლავ პარტიული,
ტენდენციური ხელოვნებაა, რომელიც მკითხ-
ველთა იდეურ აღზრდას ახდენს პარველ ყოვე-
ლისა საგზებით და საიუტრნალო პერიოდიკის
შეშვეობით. მიაიკოვსკი რაერატიულად მუ-
შაობდა მისი ხელმძღვანელობითვე შექმნილ
ჟურნალდებში „ლეფ“, „ნოვი ლეფ“ და აცხა-
დებდა: „დღეს საკირთა უფრო ახლო ვიყოთ
გაზეთებთან, სტატიებთან, პუბლიცისტკის-
თან“, მრავალჯის მთუწოდებდა კომკავშირელ
პოეტებან — მ. სვეტლოვის, ი. უტკინს, ა. ჟა-
როვის, ა. ბუზინესკის — „დაემორჩილებით
მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეო-
ბა კომუნისტის მშენებლობის პუბლიცისტური,
პროპაგანდისტული, აქტიური ამოცანებისად-
მი“ (ტ. 12, გვ. 193). იგი მით მოუწოდებდა და-
ულაღვად ემუშავნათ თავისი მხატვრული ოს-
ტატობის დახვეწაზე, განსაკუთრებით აღნიშ-
ნავდა შინაარსისა და ფორმის სინთეზს
მ. სვეტლოვის შესანიშნავ ლექსში „გრენა-
და“ და მოუწოდებდა აქტიური მონაწილე-
ობა მიედოთ საბჭოთა გაზეთებისა და ჟურ-
ნალების გამოშვებაში. როდესაც მიაიკოვსკი
დისპუტზე გამოდიოდა ხელოვნების ტენ-
დენციურობისა და პუბლიცისტურობის
შესახებ, ამტკიცებდა, რომ დისპუტი, პოეტის
საგზებით და საიუტრნალო პუბლიცისტკია —
ესაა საზოგადოებრივი ტრამუნა, რომელიც
ენმარბეა კულტურის ოსტატებს მიეღო თა-
ვისი ძალბეა მიმართონ იმისაკენ, რაც მთა-
ვარია, რაც ქვეყნის სადღესო მოქმედების
გეგმას განსაზღვრავს.

ამიტომ იყრ, რომ მოქალაქეობრივი
მგზნებარბობით აღვისლო პოეტის ვ. მიაი-
კოვსკის ყოველი გამოსვლა მიტინგებზე, მზა-
ლითად — სვერდლოვის მოედანსა და საბ-
ჭოების მოედანზე, „ათასწინანი“ მასების წი-
ნაშე, ვ. ვოროვსკის მეკვლეობისა და ინგ-
ლისის მინისტრის კერზონის ულტიმატუმის
წინააღმდეგ, გამოსვლებე „კომსოპოლსკიაია
პრავდას“ ფურცლებზე — „ფიქრები მოლჩა-
ნოვ ივანეზე და პოეზიაზე“, „რისთვის ვიბ-
როდით?“ და სხვ., წარმოადგენდა არა მარ-
ტო ქვეყნის ნიმუშს ყოველი საბჭოთა მწერ-
ლისათვის, არამედ საშუალებას ამოვლდა მის
სამოქალაქო ომის გმირთა სახელით ენხილე-
ბინა ყველა დაქირავებული მეკვლეისა და
მოდლატის წამქეზებული ბატონი პუანკარე-
ებე და ლობი ჯოჩებე. მიაიკოვსკის ეს სა-

გაზეთო რეპორაჟები, რომელიც
საბჭოთა ხალხთა პოეტებმა კვლავ გააცოც-
ხლეს ბრატკის, ლიეცის მაგნიტის, კოი-
ბიშევი პესებისა და ტროიატის და კამის
ავტოქარხნების და ენგურპესის მშენებლო-
ბებზე, პუბლიცისტურად და კარდიოგრამისე-
ბური სინთესტით ასახავდა ახალგაზრდა რეს-
პუბლიკის ცხოვრებანს მძლავრ მაქისფეთქებ.

თავის მრავალმხრივ ჟურნალისტურ მოღ-
ვაწეობას — თანამშრომლობას „ნიხესტი-
ასა“, „ტრუდა“, „რაბოჩიი მოსკვასა“, „ზა-
რია ვოსტოკასა“ და „ბაიენსკი რაბოჩნი“ —
მიაიკოვსკი სიამოვნებდა აღნიშნავდა კონ-
სტრუქტივისტებისა და სხვა ფორმალისტურ-
ი გჯუფების საპირისპიროდ, რომელთა
უნარი არ შესწევდათ გაეგოთ, რა ფასი
ჰქონდა სინთეზს, რომელსაც მან მიადწია
თავის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში, საბ-
ჭოთა ლიტერატურის ახალი გმირის — მებ-
რძოლის, შემოქმედისა და გამარჯვებულის—
მსოფლმეგრანების გადმოცემას. როგორც იმა-
თინისტები, ისე კონსტრუქტივისტებიც კ. ზე-
ლენსკი, ი. სელდნისკი, ბ. ავაბოვი და სხვები მა-
იაიკოვსკის ნაწარმოებებზე ავღებოთ „მიაიკოვსკის“
უწოდებდნენ, ხოლო თავისთავს — „საბჭოთა ზა-
პადნიკებს“, ქედს იხრიდნენ ამერიკული ტექ-
ნიკის წინაშე, იფიჭებდნენ მის კლასობრივ
ხასიათს და აბუჩად ივღებდნენ პოლიტიკის,
პუბლიცისტურობასა და იდეურობას, როგორც
ახალი ხელოვნების თვისებას. ტყუილად როდ
ეხატა მათი კრებულის „ბიზნესის“ გარეკანზე წი-
თელი ფერის რქის სათავლე: ხომ ხედავთ, „ქა-
ლემისა“ და „მომების“ რუსეთს სჭირდება „მაშა-
კატური, ქმედიოთა კონსტრუქტივისმი“ (გვ.
53) და საკირთა თითქმის ბუხარინისებურად
ამოვლოთ ბიზნესიდან როგორც ცხოვრებისე-
ული ფორმულიდან კონსტრუქტივისმი და შე-
ვერთოთ იგი მთელ „სოციალიზმის საქმე-
სო“. მათმა ამ მისწრაფებამ ამერიკანისმის
ასიმიალიცისაკენ, ყველა ფორმალური ხერ-
ხის სინთესისაკენ („გრუზოფოკაციისა“,
„ლოკალური სემანტიკისა“ და სხვა მსგავსმა
პრინციპებმა), ნათლად გამოხატულმა აბო-
ლიტიზმმა, დეიდეოლოგოზაციამ უფლება
მისცა ვ. მიაიკოვსკის კონსტრუქტივისტებში
ფორმალისტური სკოლის სახესხვაობად ჩაე-
თვალა. ბუნებრივია, ვ. მიაიკოვსკიმ მყისვე
მიაქცია ყურადღება იმას, რომ ქვეყნის პო-
ლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებმა
საგან მოწყვეტილ შიშველ ტექნიციზმს კონ-
სტრუქტივისტები „ზეკლასობრივ“ პოზიცი-
ამედ და მართლაც რომ კოსმოპოლიტურ
ფსიქოლოგიამედ მიჰყავდა. როცა იგი ბ.
ავაოვს განუშარტავდა, რომ კონსტრუქტი-
ვისტებს არა აქვთ არავითარი კლასობრივი
კრიტერიუმი, რამდენდაც ისინი არც კი აყუ-
ნებენ საკითხს თუ ვის ხელშია და ვისთვის
მუშაობს მანქანა, იგი დაულაღვად იაშკა-

რეგებდა, თუ სანამდე მიღის „კონსტრუქტივისტი“ სტილი“ თუნდაც ა. სელვინსკის შემოქმედებაში, სელვინსკისა, რომელიც ბრალს სდებდა მიაიკოვსკის, რომ მან მოკლა ლირია. შემდეგში, 1930 წელს, მან ბოლომდე უჩვენა კონსტრუქტივისტების კრიზისი და თავისი ყოფილი თანამებრძოლების — ლეფელის „შეცდომებიც აღიარა: „...ისინი იმეორებენ ფურტურისტების შეცდომას — ბრძალ იხრან ქედს ტექნიკის წინაშე... ვერ გაუვიათ პოეზია, როგორც ბრძოლის იარაღი.“⁹

გ. მიაიკოვსკის ესთეტიკის ურთულესი პრობლემა საკითხი იმის შესახებ, ეთანხმებოდა თუ უარყოფდა მიაიკოვსკი ლეფელის ლოზუნგებს „მწარმოებლური ხელოვნების“, „ცხოვრების მშენებლობის“, „ლიტერატურული ფაქტის“ შესახებ, ნ. ჩუჟაკის, თ. ბრიკის, ს. ტრეტიაკოვის მიერ ხელოვნების მასობრიობისა და კლასობრიობის ვულგარულ-სოციალოგიურ და ამავე დროს ფორმალისტურ გაგებას. ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა ვ. პერცოვის მნიშვნელოვანი წერილი „ახლის გარძობა და ნოვატორობის ტრუბუნებში“ („ხნამია“, 1970. №12), სადაც ავტორი ცდილობს გვაჩვენოს, რომ მიაიკოვსკის როგორც „მემარცხენე“ ჟურნალისტების „ლუფის“ და „ნოვი ლუფის“ რედაქტორის ჩანაფიქრები მთლიანად როდო თანხედობდნენ მათს უშუალო განხორციელებას პრაქტიკაში.

როდესაც ვლადიმეროვმა მიაიკოვსკის ბრძოლაზე „მემარცხენე“ ჟურნალებში ახალი ხელოვნებისათვის, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ამ ჟურნალთა რედაქციების შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო, რამდენადაც ვ. მიაიკოვსკისა და ს. ეიზენშტეინის გარდა იქ შედიოდა ულტრაემმარცხენე ფრთაც (ს. ტრეტიაკოვი, თ. ბრიკი, ბ. ბრეტკოვი) ნ. ჩუჟაკის მეთაურობით, რომელმაც გამოიკონა „საგნის კუთების“ თეორიაც და „მწარმოებლურობის“ თეორიაც. 20-იანი წლების თანამედროვენი დასაწყისში განაცვიფრა ჟურნალის უჩვეულო ფაქტურამ — მხატვარ ა. რადნივოს ფოტომონტაჟებმა გარკვეულმა მკეთებრმა პოლიმიურმა სათაურებმა, ჟურნალის ფურცლებზე გამოსახულმა ექსპოზიციებმა პლაკეტების ესკიზებისა, სურათებმა რეკლამისათვის, საფოსტო მარკების პრაექტებმა, ხმამაღლა დეკლარაციებმა — „რისთვის იბრძვის ლუფი?“, „ვის აფრთხილებს ლუფი?“, „ვის ჩაფრენია კბილებით ლუფი?“. ეს დეკლარაციები იმის შესახებ, რომ „ლუფი“ ავტაციას გაუწევს ხელოვნების კომუნის იდეებით, რომ იგი უწყალებს „ოსკარ უაილისებურ თვითტებობას“, მალე წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ლეფელთა უქილურეს უტილიტარიზმთან. მათს უნდადაგო მისწრაფებასთან — უსუბილთ დაზურე ფერწერა, ლირიკა და

სინათა და შეეცალათ ისინი სავაზეთო სტრუქტურით, კონსტრუქტიულად შექმნილი ყოფილი საგნით, „რაციონალური“ სპექტანსაცემლის მოდელით, „რეზიტატობით“. თვითონ მიაიკოვსკი ჟურნალის კომუნისტური მიმართულებისათვის იბრძოდა და პროტესტს აცხადებდა მის თანამშრომელთა ფორმალისტური ოინზაზობის წინააღმდეგ, მაგრამ „ლუფის“ „თეორეტიკოსები“ ბ. არევატოვი, ს. ტრეტიაკოვი და ნ. ჩუჟაკი გაუსწორდნენ კლასიკოსებს და ხელოვნებას ტექნიკურ მწარმოებლურ როლს აკისრებდნენ, უარყოფდნენ მის აღმზრდელით-ესთეტიკურ ფუნქციას და ფიქრობდნენ, რომ ისინი პარტიზანე უფრო მემარცხენეები“ იყვნენ. როგორც „ლუფის“ რედაქტორი, ვ. მიაიკოვსკი ჟურნალის გამოსვლის დღიდანვე ეკამათებოდა ნ. ჩუჟაკს, რომელიც აქემებდა ლირიკას, ვერ იტანდა პოემას „ამის შესახებ“ და რომელმაც წარმოადგინა ხელოვნების, როგორც სინამდვილის შემეცნების შესახებ, ბურჟუაზიული ესთეტიკის გავლენად გამოაცხადა. მიაიკოვსკის ნ. ჩუჟაკმა „ლუფის“ ნომინალური რედაქტორი უწოდა, რამდენადაც მიაიკოვსკი თანდათან ჩამოვიდა „ლუფის“ დოგმებს „მწარმოებლური ხელოვნების“ შესახებ და მისი ლექსები ამსხვრედდნენ ლეფელთა სქოლასტიკასა და თვითმხნურ ფორმალისტურ მემარცხენეებს. 1926-1928 წლებში მიაიკოვსკი სულ უფრო მეტად ფიქრობს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მაქსიმალური ქმედებობა მიეცეთ ხელოვნებას როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღს. ამჟერად პოეტი-ოსტატისა და პოეტი-ინჟინერის ცნებებს პოეტ-ტიბუნისათვის უყვე არ შეეძლებოდა აღენიშნათ მხატვრის საზოგადოებრივი როლი. ფორმულა — „ახლის მეთაური“, როგორც მან განსაზღვრა „მწერლის როლი „საუბარში ფინისსექტორთან პოეზიაზე“, უყვე გვიჩვენებს, რომ მიაიკოვსკიმ თავი ანება ლუფების მწარმოებლურობის ტერმინთა კომპლექსს. თვითონ მიაიკოვსკი, როგორც რედაქტორი, სოციალისტური ხელოვნებისათვის ბრძოლის პროცესში არაერთგზის ცდილობდა ხელი შეეწყო ხელოვნების დაახლოებისათვის „ცხოვრებისეულ პროსასთან“, გაეფართოებინა რუსული ლექსის სიტუაციური საყრდენი. ამ მიზნით მან ჟურნალში შემოიკრიბა ფილოლოგები და წინადადება მისცა მათ დაემუშავებინათ ვ. ი. ლენინის, როგორც პუბლიცისტის, ენა და სტილი. მან „ლუფში“ გააერთიანა შესანიშნავი ნოვატორი-კინორეისორები ს. ეიზენშტეინი, ვ. პუდოვინი, ე. შუბი, დ. ვერტოვი, ათავსებდა ჟურნალში წერილებს მათი ნოვატორული ძიებების შესახებ, ისეთი რევოლუციური კინოხელოვნების შექმნის შესახებ, რომელიც ისევე გადმოვიცემდა სამშობლოს სუნთქვას, როგორც ს. ეიზენშტეინის „ჯავშნოსანი

ბატინან შაროვმა
„ჩამს ასტომეშლს პარტიშლი წიზნაპეზისს“

პორტოკინი“ და დ. ვერტოვის „სამი სიმღერა ლინინზე“. მაგრამ ლეფის ყურნალებისადმი შაიაკოვსკის ხელმძღვანელობის ეს დადებითი საწყისები საკმარისი არ აღმოჩნდა და „ნოვი ლეფი“ 20-იანი წლების ბოლისათვის, არსებობდა რომ ვთქვათ, უპირისპირდებოდა სოციალისტური რევოლუციის ნოვატორულ ლიტერატურას, ნიპილისტურად ურაცოდ საბჭოთა ლიტერატურის ისეთ საუკეთესო ნაწარმოებებს, როგორცაა „ცემენტი“ და „განადგურება“, „არტაშოვნოვის საქმე“ და „წამების გზაზე“, პოემა „კარგია“ და პიესა „ჯავშნოსანი 14/69“. ამიტომ სიკვდილამდე რამდენიმე წლით იდრე შაიაკოვსკი მთლიანად ჩამოცილდა „ნოვი ლეფს“, შევიდა რაპსში და განაცხადა: „ლეფი — ესაა ესთეტიკური ჯგუფი, რომელმაც რევოლუციური ლიტერატურა თავისთავში ჩაატრილ ახალ ესთეტიკურ საქმიანობად გადააქცია“.⁹

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 20-იანი წლების ბოლოს ვ. შაიაკოვსკის ბრძოლას სოციალისტური ხელოვნებისათვის ის სიძნელე აღერთო, რომ იგი იმუღებელი იყო ეს ბრძოლა ეწარმოებინა არა მარტო სხვადასხვა ფორმალისტურ ლიტერატურულ დაჯგუფებებთან, თავისი ყოფილი თანამოაზრებთა ჩათვლით, არამედ აგრეთვე ვულგარული სოციალიზმის ფანტაზიებთან — რაპსის კრიტიკებთან, პროლეტარული რევოლუციის სახელით, რომ პოეტს „თანამგზავრს“ უწოდებდნენ და მასებისათვის გაუგებარად და ამიტომ მათთან შერწყმის უნარს მოკლებულად მიიჩნევდნენ მისი „კლასობრივი ბუნების“ გამო.

რაპსული მ. ბეკერი ჟურნალში „ნა ლიტერატურნომ პოსტუ“ (1928, №2) დემაგოგიურად დასცინოდა პოემას „კარგია“ კლამბურული სათათრის მქონე წერილში „კარგია თუ არა კარგია“?¹⁰. თვითონ რაპსების ლიდერმა ლ. აგერბახმა პირდაპირ ღვენა მოუწყო რევოლუციის პოეტს და მოითხოვდა პასუხისგებაში მიეცათ იგი ვითომცდა გაუბრალოებული „აგიტკებისათვის“ და „კლასობრიობის“ უქონლობისათვის. მაგრამ ვ. შაიაკოვსკი, რომელიც საბჭოთა ლექსის სრულფლებიანი წარმომადგენელი იყო ნიუ-იორკსა, პარიზსა, ბერლინსა და რიგში, ხარკოვსა და როსტოვში, ბაქოსა და თბილისში, განუხრელად განაგრძობდა პარტიული, მოქალაქეობრივი, პუბლიცისტური ხელოვნების პრინციპების დაცვას და აღშფოთებული მიმართავდა სხვადასხვა ჯურის რაპსელებს:

წიგნი თავის თავს კარგვ ეძახის,
რიხით აცხადებს...
გაიძახის:
მხოლოდ ჩვენ ვართ პროლეტარულნი...
მაშ მე ვინ ვარ?
ნეტავ ჩარჩი
ხომ არ გამხადეთ?

კემპარიტად ხალხური, პარტიული პოეტის მოწოდებად ყდრდა მისი სიტყვები ლექსში „ბატონი სახალხო არტისტი“ სიმღერისა და ლექსის როგორც „ყუმბარისა და ბაირადის“ შესახებ და, რა თქმა უნდა, მისი პოეტური ანდერძი — ხუთწლედის შესახებ შესავალი პოემისა „მთელი ხმით“ — პირდაპირ ჩვენ მოგვემართავს, 60-70-იანი წლების თანამედროვეებს. თუ, ერთი მხრივ, შაიაკოვსკის პოემები „ვლადიმერ ილიჩ ლენინი“, „კარგია“ — რეალისტური ლირიკული ეპოსი რევოლუციისა, ხალხისა და ბელადის შესახებ — სოციალისტური რეალიზმის უბრწყინვალესი ნაწარმოებებია, მეორე მხრივ, „მთელი ხმით“ — ეს ნამდვილი აღმოჩენაა თანამედროვეებისადმი და შთამომავლობისადმი პუბლიცისტური მიმართვის ეანრში. ფიგურალურად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს შესავალი ისეთსავე როლს ასრულებს სოციალისტური ხელოვნების ხერითომოდვარის შემოქმედებაში, როგორც „ძეგლი“ ა. პუშკინის შემოქმედებაში. მაგრამ აქ მან უარი თქვა პორაციოსისეულ სქემაზე და ტანპიზაციის მეტად მრავალმეროვან საშუალებათა სინთეზური გამოყენება შეძლო — „მემამულური მებაღეობის“, „წინდა“ პოეზიის წინააღმდეგ მიმართული შეკერო სატარიდან მოვიდებულ, ვიდრე სამოქალაქო, პოლიტიკური, სააგიტაციო პოეზიის — სოციალისტური რევოლუციის ამ საბრძოლო იარაღის — სადიდებელ მაღალ ჰეროიკამდე. აქ იგი თითქოს ერთი ამოსუნთქვით, ერთი პუბლიცისტური აბრიალებით მიმართავს დიდი სამამულე ომის პოეტურ ეპოქამდურებს შემაჯამებელი სტრეიონებით იმ სიღრმისეული სათავეების შესახებ, რომელსაც ხალხურობისა და პარტიულობაში იღებს მთელი მისი „ასტომეული პარტიული წიგნაკებისა“.

დიდა პოეტის — სოციალისტური სამშობლოს სამოქალაქო ტრიუმფის — პასუხისმგებლობა, გრანდიოზულია როლი პოეზიისა, რომელიც „დროის მთებს“ იქით ხედავს ხელონდელ დღეს თავისი ქვეყნისა. მაგრამ იმისათვის, რომ შესარტლოს „ხალხის მეთაურისა“ და ამავე დროს „ხალხის მასხურის როლი, პოეტი, კომუნისმის მენტობის აზრით, შეიარაღებული უნდა იყოს იდეურად, ღრმად იყოს დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, კავიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის პუბლიცისტურ ამოცანებთან. შაიაკოვსკის პოეზიის ეს მიმართულება, რომლის შემქმნელიც, მ. კოლტოვის სიტყვებით თუ ვიტყვი, „მილიონთა ფილტვებით სუნთქავდა“, ეს მუდმივი მიმართულება პუბლიცისტურ ტილანზე, წონადობა და საჩინობა ლექსისა, რითმისა, ყოველი პოეტური ინტონაციისა, რაც ემყარება მახვილიან და თავისუფალ ლექსს, რითმიკულ მრავალმნიშვნელობას, — პოეტ-ტიმუნს ჩვენს თანამედროვედ, წინმჭერეტელად, კომუნისმი-

სათვის უკვლავ მებრძოლად აქცევს. როგორც ნ. ტიხონოვი ამბობდა, „...ის ისეთი პოეზიის გზაზე გავიდა, რომელიც უფრო გულწრფელი, ყველაზე მაღალი ხმით ეხმარება მთელი ხალხის ცხოვრებას... როდესაც ცდილობს დაძვინოს ისეთი ხელოვნების სახეები, რომელიც მასების წინ აზრის უზარმაზარ პორიზონტს გადაშლის...“¹⁰

ამიტომ, რომ მილიონების ხელოვნებისათვის, უდიდესი საზოგადოებრივი აქტივობის, მგზნებარე კომუნისტური მიზანწრაფვის, მაქსიმალური გამომსახველობის მქონე ხელოვნებისათვის მებრძოლი პოეტის იდეურ-ესთეტიკური პრინციპები მარადცოცხალ ტრადიციად იქცა სხვადასხვა კონტინენტების, სხვადასხვა ხალხის, სხვადასხვა მსოფლშეგრძნების თანამედროვე პოეტებისათვის, დაწყებული წარმომადგენლებიდან საბჭოთა კავშირისა, რომელმაც ახლახან იზიჟა თავის ორმოცდაათი

წლის იუბილე, დამთავრებული მექსიკის, კუბის, აფრიკის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებით. და ჩვენ მისი დაბადების ოთხმოცი წლისთავზე კვლავ ვხედავთ მაიაკოვსკის, რომელიც თავისი კვარცხლბეკიდან მოსკოვის მოედნებზე ეშვება და შიბიჩებს როგორც მსოფლიოს თავისუფალ და თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა პოეზიის მეთაური, ვხედავთ მას ისეთს, როგორც გამოჩენილმა საბჭოთა კინორეჟისორმა ს. ვიშენსტეინმა ავთორა: „დღემდე წარუშლელია მესხიერებაში: ძლიერი ხმა. ყბა. კითხვის ჰედურობა. აზრის ჰედურობა. ყველაფერი ოქტომბრით გაციკროვნებული“.¹¹ პოეზიაში სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი პოეტი ჩვენთანაა ჩვენს ბრძოლებსა, საქმეებსა და გამარჯვებებში, ჩვენს განუხრელ წინსვლაში კომუნიზმისათვის!

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი :

¹ ვს. ვიშნევსკი „პარტია ვედიოტ“, „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1936, 5.V.
² ა. ვოზნევენსკი, „ანტიმირი“, „მოლოდია გვარდია“, 1964, გვ. 14.
³ საბჭოთა დრამატურგიის ოცი წლისთავი, „რუსკაია ლიტერატურა“, 1959, № 1, გვ. 160.
⁴ „ისკუსტვო კომუნი“, 1918, 15.III
⁵ ვლ. მაიაკოვსკი, თხზ., სრული კრებ. 1959.
⁶ ა. ტოლსტოი, თხზ. კრებული, 1961.

⁷ „პეჩატ ი რევოლუცია“, № 1, 1922, გვ. 56.
⁸ „ლიტერატურნოე ნასლედსტვო“, „ნოვოე ო მაიაკოვსკომ“, ტ. 65, 1968, გვ. 10.
⁹ ვ. მაიაკოვსკი, თხზ. სრული კრებული, ტ. 12, გვ. 411.
¹⁰ „ხულოჟესტენაია ლიტერატურა“, ლ. 1940, გვ. 9.
¹¹ „მაიაკოვსკი თანამედროვეთა მოგონებებში“, სახ. ლიტ. გამოცემლობა, მ. 1963, გვ. 281.



პირველი პერიოდი

პოეტური ოცი წელი

მ. მ. მამიაკოვსკის გიგანტური უნარი ფურცალი

ახლა, როცა პოეტის ცხოვრება ისტორიას განეკუთვნება, მისი მოღვაწეობის ყოველი დეტალი, ყოველი წერილმანი განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის. თვითველი ახალი დოკუმენტი, მათ შორის ფოტოსურათიც, პოეტის იერსახეს რომ აღბეჭდავს, გვეხმარება გავიგოთ, როგორ მუშაობდა, როგორ ცხოვრობდა პოეტი, რით იყო დაკავებული დროის ამა თუ იმ მონაკვეთში.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ეს ფოტოსურათი რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლის ბ. პირადოვის მტკიცებით, ან საერთოდ უცნობია, ან შეიძლება მიეკუთვნოს პოეტის ნაკლებად ცნობილ ფოტოსურათთა რიცხვს.

დრო-ჟამისაგან ფერგახუნებული ეს სურათი, აგერ უკვე რამდენიმე წელია, ინახება თბილისელი ინჟინრის ვლადიმერ გიორგის ძე სარაჯიშვილის საოჯახო არქივში. ამ ოჯახს იგი სჩუქრად უძღვნა ახლო ნათესავემა მარიამ გრიგოლის ასულმა გაბაშვილმა, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე. მალე — ასე ეძახდნენ მას ახლობლები და მეგობრები — იყო უკანასკნელი წარმომადგენელი პოეტის ექიმის ვიგო გაბაშვილის ოჯახისა, რომელიც თბილისში ერთ დროს საკმაოდ ცნობილი ვახლდათ. მთაწმინდის უბანში მდგარი მათი ძველებური ორსართულიანი სახლი ყოველთვის იყო იმათთვის, ვინც გატაცებული იყო ხელოვნებით, ლიტერატურით, მეცნიერებით. თითქმის ყოველ საღამოს ამ სტუმართმოყვარე სახლში იმართებოდა ცხარე კამათი სამხედრო ხელოვნებაზე, ირჩეოდა გამოჩენილი ვეჟილების ბრწყინვალე სიტყვები, ჩაღვებოდა დისკუსიები პოეზიის ახალ მიმდინარეობებზე, რომელიც მოძველებულს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — ცვლიდა, ისმობდა კლასიკური მუსიკა...

სხვადასხვა საქმით იყვნენ გატაცებული ვიგო გაბაშვილის შვილები: უფროსი, ახალგაზრდა ოფიცერი ლევანი (იგი დასაჯებული იყო ფრან-

ტზე ომის დაწყებისთანავე დაიღუპა), გონიერი იურისტი — დიმიტრი, ფიცხი ბესტუჟეველი კატო და სათლთი, მგრძობიარე მალე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ჩამოეცილებინა ხიბლი პარიზისა, სადაც მუსიკას სწავლობდა...

სხვადასხვანაირი იყვნენ ვიგოს შვილები, მაგრამ სუყველას, მათი მამის ჩათვლით, აერთიანებდა ერთგვარი მუშაობური, რევოლუციური სული.

აი, ამ სახლში იყო სტუმრად 1914 წლის გაზაფხულზე პოეტი-ფურტურისტი ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ოქმეტი სკოლა თანმიმდევრულად მიეყვებოდა ამბის მსვლელობას.

1913 წლის დეკემბერში ფურტურისტი პოეტებს ჩვეულება ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. დავით ბურღილევმა და ეასილ კამენსკიმ მოაწყვეს „ლილი ტურნე“.

მომდევრო წლის 19 თებერვალს ფურტურისტები ეწვივნენ ყაზანს. მეორე დღესვე ისინი გამოვიდნენ სათავადაზნაურო შეკრებაზე, ხოლო 21-ში დაბრუნდნენ მოსკოვს.

აი, სწორედ დროის ამ მონაკვეთში ვ. მაიაკოვსკიმ ქალაქ ყაზანში გადიოდა სურათი „ელექტროველოგრაფიაში“, როგორც ამას მითითებულია სურათის მეორე მხარეზე.

ამრიგად, შეიძლება თარიღის ზუსტად დადგინა: 1914 წლის 19-21 თებერვალი.

განაგრძობდნენ რა თავიანთ ტურნეს რუსეთის სამხრეთის ქალაქებში, ფურტურისტები 25 მარტს ჩამოვიდნენ თბილისში.



12422

თი, რას წერდა ქალაქის ქუჩებში მათ გამო-
ნენაზე 27 მარტს გაზეთი „ტიფლისსკი ლისტო-
კი“.


«Во вторник на Головинском проспекте
толпа зевак, состоявшая, главным образом,
из подростков, сопровождала трех субъек-
тов в странном одеянии. Один господин
был в желтой кофте, на голове другого кра-
совался какой-то странный убор, у треть-
его была раскрашена физиономия. «Цирк

приехал, — говорили в толпе. — Клоуны
ходят по улице для рекламы». В толпе, ко-
нечно, не знали, что странно одетые лю-
ди — футуристы».

ერთი დღის შემდეგ ისინი საზაზინო თეატრ-
ში (ახლანდელი ფალიაშვილის სახელობის ოპე-
რისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თე-
ატრი) გამოვიდნენ.

ამ გამოსვლას პეტერბურგის გაზეთი „ტიეტრ

კ. მარტისის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა



ი სკულტოვ“ გამოეხმაურა. 20 აპრილს, თბილისიდან გამოგზავნილ კორესპონდენციამი ნათქვამია:

«Собравшаяся на вечер футуристов публика провела время довольно интересно и весело. Г-н Маяковский, несмотря на свою желтую кофту... оказался недурным оратором».

ამ წარმოდგენის მონაწილე პოეტი დ. ბურლიუკი შემდეგში იგონებდა: „მასხოვს ქართვლების ის გაკვირება, მაიაკოვსკის მისასაღებელმა სიტყვამ რომ გამოიწვია. მაიაკოვსკი ქართულად მიესალმა მაცურებლებს“.

ფურტურისტების გამოსვლას თბილისის სახანონო თეატრში ადგილობრივი ბურჟუაზიული პრესა ლანძღვა-გინებით შეხვდა. ოფიციალურმა, რესპექტაბელურმა გაზეთმა „კავკაზში“ ანგარიში ამ საღამოს შესახებ მოათავსა „შემთხვევების“ განყოფილებაში. ამით მან ხაზი გაუსვა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ფურტურისტთა შემოქმედებისადმი.

კრიტიკოსმა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავგამოდებულმა დამკვივლმა „ძველი ზელოვნებისა, რომელიც დაკვირვებულ მუხურობებშია მოთავსებული“, გზა მისცა თავის ბოლშა-შხამს, მდინარესავით რომ გადმოსცდა გაზეთის ფურცლებიდან.

«Вчера, 27 марта, сообщество из трех лиц, именующих себя знаменитыми москов-

скими футуристами, учинило перед публикой ряд непристойностей, каковы... продолжались беспрерывственно с 8 1/2 часов вечера до времени, когда перестали ходить вагоны электрического трамвая. По порядку действие происходило так: по поднятии занавеса, за большим столом, посреди сцены оказались сидящими три человека, неопределенных лет, с лицами, раскрашенными по одной щеке водяными красками, и в одежде, весьма неудобной и странной... На столе перед упомянутыми футуристами стояли стаканы чая средней крепости, с лимоном и колокол... (знак того, что их искусство принадлежит эпохе экспрессов). Позволив в означенный колокол, каковой приподнял с немалым трудом... Маяковский вошел на возвышение в правом углу сцены и заявил: «Я — человек умный...» Публике сие понравилось. Потом г-н Маяковский объяснил, почему они красят себе физиономии и так странно одеваются. Оказалось, что раскраска физиономий ими производится для того, чтобы выразить протест... Во время своей «лекции» Маяковский был в позе, которая у семинаристов называется: стоял козырем. Откинул вперед правую ногу и заложил левую руку за борт жилетки, около плеча, что теми же семинаристами считается верхом изыщества, настоящим дендизмом. Говорил он... голосом зычным, с трагическими завываниями... Выбравив публику жирной и старой, г-н Маяковский успокоился и сел на место. Публика аплодировала. Публика любит-таки, чтобы ее ругали. Оный Маяковский в упомянутом сообществе являлся по-видимому главарем и о нем надлежало посему сказать подробнее...»

გაცოფებული კრიტიკოსის სტატიას ამთავრებს სარკასტული შენიშვნით:

«Куда потом упомянутое сообщество трех знаменитых московских футуристов отправилось делить добычу? — в точности не известно».

ჩვენთვის ცნობილია, საითაც გასწიეს ფურტურისტებმა. თეატრში გამოსვლის შემდეგ პოეტები მიიწვიეს გიგო გაბაშვილის სახლში. აქ, ახალი ხელოვნების თაყვანისმცემელთა წრეში, გაატარეს მთ დარჩენილი დრო. გამოთხოვებისა მაიაკოვსკიმ თავისი უხელო ყაზანური ფორტოსურათი ესაბსოვრა სახლის ჭაღავზრდა ღიასახლისს—მალის. ეტიოგრაფი Маяковский. Тифлис. 28. 1914 — მტკიცე ხელით ნაწერს არ ჰკავს. შესაძლოა, შემთხვევით ხელ მოხვედრილი რაიმე ზესადაგამზე იყოს ნაწერი (ან სულაც ვიღაცის ზურგზეც კი?).

1914 წელს 29 მარტს ფურტურისტები უკვე ბაქოში არიან. ამრიგად, შეიძლება თარიღის დაზუსტება, რომელიც თვით მაიაკოვსკის ხელით არის დაწერილი. თვე, რომლის მითითება პოეტს დაეწედა, მარტი გახლდათ

ნაწყობი პოეტიკური „შირაქის ვეჯი“

თავმჯდომარე

ნიაოლოზ მაიათაშვილი

1

ვიდრე ავკინძე გრძნობები,
 ოცნებებს ავსსენ სარქველი,
 ვიდრე მტრედებმა გახარეს
 ჩემი დიდისნის სათქმელი.
 ვიდრე დამთავრდა ერთიან
 ფიქრის და სიტყვის ჭიდილი,
 ჩავედი ტარიბანაზე
 და შენს საქმეებს ვითვლიდი.
 ვითვლიდი, მაგრამ ვინ არის
 დოვლათ-ბარაქის მიმოვლელი...
 ლაჟვარდებს ეტოლებიან
 შირაქის ვრცელი მინდვრები.
 ჯეჯილებია ისეთი,
 შიგ ვარსკვლავები წვებიან,
 თავთაზე ცვარი კი არა,
 ნამგლების ნაპერწკლებია.
 მოღელავს მთების ნაჟური,
 უცუცსლოდ ცეცხლის გამჩენი.
 ნურგების ფესვებს რომ ჩასდევს,
 ოფლია ალალ მარჯვენის.

2

გზადგება ყაყაჩოები
 შლიდნენ ალისფერ მერდინებს...
 გვალვაში გნახე, შირაქში
 გულს აწურავდი ჯეჯილებს.
 გაგლებულ ხნულებს ფერავდი
 ალაზნის ტალღის ვერცხლითა.
 თოვლში მწყემსებთან მოქონდა
 ცეცხლი შენივე მკერდიდან.
 ერთი გახედე მოსავალს,
 კიდევ განაღდა შეტევა
 და გოგილანთ კალოზე
 დასდგი ოქროსფერ ქედებად.
 დასდგი და ახლა, სადა ხარ,
 ასე გეძებდი გუშინაც,
 რომელ ბრიგადას მიჰყვები
 და ფხას ვის ნამგალს უსინჯავ.

თურმე წყალიც კი თვალს ლულავს,
შენ კი ერთხელ არ ისვენებ,
აქ რომ ჩათმაში გვგონიხარ,
შირვანში უვლი მთის სერებს.

3

ცისკრის პირველ სხივს დავასწარ,
შენ ვერ დავასწარ ადგომა.
არ ვიცი, ხად დავაწიო
იის და ვარდის მადლობა.
ღილით რომ მეხრე შეგზვდება
და სახე დავმარჯნება,
დაკოჟრილ ხელს რომ გაგიწვდის,
მეც ისე გართმევ მარჯვენას.
გლეხი რომ სახლში მიგიწვევს,
შეხვალ კაცი და დასტკბები,
იმ სიამაყით მეც მინდა
შევალო გულის კარები.
შენ რომ მინდვრებმა გაგრუჯეს
და შუბლს ტრფილით ღარავენ,
მეც ვგრე მინდა შენსავით
ზრუნვაში გაგჭაღარავდე.
შენ რომ გლოცავენ ალაზნის
რძემოწოლილი ველები,
მეც ისე მინდა დამლოცოს
სამშობლომ მადლიერებით.

4

წლებს ახსოვთ ხალხის წუხილით
მკერდი რამდენჯერ დაგჭრია.
ცეცხლში მდგარხარ თუ გრიგალში,
ნამუსით არ გივაჭრია.
სული არ გაგიყიდია,
არც შეგიცვლია მიზანი.
ერთია შენი სახატე
და შენი დასაფიცარი.
იმ შემართებით მოდიხარ,
პირველად გზას რომ იკვლევდი.
რა მოჰკლავს იმას, ვინც ცხოვრობს,
ვინც ცოცხლობს ხალხის სიკეთით.
შენ ხალხის გწამდა, ხალხს შენი,
არ გიჭამია სირცხვილი.
შენმა კაცურმა კაცობამ
სოფელს დაადგა გვირგვინი.
გშვენოდა, კვლავაც სახელის,
ვაჟკაცო, გშვენის ტარება.
მითქვამს და გავიმეორებ
იმრავლონ შენისთანებმა.

არსად გამიშვა

დააცხრი, თვალთ,
მონატრებულ
ამ მთებს,
ამ ჭალებს,
ამ უსო-კარის
სიყვარულო,
მაგრად გამჭვალე.
აქ ქვამაც მიცნო,
ჩემი მოსვლა ქვას გაუსარდა...
დედის ვედრებავ,
მიმაჯაჭვე ამ შავ ბუხართან.
არსად გამიშვა,
გამაბავშვე,
გამანინველე.
გამოგაჯავრებ უდარდელი
სტენით ფრინველებს.
სიქას გავაცლი ბიძაჩემის
ულაყს ჭენებით,
შინ დავბრუნდები
ნაუარდობით გულნაჯერები.
წინანდებურად,
სიამაყით და სიხარულით,
ზამთრის შეშისთვის
აჯამეთში წვალ ხარ-ურმით.
— აწი რა მიჭირს,
მომესწარი,
შვილო, ამხელა! —
მეტყვის მამა და
სიყვარულით ამხედ-დამხედავს.
რის გაბავშვება,
ანდა რისი განინველება.
როდის მომხდარა
ამნაირი საკვირველება.
დააცხრი, თვალთ,
მონატრებულ
ამ მთებს,
ამ ჭალებს,
ამ უსო-კარის
სიყვარულო,
მაგრად გამჭვალე.

გამაჟრიალებს წინაგრძნობა
ტერფამდე თხემით
და ზმანებუდან
დამაბრუნებს ცხადში ერთხელაც...
ეს სტრიქონები, —
მოცახცახე ზელები ჩემი,
არ იქნა,
დღემდე
შენს სინათლეს ვერ პოეფყრა.
კვლავ გუგუნებენ სურვილები —
ლურჯი ტყეები,
მაგრამ იმედის
მითავდება მცირე საგზალი...
და უშენობით ცოცხალ-მკვდარი
ჩემი დღეები
წარსულის ზღვაში
იშვებიან ფრთების სავსავით,

მგის იანვანა

მოწყურებული
ვეტანები
ბარსა და ფიწალს,
მაისი თვალწინ
მიფრიალებს სინათლის ზეწარს.
ჩემი ფეხები
ფესვებივით ეძებენ მიწას,
ჩემი ხელები
ყლორტებივით ელტვიან ზეცას.
გაზედავ ბადათს
სილამაზე მისი მახევებს,
მზის იაგნანა
აბრუებს და აძინებს სივრცეს...

ჩემი თვალები
დაეძებენ ძვირფას სახეებს,
და ჩემი გული
ასლობელი გულისკენ იწევს.
ვარდების ლამპარს
აბრიალებს ლურჯი დობილო,
გლუხი-კაცივით
ვაყურადებ
ბელტების შიშინს.
მე და წარსული
ვართ ყელი-ყელ გადაჭდობილი
და თავზე გვადგას
განშორების
ნაცნობი შიში.



პირველი ლექსი

კაცი, რომელსაც ღიჯიკა ძლიერ უყვარდა

1.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა:

— თქვენს მომავალ ნაშრომში უნდა იხილავთ ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური საქციელის ასპექტების ასახვა და გამომჟღავნდეს კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მის დამოკიდებულებას ცხოვრების პირობებისადმი. საზოგადოების ფუნქციონერობებისა და განვითარების იმ მხარეებში, რომელსაც ამჟამად გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე აქამდე, პატარა ადგილს როდი იჭერს ყოფაცხოვრება, წარმოების გარეთა სფერო ადამიანის საქციელსა და მოქმედებაში. ასანთი ხომ არა გაქვს?

მე ჩემი ბედი... — არა მქონდა.

— ერთის მხრივ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, — განაგრძო მერე ხელმძღვანელმა, — და ამასთანავე თანამედროვე ეტაპზე ყოფაცხოვრებითი მოვლენების სრულყოფა...

— გავალ, გიმოვნიო...

— არა, არა, მაინც განებებას ვაპირებ და... ადამიანის ცხოვრებისეულ მოქმედებაში წარმოების გარეთ, მისი

საქციელი ყოველდღიურ საქმიანობაში თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება მის ყოფა-ცხოვრებაში. და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა მიექცეს მის თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება ჯერ ერთი, იმით, რომ წარმოადგენს ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს, შედის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში; მეორე — რომ ასეთი გამოკვლევა გვეხმარება ადამიანზე სასარგებლოდ ზემოქმედების მნიშვნელოვანი შექანიზმების გამოვლენაში მთლიანად; დაა, მესამე — რომ ეს სფერო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე ეკონომიური და სოციალური განვითარების სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტები.

პატარა ხანს შეჩერდა და მე ვთქვი:

— დიახ.

— თავისუფალი დროის გამოყენების შესწავლა ამ კუთხით, — განაგრძო მერე ხელმძღვანელმა, — ძალიანაც აქტუალურია, და მისი გადამუშავება წარმოადგენს არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ინტერესსაც ერთსა და იმავე დროს. რასაკვირველია, ერთი ფლითრი თემისთვის ეს თემა საკმარისზე მეტად ფართოა. ამიტომ საკითხი ასე

უნდა დაგაყენოთ: თქვენ უნდა შეისწავლოთ ყოველდღიური წარმოების გარეთა საქციელი და მისი დამოკიდებულება ცხოვრებისეული პირობებისაგან და უნდა შემოვიფარგლოთ გარკვეული პროფესიის ადამიანების კონკრეტულობით, ხოლო პროფესიის არჩევა თქვენთვის მომინდია. იმედია, გამიგეთ.

— როგორ არა.

— ხოლო რაც შეეხება იმ კითხვებს, რომლებიც თქვენ უნდა დაუსვათ თქვენს მიერ არჩეული პროფესიის ადამიანებს, ესე იგი, რესპონდენტებს, აი, ამ ხუთ გვერდზეა მოცემული. მათი პასუხები უნდა იყოს მკაფიო, მოკლე და ამოწურული.

— ერთდროულად?

— რასაკვირველია. ხოლო თუ წააწყდებით რაიმე გაუგებრობას, გართულებას, ყოველთვის შეგიძლიათ მომმართოთ... სამსახურის საათებში. გუშინ დაცვაზე იყავი?

— კი.

— როგორ ჩაიარა.

— ისე, ჩვეულებრივად.

— ბევრი ხალხი იყო?

— არა უშავს, კი.

— შენიშვნები ბლომად ჰქონდათ?

— არა, არც ისე... შიგადაშიგ.

— ჰო, კინალამ დამავიწყდა, — გაახსენდა ხელმძღვანელს, — აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალურ-ეკონომიურ ფაქტორს რესპონდენტთა კეთილდღეობისა თუ საქმიანობის გამოვლენაში მთლიანად.

2.

იმავ საღამოს ანკეტა გადავათვალიერე, ყოველი შეკითხვა გასაგები, მარტივი და ამასთანავე საინტერესო იყო — მე მიყვარს ჩემი დარგი. უფრო სწორად, მომწონს — შეკითხვების დასმა უცნობი ადამიანებისადმი, ახალი გუნება-განწყობანი, ხანდახან ფარული ჰუმორი, მაგრამ რაც მთავარია, ენერჯია, ენერჯია, მიზანდასახულობა, ყველაფერია ერთად. ვის რა მოსწონს, ანდა პიჩქით, ესე იგი — არ მოსწონს, ერთი

ერთს ამბობს, სხვა — მეორეს, მესამე — მეოთხეს და შენ კი იწერ, იწერ, წინ მიდის საქმე. მაგრამ მეორე დღეს, დილით, რესპონდენტთა პროფესიის შერჩევა გამიჭირდა. ქარხნები — ხმაურიანი და თანაც დაღლილი ადამიანები ამომწურავად არ გასაუბობენ, გამოყიდვებებს სადა სცალიათ — ათასგვარ სურსათ-სანოვავებს სწონიან, სახლებში კი ვერ ჩამოვუვლი, რასაკვირველია; მძღოლები შენთვის ვერ დაკარგავენ ძვირფას დროს, ექთან-ექიმთა რესპონდენტობა გამორიცხულია, რადგან ისინი ხანდახან დილიდან დილაამდე მორიგეობენ, მე კი მაინტერესებს ისეთი პროფესიის ხალხი, რომლებიც მუდამ ერთსა და იმავე დროს იწყებენ და ამთავრებენ სამუშაოს. კარგახანს ვიწვალე, და გონებას ისევ მშერამ აჯობა — ერთ წყნარ ქუჩაზე ფოტოვიტრინას მოგკარი თვალი. ოო, სწორედ ეს გამომადგებოდა — ფოტოგრაფები უმთავრესად ხალისიანი, მოლაპარაკე ხალხია, და თმადავარცხნილი მუშტრის მოლოდინში დროც საკმარისი აქვთ, ანკეტა რომ საფუძვლიანად შეივსოს. ამასთანავე ისინი რეალურად უყურებენ ცხოვრებას, ყოველივეს ზუსტად მათეკსირებული ფოტობიექტივის საშუალებით, მე მხნედ შეჯაღე კარი, შევაბიჯე, ვთქვი: „გამარჯობათ“, მომესმა სასურველი „გაგამარჯოს“, ვკითხე: „გცალიათ?“ — იმან კი მითხრა: „მა რისთვისა ვარ“, მაგრამ ჩემი მისვლის მიზეზი რომ ავუხსენი, ცოტათი შეცბა. თავით-ფეხამდე შემათვალიერა, მე კი ვცდილობდი ვყოფილიყავ მის თვალში გულღია, სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი, ჰალსტუხი გავისწორე და გავუღიმე წრფელი ადამიანის ღიმილით, იმას კი გვერდზე გადაეხარა თავი და შემომქცეროდა მე, სრულიად უცხოს, ვისაც მაინტერესებდა მისი თავისუფალი დრო. და სანამ მდგომარეობას გაამწვავებდა ერთის მხრივ ბუნებრივი შეკითხვით „რა თქვენი საქმეა“, სწრაფად ავუხსენი, რომ ვარ ისეთი კომპეტენტური დაწესებულებიდან, როგორცაა ჩვენი, და რომ

უნდა ჩამოვუარო მისი პროფესიის ადამიანებს, რათა გავიგოთ, თუ როგორ ატარებენ თავისუფალ დროს, უყვართ თუ არა კინო, სპორტი, ან ტელევიზია, როგორია მათი ოჯახური მდგომარეობა, კომუნალური პირობები, და სხვა, და სხვა, და მხოლოდ ორჯერ რაღაც შეუტოვდა სახეზე, როცა ვახსენე გამოთქმა „სხვადასხვა ორგანოები“ და სიტყვა „ინსტანცია“, მაგრამ მაშინვე შევცვალე ლექსიკა, რაც ესოდენ საჭიროა ამგვარ შემთხვევებში და უბრალო, რიგითი სიტყვებით აეუხსენი, რომ ანკეტები დაგვეხმარება ჩვენ, მკვლევარებს, გავიგოთ მათი მისწრაფებანი თუ შენიშვნები, და ყოველივე ეს ხელს შევვიწყობს მათი შემდგომი ცხოვრების შეძლებისდაგვარად უკეთესად მოწყობისათვის, აღმავლობისათვის, და იგი მაშინვე შეიცვალა, რადგან ამოისუნთქა და თქვა: „აგაშენა ღმერთმა“.

ჩვენ ესაუბრობდით კარგად, გულწრფელად, კმაყოფილი ლამაზმანების სურათების გარემოცვაში, რესპონდენტი მპასუხობდა მკაფიოდ, სხარტად, მე დროდადრო ვსუმრობდი და ის რომ იცინოდა, ჰალსტუხს ვისწორებდი, რატომღაც მიყვარს ჰალსტუხის წვალება, ალბათ იმიტომ, რომ ისიც მაწვალებს, მაგრამ ჩვენს საქმეში ჰალსტუხი — აუცილებელია, ყოველშემთხვევაში, მე ასე მწამს, რესპონდენტს კი სწამდა, რომ მსუბუქი მუსიკა სჯობს კლასიკურს, ხოლო სპორტული გადაცემა — ინტერვიუს სოფლის მეურნეობის მუშაკთან, რომ გრძელ რიგში დგომა არაა მაინცდამაინც სასურველი და გაჭედულ ტრამვაიში ფხისწვერებზე დგომას გაცილებით ურჩევნია ნახევრად ცარიელ ტრანსპორტში ფანჯარასთან მიყუყუვა და კერძო ავტომანქანების ნომრების თვალყურება — რომელია უფრო ბედნიერი, სულ რაღაც თხუთმეტობედ წუთში ანკეტა შევსებულ იყო წესითა და რიგით, გზადაგზა ერთმანეთს ვუამბეთ ორიოდ მხიარული ანეკდოტი, ოღონდ ჩემები — სჯობდა, და კიდევ უფრო გამიადვილდა მეორე ანკეტის შევსება სამიოდ კვარტალით მაღლა,

ბაღთან, რადგან იმ ფოტოგრაფთან ჩემით მოხიბლულმა პირველმა რესპონდენტმა მოკლე ბარათი გამატანა — „მიშა, ამ წერილის მომტანი ჩვენი კაცია.“ სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო მესამე ანკეტაც, რომელიც უზომოდ მოწყენილი ფოტოგრაფის მოკლე პასუხებისდამიხედვით შევავსე. მერე ავედი სამსახურში, ხელმძღვანელთან, „როგორაა საქმეები, ა.“ მკითხა იმან, „მშვენივრად, — ვუპასუხე მე, — უკვე შევუღდექი.“ „კაი, კაცო,“ — გაუჟვირდა და მხარზე მეგობრულად დამკრა ხელი. ძალიან კარგია, როცა ხელმძღვანელი არის ასეთი ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე კაცი, ათლეტი, როგორც იტყვიან, და ამასთანავე ზომიერადაა აყოლილი მოდას — ოღნავ, ძალიან ოღნავ ჩამოგრძელებული ბაკენბარდებით, ასევე წელში ოღნავ გამოყვანილი პიჯაკითა და ოთხკუთხა ცხვირიანი ფეხსაცმელებით, გულის გარეთა ჯიბეში კი — ჰალსტუხის ფერის იდენტური ცხვირსახოცი. ანკეტებს ათვალყურებდა, „კარგად გიმუშავია, კარგად, — თქვა ხელმძღვანელმა, — ოღონდ კომუნალური პირობები ორჯგუფად კი არ უნდა დაგეყო, როგორც ეს შენა გაქვს აღნიშნული — კარგ და ცუდ ქვეჯგუფებად, არამედ სამად — პირველი: უზრუნველყოფილი ყველა კომუნალური მომსახურებით, როგორიცაა — წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა, გაზი, აბაზანა ან შხაპი და ცხელი წყალი; მეორე; უზრუნველყოფილი ძირითადი კომუნალური მომსახურებით, როგორიცაა — წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა და მესამე — უკანალიზაციოები, ისე კი, კარგად გიმუშავია, ასე თუ განაგრძობ, ძალიან კარგი იქნება, აბა, შენ იცი, როგორ არიან თქვენები.“ ასე გულთბილად მესაუბრებოდა, გადასწვდა სხვადასხვა ამბებს, მშვენიერ გუნებაზე იყო, მაგრამ მერე

გურამ ღოჩანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა
ქლინდ უყვარდა

არ ვიცი, რა გაახსენდა, ჰატარა ხანს ჩაფიქრდა, მერე მზის საწინააღმდეგო სათვალე გაიკეთა, მკერდზე დაიბჯინა ნიკაბი და მკაცრად თქვა:

— და როგორც უკვე გითხარით, თვისუფალი დროის გატარება ორი რიგის მაჩვენებლებით ხასიათდება: ა—საქმიანობის ჩამოთვლით, საქციელის სახეობებით და, ბე — მონაცემებით ხანგრძლიობის, ინტენსივობისა და ასე შემდეგ ამ საქმიანობათა რაოდენობრივი პერიმეტრების.

3.

ასე იყო თუ ისე, მშვენივრად აიწყო საქმე, მაგრამ მომდევნო დღეს, ხუთშაბათს, დილაადრიან, სწორედ იმას გადავაწყდი, ვინც გამამწარა და რაღა გადავაწყდი — ჩემივე ფეხით შევაბიჯე იმ დასაწყვე ფოტოკაბინეტში. არც გაუგია ჩემი შესვლა, სადღაც შორს, გადაკარგულში იტყობოდა. თვალები უელავდა, მინის მაგიდას დაყრდნობოდა და, წინგადახრილი, ისე დაქინებით იყურებოდა ჩემი სხეულის გავლით სადღაც, ძალიან, ძალიან შორს, თითქოს მეც მინისა ვიყავ და მაშინვე ტანმა მიგტძნო, რაღაც ხიფათს რომ შემამთხვევდა, მაგრამ მაინც ჩავახველე და რომ გამოერკვა, დაბნეულმა გამიღიმა და მითხრა: — მობრძანდით, მობრძანდით, პასპორტისთვის თუ..

მაშინ მე გეგმასომიერად დავიწყე ახსნა, რისთვისაც მივედი, ყურადღებით მისმენდა და ეტყობოდა, მყისვე რომ ხვდებოდა ყველაფერს, მაგრამ მაინც გამაწყვეტინა:

— ბოლოში, თქვენ თავად გადასწყვიტეთ, თუ... — და დააყოლა, — ღმერთო, როგორ მაგონებთ ვილაცას..

— არა, ხელმძღვანელმა გამომავაზნა. — მაპატიეთ, მაგრამ... უნდა ვიცოდე, ვინაა ის ხელმძღვანელი, რა კაცია.. ნეტავ ვის ჰგავხართ...

— რა, ხელმძღვანელი აქ მოვიყვანო? — ჰუმორით ვკითხე, თუმცა უკვე ოდნავ გაღიზიანებულიც ვიყავ.

— არა, არა, მოყვანა რა საქმეობა — ორიოდ სიტყვით დაახასიათეთ, წარმოდგენა რომ მქონდეს, ფაქტიურად ვისთან მაქვს საქმე..

— აბა, როგორ გითხრათ... ახალგაზრდა კაცია, ახოვანი, ენერგიული, თანამედროვე. ახალგაზრდობის მიუხედავად, რამდენიმე თანამშრომელი მიგვაზარეს და ჩვენთან მუშაობა ძალიან კარგად დაიწყო:

— ძალიან კარგად დაიწყო? — გამაწყვეტინა.

— დიახ! — და გაბრაზებულმა გავუმეორე, — ძალიან კარგად დაიწყო.

— ეჰ, — თქვა კაცმა და მოიწყინა, — მარშალმა ედმონდო ბეტანკურმაც ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ მერე როგორც დაამთავრა, მშვენივრად ვიცით...

— ვინ მარშალი, რას ამბობთ... — შევეკრთი მე.

— ვინ და ბეტანკური, აბა აურელიანო-სქელს ზომ არ... — და შუბლზე შემოირტყა ხელი, — აუჰ, აქამდე როგორ ვერ მივხვდი — თქვენ ძალიანა ჰგავხართ აურელიანო-სქელს, სანამ გასუქდებოდა, — და ვაიოცა, — მიჭობიჭო, როგორა ჰგავს?

— ვინ სქელს, რა სქელს.. — ავღელდი მე.

— ვის და მარშალის ბიძაშვილი-შვილს, აი, დიეგომ რომ გამოიჭირა.. ვერ გაიხსენეთ?.. ეულალიას ქმარი! ჰმ!.. ზუსტად ისეთივედ წარმომედგინა ყმაწვილკაცობაში, როგორიც ახლა თქვენა ხართ, სანამ ძალიან გასუქდებოდა.. რა უცნაური დამთხვევაა... მეც არა ვთქვი, სად შემხვედრია-მეთქი?

და, წარმოვიდგენიათ? — მკითხა:

— თქვენ ახსნით ამას? — თვალები უციმციმებდა, „გიჟია თუ რა?“ ერთი კი გავიფიქრე, მაგრამ გიჟები არ მსახურობენ, რასაკვირველია, და მკაცრად დავვეკითხე:

— როგორ ბედვთ სამსახურში.. ნასვამ მდგომარეობაში, ჰა!

— მე? მე და ნასვამი? — ვაიოცა და უცებ საყვედურით შემომაცქერდა, —

აა, მივხვდი — თქვენ ბეტანკურიანი რომანი არ წაგიკითხავთ, არა, ხომ?

— არა, — მივუგე მე, — ბოლოსდა-ბოლოს, თქვენ შეგიძლიათ, პასუხი რომ გამცეთ კითხვებზე?

— სიამოვნებით, სიამოვნებით... ბო-
ლიში, და არც ანსელმოიანი რომანი?
ლფოსასი, მაროი ვარგასის...

— ა... არა

— და... კორტასარი?

— ეეე... არა

მეგონა, გამკიცხავდა, მაგრამ შურით ამათვალიერა:

— ბენდინიერი კაცი ყოფილხართ.

— რატომ?

— რატომ და წინ ისეთი დიდი ბედ-
ნიერება გელით, მე კი ეს ბენდინერება
უკვე განვლილი მაქვს. ეეჰ...

— რა ბენდინერებაა?

— პირველად წაკითხვის. ესე იგი,
თქვენ სამხრეთ...

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ, — ველარ
მოვითმინე, — თუ არა ვცდები, რეს-
პონდენტი თქვენა ბრძანდებით და არა
მე.

— რესპონდენტი რა არის? — მსუ-
ბუქად დაინტერესდა.

— ვისაც ეკითხებიან.

— აა, და თქვენ კი გემატებათ „კო“?
ოლონდ თავში — კორესპონდენტი...

— არა, არა, მე — ინტერვიუერი ვარ.

— კი ბატონო, მკითხეთ.

მაგრამ აქ კაბინეტში ვილაც მორცხვი
კლიენტი შემოიძურწა. რესპონდენტმა
ბოდიში მომიხადა, კლიენტს — პალტო
გაახდევინა, დასვა, თავი აუწია, გაახედა,
გამოახედა, პალტუხი შემხსნა, იმას მო-
არგო კისერზე, ოთახი ძალიან გაანათა,
უზარმაზარ აპარატში შეჰყო თავი, კლი-
ენტს ნიკაბი ააწევინა, ობიექტივს რაღა-
ცა მოარგო, მერე მოხსნა, თქვა: ჰოჰ!
— და პალტუხი ისე უხერხულად შეხს-
ნა, ყულფი დაშალა. უღრმესი მადლო-
ბით დამიბრუნა, მაგრამ ველარ გავიკე-
თე, რადგან პალტუხის განასკვა არ ვი-
ცი, დილაობით ძმასა ვთხოვე ხოლმე,
რესპონდენტმა კი მწუხარედა თქვა:
„მეც რომ არ ვიცი?“ პალტოს ცალ სა-

ხელოში მკლავგაყრილ, გვერდზე გადა-
ხრილ კლიენტს უთხრა: „ხვალ არა,
ზეგ.“ ქვეთარი გამოწერა, მიანეჩა, გადა-
ახდევინა „ბ“ — ოთხმოცი კაპიკი, გაუ-
ლიმა — „კარგად იყავი, გენცვა“, და
მომიბრუნდა, თავით-ფეხამდე. მზად-
მყოფი:

— ბოდიში, მაგრამ სამსახურის საა-
თებია და... აბა, შევუდგეთ.

ანკეტიდან ხელის ზურგით განზე გა-
ვაჩოჩე პალტუხი და შევეუდგე:

— გვარი!

— კეჭერაძე.

— სახელი!

— ვასიკო.

— ვასილი?

— დიახ, დიახ, — შეცბა, — მამატი-
ეთ, „კო,“ — ეს ხომ თქვენია — კორე-
სპონ...

— კორესპონდენტი არა ვარ-მეთქი
— მკაფიოდ გაგუმეორე, — არამედ —
ინტერვიუერი, გასაგებია? დაბადების
წელი!

— ოცდაცხრა.

— ათას ცხრაას... არა? — ჰუმორით
გკითხე.

— რასაკვირველია.

— სქესი!

— ვასილი მქვია, — იმანაც ჰუმორით
მომიგო.

ჩავწერე, „მამრ...“

— პროფესია...

— მხატვრული ფოტოგრაფი.

და პირდაპირ საქმეზე გადავედი, ასე
დავეკითხე:

— გიყვართ თუ არა თქვენი საქმე?

აქ კი უგულოდ მიპასუხა:

— ისე, რა...

— რატომ?

იმან კი დაკვირვებით, ოდნავ ნალვლი-
ანად შემათვალიერა, მიყურა, მიყურა
და თქვა:

— მე ძლიერ მიყვარს ლიტერატურა.

გურამ დოჩანაშვილი

კავშირის განყოფილება

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას

პატარა ხანს ჩუმი ვიყავით. მერე ვიციოხე:

— სპეციალური?

— გაელიმა და თქვა:

— არა, მხატვრული ლიტერატურა. უხერხულად ვიგრძენი თავი, მაგრამ ინტობარი მაინც არ გავიტყხე:

— კი ბატონო, მაგაზედაც მივალთ, მაგ ტიპის შეკითხვაც შედის ანკეტაში...

— ააა, არა, — ისევ გაელიმა, — მაგაზე კი არ „მივალთ“, არამედ მაგითი იწყება და მაგით თავდება.

— რა!

— რა და თქვენი შეკითხვები — ჩემისთანა რესპონდენტისათვის.

— რა იცით, ჯერ ეს ერთი, თქვენ? — სერიოზულად გვცხარდი, — აგერ, მე ახლა უნდა გვითხოთ, თუ როგორია თქვენი ბინის კომუნალური მომსახურების პირობები — ძალიან კარგი, ცუდი თუ საშუალო, და რა შუაში იქნება აქ ლიტერატურა, და ისიც ვიწრო გავებით — მხოლოდ მხატვრული?

— ჰეე, — ჩაეცინა და ანკეტაში მოურიდებლად ჩაიკყიტა, — მიუხედავად იმისა, რომ მე არ გამაჩნია ცენტრალური გათბობა, მე მაინცა მაქვს ძალიან კარგი პირობები, თუ გნებავთ კომუნალური უწოდეთ და რაც გინდათ, სხვა.

— ეს როგორ?

— როგორ და მაქვს წიგნების ორი უზარმაზარი კარადა, თაროები, მოხერხებული სავარძელი და ტორშერი — მხარს ზემოთ, ნათურა...

— და ეგ ხომ კომუნალური პირობებ- არაა?

— გააჩნია — ვისთვის... — და უცებ აგდებულად შემომაცქერდა, — ესე იგი, მხატვრული — ეს ვიწრო გავებითაა, არა?

— დიახ. იმიტომ, რომ არსებობს ლიტერატურა დოკუმენტური, მეცნიერული, პოპულარული, სახელმძღვანელო...

— ბროშურა გამოგრჩა, კარგო...

— თუნდაც, თუნდაც, — არ დავიხიე, შეუპოვრობა — მთავარია — განვავარძე, — კინოფილმები თუ ვიყვართ?

— არა.

— რატომ? — გავეციდი.

— დაფინანსებული კონკურენტია.

— ვისი.

— არ მომწონს-მეთქი — გონებაზე მეტად თვალს ახარებს და იმიტომ.

ჩაეწერე „არა“, და მომდევნო შეკითხვა წინა პასუხისა გამო შეუფერებელი აღმოჩნდა, — როგორი ფილმები მოგწონთ განსაკუთრებით?

იმან კი მითხრა:

— ტიტრებიანი. გასაგებია?

ჩემზე ნაკლებად არც მას სცოდნია გაბრაზება. გული მომივიდა, მაგრამ აქ კვლავ შემოვიდა მუშტარი, კაცი კი, რომელმაც თქვა რომ ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, განარისხებული ჩანდა და უნებურად მუშტარზე იყარა მცირე-ოღენი ჯავრი—დაჯექ, დაჯეო, ასე უთხრა, და ისეთი ძლიერი სინათლე ჩართო, ნათურები გაბმით აზმუფლდნენ, მერე ნიკაპი მკაცრად აუწია და უცებ მოლბა, თავზე გადაუსვა ხელი, „თქვენ რა შუაში ხართ, ბოდიში, თმა აგწეწიათ ცოტა...“ იმანაც, ერთხანს შემკრთალმა, გულიანად გაუღიმა, შეხმატებულდნენ, ერთი — გაქვავებული იჯდა, მეორე — აბარატს უტრიალებდა, „ჰოპ,“ თქვა რესპონდენტმა, პალტოს ჩაცმაში დაეხმარა, მაგრამ მუშტარი იძახდა: „არა, არა, ჩემით...“ — ღიმილითვე გაუწოდა ქვითარი, და მუშტარმა ფრთხილად რომ მიიხურა კარი, შეეცბი — სულ სხვა კაცი შემომცქეროდა, გამომწვევი, უნდო...

— თუ გნებავთ, ხვალ განვავარძოთ, ხვალაც ამ კვირისაა, — ჰუმორი მოვიშველიე მე.

— არა, არა, ვიციოხე.

და აქ შევერჩიე კითხვა, რომელსაც არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა მის გატაცებასთან — ასე დავეკითხე:

— მოდაზე რა აზრის ბრძანდებით? როგორი ტანსაცმელი მოგწონთ...

მაგრამ იმან თქვა:

— ფართოჯიბიანი. ისე კი სულ ერთია...

— როგორ თუ ფართოჯიბიანი? რისთვის...

— ნებისმიერი წიგნი რომ ჩაეტიოს.
არა, ეს სულელი იყო, ვიღაცა და
წამოვდექი...

— ბოდიში, მაგრამ... ხელმძღვანელი
მიცდის.

— ახოვანი და ენერგიული? რა გაე-
წყობა, კარგად ბრძანდებოდეთ...

ამრეზილი მათვალეირებდა, სანამ კა-
ლმისტარს გულის ჯიბეში ჩავიდებდი,
ანკეტას — პორტფელში, და სწრაფად
გავეშურე კარისაკენ, მაგრამ და-
მაღევნა:

— აი, ეს დაგრჩათ.
პალსტუხი იყო.

— გამადლობთ, მშვიდობით... — და
ფრთხილად ჩავიდე პალტოს ჯიბეში,
რომ არ დამეშუმეცნოდა.

— იცით რა? — მითხრა, — თქვენ
ისევე მოხვალთ...

— არასოდეს! — გავბრაზდი, მთელი
საათი დამაქარგინა.

— ვნახოთ, თუ არა...

— რა იცით!

— არ შეიძლება, ასე უსახელოდ რომ
დავმორდეთ ერთმანეთს, — ჯერჯერო-
ბით ჩვენი საუბარი იუმორისტულ ქუ-
რნალში დაბეჭდილ მასალას ჰგავდა.

— ჩვენ უკეთესი საუბარი არც გა-
მოგვივა, — პირში მივახალე.

— რატომ, რატომ, ჯერ სადა ხართ...
აი ნახათ, უკეთესად თუ არ ავლაპარა-
კდე.

— მე კი ფეხის დამღვემელი აქ აღა-
რა ვარ და...

— ვნახოთ, — გაელიმა.

გამწარებული გამოვედი, შუბლზე
ხეითქი გადამდიოდა. ოფლის შესამშ-
რალბლად ცხვირსახოცისათვის ჩაი-
ყავ ჯიბეში ხელი, ამოვიდე, მოვისვი კი-
დეც, მაგრამ სხვა რამ ნივთი ჩანდა...
პალსტუხი იყო.

4.

ხელმძღვანელს სვიტერი ეცვა, მშვე-
ნიერად ნაქსოვი, ძლიერი სხეული გა-
მოკვეთოდა, ვიქდებიან ქალები—ყოველ

შემთხვევაში, გარკვეული ნაწილში
ინც. უცხო რომ შეხედოს, ნამდვილი
ათლეტია, მეცნიერი და ასეთი აღნაგო-
ბა? საუბარიც რომ დამაჯერებელი აქვს
— ტერმინებით აღსავსე, რთული და
მახვილი, რანაირი გამოთქმა გინდა, იმ-
ან რომ არ იცოდეს, ნამდვილი უცხო
სიტყვათა ლექსიკონია. ერთი ვერ გა-
მიგია — თუმცა ლამაზი თვალ-წარბი
აქვს, მაინც ძალიან უყვარს მზის საწი-
ნააღმდეგო სათვალის ტარება, ახლაც
უკეთია, სავარძელში ზის, ჩემს მიერ
მიწოდებულ ანკეტებს კითხულობს და
დროდადრო ამბობს: „საინტერესო, სა-
ინტერესოა...“ მე, გაბადრული, აღვი-
ლზე ვცმუყავ, ბოლო ანკეტაზეა, სცაა
— შემაქებს. ერთი უცნაური ჩვევა
მაქვს, დიდად საკვირველი—ძალიან თუ
ვლეღავ, მეძინება ხოლმე... ერთი-ორ-
ჯერ გაუგებრობას მივაწერე ეს ინცი-
დენტი, მაგრამ მერე, როცა ვახშირდა,
ეჭიმს ვეჩვენე. იმან წერილი გადაიკით-
ხა, გულდასმით გამსინჯა და თქვა, რომ
საგანგაშო არაფერია, მსგავსი შემთხვე-
ვები ცნობილია მედიცინის ისტორიაში,
და განსაკუთრებით ისაა საინტერესო,
რომ ეძინებათ მხოლოდ უსიამოვნო ამ-
ბების მოლოდინში, სხეული თურმე მე-
ქანიკურად გამოირთვება, მაგრამ სასია-
მოვნო მღელვარების დროს კი არა, რო-
გორც, მაგალითად — ახლა — სრულე-
ბითაც არ მერევა თვლემ შექების წინ-
ისე, რა თქმა უნდა, თანამშრომლებისა-
თვის არ გამომხელია ჩემი ეს ჩვევა, ისი-
ნი რას ვაიგებენ, რომ ზოგიერთ შემთ-
ხვევაში სხეული თავისთავად, მექანი-
კურად გამოითიშება ხოლმე მოსალოდ-
ნელი საფრთხის წინ, არამედ ერთი ხე-
ლის მოსმით დაასკვნიან — ბოთა —
და პორჩა... ხელმძღვანელი დიმილით
მიყურებს, ამბობს: „კარგად გიმუშავია,
ყოჩაღ...“ სამი სიტყვა მითხრა, სამთავე
კარგი — „ყოჩაღ“, „კარგად“ და „გი-
მუშავია“, — „ამდენი როდის მოასწარი,

გურამ დონანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა
შიორი უხვარდა



ა? მე ვიღიმები, მორცხვად ვხრი თავს, ხელმძღვანელი კი მხარზე მადებს ხელს და ამბობს: „ძალიან კარგად დავიწყია...“. რაღაც უცნაური ფრაზა მახსენდება, სადღაც გაგონილი, ვიღაცამ მითხრა ახლა, ახლახანს, ენის წვერზე მიტრიალებს, არ მსიამოვნებს კი, და — ჰო, მახსენდება, ის სულელი — ედმონდო რაღაც გვარმაც კარგად დაიწყო, მაგრამ... „ანკეტათა საერთო რიცხვი შესაძლოა ერთით მეტიც ყოფილიყო, — ვეუბნები ხელმძღვანელს, — მაგრამ იმ ერთთან შეუძლებელი იყო მუშაობა...“ „და თავი გაანებე?“ „ღიას,“ — გაუბედავად ვპასუხობ, მაგრამ ხელმძღვანელი ამბობს: „კარგად მოქცეულხარ. თუკი რესპონდენტი თავს არიდებს პასუხის გაცემას, შენც მაშინვე თავი უნდა გაანებო და სხვაზე გადახვიდე... რესპონდენტების მეტი რაა?!“ „ღიდა უცნაური კაცი იყო, — სახე მექმუხნება, მაგრამ მაინც ვუღიმი, — ყველაფერს მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის კუთხით უდგებოდა...“ „ლიტერატურული კუთხით, შენ ამბობ? — ოდნავ დაინტერესებული მეკითხება, — ეს როგორ?“ „როგორ და... — ვიხსენებ, — აი, მაგალითად, თქვა, ძალიან კარგ კომუნალურ პირობებში ვიმყოფები, რადგან მაქვს წიგნის კარადები, თაროები და ნათურაო...“ „აჰაჰა, — მოხდენილად იცინის ხელმძღვანელი, — არა სცოდნია, კომუნალური მომსახურება რასაც ნიშნავს... კიდევ?“ „კიდევ... — ვიხსენებ, — ჰო! მოდაზე ვკითხე, როგორი მოგწონთ-თქო, იმან კი — ფართოჯიბიანი, წიგნი რომ ჩაეტიოსო. აბა?!“ „ნუთუ?“ — ამბობს ხელმძღვანელი, და რატომღაც ფეხზე დგება, ფანჯარასთან მიდის, დაფიქრებული იყურება ქუჩაში. და არც მიყურებს, ისე მეკითხება: „საინტერესოა... კიდევ რა ვითხრა? „ალარაფერი არ ვთქმევინე... ავდექი და წამოვიდი.“ „ადგომა და წამოსვლა ყოველთვის შეიძლება, — ამბობს ხელმძღვანელი, — მაგრამ ანკეტა უნდა შეგვესო, უნდა შეგვესოთ...

ეგება პასუხის გაცემა აღარ უნდოდა... „როგორ არ უნდოდა, — ვალიარებ, — ისიც კი მითხრა, ერთმანეთს კვლავ შევხვდებით.“ „სწორად უთქვამს, — წარმოვიდგენიათ? ამბობს ხელმძღვანელი, — და მე ახლავე აგისსი — თურათომ.“ ოთახში მიდი-მოდის, ბოლოსა სცემს, მე ფეხზე ვდგავარ და თვალს ვაყოლებ — „სწორად უთქვამსო!...“ აჰ, ეს რა მითხრა, რაღაცა უსიამოვნოს მოლოდინში თვლელა მერევა და უცებ მახსენდება: „ღიას, ღიას, როგორი ფილმები მოგწონთ-მეთქი და — ტიტრებიანებიო!“ „რატომ...“ „ალბათ იმიტომ, რომ ტიტრებია წასაკითხი!...“ „და ასე უყვარს ლიტერატურა? ოჰო! — ხელებს იფშენეტს ხელმძღვანელი, — ეს კაცი არ უნდა დავკარგოთ...“ ისევ ბოლოსა სცემს, „უყურე შენ, — დაფიქრებული მიმზერს, და უკებ კითხვას კითხვაზე მაყრის, — და თქვენ გგონიათ, რომ მასიურ, შაბლონურ პასუხებს გაცილებით არა სჯობს ინდივიდის არსებობა? რომელიც მთელ ამ კომპლექსს პასუხობს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სურვილისდამიხედვით ამორჩეული საყვარელი საქმიანობის კუთხით? და თქვენ გგონიათ, რომ მხატვრული ლიტერატურა ხელწამოსაკრავია, როგორც ასეთი? რა სჯობია ხანდახან, სიგრილეში, მაგალითად დიკენსის კითხვას? და განა ლიტერატურა კულტურული დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი არ არის?“ აქ კი ხელმძღვანელი ჩერდება და აშკარად ეტყობა, რომ თავის საკუთარ, მომავალ ნაშრომზე ფიქრობს, რადგან ასეთ დროს თავს სწორედ ასე, ოდნავ გვერდულად და ზემოთკენ შემართავს ხოლმე, და ხდება ჭიუტი, სწორუბოვარი, მუქი სათვალოდან მის გამჭოლ, სუსხიან მზერასა ვგრძნობ, და, წარმოვიდგენიათ? — მკაცრად მეუბნება: „დღესვე მიბრძანდით ხსენებულ რესპონდენტთან და შეავსეთ ანკეტა მისი პასუხისა და სურვილის მიხედვით, და გახსოვდეთ, რომ ხანდახან საინტერესო ინდივიდის



ჩვენთვის შესაძლოა შეტ ინტერესს მო-
იცადებს, ვიდრე ათობით ადამიანის
მდგრადი პასუხი. მაგრამ მე ჯერ უნდა
დავრწმუნდე, რომ იმ კაცს მართლაც და
ზედმიწევნით უყვარს ლიტერატურა,
ესე იგი, კულტურული დასვენების ესა
თუ ის დარგი და შემდგომ, თუკი მხატვ-
რული ლიტერატურა მართლაცა მუქ
წითელ ხაზად გასდევს მთელ მის ცხო-
ვრებას, უნდა გამოვარკვიოთ — რატომ,
— და ოღნავ მოლბა, — აბა, შენ იცი,
წაღი..“

5.

ფეხები უკან მრჩებოდა, მაგრამ რა
მექნა, ასე იყო საჭირო — მივდიოდი
კაცთან, რომელსაც ლიტერატურა ძლი-
ერ უყვარდა. დაღმართში ჩავდიოდი,
ქუჩა მოყინულ იყო და, კიდეკ კარგი,
ნახერხი მოეყარათ და ისე ძალიან აღ-
არ მისხლტებოდა ფეხი. მაინც ფრთხი-
ლად ჩავდიოდი, და ხანდახან ისე უეც-
რად წამომივლიდა „ვისთან მივდივარ!
რა ჯანდაბა მინდა!..“ უგუნებოდ ვი-
ყავო, რა სათქმელია — გაამწარბული
ვიყავო... და ვიღაც ქალი რომ წაიქცა,
ცოტათი გამომიკეთდა გუნება — გავი-
ღიმე. მაგრამ ნაცნობ ფოტოკაბინეტს
რომ მივაღექი, ისევ ავწირალდი, გავნე-
ჩვიულდი, მთქნარება ამიტყდა. ოთახ-
ში სინათლე ენთო, ღონე მოვიკრიფე.
ენერგოულად შევადე კარი და შევეციბი—
აოავინ იყო. პატარა ხანს გაოცებული
ვიდექ, სანამ მოგუდული ხმა არ შემო-
მესმა: „ანლავე გამოვალ, სურათებს
ვებქდავ...“ მივაყურე და ვიწრო კარი
დავინახე, სწორედ აქიდან მომესმა ხმა.
საგარქელზე ჩამოვჯექი, ვიცდიდი. ცუ-
დია, როცა იმას ელოდები, ვისი დანახ-
ვაც არ გსიამოვნებს, კედლებს მოვავ-
ლე თვალი, სურათებიდან უმთავრესად
მე მიმხერდნენ, ზოგს კი განზე ექცია
პირი, ანდა თავი ნაზად დაეხარა, ყველა-
ზე მეტად სათვალაიანი ბავშვის დაყინე-
ბული მხერა არ მესიამოვნა, მერე
მკერდამოღლეტილ ქალს მივაპყარი
თვალი, ის კი განზე გულგრილად იხე-

დება, თვალთმაქცი, აჰ, ნაცვან რეჟისორი,
დენტი გამოვა, ველავ, ძალიან ველავ,
ლაგ, სიმძიმე, სიმძიმე, მძიმე, ქალი ეს-
ლა ჩემსკენ იყურება, მაგრამ აღარაფ-
რის თავი აღარა მაქვს, დავმძიმდი, დავ-
მძიმდი, მძიმდი... ვმძიმდები, მდები, თა-
ვი გამანებეთ, ვამბობ, თუ ვფიქრობ,
აღარც კი ვიცი, ვდუნდები, ის კი არ
მეშვება, მხარზე მსუბუქად მადებს
ხელს, და ნაზი, შემპარავი ხმა: „იანო,
იანო...“ „აბა, აბა, მცირე ნალექი“, ვამ-
ბობ, თუ ვფიქრობ, მძიმეა, მძიმე, ისევ
მოვეშვი, ვეშვები, ვეშვი... და ისევ ჩემი
მხარი, იგივე შემპარავი: „ლიანო, ლია-
ნო..“ თავი დამანებეთ, აღარაფერი მი-
ნდა, ოღონდ მომეშვიოთ, მაცალეთ, მა-
ცალეთ, ტროლეიბუსი მსუყედ მისრი-
ალებს ნაწვიმარზე, მცირე ნალექი, ის
კი ისევ, ისევ, ოღონდ უფრო ღონივ-
რად და მისი შემპარავი, ვშმაკური „რე-
ლიანო, რელიანო“, და ტაშის შემოკვრა,
თვალს ვახელ, მე მიყვარს ტაში, თვი-
თონ ვუღებ სურათს, ოღონდ იისფერ
ფოკუსში გაორებული და ბუნდოვანი
ჩანს, მაგრამ მკაფიოდ მესმის „ურე-
ლიანო, ურელიანო...“ და ცხადად ვხე-
დავ, რა ქალი, რის ქალი — რესპონ-
დენტია! ჩამძინებია, უნებურად, რა
თქმა უნდა და ის კი მხარს მინჯღრევედა
ოურმე და მალევიძებდა: „აურელიანო...
მოხვალ-მეთქი, აკი გითხარი, აურელი-
ანო!“

6.

რა ახრებული თვისებაა მაინც ორ-
განიზმისა ეს — მისჯილი დაძინება უსი-
ამოვნო შეხვედრის წინ, და მაინც ბ-
ტიბარს არ ვიტყვ, ფეხზე ვდგები, ვამ-
ბობ: „წუხელის დიდხანს ვიმუშავე, გა-
თენებამდე წიგნებს ვფურცლავდი...“
„დაბრძანდით, დაბრძანდით, მხატვ-
რულს ხომ არა?“ — მეკითხება რესპონ-
დენტი, ისევ თავისა წამოიწყო, თუმცა,
ამით ხომ ჩემს წისქვილზე ასხამს

გურამ დონანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა
ძლიერ უყვარდა

წყალს, ხელმძღვანელის დარიგება მან-
სენდება, საბოლოოდ ვფხიზლდები,
ვამბობ: „განვავრობო? შეკითხვები...“
და მყისვე მპასუხობს: „რასაკვირველია,
რასაკვირველია... — და ვიწრო კარის-
კენ თავს ატრიალებს, იძახის, — შენ
მინამ ხსნარი დამზადე, კლიმ.“ ეს კლი-
მი ვიღაა, ვფიქრობ, და მაშინვე მიხს-
ნის: „ასისტენტია ჩემი...“ პორტფელს
ვხსნი, ანკეტას მაგიდაზე ვდებ, კალმის-
ტარს ფრთხილად ვიმწყვდევ თითებ-
შუა — ცოტათი მელანი ვასდის — და
ვეკითხები:

— ბევრი თავისუფალი დრო ჰქვარ-
გებათ?

მპასუხობს:

— იოტისოდენადაც არა.

მიკვირს:

— ეს როგორ?

— იმასაც უკვირს:

— აბა რატომ უნდა დავკარგო?

„აა, ვერ მიმიხვდით, — თავაზიანად
ფუხსნი, — რა თქმა უნდა, თქვენ არ
გინდათ დროის დაკარგვა, მაგრამ ხომ
მგზავრობთ ტრანსპორტით, ხომ უნდა
შეიაროთ გასტრონომსა თუ მალაზიაში,
ხომ უნდა დაიმზადოთ ვახშამი, ანდა სა-
სადილოში ისაუ...“ და მაწყვებინებს:
„პირიქით, პირიქით, თქვენ ვერ მიმიხ-
ვდით — მე ნამდვილად არ დავკარგავ
დროს, თუკი დავდგები რიგში, ან თუ
ერბო-კვერცხს შევიწვავ, ანდა ტრამვა-
ით თუ ვიმგზავრებ...“

ვღიზიანდები:

— რატომ?

„იმიტომ რომ, — ამბობს, — თქვენ
ლიტერატურის სიყვარული მხოლოდ
და მხოლოდ წიგნის კითხვა გგონიათ?
და ყოველივე იმას, რასაც წაიკითხავ,
გააზრება არ უნდა? დიდი ამბავი, ტრა-
მავიში თუ დავჯდები ან დავდგები, ყო-
რამალა დგომისასაც კი შეიძლება ფიქ-
რი.“ „კი მაგრამ, რაზე?“ „რაზე და, რა-
საც წაიკითხავ, იმაზე... ან, რაც გაგაზ-
სენდება...“

ოოხ, ხელმძღვანელი... მაინც განვაგ-
ნობთ:

— და თუ ხასიათზე არა ბრძანდები...
— ჰეი, — ელიმება — სწორედ
შინ უფროა სწორი, როცა ხასიათზე
არა-ხარ.

— რატომ!

— ხასიათზე რომ მოხვიდე.

გიჟია, ვიღაცაა, ოხერი... თანაც, მი-
ყურებს და განცვიფრებული ამბობს:
„ღმერთო, როგორ ჰგავხართ აურელი-
ანო-სქელს... ხომ არ გეწყინებათ, აუ-
რელიანო რომ დავიძახოთ?“

რეებს მიბედავს!

— თუ შეიძლება, ეტიკეტი დაიცა-
ვით, — ამაყად ვამბობ, — თამაზი მქვია მე!
ხელისგულს მაჩვენებს, თავით-ფხზა-
მდე მორჩილება:

— კარგი, თამაზი, კარგი, გენაცვა.

მზერას ვარიდებ.

„ადამიანს ერთი ვასაოცარი თვისება
აქვს“, — ყოველგვარი შესავლის გარე-
შე, ჩაფიქრებული იწყებს და ვამჩნევ,
იცვლება — თვალები ისე ეშმაკურად
აღარ უციმციმებს, სულ სხვა კაცია ჩემს
წინ, რადაცნაირად ღრმად მოწყენილი,
დაფიქრებული, ჩემს მიღმა იყურება,
და რაღაც უცნაურ ამბავს მიყვება, წა-
რმოვიდგენიათ? — გომბეშოზე. თურმე
გომბეშო უმოძრაო მწერს ვერა ხედავს,
და მხოლოდ მაშინ შენიშნავს, თვალწინ
თუ ჩაუფრენს და მაშინვე გადასანს-
ლავს, და თუ შორიანლოს მწერი არაა,
გომბეშოს თვალწინ ნაცრისფერი ეკ-
რანი აქვს, და მხოლოდ მაშინ გაუცო-
ცხლდება მზერა, მწერი რომ ჩაუფრენს.
და თურმე ასე იმიტომაა, ყოველთვის
რომ უყურებდეს გარემოს და ფერებს
აღიქვამდეს, დაღლილობას ვერ გაუძ-
ლებს და მოკვდება, რადგან ტვინი ძა-
ლიან მარტივად აქვს მოწყობილი...“

— ადამიანი კი... — ამბობს, — ადა-
მიანის ტვინი პირიქითაა, თუ არ იფიქ-
რა, თუ არ დაინახა და არ იოცნება,
სწორედ მაშინ იფიქრება და კვდება,
და რიგში დგომა რა ისეთი გაჭირვება
და დროის დაკარგვაა — იდექი და იფი-
ქრე შენთვის, ფიქრს ვინ დავიშლის...
ძალაუნებურად ყოველთვის გაიგებ ან

დინახე რაიმეს, თუ არა გჯერათ, თვალები დახუჭეთ. დახუჭეთ, ასე... რაიმეს თუ გრძნობთ...

— არა.

— არც არაფერი გესმით?

— არა.

— აბა, დაიძაბეთ.

საიდანღაც წვეთავდა, და შორიდან მანქანის ხრიალი აღწევდა.

— ხომ გესმით?

— კი.

— და ყურებზედაც რომ მიიფაროთ ხელები, მაინც წარმოიდგენთ რაიმეს— ადამიანი ასეა მოწყობილი. აბაა, სცადეთ...

დავინტერესდი, ხო იცი, და თვალე-ბი დაეხუჭე, ყურებზედაც მაგრად მივიკარი ხელისგულები. პატარა ხანს ასე ვიყავი, ერთხანს მხოლოდ აქრელებულ სიმუხვს ვგრძნობდი, და რესპონდენტის ვინაზე ვცდილობდი, არაფერი წარმომედგინა, მაგრამ უეცრად ცხადად დავინახე გაჩაჩხული სამეფა ფოტოაპარატი და თვალი რომ გავახილე, შევკრთი: ვიღაც ძალიან პატარა, ახალგაზრდა, იქნებოდა ასე. თვრამეტი-ოცი წლის, თმა გვერდზე გადაევარცხნა, წარმოუდგენლად დაბალი იყო და ცქვიტი, გამწარებული ისვამდა ჯაგრისს დასერილ სახელოზე და აი, მაშინ კი მართლაც ძალიან გამიკვირდა, საიდან გაჩნდამეთქი, დავიბენი და, კიდევ კარგი, რესპონდენტმა მითხრა: „ეს ჩემი თანაშემწეა, კლიმი“.

გულზე მომეშვა: ის ვიწრო კარიც ღია იყო და მაშინვე ყველაფერს მივხვდი — აბა, როგორ გავიგებდი იმის შემოსვლას, თვალდახუჭული, და ყურებზედაც ხელისგულები მქონდა მიტყპანილი...

— სასიამოვნოა, — ყოჩაღადა თქვა კლიმმა და პაწია მარჯვენა გამომიწოდა. მეც გაუშვირე ხელი, ჩამომართვა, თითებზე დამხედა, „კალმისტარს გასდის? მაჩვენეთ...“ ვაჩვენე, გამომართვა, ზემოდან წარბშეკრული დააცქერდა, მერე

სინათლეზე გახლდა, უჭრიდან მკვირცხლად ამოიღო რაღაც, მოარგო, მოყვითალო სითხეც წაუსვა ფუნჯით, სული შეუბერა, ატრიალა, ატრიალა და დამიბრუნა:

— ინებეთ, წესრიგშია.

რესპონდენტმა კი სიამოვნებით აღნიშნა:

— ცეცხლია, ცეცხლი... — და ისევ მე, მე მომიბრუნდა, — დინახეთ რამე?

— როდის..

— თვალდახუჭულმა..

— კი — აპარატი.

— ჰოო, აი, ხომ ხედავთ, აპარატიც კი ჩაგრჩათ გულში და... — ისევ დაფიქრებული მიმზერს, — და ქვეყნად რამდენი რომანია ისეთი, რომელიც გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ყოველნაირი აპარატი დედამიწის ზურგზე, აი, მაგალითად, თუ წაგიკითხავთ... რომელი ერთი გკითხოთ, უცებ დავიბენი... რომელი გკითხოთ, კლიმი?

— მაღამ ბოვარი, — მოწიწებით წარმოსთქვამს კლიმი.

— ჰო, აი თუნდაც, ქალბატონი ბოვარი თუ წაგიკითხავთ.

— ეეე... არა, — ვეუბნები, მაგრამ ვაი ამ პასუხს, ისევ შემომცქერის; და მეკითხება, — მაგ პასუხისათვის რომ შეგაქოთ, ხომ არ ვიქნები გულწრფელი?

— არა.

— ჰოდა, მაშინ, არაფერს გეტყვით. ის ციქნა კლიმიც კი დამანამუსებლად მიმზერს, ლაწირაკი, და თუმცა აშვიათად მეცვლება ფერი, ვწითლდები:

— აუცილებლად წაგიკითხავ.

— ოო, — ამბობს და მხარზე მადებს ხელს, ახლა ისევ სულ სხვა კაცია, ალერსით მიყურებს, შემომღიმის, მოკლედ, შევაცყარე თავი.

გუგამ დოჩანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა
კლიმი უყვარდა



და რადგან სასწრაფოდ უნდა დაებეჭა და ათი წლის წინათ კურსდამთავრებულ ვილაც ენერგეტიკოსთა სურათები, სწორედ იმ ვიწრო კარში შევედით, და მჭრქალ სიბნელეში, ბაც წითელ შუქზე, თან ვსაუბრობდით და თანაც სურათებს ამკლავებდა. მპასუხობდა მოკლედ, მკაფიოდ, აუღელვებლად, ვისარგებლე და ძალიან რთული შეკითხვა დაეუსვი, რომელზედაც უცებ, ერთბაშად ვერავინ მპასუხობს: „მოგწონთ ცხოვრება?“ იმან კი მაშინვე ასე მომიგო: „გაანჩია, იმ დღეს როგორი ავტორი შემხვდებოდა...“ ვსაუბრობდით, და რაღაც ხსნარში ჩაგდებულ ქათქათა ფოტოქალაქულზე ვილაცის წარბი ამოიზნიქებოდა, მერე — ტუჩები, თვალები, თმა, „იბადლებიან, — იხუმრა რესპონდენტმა, — ხანდახან ისეთი საინტერესო პერსონაჟი შემხვდება, მაპატიეთ, მაგრამ, აი, თქვენსავით, აჰ, როგორ ჰგავხართ აურელიანოს, ოლონდ გასქელებამდე, თამაზი-ჩემო, როგორ, აი ეს კი, მაგალითად, — პინცეტი დაადო რომელიც ახლადშობილს, — უწყინარი კაცი უნდა იყოს, თქვენ წარმოიდგინეთ, არიან ბოროტებიც, და გაბლენძილს ხომ რა გამოლევს, გვხვდებიან სათნოებიც, გამოვდივარ თუ არა კრებებზე? არა, არა, ჯერ ეგ ერთი, ფოტოგრაფებს იშვიათად გვიწვევენ კრებებზე, და გინდაც ყოველდღე გვქონდეს, მაინც არ გამოვალ სიტყვით — არ შემიძლია ერთნაირად მიემართო სხვადასხვა განათლებისა და ხასიათის ადამიანებს, როგორ შეიძლება მიმართო ორ კაცს ერთნაირად, მაშინ, როდესაც ერთს წაკითხული არა აქვს... რომელიმე დიდი მწერალი დასახელე, კლიმ... ჰო, აი თუ ერთს არ წაუკითხავს სტენდალი, მეორეს კი გადაბუღებულზე აქვს, განა შეიძლება, ამ ორ კაცს ერთი და იგივე სიტყვებით მიმართო? ახლა ეს ფირი დავბეჭდოთ, კლიმ... ხოლო რაც შეეხება მომდევნო შეკითხვას, თუ რომელი მეცნიერება მიტაცებს, ესე იგი, მიყვარს — არა? მიძნელდება პასუხის გაცემა, მეც-

ნიერებებში საკმაოდ ვერ ვერკვეტილი ვიქნები... შეიძლება, ჯერ ისა ვთქვა, რომელი არ მიყვარს? აი თუნდაც, მათემატიკა... ეს ვისი სახეა, ღმერთო ჩემო, კლიმ, ეს რა თვითკმაყოფილი გამომეტყველება აქვს, წარმოუდგენელია, — ნედლ სურათს დასცქერის, — ახლა, ამ კაცის რა უნდა ირწმუნო, ნეტავ ვინაა, ან როგორ იქცევა სამსახურში, ოჯახში, ეს სურათი ერთხელაც დაბეჭდე, კლიმ, კაბინეტში ჩამოვიკიდოთ, თვალნათლივ ადგილას — მაგის შემხედვარე, ყველა მიხვდება, თვითკმაყოფილება როგორი ცუდია, იმას ვამბობდი, ხომ ცნობილია, რომ მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა, მაგრამ ყოველთვის არაა ასე, ერთ უხემ მაგალითს მოგიყვანთ... ბავშვობისდროინდელი ნაცნობი მყავს, ფუფუნებაში იზრდებოდა, საბრალო, და რომ დაეკცდა, მშობლიური ფუფუნება მერეც არ მოკლებია და, საწყალს, ზეთი ჩამოსდიოდა სახეზე, და ახლაც ერთთავად მშვიერის გამომეტყველება აქვს სწორედ იმიტომ, რომ მუდამ მაძლარია და განა შეიძლება, როდესმე დანაყრდ, თუ მუდამ მაძლარი ხარ, და იცით, რა მოინდომა? ტრაბახა გახდა, დასვენებულ ტვიზზე და სწორედ ამ კაცისთანა თვითკმაყოფილი იერიც დაირტყა...

კლიმი გულდასმით უსმენს, და უცებ შეწუხებული ამბობს:

— უჰ, სულ გავაშავე...
 თურმე კლიმს გადაავიწყდა ხსნარში ჩაგდებული სურათის ამოღება, ჩანახშირებულის სახე ჩანს, კაცი კი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ამბობს: „ეგ არაფერი, კლიმ, ქალაქის მეტი რა გვაქვს...“ „კი, მაგრამ რატომ უნდა გამეშავებინა“, — შეწუხებულია კლიმი, რესპონდენტი კი ჩაშავებულ ქალაქზე სცნობს სწორედ იმ კაცს, თვითკმაყოფილს, და ავღებულად ამბობს: „გააშავე თორემ, მაგასაც ავაღებოდა ირჩევდნენ... ჰო, მათემატიკაზე მოგახსენებდით, — განავრძობს, — აი, ვთქვათ, დგას ქუჩაში ის ვაეზატონი, ნაფუფუნებარი, და მის გვერდით კი...“

ვინმე დიდი მწერალი დაასახელე, კლიმ, ძალიან დიდი... ოო, მაგაზე უკეთესს ვიღას მეტყობდი, ჰოდა, ვთქვით დგანან ერთად უნებურად ამაყი, ჩამოქნენძილი, მშვიერი, ხელგამხმარი, დიდებული ესპანელი ინვალიდი და გვერდით კი უდგას ეს ჩვენი ნაცნობი, ვიგინდარა, წელან რომ დაგიხასიათეთ, მერე რა, სხვადასხვა ეპოქაში რომ ცხოვრობდნენ, მაშინაც კი იქნებოდა ვინმე ასეთი, ვთქვით, ერთად დგანან — ოცნებრივად სავსებით შესაძლებელია საუკუნეთა წიაღში გასეირნება — ჰოდა, ჩამოივლის იმდროინდელი ჩამორჩენილი. ანდა, შესაძლოა, ნიჭიერი მათემატიკოსიც კი და რომ ჰკითხავენ — რამდენი კაცი დგას ქუჩაში? — იტყვის: „ორი...“ აბა, გეკითხებით, განა ეს პასუხია? როგორ თუ „ორი“ — ის და ის — ესე იგი — ერთი პლუს ერთია? აჰ, არა, არა, ხანდახან არაა მათემატიკა ზუსტი მეცნიერება, ლიტერატურაში კი, ჩემო კარგო, ეჰ, ასეთი უზუსტობა არასოდეს არ მოხდება, ყველაზე უკანონებო მეცნიერება თუმცაღა კია... „უკანონებო“ ამ შემთხვევაში სულ სხვა სიტყვაა, ტყბილო... ვერავენ იტყვის, ესპანეთში ერთ დროს ორი მხედარი რომ დაბორილობდა — არა, ერთი, მაღალი, გამხდარი — დაბორილობდა და მეორე — დაბალი, მსუქანი — დაჰყვებოდა... ამოიღე, ამოიღე, კლიმ, კიდევ გაშავდა? შენ რა გითხარი... — ეღიმება.

მქრქალ სინათლეში ვდგავართ, ვსაუბრობთ, ანკეტას ვავსებ...

„ცოლ-შვილი თუ მყავს? არა, არა მყავს, საცოლე კი, გაგიხარია, მყავდა. მაგრამ მე იმის შემდეგ ცოლს ვერ მოვიყვან, ისე კი, რა დავიმალოთ და ქალებში კი დავდივარ ხანდახან, ორგანიზმი მინც თავისას ითხოვს, ცოლის მომყვანი კი... არა, აღარ ვარ. გინდა, გაიპო? ყველაფერს გეტყვით — ისე ვუყვარდი, ისე მიყვარდა... ვიზება უნდოდა, იმაზე გავეცვალე, ნებისმიერ ადამიანზე — იქნებოდა ეს ტანმორჩილი, გამხდარი ინტელიგენტი თუ დიდხელემა გლეხი, სათვალღიანი მუსიკოსი

თუ მუსა, ალალი დიმილით სახეზე ანდა, თუნდაც, ფიზიკოს-ლირიკოსი, ბოლო დროს გაჩნდა ადამიანთა ასეთი კატეგორიაც, არ ვიცი, რა აქვთ საერთო ერთმანეთთან, რითმის გარდა და, მოკლედ, ვინც გინდა, ის ყოფილიყო, მაგრამ არა, აარა, სწორედ იმას მანაც ვალა, რასაც ყველაზე, ყველაფერზე მეტად ვერ ვიტან — თვითმყოფილს და თვითმყოფილებს... ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეჰ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსემ, როგორიცაა სიტყვა... „მოიისფრო“, გვერდით კი მოჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა... „გავძეხი“, და მე განზე ვიდექ, ზედმეტი, როგორც სიტყვა „მამასადამე...“ ოო, ამოიღე, ამოიღე, კლიმ, ძლივს არ გამოვიდა?“

ვიდექით, ვსაუბრობდით...

8.

ხელმძღვანელი დაკვირვებით მიმზერს, მზის საწინააღმდეგო სათვალეც კი მოუხსნია და ასე მიყურებს, პირდაპირ, ჭიქურ, მე ანკეტას ვუხასიათებ, ყოველი პასუხი — ეს რაღაც საერთოა მხატვრულ ლიტერატურასთან, როგორც ასეთი, ხელმძღვანელი ხან მე მისმენს, ხანდახან კი აშკარად თავის მომავალ ნაშრომზე ფიქრობს, რადგან დროდადრო თავს სწორედ ასე, ოდნავ გვერდულად და ზემოთკენ შემართავს ხოლმე და შორეულ სივრცეში ცალწარბაწეული იყურება, და დროდადრო მკვირცხლად ამბობს: „ჰაჰა... ჰაჰა... კარგია, კარგია...“ მე ვრცლად ჩაწერილ პასუხებს ვაცნობ — დასახელებულ რესპონდენტს არ უყვარს მათემატიკა, რადგან მწერალი სერვანტესი პლუს ვინმე ვიგინდარა არ არის ორი, ესე იგი ერთი პლუს ერთი: რომ საცოლემ წაართვა კაცმა, რომელიც ჰგავდა სიტყვას „გავძეხი“; მიიჩნია, რომ იოტისოდენადაც კი არ ჰკარ-

აშკარა დროგანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიბებარტუს
ძლიერ უხავდა



გავს თავისუფალ დროს, რადგან გაჰყვანილი ტრამვაიში მგზავრობისას ფიქრობს ლიტერატურაზე. ოღონდ ვიწრო გაგებით, ისევ და ისევ მხოლოდ მხატვრულზე, და ყველაფერს თანმიმდევრულად ვეუბნები ხელმძღვანელს, ისიც დროდადრო გულდასმით მისმენს, ფაქტების კონსტატირებას ვახდენთ. „არ შეკარგებაო, არა?“ — ხმადაბლა, იღუმალის ხმით მეკითხება ხელმძღვანელი, „არაო, არა, — ვეუბნები, — წარმოგიდგენიათ?“ „ეს ხომ შესანიშნავია, შესანიშნავი, — ამბობს, — აი, ინდივიდი — მესმის... და თქვენ თუ გესმით, რომ გადავაწყდით პერიმეტრიულად ისეთ მკვეთრ, მკაფიოდ გამოხატულ ინჰივიდს, რომელიც შესძლებდა ეპასუხა კითხვებზე, რომლის წიაღიცაა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი სფერო და განა მხატვრული ლიტერატურა ხელწამოსაკრავია, როგორც ასეთი? განა მხატვრულ ლიტერატურას არ ემსახურებოდნენ კალმით ტოლსტოი, გერცენი, ეე... და მთელი რიგი საქვეყნოდ გამოჩენილი ადამიანებისა? კარგია, კმარა, — ამბობს და მიმზერს, — მოდით, წავიდეთ, დასახლებული რესპონდენტი დიხაც რომ რთული კითხვებისთვისაა ზედგამოჭრილი, — და ოდნავ დელავს, — ადვილზევე ვნახოთ... ნეტავ, სამსახურში თუ იქნება...“ „აბა სად იქნება, — ვამშვიდებ, — სად უნდა იყოს, თუ არ...“ „კარგი, წავიდეთ...“ — მკაცრად მეუბნება.

ქუჩაში მივაბიჯებთ, ორნი, ხელმძღვანელი და მე. თუმცა აღვლევებულა, ნაბიჯი მაინც მტკიცე აქვს, გამართულია, პალტო კოსტად აზის ათლეტურ ტანზე, აქოჩრილი თმა აქვს, გამკოლი მზერა, რალაციტ არწივსა ჰგავს, გაბედული. მე მსიამოვნებს, მიხარია ხელმძღვანელთან ერთად სიარული, ასე, ტოლივით, გვერდიგვერდ და მხარდამხარ, იმასაც ვნატრობ, ნეტავ ვინმე ნაცნობმა დამინახოს, ჩვენ მივუყვებით ქალაქის ქუჩებს, ვუახლოვდებით კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ხელმძღვანელი იდაყვზე ხელს მკიდებს, და

თავის გეგმებს მიზიარებს — ღენიშე მარტივ შეკითხვას დაუსვამს, რა თქმა უნდა, ლიტერატურასთან დაკავშირებით... არა ზოგად ლიტერატურასთან დაკავშირებით, არამედ ვიწრო გაგებით... და მე არ უნდა ჩავერიო მთ საუბარში, თუკი არ მომმართავენ — აქ შეიძლება ერთადერთმა წინდაუხედავმა სიტყვამაც კი გააფუჭოს მდგომარეობა... გასაგებია? „რა თქმა უნდა“. ასე. და თვალეშვიაც არ უნდა მივაჩერდე რესპონდენტს, თავი უხერხულად რომ არ იგრძნოს, „ჩვეყანა რომ გადაბრუნდეს, — მწარედ მეღიშება, — ეგ უხერხულებას არ იგრძნობს...“ „რატომ?“ „რა ვიცი...“ „საინტერესოა ესეც, — ამბობს ხელმძღვანელი, — და მაინც, ნუ შეაქცეპრდები...“ „სულ არ შევხედავ...“ „არა, ესეც არაა საჭირო... ხაზგასმა... უკიდურესობაში არ უნდა ჩავარდეთ... ხანდახან უნდა შეხედოთ...“ „ხანდახან შევხედავ, — ვპირდები, — აიი, იქაა...“ „აჰა! — ამბობს ხელმძღვანელი და მკლავზე მაგრად მიჭერს ხელს, — იცით რა, თამაზ? მე გარეთ დაგელოდებით, თქვენ კი წინასწარ უთხარით, რომ მასთან საუბარი სურს თქვენს კოლეგას, ასაკითა და თანამდებობით უფროსს — წინასწარ რომ გავფრთხილებთ, უფრო სიმპათიით განეწყობა, მე კი ისეთ პოზიციას დავიკავებ, რომ მისი ფანჯრიდან გამოვჩნდე, ავივლი, ჩავივლი, გასაგებია? — და უცებ ამბობს, — თუმცა, არა, არა, შევიდეთ ერთად...“

9.

კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ვიღაც საფუძვლიანად დეკოლტირებულ, თავით-ფეხამდე ათრთოლებულ ქალს სურათს უღებს: „ეგრე არა, არა, ზემოთ აიხედეთ, ზევით, მდლა-მეთქი, ცოტათი კიდევ, ოო, მარცხნივ მიაბრუნეთ თავი, ოდნავ, ოოდნავ, ნუ იძაბებით, ნუ, ნუ ღელავთ, ქალბატონო, დამშვიდდით და გაიხსენეთ რაიმე ისეთი, აი, ნამდვილად კარგი რამ, ბავშვობა გაიხსენეთ თუნდაც,

ლადი, უდარდელი. უკან გადავარდით... არა, ეგრე კი არა, არამედ აზრობრივად, უკან გადავარდით ოცდაათი ოდენ... ეე, ოცი წლით, ოთო, ეგრე, იფიქრეთ ბედნიერ ბავშვობაზე, ჩქარა კასეტა, კლიმ, მხრებზე ხომ არა გცივათ? ბარედამ შენ ჩადგი, კლიმ, გაიწაფე ხელი, ოო, ჩვენი აურელიანოც მოსულა, ოლონდ გასქელებამდე, ვაგიმარჯოს, არა, თქვენ არა, ქალბატონო, რატომ დაიქინეთ თავი, სულ გაიფუჭეთ პოზა, ასწიეთ თავი, ასწიეთ, თვალები ცოტათი გაიფართოვეთ, დაძაბეთ, დაძაბეთ ქუთუთოები, არა, არა, ეგრე ძალიან ნუ დააყუცებთ. ოოთ, ეგრე, ნუ დღევით... აი, თქვენ ახლა ზედმეტად დამშვიდდით და ისე დაგავიწყდათ სვებედნიერი ბავშვობა, ვახსენეთ, ვახსენეთ, მერე რა, დიდი ხნის უკან რომ... ხომ არა გცივათ, არა, ხომ? ძალიან კარგი..."

როდის-როდის მორჩა, ძლივს დაადგა საშველი. აქ კი ყველამ თავისი საქმე იპოვა, ჩემს გარდა, უეცრად ყველა აფაციფუცდა: კაცი-ჯიბეებს იხზრეკს, ტანსაცმელზე ხელისგულებს იტყაპუნებს, უჯრაში იქექება; კლიმი სასწრაფოდ აქრობს მძლავრ სინათლეს — ნათურებს ასვენებს, მერე აპარატს უკირკიტებს, „ჩემი ფანქარი ხომ არ გინახავს?“ — ეკითხება კაცი, „არა, — პასუხობს კლიმი, — უჯრაში არ იღო?“ ამასობაში კი ხელმძღვანელი, თავაზიანი ღიმილით სახეზე, ბეწვისსაყელოიანი პალტოთი ხელში, შემცივებულ ქალს უახლოვდება, პალტოს ქალის შიშველი მხრების სიმაღლეზე სწევს, ეუბნება: „ჩაიცვით, ქალბატონო, არ ვაცივდეთ... დაა...“ ქალმა ერთი კი ახედა, სანამ პალტოს ჩასაცმელად შეტრიალდებოდა და ახლა კეფაზედაც კი, ზვიანად დადგმულ თმაზედაც კი — წარმოგიდგენიათ? — ეტყობა, რომ მოსწონს... „ვერ იპოვეთ?“ „ვერა, კლიმ, — შეწუხებულია კაცი, — ქვითარი რაით გამოიწერო...“ „ძალიან გციოდათ?“ — მომზივლელად ეკითხება ხელმძღვანელი, ხმას იტკობს, ლამაზია — ეშხა-

წი. „ა-არა, არც ისე, — ამბობს ქალი, ლამაზია, ბუნჩულა. „უჯრაში ნახეთ?“ „კი. და არაა“. „სად უნდა იყოს“, შეწუხებულია კლიმიც, ხელმძღვანელი კი — „ახლა ხომ გათბით?“ — ამბობს. ქალი თავდახრილი დგას, ხელმძღვანელი შუა თითით მაჯიდან განზე სწევს ლამაზი პერანგის სახელოს, საათზე ამაყად იხედება, ქალი დროს შოულოვს და წამით თვალს ავლებს სახეზე, სულ ერთი წამით, მაგრამ ახლა, ისევე თავდახრილმა, ზევირად იცის, წარბი როგორი აქვს ხელმძღვანელს, ცხვირი და ტუჩი, და მოსწონს, მოსწონს, აჰ, როგორ მოსწონს, კაცს კი, რომელსაც ლიტერატურა ძღვერ უყვარდა, სულაც არ მოსწონს, ფანქარი რომ გაქრა, საგონებელშია ჩავარდნილი. „აი, ახლა ყელზედაც კი გეტყობათ, რომ გათბით, — ამბობს ხელმძღვანელი, — თქვენ არასოდეს არ უნდა შეგცივდეთ, მუდამ თბილად უნდა იყოთ“, ეუბნება, უყუროებს, უყუროებს, თვალებით ელოლიავენა. ქალს ლოყა ბეწვის საყელოზე უდევს, ხელმძღვანელს თითქოს თვალს არიდებს, მაგრამ მოსწონს, მოსწონს, უჰ, როგორ მოსწონს, და ჩვენ რომ არა, ანავე დაეძგერებოდნენ ერთმანეთს, „ეგებ აურელიანოსა აქვს კალმისტარი?“ — აზრს აწვდის კლიმი, „ოოო, მართლა, — უხარია კაცს და მაშინვე ახსენდება, — არა, არა, მაგისას გასდის. და ამას რომ ვკითხვით?“ — ხელმძღვანელზე ამბობს. ის კი ქალისკენ გადახრილა, და შიგ თვალეში ჩაჰლიმის, „ბოდიში, კალმისტარი ხომ არ...“ — ამბობს კაცი, მაგრამ ხელმძღვანელს არ ესმის, გართულია, ყოჩაღი კლიმი კი პოულობს რომელიღაც წიგნში ჩადებულ ფანქარს, კაცი ქვითარს ავსებს, თავაზიანად აწვდის კლიენტს, ისიც, წასასვლელად ემზადება — სქელ, ფუმფულა თავშალს იხვევს, ხელმძღვანელი კარს უღებს და ქალს ორ პატარა საფეხურზე ასვლას შევლის — მის

გურამ დოჩანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა
მლიერ უყვარდა

იდაყვს ჰეშეში ისვამს, ამბობს: „დრო-
ებით...“ და ოთხნილა ვრჩებით, ორი —
ორზე, მაგრამ კაცმა ჯერ არ იცის,
ჩვენ რომ ერთად ვართ, კლიენტი ჰგონ-
ნია, ეკითხება: „თქვენ პასპორტისთვის
თუ...“ ხელმძღვანელი კი გულთანად
უღიმი: „არა, არა, მე ჩემს თანამშრო-
მელს მოყვები...“ „თამაზის? — უკვირს
კაცს და უცებ ახსენდება: — აა, ეს
თქვენა ხართ, ხელმძღვანელი, ახალგაზ-
რდა და ენერგიული, რომელმაც, თამა-
ზის სიტყვით, ძალიან კარგად დაიწყო?

— დიახ, დიახ...
და უცებ, გაოგნებული კაცი ამბობს:
— კლიმ, მეჩვენება თუ...
— არა, არა...
— რეები ხდება... როგორა ჰგავს,
ა? კობია, კობია...

— აბა?! — უკვირს კლიმსაც და ბარ-
ძაყზე ხელს ირტყამს, — როგორა ჰგავს,
საკვირველია...

— მე?.. ვის, ა? — შემკრთალია, მაგ-
რამ არ იმჩნევს ხელმძღვანელი, ვითომ-
ცდა გულგრილად ინტერესდება, — კი-
ნოფილმიდან?

— აჰ, არა, არა... — ხელს ასავსაევს
კაცი.

— აბა?
— წიგნიდან, წიგნიდან... სასწაული
გამიგია, მაგრამ ასეთი?! — კლიმ, ხომ
ზედგამოჭრილი ჯანჯაკომო სემინარიოა,
ა, ნუთუ არ გენიშნა, კლიმ?

— მენიშნა კი არა, ისაა და ეგ არის,—
ყოჩაღად პასუხობს კლიმი.

— ბოდიში, ეგ რომელი?.. — ამბობს
ხელმძღვანელი, ჯერ კიდევ კარგად უჭი-
რავს თავი.

— აიი, პირველი შვილი, მარშალის
უფროსი ძმა.

— ვინ მარშალი...
— ვინ და ბეტანკური! აბა ეს კი არა,
— ჩემზე უთითებს, წარმოგიდგენიათ?
და უცებ აღფრთოვანებული ამბობს, —
იცით, მსგავსებას თუ დაეუჯერებთ,
თქვენ თამაზისი რა გამოდისხართ?

— რა...
— პაპა!

— ეს როგორ...
— ჯანჯაკომო ხომ არიანდა კარრას-
კოსაგან ჰყავდა, არა? — მეხსიერებას
იმოწმებს კლიმი.

— ვინ ჯანჯაკომო, რა მარშალი... —
ახლად იზნევა ხელმძღვანელი.

არეულობაა — მტრისას... ოთხივენი
გაკვირვებულნი შევეცქერით ერთმანეთს.

— ააა, მიგხვდი, — ამბობს კაცი, რო-
მელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარ-
და, — თქვენ ბეტანკურიანი რომანი არ
წავიკითხავთ, არა, ხომ?

— ა-არა, ხომ... — ამბობს ხელმძღ-
ვანელი, მშვიდდება, — ტყუილი რა სა-
ჭიროა... ნაწარმოებია ასეთი?

— ჰე! არის და... და არც ლაოსა?
მარიო ვარგასი...

— ეეე... არა.
— და კორტასარი?
— მმუ... არა.

და უცებ კაცი ღონიერად ართმევს
ხელს:

— მომილოცავს, მომილოცავს, ბედ-
ნიერი კაცი ყოფილხართ, ბედნიერი...

— რატომ? — უკვირს ხელმძღვა-
ნელს.

— რატომ და ისეთი დიდი სიამოვნ-
ება გელით...

— რა სიამოვნება?

კაცი კი ამბობს:

— პირველად წაკითხვის.
ხოლო აქ ხელმძღვანელს თავისი მო-
მავალი ნაშრომი ახსენდება — თავს
ოდნავ გვერდულად და ზემოთ სწევს,
სახე უმკაცრდება, სკამზე ჯდება, თი-
თებს მინაგადაფარებულ მაგიდაზე აკა-
კუნებს, ამბობს:

— შეიძლება, რამდენიმე შეკითხვა
მოგცეთ?

— კი, ბატონო, სიამოვნებით, — ამ-
ბობს კაცი, დაკვირვებით უმზერს.

და კლიმს ეუბნება:

— ხელი რომ არ შეგვიშალონ, ეს
ჩამოკიდე.

„ეს“ — ოთქუთხა მუყაოა, და „შეს-
ვენება“ ქართულ-რუსულად აწერია
ზედა.

აქამდე რაც იყო, არაფერიც არ იყო, მთავარი ახლა იწყება — მე და კლიმი სეკუნდანტებივითა ვართ, ხელმძღვანელი და ახირებული რესპონდენტი პირისპირ სხედან, სუყველაფერი გამზადებულია: კალმისტარი — მომარჯვებული, ანკეტა — გადაშლილი, რესპონდენტი სმენადაა ქეეული, ხელმძღვანელი თვალმოკუტული უყურებს, და არა ჩქარობს, არა, იმას უნდობლად უმზერს კლიმი, მე კი დაეკვებულნი შევცქერო რესპონდენტს — ორი — ორზე ვართ.

და ხელმძღვანელი ამბობს:
— მოცემულ ანკეტაში უმნიშვნელოვანესი ფუნქციონირება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრადიციულ შეკითხვათა ხერხემალზე დაყრდნობით, რაც თავისთავად დაკავშირებული იქნება ყოფა-ცხოვრებისა და საერთოდ ცხოვრების წესის გათვალისწინებით, და მაშასადამე მათი ადგილი უნდა დაიკავოს გარემოს ურბანიზაციის კომპლექსური მაჩვენებლების...

აქ კი რესპონდენტი აწყვეტინებს:
— კი ბატონო, მკითხეთ...
— რა გკითხოთ... — განცვიფრებულია ხელმძღვანელი, ოდნავ ღიზიანდება, არ უყვარს, როცა აწყვეტინებენ, — ჯერ ეს ერთი, რა იცით, რა უნდა გკითხოთ...

— არ მითქვამს ვიცი-მეთქი... თუმცა, როგორ არ ვიცი, — ამბობს რესპონდენტი, — თქვენ უნდა შეისწავლოთ ჩემი თავისუფალი დრო და ჩემივე ყოფა-ცხოვრება მომავალი აღმავლობისათვის, თუ არა ვცდები, არა?

— და ყოველგვარი შესავლის გარეშე გკითხოთ?

— რა თქმა უნდა, შესავალი — ეს ხომ თამაზიმ ჩაატარა უკვე. და ისიც ვიცი, რომ მე — რესპონდენტი ვარ, და ინტერვიუერი — თქვენ.

— კაარგიო, — ცივად უღიმის ხელმძღვანელი, — ესე იგი, თქვენ გიყვართ მხატვრული ლიტერატურა, არა?

— რა დასამალია და, ძლიერ.

— ძაალიან კარგი... და ჟურნალ-გაზეთებიც?

— ეს, სხვათა შორის, ძალიან არასწორი გამოთქმაა — „ჟურნალ-გაზეთები“, — სწყისს რესპონდენტს, — რადგან ჟურნალი — ერთია, გაზეთი კი — სხვა... რატომ მიაწებეს ერთმანეთს სამუდამოდ, წარმოდგენა არა მაქვს.

— აჰა... და რომელი მწერალი მოგწონთ?

— რომელი საათია, კლიმ? — მოულოდნელად ასეთ კითხვას სვამს რესპონდენტი.

— ოთხს უკლია ჩარეკი, — პასუხობს კლიმი.

— ოო... იმათ ჩამოთვლას ვეღარ მოვასწრებ — მუშაობას ხუთზე ვამთავრებთ.

აი, სწორედ აქ ხელმძღვანელმა პირველად დამიბღვირა.

მერე კი ჰკითხა:

— რას იზამთ, ვინმეს თუ შეამჩნევთ, რომ ბიბლიოთეკაში წიგნს ხევის? გვგონია, რომ იტყვის: „დავკლავ საკუთარი ხელით“, „ყელს გამოვლადრავ“, „მილიციას გამოვუძახებ“, მაგრამ რესპონდენტი ძალიან მშვიდად გვაპასუხობს: „წიგნს გააჩნია...“

ასეთ პასუხს არ მოველოდით, ვიბნევიით, კლიმი კი: „კარგი ხართ, მაესტრო“, — ამბობს.

— თქვენ მარტო ცხოვრობთ?

— არა, ორნი ვართ, — ყოჩაღად პასუხობს რესპონდენტი, — მე და ჩემი ძმა, გრიშა კეჟერაძე. მესამე ძმაცა გყავს, ოო, ისაა, რაცაა, ორივესა გვჯობს, ოლონდ ჩვენთან ერთად არა ცხოვრობს, სოფელ-სოფელ დადის. მე და გრიშა თუ... აბა, როგორ გითხრაათ... ჰო! მე და გრიშა თუ სამოთხრობო ხალხი ვართ, ის ძმა — მესამე — სარომანოა, მაშ!

— და თქვენთან რომელიც ცხოვრობს, თქვენსავით უყვარს ლიტერატურა?

გურამ დოჩანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა
ძლიერ უყვარდა

— ვის, გრიშას? არა... სიყვარულით როგორ არ უყვარს, მაგრამ ჩემსავით ძლიერ — არა. ეეპ, იმასაც ჰქონდა თავისი პრობლემა-გატაცება, მაგრამ უკიდურესობაში ჩავარდა, რადგან ყველას ემუსაიფებოდა, განურჩევლად, მერე კი გადაწყვიტა ჩუმი იყოს, ეეპ, ახლა პინინოებს აწყობს და ჩუმიდაა.

აი, სწორედ აქ ხელმძღვანელმა შეორედ დამიბღვირა.

და მერე მაინც ალაპარაკდა, როგორც სჩვევია, დამაჯერებლად, გამოთქმით:

— აი, ის ფაქტი, თქვენ რომ ლიტერატურა გიყვართ, ძალიან კარგია, ეს არის კულტურული დასვენების ერთ-ერთი გამართლებული საშუალება. ერთ-ერთი-მეთქი, ვამბობ, — ამბობს ხელმძღვანელი, — მაგრამ რა დააშავა, მაგალითად, სახვითმა ხელოვნებამ, ანდა სუფთა ჰაერზე გასეირნებამ, ანდა დიდებული მუსიკის მოსმენამ, როგორცაა სხვადასხვა გამოჩენილი კომპოზიტორები, დიახ... ანდა სამეჭლისო ცეკვებზედაც ხომ შეიძლება სიარული, რადიოს მოსმენა, ტელევიზორი, თავისი საინტერესო გადაცემებით მრავალფეროვან თემებზე, ან სპორტის რაიმე სახეობა, ვთქვათ, ჰადრაკი, ანდა მხატვრული ლიტერატურის კითხვა... — და უცებ ახსენდება, — თუმცა არა, არა, ეს ხომ გაქვთ... და, დიახ, იმას ვამბობდი, აი, ჰადრაკი, მეტად კარგია, და საერთოდაც...

სიჩუმეა, ვიცდით.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, — ამბობს უცებ კლიმი, — ხელმძღვანელს ასწავლის, რა ქნას და რა არა, თავხედი გამიგია, მაგრამ ასეთი? კაცს მაინც ჰგავდეს, დაბალია, დიდთავა, პატარა, ლაწირაკი, დაფეხვილი...

და განრისხებული ხელმძღვანელი ენერგიულ, ურთულეს შეკითხვაზე გადადის, ახლა ისევ თამამია, შეუპოვარი:

— თქვენს ნება-სურვილზე რომ იყოს, — ამბობს ხელმძღვანელი, — ცხოვრებას როგორ მოაწყობდით...

— ჩემსას, საკუთარს?

— არა, გენაცვალე, — ინალით ხელმძღვანელი, — საზოგადოების!

— ღმერთო ჩემო... — მღელვარედ წარმოთქვამს რესპონდენტი, — მომეყურა თუ... მთელი ცხოვრება ამ შეკითხვას ველოდებოდი!

— მართლა? — განცვიფრებულია ხელმძღვანელი, — გიფიქრიათ ამაზე?

— სხვა რა მიკეთებია, — დაფიქრებული ამბობს რესპონდენტი და უცებ მხნევედება, — გიამბოთ?

— როგორ მოვაწყობდი? — კაბინეტში დადის, დიარება, ბოლთასა სცემს, სურათებს შესცქერის: ღრმა დეკოლტიან ქალებს, როგორც წესი, სერიოზული გამომეტყველება აქვთ, ალბათ, თამამ დეკოლტეს გასაწონასწორებლად, მკერდდაფარულნი — ილიმებიან, არის გამონაკლისიც — ღიმილი და დეკოლტი ერთად, ორიოდ ქალს ყალბი ტრაგიზმი აღბეჭდია სახეზე, აგერ ის კაციც, გუშინ სამჭერ რომ გააშავეს, თვალსაჩინო ადგილზეა სტენდში, აქვეა ვიღაც ყმაწვილი, ბოროტად ილიმება, ისიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, ცოტათი ქვემოთ — ვიღაცაა, სუფთა გაიძვერა, იმის გვერდით კი უნდობლად იმზირება წვრილტუჩა კაცი. არის კეთილი სახეებიც, ბავშვი ილიმება, „როგორ მოვაწყობდი? — ამბობს რესპონდენტი, ცოცხლდება, — როგორ და მთელ ქალაქს კარცერებით მოვფენდი. „რაო? — ყურს არ უჯერებს ხელმძღვანელი, — როგორ თუ... ეს რა — დესპოტიზმია?“

— არა, გეთაყვათ, დესპოტიზმისაგან ღმერთმა დამიფაროს, — ღიმილით ამშველებს რესპონდენტი, — ეს არ იქნება კარცერი ჩვეულებრივი გაგებით, ეს იქნება კარცერი — ლუქსი...

— როგორ თუ ლუქსი...

— თქვენი გაკვირვება სამართლიანია, — ეთანხმება რესპონდენტი, — არის ქვეყნად სიტყვები, რომლებსთვისაც ძალზედ ძნელია გვერდიგვერდ ყოფნა ამ შემთხვევაშიც ასეა, სად „კარცერი“ და სად — „ლუქსი“, მაგრამ მაინც არ არსებობს დედამიწაზე

ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს, ახლაც ასეა — ეს იქნებოდა კარცერი-ლუქსი, წიგნებიანი თაროებით სავსე, რბილი, მოხერხებულ-სავარძლით, კოხტა მაგიდაზე ნათურა-სოკოთი, ეს იქნებოდა კარცერი-ოცნება ყოველი წიგნის მოყვარულისთვის, რას იზამ, ყველას არ შეუძლია ბიბლიოთეკაში კითხვა, და ვინც თავის ფეხით შევა ჩემს მიერ შემოღებულ მოწყობილობაში, მაშინ ეს ოთახი იქნება უბრალოდ — ლუქსი, მრავალ-თათვის კი — კარცერი-ლუქსი... აი, სწორედ აქედან უნდა დამეწყოს — მე და ჩემნაირები, ეე, ჩემნაირები — ეს იქნებოდა უთვალავი კლიმი, ქუჩა-ქუჩა ვივლიდით, აი, ვთქვათ, მივდივართ... მივდივართ, ავიარეთ, ჩავიარეთ, კედელს ორი ჯეელი მიყუდებია, დგანან, მასლათობენ, იფურთხებიათ, დგანან, არსადაც არ აპირებენ წასვლას, ფეხებზე ჰკიდიან, რომელი საათია, რა დროა, დამეა თუ შეუადღე, დგანან, გოგოებს ეანგლებიან, წაუსტვენენ, წაუღიღინებენ, ხანდახან ერთმანეთს გაეხუმრებიან თავისებურად — პანდურს ამოარტყამენ ერთურთს, იკრიჭებიან და სწორედ ამ დროს მე და ჩემნაირები — ტაც! — ხელს ვსტაცებთ და ზემოაღწერილ კარცერში მიგვყავს...

— ძალით? — ანტერესებს ხელმძღვანელს, და პირველად იწერს რაღაცას.
— დიახ, დიახ, ძალისძალათი, — მტკიცედ ამბობს რესპონდენტი, შეუვალია, — შესაძლოა, ხელის ამოტრიალებაც კი დაგვკირდეს. იცით რა, გეთაყვათ, ზოგს მშობლების ზემოქმედებისა სჯერა, ზოგს — სკოლის, ზოგს — ორგანიზაციის, სხვას — უჯრედისა, ზოგს — ცემა-ტყეპისა და კიდევ რა ვიცი, რისა აღარ, მაგრამ ჩემის აზრით, ეს ჩემი ლუქსი, აჰ, უბადლოა — დგას ჩვენი ჯეელი, რალა თქმა უნდა, ცალკე ვათავსებთ, ამ ჩვენს კარცერში, ჰერში შტერივით იყურება, ფანჯარაზე გისოსებია აკრული, კარიც, რასაკვირველია, დახშულია, გარეთ — რომელიმე კლიმი დარაჯობს, სკამზე ჩამოძვდარი, მუხ-

ლებზე — წიგნით, ჩვენი ჯეელი უყუტებს მაგიდის, სკამს და... კარადათაროებს, მაგრამ ჯერჯერობით — არაფერი, მიდის ქათქათა საწოლთან, წვება, იყურება, იყურება, თვალი უშტერდება და იძინებს. მშობლები, რა თქმა უნდა, გაფრთხილებულნი არიან, „ნუ გეშინიათ, ქალბატონო, თქვენი შვილი კარცერ-ლუქსშია“, „კი ბატონო, კი, ოღონდ ეგ ქუჩა-ქუჩა წანწალს გადაეჩვიოს და...“ ჯეელი იღვიძებს, უყუტებს ჰერს, შია... რა მოგართვათ, ეკითხება გარედან რომელიმე კლიმი, ჩაი, რძე, კაკაო... კაკაო იყოს, ამბობს ჯეელი, რატომ დამიჭირეთ... მაგრამ რომელიმე კლიმი ამ შეკითხვაზე არა პასუხობს, სულ სხვა რამეს ეუბნება — რამდენი კოვზი შაქარი გნებავთ? ოთხი, ამბობს ჯეელი, რატომ დამიჭირეთ, რომელიმე კლიმი კი — ყველი რომელი გიყვარო, გუდის, იმერული თუ სულგუნი? სულგუნი, რატომ დამიჭირეთ... რომელიმე კლიმი კი საუზმეს უმძრახად აწვდის, ჯეელი საუზმობს, პურზე კარაქს უსვამს, კვერცხს ნაჭუქს აცლის, ცოტათი ერთობა, სიგარეტი ნებავს? კი ბატონო, სიამოვნებით, „მზიური“, „კოლხიდა“, „ლუქსი“, მაგრამ სხვა რამ გასართობი? — აჰ, არა, არა, აპაპაპაპა — არავეთარი რადიო, ტელევიზორი, ტელეფონი, ჩვენი ოთახი მხოლოდ ლუქსი კი არაა, კარცერიცაა ცოტათი... ჩვენი ჯეელი კი აბოლებს და ჰერში იყურება... ჰერი კი ანბანითაა მოხატული — ა, ბ, გ, დ, ე... ხომ კარგი აზრია, კლიმ?

კლიმი რას იტყვის — რა თქმა უნდა, „შესანიშნავიაო“ — ამბობს.

— მერე მოდის სადილობის დროც... პირველი თავი, მეორე, მესამე, სალათა როგორი გნებავთ, ზეთით, ძმრიანი თუ უძმრო, უძმრო, რატომ დამიჭირეთ, ა! არაა შენი საქმე, — რომელიმე კლიმი, — და აქ თუ ღრიალი და ხელ-ფეხის

გურამ დონანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა
ძლიერ უსვამდა



ქნევა ატეხა, უნდა უთხრაო: „თუთ!..“
და ისაღილებს. მერე ისეუ ახედავს
ჰერს, ჰერზე — ანბანი, და აი დროს
ნებისმიერი კლიმი დაუდევრად ეტყვის
— თუ გინდა, გადაფურცლე რამე, აი
იქ, კარადაში, წიგნებია... გამოაღებს,
ჯერ საბავშვო წიგნები იქნება, დიდასო-
ებიანები, ნახატებიანები, „თხა და გიგო“,
„მელია და მწყერჩიტა“, ვთქვათ... და
თუ თავისი ნება-სურვილით გადაიკით-
ხავს, ხომ კარგი და თუ კითხვას გულს
ვერ დაუდებს, რომელიმე კლიმი კატე-
გორიულად ეტყვის: „იქამდე არ გაგან-
თავისუფლებთ, სანამ ამ კარადაში მო-
თავსებულ წიგნებს არ წაიკითხავთ...“

— ეს ხომ ძალადობაა, — ამბობს
ხელმძღვანელი, — კონკრეტულმა პი-
როვნებამ საკუთარი ინიციატივით უნდა
შეირჩიოს ამა თუ იმ საზოგადოებრივ
ღონისძიებათაგან...

— მე ჯერ მხოლოდ ყმაწვილ-უსაქ-
მურზე მოგახსენებთ, ბატონო, — უხს-
ნის რესპონდენტი, — აბა მე რა უფლება
მაქვს, ვინმე პატიოსან ქიმიკოსს ვსტაცო
ხელო და დავამწყვდიო... — და უცებ
ღრმად ჩაფიქრებული ამბობს, — ისე
კი, უწიგნურ ქიმიკოსსაც თუ აწყინოს,
მამაძალი ვიყო...

II.

— ჰ-ჰ! — ნერვიულობს ხელმძღვა-
ნელი, აფორიაქებულია, დაწვ-ყელს თი-
თებით იმოწმებს — გაპარსულია თუ
არა, კლიმს უყურებს, ახსენდება: —
კი მაგრამ, რომელიმე კლიმმა რაღა დაა-
შავა, მთელი დღე რად უნდა უყარაუ-
ლოს და მოემსახუროს უსაქმურს?

— ჯერ ეს ერთი, მე ავღნიშნე, რომ
მუხლებზე წიგნი ექნებოდა გადაშლილი,
მეორეც, ყოველთვის შეიძლება უწყი-
ნარი გართობა...

- როგორ!
- სიტყვით.
- როგორ თუ სიტყვით...
- ახლავე ავიხსნით. აი, ვთქვათ, აი...
ჰო, აი თუნდაც თამაზი ავილოთ, ჩვენი
რა თანამდებობა აქვს?

- უმცროსი მეცნიერ-თანამდებობისაა...
- ლია
- ძალიან კარგი. ადრე ვინ იყო...
- ადრე — ლაბორანტი.
- აჰა... და დააწინაურეთ?
- დიახ.
- აჰა!.. ესე იგი, სიტყვა უმცროსი

ამ შემთხვევაში დაწინაურებას ნიშნავს?
— დიახ

— ჰოდა, საგულისხმო გამოთქმას მი-
ვიღებთ — „გავაუმცროსმეცნიერთანა-
მშრომლეთ...“

აი, აქ კი ხელმძღვანელმა მესამედ
დამიბღვირა.

— ახლა საწინააღმდეგო მაგალითი
ავიღოთ — ვთქვათ, თამაზი კვლავ ლა-
ბორანტია. როგორ გამოთქვამდა თავისი
პირით ამას?

— ისევ ლაბორანტი გავხდი, — ამას
ხელმძღვანელი ამბობს...

— არა, რომ ჩამოაქვეითეს, ისიც
უნდა იგრძნობოდეს.

— ისევ ლაბორანტად ჩამომაქვეი-
ეთეს.

— მოკლედ!

— ლაბორანტად ჩამომაქვეითეს.

— უფრო მოკლედ!

— ჩამომაქვეითეს.

— ლაბორანტი სადღაა?! ერთი, ერთ-
ადერთი სიტყვით უნდა გამოთქვათ, ისე
რომ, ჩამოქვეითებაცა და ლაბორანტო-
ბაც გამოიხატებოდეს.

— ერთი სიტყვით შეუძლებელია.

— რატომ .

— აბა, თქვენა სცადეთ, თუ შესაძლე-
ბელია.

კაცი კი ამბობს:

— შესანიშნავ სიტყვას მივიღებთ:
„ჩამომალაბორანტეს“ — ხომ შესაძლე-
ბელი ყოფილა? აი, ასე ითამაშებდა
სიტყვებით რომელიმე კლიმი.

ხოლო კლიმი: — კარგი ხართ, მეს-
ტრო, — ამბობს.

აჰ, ხელმძღვანელი... მეოთხედ დამი-
ბღვირა.

სიჩუმეა, კლიმი აღტაცებული შეს-
ცქერის რესპონდენტს, რესპონდენტი

თავისას ფიქრობს, თავისასვე ფიქრობს ხელმძღვანელი, და მხოლოდ მე არ ვიცი, რა ვქნა, რა გავაკეთო, ჰალსტუხს ვაწვალებ, და მახსენდება საშინელი, საზარელი სიტყვა „ჩამომალაბორანტეს“... არა, ეს მაინც ვის გადავაწყდით, ჩამველო ჩემთვის, არხეინად, რა იქნებოდა, თუმცა, რა ვიცოდი, ახლა კი გვიანდაა — ხელმძღვანელია დაინტერესებული, მაგრამ მე მგონი ისიც ნაწილობადაა, აქ რომ მოვიდა და მაინც, მაინც ასე ამბობს, ენერგიულია, დალოცვილი:

— ლიტერატურას როგორ შეარჩევდი...

— თავიდან? როგორც უნდა, ჯანდაბას, თვითონ შეირჩიოს, იქნება ეს სექტჩები, სიმენონი თუ დასტად აკინძული ჟურნალი „ნიანგი“, ისე კი, ყოველ ვერნიტ დაწყება ყველაფერსა სჯობს, მთავარია, ჯერ მაგიდასთან დაჯდომა ისწავლოს, ფეხების ხან სკამქვეშ შეკეცვა, ხან კი — გაშლა, წიგნის გადაფურცვლა ისწავლოს, სარჩევის თვალთვლება, მერე თანდათან მივაწვდიდი... აბა, კლიმ... ჰო, „სამ მუშეკეტერს“, მარკ ტვენს, რომელიც რა ვქნა, მომკალი და არ მიყვარს, ოჰენრის, მერე წამოვიდოდნენ უფრო სერიოზული მწერლები, კლიმ, ორი კაცი მომაწოდეს... მშვენიერია — ჯეკ ლონდონი, რომელიც ორმხრივ დაინტერესებს და რა თქმა უნდა, შეიძლება ჰიუგოს პროზაც, რომანტიკულს რომ ეძახიან, სწორედ ისაა და თან ოდნავ ძნელი წასაკითხი, მერე კი ცოტას ამოვასუნთქებდი, „უთავო მხედარი“, „ივენგო“, ვთქვათ... და მოდი კლიმ, ახლა კი ვუბოძოთ ის დიდი მწერლები, რომლებიც საოცრად ადვილად იკითხებიან... ჰოო, მერიმე, ჩეხოვი... ერთიც! სწორია, სწორი — ესე იგი, მივეცემთ მერიმეს, ჩეხოვსა და მოვასანს, შემდეგ კი რისკის დროც დადგებოდა, რაიმე ძნელი, ოღონდ რომანი არა, ჩამეტანი იქნება, ჯერ მოთხრობა შევუვადოთ, კლიმ... აბა, არა, არა, რა დროს მაგისი „სიკვდილი ვენეციაშია“, რას ამბობ, კაცო... მოკლედ, რაიმე ასეთი,

და მერე ისევ შედარებით ადვილი, შედარებით — მეთქი, ოდნავ ძველმოდური... ჰოო, თუნდაც დიკენსი...

— ოო, დიკენსი კარგია, კარგი, — უხარია ხელმძღვანელს, — დავიდ კოპერფილდი.

— ვითომ? — აგდებულად შესცქერის რესპონდენტი, მაგრამ ხელმძღვანელი ისეა გახარებული, ვერაფერს ამჩნევს, ამბობს: — რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, კარგი, ჩრდილში, ხანდახან დიკენსი...

— ხანდახან დიკენსი და აქა-იქა ტოლსტოი, არა? — დამცინავად უყურებს კლიმი, პატარა, კრუხის პალო, ლაწირაკი, რესპონდენტი კი ამბობს:

— მწერლების ჩამოთვლას აღარა აქვს აზრი, სავსებით საკმარისია... ახლა მხოლოდ სახეზე უნდა შეგხედოთ ჯეელს, როგორი გამომეტყველებით კითხულობს... და თუ საკმარისადაა ჩაფლული, გავუშვებთ.

— როგორ მიხვდებით.
— გამომეტყველებით.
— მერედა, რა გამოვა ამით...
— ვისგან...
— თქვენი ჯეელისგან...

აქ კი რესპონდენტი საზეიმოდ აცხადებს

— რა გამოვა, და... რომელიმე კლიმი!

პატარა ხანს ჩუმად არიან, მერე კი ხელმძღვანელი ჯიუტად განაგრძობს:

— და ამით რაღა გამოვა...
— რომელიმე კლიმისგან? მეტი რაღა უნდა გამოვიდეს, დალოცვილო — მივიღებთ ადამიანს, ვისაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა.

— ლიტერატურა, ლიტერატურა, ღიზიანდება ხელმძღვანელი, — დიდი ამბავი...

— რაო? რა? — ყურს არ უჯერებს განცვიფრებული რესპონდენტი, — ნუთუ ამის ახსნაც საჭიროა?

გურამ დონანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა
აღიარებდა

— სცადეთ, მე — გისმენთ.
— ვცადო? — დაფიქრებული ამ-
ბობს რესპონდენტი, თვალბში უყუ-
რებს, — ვცადო? მაშინ, ჯერ მარტივად
აგისწინოთ — ყოველი ნორმალური მოთ-
ხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდ-
ნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჰკვიან-
ნი, ვიდრე იყავი, და, სხვათაშორის, —
აქ ელიმება, — მე თანდათან უფრო
ვრწმუნდები, რომ ადამიანისათვის საჭი-
როა ჰქუა... — და სახე უმკაცრდება, —
ეს, როგორც მოგახსენეთ, მარტივი ახ-
სნაა, მაგრამ ესეც საკმარისია — უკე-
თესი ხდები... ახლა კი შედარებით რთუ-
ლად აგისწინოთ...

ოთახში ბოლთასა სცემს... მიდი-
მოდის... დადის...

აჰ — სიჩუმეა.

12

— ქვეყნად არსებულ ხმაურთაგან
ერთს გამოვყოფდი, — ხმადაბლა, კრძალ-
ვით ამბობს რესპონდენტი, — ყველაზე
საშინელს, უსიამოს, გულდამწყვეტსა
და ვინ იცის, კიდევ რა — ესაა პირველი
გორახის დაცემა საფლავში ჩადგმულ
კუბოს სახურავზე, გაგახსენდით, არა?
ყრუ ხმაურია, საზარლად ფშვანდი.
ესეც არ იყოს, შეუძლებელია, ხანდახან
ძილი არ გაგიტყდეს და, ბნელი ღამით,
უეცრად გაღვიძებულს, უცნაური, გან-
სხვავებული სიციხადით წარმოვიდგებათ
სიკვდილი, რომელიც, დარწმუნებული
ბრძანდებოდეთ და, მოვა... ეს ერთად-
ერთია, ერთადერთი, რაც დანამდვილე-
ბით იცი, მაგრამ დღისით, მზისით, ოჰ-
ოჰო, ხალხში, უჰ, რა გულზე ხართ,
ფრუტუნით იბანთ პირს, საუზმობთ,
და შებოლილ ძეხვს ისე ღონიერად
ღეჰავთ, თითქოს რკინა იყოს, ერთმა-
ნეთს ხედებით და ზოგი — უფროსი
ბრძანდებით, ზოგიც — უმცროსი, არ არ-
სებობს მხოლოდ ტოლი, ეს თქვენთვის,
უმეტესობისათვის, მისალოცთათვის —
„მისალოცი“ ხომ იცით, ჩემებურად
რასაც ნიშნავს — ვისაც პირველად
წაკითხვის მრავალი ბედნიერება წინა

აქვს და მე და კლიმი კი, აბა, რამ გავ-
გყო, მიწოდეთ მე თუნდაც ფოტოკაბი-
ნეტის მთავარი დირექტორი და იმას —
თანაშემწე, მაინც ერთნი ვართ, რადგან:
ჩვენ ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა,
და თქვენგან, მისალოცთაგან განსხვავე-
ბით, დაწინაურებას სულაც არ ვცდი-
ლობთ, და სიკვდილისაც ნაკლებად გვე-
შინია, რადგან მრავალჯერ მოვმკვდარ-
ვართ და ყველაფერი, აჰ, ყველაფერი
გამოგვიცდია — მეფედ ვყოფილვართ,
სიკეთისათვის ხის ხმლით გვიბრძოლია,
ხან დადნა დაგვიდგამს თავზე; ხანაც
— ეკალი, სქელი ხალიჩაც გაუშლიათ
ჩვენს საკალ გზაზე, ყვავილმოყრილი და
ნაკვერჩხლებზეც შიშველი ფეხისგუ-
ლებით გვივლია... ქარაფშუტულად გვი-
ქაქანია, მოცილინი, ენას ვატლიკინებ-
დით და ისეც მომხდარა, ბაგედანშულთ,
უთქმელთ, დიდხანს გვიტარებია უცხო
საიდუმლო, ეჰ, ის ხმაური მაინც გვეს-
მოდა... და ბევრი, ბევრი სიცოცხლე
გვინდოდა, ბევრნაირი, სხვადასხვა და
ჩვენ-ჩვენს ოთახებში, მაგიდისაკენ თავ-
დახრილნი, ათასნაირი სიკვდილით მოვ-
მკვდარვართ — ზღვაში ჩავეძირულვართ,
ქუსლში დავეჭრილვართ, ვილიოტინაზე
ავსულვართ, ფათერაკგადახდილნი, სა-
წოლში მშვიდად გარდავცვილვართ,
დავლუპულვართ გარშემორტყმულნი,
კატისთვალემა ვაჟაკის — ელ სორ-
დოს გვერდით, სხვაც მოგვიკლავს და
მერე — გვინანია, ოოო, რა უცნაურად,
როგორ... მიწისთვის გვიკოცნია და მისი
წმიდათაწმიდა ნამცეცები აგვყოლია
ტუჩზე, შურის საძიებლად ავმხედრებუ-
ლვართ, გვივლია, გვივლია, გვიწანწალ-
ნია დაკლავნილ გზებზე, წვიმა გვინახავს
— ჰეე, ბევრნაირი, და მაინც, კლიმ,
მგონია, რომ ყველაზე უკეთ ბუნინთან
წვიმდა, თოვლად მოგვსვლია მსუბუქი
სევდა, და ყინვა — მჰახე, კრიალა, გლუ-
ვი... ის ხმა კი, ის ხმა მაინც გვესმოდა,
დილაადრიან გამოვდიოდით, სისხამი დი-
ლით ქუჩებში მუდამ უცნაური ხალხია
— მათ გამოუძინებელ, მოწყენილ სა-
ხეებზე მაინც იგოძნობა რაღაც სურ-

ვილი, ბუნდოვანი ძალა, იმედოდ გვე-
წვეთება ვილაცის „გაუმარჯოს“, და ქუ-
ჩებში უმიზნოდ, უმიზნოდ დახეტი-
ლობ, რადგან ყველაფერში — დაბნეუ-
ლად შეყვარებული ხარ, ადამიანის ფა-
სიც იცი და გახსენდება, მაინც რომ
აუცილებელია ხანდახან სიმარტოვე და
რომ შეიძლება ხანდახან ქალაქგარეთ
გასეირნება, რომ კიდევ არსებობს ღუ-
ლელებისა და ნიჩბისის ტყე, და ღრმა
გამოქვაბულები, სადაც შეგიძლია დიდ-
ხანს იჯდე, მოკუნტული, სიბნელესა და
სინოტივეში და მერე, გამოსვლისას,
მზის ძალუმ შუქზე თვალები ახამხამო
და, ხელმეორედ დაბადებულმა, გაი-
ფიქრო რომ ქვეყანა — დიდია და მშვე-
ნიერი, და როცა ათასგვარ სიკეთეს
იგემებ, დაწყებულს უბრალოთი, რო-
გორიცაა, ვთქვათ, გავანია სიცხეში ზღვა
და გათავებულს ზოგადი, ქეშმარიტი
ბედნიერებით, რომლის გამხელაც ბო-
ლოში და, არ შეიძლება — თვითონ
უნდა მიხვდეთ და, მიმხვდარი, შეიძ-
ლება პირქუშიც ვახდე, მაგრამ ეს —
სიყვარულის სიპირქუშეა, ეპ... ოკეანე
ხარ, დიდი, მოქნილი თევზებით სავსე,
ხან—გაცოფებული, თავსდატეხილ გრი-
ვალებს უყვებ, ხანაც კი—მშვიდი, ბლა-
ნტე და ფსკერზე ზარმაც ფიქრებად
ირხვეიან ფერად-ფერადი მცენარეები,
ოკეანე ხარ, მზეზე იზმორები და ღამით,
უნებურად გღვიძებელი, ისევ სიკე-
დილზე ფიქრობ და გრძნობ, რომ მუდამ
ორთქლდები, რომ აუცილებლად დაი-
წრიტები და შენი თევზებიც სულს და-
დაფავენ... მაგრამ როგორც არ უნდა
მოიწყინო, გაიტეხო გული, შენს ჯიუტ
თევზებს საყვები მაინც უნდათ და ისევ
დავბოდილობთ ქვეყნად, ამ დალოცვი-
ლი დედამიწის ზურგზე, რა არ გადაგვხ-
დენია და, ღმერთო ჩემო, სულ რომ
არაფერი, რამდენი ქალი გყვარებია,
ვინაა ჩვენთან მარანია და ტენორიო,
რადგან მთავარი დონ ქუანები — ეს
ჩვენა ვართ, მე და რომელიმე კლიმი —
დონ ქუან მკითხველიოები, ჰეი, ვინ არ
გყვარებია, რანაირიღა ქალი — ნატა-

შა, ლალი, პირველ სამ წიგნში თავდგე-
წყებით, მეოთხეში კი, რა ვქნა და —
აღარ, სონეჩკა მყვარებია, უსპეტაკესი,
ლაფში ამოსერილი, ტონკა, უტყვი,
უთქმელი, შორეული და მაინც ისე, ისე
ახლობელი... ემე ტანატოგენოსი —
ყველაზე მტკივნეულად და ემა ბოვარიც
კი, ის საძაგელი... ანტონია, ჩემი საბ-
რალო, ყველაზე უცნაურად, ყველაზე
მწვავედ და სელინა, კვამლში აცეკვე-
ბული... კლაუდია, ქალბატონი შოშა,
ოო, ამაყი და პილარი, ოლონდ ტერნე-
რა, საშიშ წყვარამში, იმ ბოლის სუნით...
და მზია, მზია კინჭარაული, ხევსურის
ქალი ეპ, მე კი არა, კობეს, კედელს და
სკივრსაც უყვარდა და ვინ იცის, კიდევ
რამდენი... სად არ ვყოფილვარ, მისალო-
ცებო, რა არ მომივლია, გაღუნული და-
ნით — მაჩეტეთი ეკლიანი ბუჩქე-
ბი — კაატინგა მიკაფია, ოკეანეში თეთრ
მტერს დადევდო, მგონი, მიყვარდა.
მთათა მწვერვალზე მიოცნებია და ამი-
სათვის ოო, როგორ ვუწამებიათ,
კატას — ცხრა სიცოცხლე აქვს, მე კი,
ვისაც ასე მიყვარს ყოველივე ეს, ჰეი,
რამდენი, რამდენნაირი სიცოცხლე მინა-
ხავს და თქვენ კი, მისალოც ინტერვი-
ურებს, გაინტერესებთ თუ რამდენ
წუთს ვკარგავ ვერმიშელის რიგში, მე
კი სწორედ მაშინ ვინ იცის, სად და რო-
გორ დავბოდილობ — დიდებული რა-
მა თვალი, მაგრამ სულ სხვაა ფანტაზია,
ასყურა და ასთვლიანი და კაცი ვერ
იტყვის, თუ ვინაა ქეშმარიტად ნამყოფი
პერუსა და ნიგერიაში, მე, თუ რომელი-
მე ჩიბუხგაჩრილი ლოცმანი, რომელ-
მაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა.
— ნიგერია საიდანღა იცით? — ჯი-
ქურ ეკითხება ხელმძღვანელი, მგონია,
რომ სიტყვაზე გამოიჭირა, მაგრამ რეს-
პონდენტი ამბობს:
— ნიგერიაში, საყვარელო, სამი კა-
რგი მწერალია — შიიონკა, ჩინუა აჩე-
ბე და გაბრიელ ო' ხარა.

გურამ დონანაშვილი
აკვი, რომელსაც ლიტმბატურა
პლინი უყვარდა

არა, ამასთან არ შეიძლება ლაპარაკი, და თუმცა ხელმძღვანელი აღარ მიბღვერს და თვალსაც კი მარიდებს, მაინც ვგრძნობ, რომ გაცეცხლებულია და ისევ მახსენდება ის საზარელი „ჩამომალაბორანტეს“, კაცი კი, ვითომც აქაო და არაფერი, ისე განაგრძობს:

— იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია, მკითხველი — ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი, ეს — სასწაულია და მეტსაც გეტყვი, ზედმეტი კი არა, პირიქით, აუცილებელი ხარ, რადგან ავტორმა ასე ინება.

— რა ინება, — ამბობს ხელმძღვანელი, დაბნეულია.

— იყო ტომარაში.

— რატომ ინება...

— იმიტომ, რომ აღწერა, — უხსნის რესპონდენტი.

მერე კი ამბობს:

13.

— არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის, მე მგონი ის, რომ ღრვივს ეგრეთწოდებულ პიროვნების თავისუფლებასთან მიყვარათ, ოღონდ ერთი — მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი — შემართული, გამოცდილი და ყოველს-შემძლე, ამამაღლებელი, გესმით? ოო, რა სიამოვნებით გამოვამწყვდევდი ღოთებს ჩემს კარცერ-ლუქსში, რადგან თავისუფლებისადმი გარკვეული მისწრაფება აქვთ, იმათ კი მსხვილ-მსხვილ ვაჭრებს მივაცოლებდი, პატარა ვაჭრუკანებს კი არა, არამედ მსხვილებს, მსხვილებს, და თუ იცით, რატომ? აჰ, რარიგ მიყვარს ისინი, და როგორი გულშემატკივარი ვარ მათი, თქვენ ხომ არ იცით. ნუ მიგაჩნიათ ისინი ბედნიერებად, და რაც მთავარია, ძვირფასებო, ნუ გშურთ იმათი — რაც არ უნდა მალა ასწიონ ცხვირი, რაგინდ თავხედ-

ნი და გაბღნძილნი იყვენენ. მხსნაკუნს ველი დღე ჩაშხამდებათ ხოლმე, რადგან დაწოლხას, დაძინებამდე, არის ერთი რაღაც პატარა, გარდამავალი წამი, როცა საკუთარი თავი ყველამ ვიციო... ნუ გშურთ იმათი ნურც იშვიათი სასმელ-საჭმელი, როცა, საფუძვლიანად დანაყრებულთ, ბუნდოვნად ხახვი და პური ენატრებათ, და ვერ კა ხვდებიან; და ჩვენ, მკითხველებს, არც იმათი ქონებისა შეგვშურდება, რადგან დონ კიხოტი უფრო რეალურია, ვიდრე ყველა ბეჭედი და შკაფი-მაფი დედამიწის ზურგზე, რადგან დონ კიხოტი — იდეალურია... ისე კი, სხვათაშორის, სიტყვამ მოიტანა და ფიზიკოსები თუ ვერასოდეს შექმნიან „პერპენტუმ მობილეს“, ლიტერატურამ უკვე შექმნა — ეს სწორედ „დონ კიხოტია...“ იმიტომ კი არა, რომ უფრო ადვილია, არა — უბრალოდ, ლიტერატურას შესაძლებლობა აქვს მეტი, ვიდრე ათასნაირ ლაბორატორიებსა და დანადგარებს, ჰოდა, იმას მოგახსენებდით, მოვათავსებდი მსხვილმან-მსხვილმანებს ჩემს კარცერ-ლუქსში, სულ ანა-ბანათი დავაწყებინებდი — იმ-იტომ კი არა, რომ არ იციან, არა, თან-მიმდევრულ მეთოდშია საქმე — და იქამდე მეყოლებოდნენ გამოკეტილნი, სანამ „შვლის ნუკრის ნაამბობის“ კითხვისას შვლის მწვადი კი არ გაახსენდებოდათ, არამედ სულ სხვა რამ, უფრო მთავარი... და არ გეგონოთ, რომ კარცერ-ლუქსთა ფინანსური საკითხი არ მაქვს გადაწყვეტილი — სხვადასხვა „ღოსააფებთან“ და საწვევრობთან ერთად შემოვიღებდი ვადასახადს კარცერ-ლუქსთათვის, ეს იქნებოდა ქეშმარიტად ნებაყოფლობით, თვეში — მანეთი, და ერთის მხრივ ეს არც ისე ბევრია, რადგან თვეში მხოლოდ ერთ ბოთლ ცუდ ღვინოს უღრის — ქართველი კაცისთვის, დიდი ამბავი... და შეიცნობდნენ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ, დიდ მწერლებს...

— ჯერ ეს ერთი, — აწყვეტინებს ხელმძღვანელი, გაღიზიანებულია, —

რა იცით თქვენ, რომელია დიდი მწერალი და რომელი — არა? ამის გაგებას ხანდახან საუკუნეები სჭირდება.

— ოო, ეს ნამდვილად კარგი შეკითხვა იყო, სრულიად ბუნებრივია თქვენი ინტერესი, ახლავე ავიხსნით... საიდან დაიწყო... რაღა თქმა უნდა, არიან სუსტები, თავ-თავიანთი უსიცოცხლო, უცხვირპირო პერსონაჟებით, რომლებიც ისევე ზედმეტნი და არაფრისმაქისნი არიან ჩვენთვის, როგორც... რაიმე ახირებული შედარება, კლიმ... ოო, შენ რა ვითხარი — ზედმეტნი, როგორც ჭეშმარიტი ვაჟკაცისთვის ცუდი გინეკოლოგი, ეს რა მოივინე, შენ რა ვითხარი, კლიმ. რასაკვირველია, როგორც ყველგან, მწერლებშიც გვხვდებიან სპეკულანტები, ადვილ და მომგებიან, კარგბეწვიან ნადირთა მსოცველნი, როგორცაა სხვა, და სხვა, მაგრამ თუ ნამდვილი მკითხველი ხარ, მშვენივრად მიხვდები, რომელია უფრო ძნელი და რომელი — მომგებიანი, ადვილი თემა, რადგან არსებობს მწერალი — ვაჟკაცი, რაღაცანი რად დინჯად თავზეხელადებული, ეს უცნაური მომთვინიერებელი, რომელიც ლომს ხახაში თავს უყოფს, და აგერ, სხვა მომთვინიერებლებიც — რგოლში ახტუნებს პატარა, ჩახუჭუჭებულ, ყელბაფთიან ძაღლებს, და არიან სხვა, ჭეშმარიტი მომთვინიერებლებიც — მგლის გახენდა, უბრალოდ, შეუძლებელია, და ისიც საქმეა, მგელს პატარა ხნით კულზე სტაცო ხელი, ვიდრე ლომს ხახაში თავს შეუყო. და მერე რა, მგელს შეჭიდებული კაცი ხანდახან ჩამოფლეთილი, მათხოვარავით ჩამოქნძილი და გაძევებულიც რომ ყოფილა და ძაღლის გაჭვრთნელებს კი მამაც ჰუსართა ბრჭყვიალა ტანსაცმელი აცვიათ ხოლმე, და თუ მწერლის ჩემეული იდეალიც გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ესაა ჰგელზე ამხედრებული ამაყი გლახა, არწივით მხარზე — ისიც არ იწვრთნებაო, ამბობენ... დაბოლოს, მარტივად და გასაგებად გეტყვით, რომ დიდი მწერალი ისაა, ვინც დიდ ნაწარმოებებს სწერს...

— და მეორეც ერთი, — კვლავ აწყვეტინებს ხელმძღვანელი, გაბრაზებულია, — რა იცით თქვენ, რომელია დიდი ნაწარმოები და რომელი — არა?

— მე, საყვარელო, — უცნაურად უღიმის რესპონდენტი, — ჩემი იშვიათი ფიქსატორი მაქვს, რომელსაც ვერც ერთი უზუსტესი ხელსაწყო ვერ შეედრება — როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს წავცივითხავ, იქნება ეს ნაწარმოები მთლიანად თუ ერთი პატარა ეპითეტი ან შედარება, ვიფიქრებ, თუ მართლა კარგი და ღირებულია, მაშინ მარცხენა ხელზე; მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურძგლავს... რა, არა გჯერათ? — და რესპონდენტი პერანგის სახელის მალა იწევს, ამბობს: „ღოხ კიხოტი“, მკლავს გვაჩვენებს ლა, სიმართლე — სიმართლედ: დაბურძგლულია...

— იი თქვენ, მაგალითად, — სხვა შეკითხვას აძლევს ხელმძღვანელი, — ჩემთვის გაუგებარი პრინციპებით ხელმძღვანელობთ — მწერლების დასახელებისას, ანდა იმ ვითომცდა საყვარელი ქალების ჩამოთვლისას რა წესით სარგებლობთ — მაგალითად, იცავთ თუ არა ქრონოლოგიას, როგორც ასეთი, ანდა — აღფავიტს... ა?

— დემტო, ეს რა თქვა, — შუბლზე ხელისგულს ტკაცანით ირტყამს რესპონდენტი, — როგორ, საიდან სად — სიყვარული და... აღფავიტი? დეე-და, დედა... ეს რა მისალოცი ყოფილა, ვიდაცაა, არა, კლიმ?

— მისალოცი კი არა, ჰაერშია ასაგდები, ოლიმპიური ჩემპიონივით, — ამბობს კლიმი.

— ცოტა არ იყოს, თავაზიანობას მოვითხოვ, — ამბობს ხელმძღვანელი, განრისხებულია, — რა გააჰირეთ, ბოლოსდაბოლოს, ამ თქვენი ლიტერატურით საქმე, ასე მეც შემიძლია ვაკვიროთ და აბა, მიპასუხეთ, რა გსმენიათ

გურამ დოჩანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა
ქლიმი უხვარდა

ჩემს სპეციალობასა და მის ბრწყინვალე წარმომადგენლებზე, აბა, ვინ იყვნენ ემილ დურგაიმი და მაქს ვებერი, ანდა პარსონსი და მერტონი, რა გსმენიათ პარეტოსა და ფონ ვიზენზე, — ეშხში შედის ხელმძღვანელი, მიხარია, — ანდა, ვინ იყვნენ შეპანსკა, ბეკერი და პატირიმ სოროკინი?

— კი ბატონო, ლიტერატურა განზე გადავდოთ, — ამბობს რესპონდენტი, — თქვენ სულ დაგვიწყდათ, რომ მე ლიტერატურათმცოდნე კი არ ვარ, არამედ — ფოტოგრაფი, და მაგ რიხით დასახელებულ გვარებს ფოტოგრაფიის კორიფეთა ჩამოთვლით ვაგიბათილებთ: რა გსმენიათ, მაგალითად, დიდ ლუი დაგერზე, ანდა რას მეტყვით კარლ ცეისიხსა და იოფისის მიღწევებზე, რა კავშირია, თუ იცით, ფოტოგრაფიასა და პოლიგრაფიას შორის და აბა, ერნსტ ლეიტცმა რა გამოიგონა? როგორი ყოვნით უნდა გადაიღოთ სურათი თუნდაც აი, ასეთ ამინდში და მაქს ალპერტზე რა აზრის ბრძანდებით? ანდა როდჩენკოს, მიკულინისა და ოცუპის რომელი ნამუშევრები მოგწონთ... — და შემპარავად ეკითხება: — ა?

აქ კი ხელმძღვანელმა მეხუთედ დამიბღვირა. უუჰ, რა სიტყვაა — „ჩამომოაღბოთრანტეს...“

— და მაინც, მაინც, იძულებული ვარ, სიპართლე ვითხრათ, — დანაღვლიანებული შესცქერის რესპონდენტი, — ჩემი კარცერ-ლუქსების რეალობისა მაინცდამაინც არა მჭერა, იმიტომ კი არა, რომ ღირსი არაა — არა... და ისიც სიცრუეა, რომ თუ ბევრს ნახავ და უამრავი რამ ვადაგზდება, სიკვდილის აღარ შეგეშინდება — პირიქით, უფრო გავიძნელდება სიცოცხლესთან განშორება, მაგრამ ის მაინც გეცოდინება, სავსე ცხოვრება რომ გქონდა, ნაწინაწალი და ყოვლისმნახველი... და ჩემისთანამ სიკვდილის წინ, ულონომ, სარეცელზე, შეიძლება ასე წარმოთქვას: „უჰ, კარგი იყო, ოხერი...“ და თქვენისთანამ კი, ჯანმრთელმა, შესაძლოა ნიშნის მოგებით ეკითხოს: „რა — სიცოცხლე თუ ლიტე-

რატურო...“ ნუ კი... გაინტერესებთ გეტყვით?

— რას მეტყვიან... — ეკითხება ხელმძღვანელი, აფორიაქებული.

— მე კი მოგიგება: „და განა სულერთი არ იყო?“

— კარგი ხართ, მაესტრო, — აღფრთოვანებულია კლიმი, რესპონდენტი კი განაგრძობს:

— მე მაინც ვცდილობდი, ბოლომდე არ მეგრძნობინებინა თქვენთვის, მისალოცთათვის, ჩემი უპირატესობა და პოეზიაზე კრინტიც არ დამცდენია — გიფრთხილდებოდით... ეს იმიტომ რომ, ჩვენი პაწია საქართველო მსოფლიოს პოეზიურ რუკაზე ერთ-ერთი დიადი, ძლევაშისილი სახელმწიფოა...

— პოეზია, პოეზია, დიდი ამბავი, — ამბობს ხელმძღვანელი, ლაქები აყრია სახეზე.

— ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი... — ჩურჩულებს რესპონდენტი, — რა უნდა იყოს ამაზე სახარელი, ამაზე იღუპალი რამ...

— წაიქცა, წაიქცა, — ინალით იძახის ხელმძღვანელი, — დიდი ამბავი, თუ წაიქცა... წაიქცა და კეთილი გამვლენები კვლავ წამოაყენებენ... ბავშვობაში ვინ არ წავეცეულვართ, მაგრამ დადებითი გამვლენების მეშვეობით ისევ წამოვუყენებთ, დიდი ამბავი...

— ღმერთო, ეს რა თქვა! — ხელები ჰერისკენ აქვს აპყრობილი რესპონდენტს, — გაიგე, კლიმი? ღმერთო, ეს რა საშინლად ახსნა... — და მღელვარედ ეკითხება. — შეგიძლიათ თუ არა, კვლავ გაიმეოროთ ეს?

— რატომაც არა! — არ იხვეს ხელმძღვანელი, მაინც შეუპოვარია, ჭიქური.

— კლიმი! გვედრები, კლიმი, ოცდასამ ნომერში მიიბრინე, ვანოსთან, შინ თუ არ დაგხვდა, აბა, ჩემი პასპორტი წაიღე და გირაოდ დაუტოვე ვინმეს, ეგებ მაგნიტოფონი გვათხოვონ, სულ ათი წუთით, ეს წინადადება ჩავიწეროთ და მაშინვე დავუბრუნებთ, კლიმი, გაიქეცი, აბა, პასპორტი, — უცნაურად აღტყვი-



ნებულია, მაგრამ თითქოს ხუმრობს კიდევაც, — მაგნიტოფონის ნახევარ სამეფოს მაგნიტოფონზე ვაძლევ, კლიმ, მაგნიტოფონი, ეს რა თქვა, ღმერთო. დადებითი გამვლელების მეშვეობითო, აბა, ვაფრინდი...

— ტყუილად ნუ შეაწუხებთ, — ამბობს ხელმძღვანელი, ხმა უკანკალებს, — ახლავე წავალთ.

დგება, მეც ვდგები, კარისაკენ მივემართებით, პალატუხებს ვისწორებთ, პალატოებს ვიცვამთ, პერანგისამარა რესპონდენტი კი დარჩენას გვევედრება, ლამისაა, გამოიგლიჯოს ყელი, მაგრამ ხელმძღვანელი შეუვალია, სახელურისაკენ მტკიცედ მიიწვევს, შეექვსედ მიბღვევს, რესპონდენტი კი, ჰოიი, თავხედი, ახლა სურათის გადაღებას გეთავაზობს: „თქვენი ჭირიმეთ, ჰაშინ სურათი მაინც გადაიღეთ, ეს ჩემი კოლექციისათვის საუკუნის სურათი იქნება — პოლკოვნიკი ჭანჭაკომო სემინარიო და აურელიანი — სქელი გასუქებამდე — ერთად!“

ხელმძღვანელი კი ვაცოფებულია, უხეშად იცილებს მუდარადქცეულ კაცს, ის კი სამფეხა აპარატს ჩვენსკენ ატრიალებს, მაგიდასთან მირბის ფირის ასაღებად, მაგრამ ხელმძღვანელი ეუბნება: „ჩვენ არ გვსურს, არა — გესმით?“ და რკინის თითებს მარწუხებივით უჭერს მაჯაზე. კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ტკივილისაგან ეღრციება სახე, ფირი ისევ მაგიდაზე ეცემა, მე და ხელმძღვანელი კი, არა, ჯერ ხელმძღვანელი და შემდეგ — მე, ქუჩაში გამოვდივართ, და კაციც მოგვდევს, აპარატით ხელში, ეს, რა თქმა უნდა, ის დიდი სამფეხა აპარატი არაა, ესაა რომელიღაც ჩვეულებრივი, მომცროსი აპარატი, „ფედი“ თუ „ზორკი“, რაღაცას ეძახიან, და ჩვენ გვიმიზნებს. ხელმძღვანელი პალატოს საყელოს მალა იწვევს და სახეზე იფარებს, მე გაოგნებული ვდგავარ, ხელეჩამოყრილი, და ველავ, ველავ, საცაა — მთქნარება ამიტყდება, ხელმძღვანელი კი ავუტრის კედელთან მიდის და სახეს თით-

ქმის ადებს, ასე დგას, ავუტრის კედელთან, ხელეჩაწეული — პალატოს საყელოს იფარებს ლოყებზე, და თავის მუჭსათვალესაც ცალი ხელით იკეთებს, კაცი კი, რომელსაც ლიტერატურა... და ასე შემდეგ, ეძახის კლიმს, კლიმიც, რა თქმა უნდა, სახეზეა, კაცი ფოტოაპარატს აწვდის კლიმს და ჩემს ხელმძღვანელს, ისეთ ღონიერსა და ენერგიულს, მხრებზე ეჯაჯგურება — შემობრუნებას უპირებს, თავისი ქუთით... და მე კი ერთხანს მიკვირს, რომ ხელმძღვანელი, ნამდვილი ათლეტი და მრისხანე თანაც, რატომ არ ვაუქანებს და არ მიუფშენის ყბას, მაგრამ მაშინვე ვხვდები, რომ არ შეიძლება დღისით, მზისით, შუა ქუჩაში რესპონდენტს ყბაში გლიჯო, რაგინდ არ უნდა გაგაბრაზოს, რადგან ეს — ინციდენტი იქნება ქუჩაში, ინციდენტი კი, აბა, ვის აწყობს, და რესპონდენტი თუნდაც რეგისტრირებული გოგი აღმოჩნდეს, მაინც, სად წავა საქმე, ყველა გიჟს და სულელს ყბაში რომ ლეწო, რესპონდენტი კი ისევ აპოდ ეჯაჯგურება და თუმცა პატარა, ვიწრო ქუჩაა, მაინც იკრიბება თითო-ოროლა გამკლელი, ფანჯრებიდანაც იყურებიან, ალბათ უცნაური შესახედავები ვართ: 1) მზის საწინააღმდეგო სათვალისანი ათლეტი, პირმიქცეული ავუტრის კედელთან; ხელეჩაწეული; 2) მისი პალატოს სახელოს დაჯაჯგურებული, ამ შუა ზამთარში პერანგისამარა კაცო, 3) მე, მღელვარებისაგან მთქნარებაატეილი ახალგაზრდა და 4) პაწია კლიმი, ცალ მუხლზე ჩატუცქული და აპარატმომარჯვებული — შუა ქუჩაში! და უცებ ვხვდები, რასაც ფიქრობენ გამვლელები ჩვენზე, ალბათ ქურდი, ოხერი და სპეკულანტები თუ ვგონივართ, სულ მცირე — მოძრაობის წესების დამრღვევნი, თორემ ისე, სხვას აბა ვის უღებენ ძალისძალათი ფოტოსურა-

გურამ დონანაშვილი
კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა

თებს ქუჩაში და კლიმი, ჩაცუცქული, ჯიუტად იცდის, ხელმძღვანელი კი გამო-სავალს პოულობს — ზურგშექცეული, კედელ-კედელ მიჰყვება ქუჩას, ჩვენი კომპეტენტური დაწესებულებისავენ, მეც, მისი ხათრით, გვერდულად მივს-დევ, და უცებ რესპონდენტის შემზარა-ვი, ტრაგიკული ყვირილი გვესმის: „ვაი-მე, კლიმი! ვაიი, კლიმს მანქანა დაეჯა-ხა!!“

შეშფოთებულნი ვტრიალებდით, და სანამ გავარკვევდეთ, რაშია საქმე, ჩა-ცუცქული კლიმი ფეხზე დგება, რა მან-ქანა, რის მანქანა, კლიმი კი მზრუნვე-ლად კეტავს ფოტოაპარატს, რომლიდა-ნაც ორიოდე წამის უკან გაისმა ჩვენ-თვის, მისკენ მიტრიალებულთათვის სა-ზარელი, იმათთვის კი სასურველი — „ჩხაკ...“ და, ოდნავ დარცხვენილნი იმით,

რომ მაინც თავინი გაიტანეს, მელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა და იმისი თანაშემწე, კლიმი, სირბილით ეფარებიან თვალს.

ეს ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა: „და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღე-ბა უნდა მიექცეს ქალაქის ტიპის დასახ-ლებაში მცხოვრებ ადამიანთა თავისუ-ფალ დროს, რომლის სფეროც განისა-ზღვრება ჯერ ერთი, იმით, რომ წარმოა-დგენს ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს, შედის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპ-ლექსში; მეორე — რომ ასეთი გამოკე-ლევა გვეხმარება...“

ჩამომალაბორანტეს.



გიორგი შარვაშიძე აკაკი წერეთელთან

სხვიტორი... ზეცა გამჭვირვალე და იდუმალი,
ჩამავალი მზე... იმერეთის მშვიდი საღამო,
დიდი ქართველის სასურველი, სანდო სტუმარი,
ტკბილი ოცნება და ფიქრები დაუსაბამო.

ნათელი ადგას ბუხრის პირას გაწყობილ სუფრას...
სამშობლოს სვე-ბედს არ შორდება ზრახვანი მათი,
სათნო თვალეში ვარსკვლავები უბრწყინავს სტუმარს
და ღვინომ წამით დაავიწყა ჭმუნვა და დარდი.

აფხაზეთია მისი ღვინავი და სატკივარიც,
მშობლიურ ქედებს მხოლოდ შორით ესაუბრება,
მაგრამ ვის ესმის დიდი მგონის ხმა გამყივარი?
სწუხდეს მშობელი, შვილს არ ჰქონდეს ნახვის უფლება, —

ამაზე დიდი უღმერთობა არ გაგონილა,
ბედის დაცინვა, მართალი ვთქვა, სწორედ ეს არის,
პარიზი... რომი... პეტერბურგი, — სად არ ყოფილა,
მარად და ყველგან აფხაზეთის ხვედრზე მკვნესარი.

ცხოვრების მკაცრმა ქარიშხალმა სად არ ატარა,
ბედმა, შავბედმა, რა ნაღველი არ ჩააწვეთა,
სული ვერ ჩაკლეს. სული ეშმაკს არ გაატანა,
არ მისცემია მოძალებულ სასოწარკვეთას.

ენატრებოდა ერთი სიტყვა, დედის ნათქვამი,
ელანდებოდა მზე დიადი თავისუფლების,
მაგრამ ვინ იყო გამკითხავი? ან სამართალი
ვისთან ეძია, როს ფარავდა მამულს ღრუბლები.

რა ქნას, უფსკრულის პირამდეა ხალხი მისული,
დაცარიელდა მთა და ბარი. გზა არის შორი.*
აქა-იქ დარჩნენ უმწეონი, გულდაისრულნი,
მათ რა ხანია აღარ შესწევთ უნარი ბრძოლის...

... სხვა რას გაგიკებს, რას გიშველის უცხოის ღიმილი,
სხვა როდის იყო შენს ტაძარში სანთელს ანთებდა,

* იგულისხმება მანჯირობა.

ვილას შესწივლოს, ვის გაანდოს გულისტკივილი,
თუ არ აკაკის — უგვირგვინო მეფეს ქართველთა.

... დიდხანს უსმენდა დიდებული მგოსანი სტუმარს,
ო, როგორ სურდა, განეკურნა მისი იარა.
თმადათოვლილი ბერიკაცი წამოდგა ჩუმად,
მივიდა ახლოს — ძმამ ძმის დარდი გაიზიარა.

სხვიტორი... ზეცა გამჭვირვალე და ილუმალი,
ჩამავალი მზე... იმერეთის მშვიდი სალამო,
დიდი ქართველის სასურველი, სანდო სტუმარი,
ტკბილი ოცნება და ფიქრები დაუსაბამო.

გალაკტიონის სახლი

თითქოსდა განგებ გამდგარა განზე,
მობეზრებია ზაფხულის ალხი,
ამაყად დგას და იმედით მავსებს
გალაკტიონის ცისფერი სახლი.

მზეში ბანაობს მუშათ საუფლო,
მე უნდა ვნახო პოეტის ბინა.
მაგრამ, მითხარით, ვის ვესაუბრო,
ვინ დამიხვდება მასპინძლად, ვინა?

ეს რა ხმა ისმის? ახლა ვინ არის
ამ სახლში? ჩაქრა სანთელი წმინდა?
თუ სიჩუმეა და ზღვის ნიავი,
მხოლოდ ნიავი უბერავს ზღვიდან...

არა! მე ვხვდავ იმ სანთელს ახლაც,
და ის ხმაც ახლა იმგვარად მესმის...
შრიალეებს, როგორც შავი ზღვის ტალღა,
გალაკტიონის უკვდავი ლექსი.

აფხაზური სიმღერა

შემოდგომის სურნელით მთა და ბარი ივსება,
ქედებს გადაუფრინეს დაძენძილმა ნისლებმა.

ცივი* — მთების ნაჟური — რა საამოდ მღერის
და ბუნება რაღაც საოცრებას ელის.

უცებ, დაბარებულივით, სად იყო და სად არა,
მზისით წვიმა მოვიდა — ჟუჟუნა და ანკარა.

* მდინარეა სამეგრელოში.

გაიშალა ხეები, როგორც ბაირაღები,
პირს იბანენ სახლები, პირს იბანენ ბაღები.

ლიპარტიას ვესტუმრეთ — ივენ ღირსეულ რატის,
ქვეყნად მისი ამბავი ზღაპარით დადის:

მევენახე — განთქმული, ჭაბუკივით მარდი...
ოქროს მტევნებს ატყვია მისი ხელის მადლი...

... მარანში შეგვიპატიუა, როგორც წესია ქართული,
ღვინის კასრები გვაჩვენა, მთასავით წამომართულნი.

ერთმანეთს ეცილებიან შემოდგომური ფერები,
აშხუვლებულმა მაჭარმა ლამის გახეთქოს ქვევრები.

— რომელი ჭური მოვხადო?
თეთრი გინდათ თუ წითელი?
ახალი ღვინო მოგართვათ?
ძველიც მაქვს — შარშანწინდელი!

ჩვენი კეთილი მასპინძლის სიხარულს ბოლო არ უჩანს
ჭური მოხადა — აპრილში თითქოს აფეთქდა ალუჩა.

მოვგროვდით ჭურის გარშემო, — ბზინავს ლალი და ბადახში,
თითქოსდა შურით ივსება — მზე იჭვრიტება მარანში,

სადაც ზეიმობს სიცოცხლე სულ სხვანაირი ხალისით.
— გასინჯეთ, ვიდრე მაგიდას გაშლიდეს დიასახლისი.

გადმობრუნებულ კასრებზე სუფრა გაშალეს ხელადა,
მასპინძელს ღვინო ამოაქვს, წაშში იცლება ხელადა.

წელში გასწორდა მოხუცი, თეთრ წვერზე ხელი მოიხვა
და სადღევრძელო წარმოთქვა ხალხის და სამშობლოსა.

მერე ღიმილით დაიწყო: — შეილებო, გითხრათ მართალი,
ამ კედლებს ჯერ არ უნახავთ სტუმარი თქვენი ბადალი.

დავებრდი. გულში რაცა მაქვს, ნეტავი მაამბობინა.
ჩვენში აფხაზი ყოველთვის სამაგალითო ყოფილა.

ფიცხელ ვაჟკაცზე ამბობდნენ:
მარდია, როგორც აფხაზი.

მარჯვე მხედარზე იტყოდნენ:
გაჭენდა, როგორც აფხაზი.

თუ მოხდენილად ეცვა და:
კოხტაა, როგორც აფხაზი.

ნამუსიანზე იტყოდნენ:
ზრდილია, როგორც აფხაზი...

... მზერას იტაცებს ჭიქებში უზადო ღვინის ფართქალი,
გულს ეწვევება თაფლივით სიტყვა, მასპინძლის ნათქვამი.

ნიაგმა წამოუქროლა, კარი გაიღო მარნისა
და მოგვეჩვენა, ღვინისფრად შეღებილიყო დაისი...

... „ორაიდა, სივარაიდა!“ — აგუგუნდა რატის ოდა,
ბერიკაცი რომ მღეროდა, ხმა მწვერვალზე ადიოდა.
უსიმღეროდ ეს სიტოცხლე მღვიმე არის ჩარაზული,
ქართულ მარანს ამშვენებდა სიმღერები აფხაზური.

აფხაზურიდან თარგმნა

მურმან ხურცილავამ.



სანამსა ბალიში

ჩამომამორა საფიქრალს მთავარს,
დღე გამომტაცა ობლის კვერივით, —
ბალიშიში ჩემი ბავშვობის თმია,
მწვანე ხავერდში გამოკერილი.


რა ჰქნას, სინათლით ვერ გაიხარა,
მოსძალებია ბოღმა თვალებზე.
შეკერვის დღიდან განსუკითხავად
ჩხვლეტენ, კორტინან და აწვალეებენ.

როგორ გაუძლო ამდენ ვაგებას,
ვინ გაამდიდრა ქრისტეს მთომენით?
სისხლი არ სდის და არ ებრალებათ,
არ შესცქერიან შენაშფოთებნი.

ბალიშიში ყურობს ჩემი ფერია,
დაცხავებული წვრილი ნემსებით...
მივალ, ვაკოცებ, მოვეფერები
და გამძლეობას დავესესხები.

ბალიშიში ჩემი სული ბინადრობს,
გაუთავებელ, უკუნ ღამეში.
ვინ აუმღერებს დილის იადონს,
ვინ მოაბრუნებს მზიან მსარეში?!

განაბულია! იმ დღიდან დღემდე
ვერვინ წაასწრო მტირალს, ცრემლიანს...
ორმოცდაათი წელია ჩხვლეტენ
და ერთი კენესა არ დასცდებიან...



ამ აპრილსა და იმ აპრილს შორის

ჟამი ჭადარივით გატოტილა,
ამ აპრილსა და იმ აპრილს შორის,
წლები შტოებივით დაპობილან,
ზოგი წარხოცილა ომების თქორით,
ზოგს ავბედითი გრიგალივით,
რევოლუცია აწრიალებს,
კვლავ ზოგიერთებს სანგრებში სძინავთ,
მეომრებივით აბჯრიანებს,
სხვები ფოლიანტში ჩარჩენილან,
მჭკნარი ფოთოლივით უქმად,
ზოგი, საზეიმოდ აუღერილი,
იღვრება არნახულ შუქად.
ზოგი სნეულია შიმშილის წყლულით,
ზოგი სისხლით არის ფერადი,
ხოლო უმრავლესში მკაცრი და ბრძნული
სახე ინაკეთება ბელადის.
ჟამი ჭადარივით შტომრავალი
ირხევა, შრიალებს, იბრძვის
და ქვეყნად ხალხთა მომავალი
ნელდება ლენინის სიბრძნით.
ითხოვს არაგვი ბეტონის აბჯარს
ჟინვალჭესის მშენებლებს
მეძახის სამგორში ვენახი,
ძახილი მომესმის ავჭალით,
მამული,
მამული,
მამული
მეძახის,
ჩამაცვით ბეტონის აბჯარი.
უსაზღვრო ლოდინით დაჭრილი,
ცრემლივით ჭიუხში გამჯდარი,
სამშობლოს,
სამშობლოს,
სამშობლოს
დავჭირდი,
ჩამაცვით ბეტონის აბჯარი.

მკლავს ძმურად გადავხვევ ინგურპესს,
წინაპარს შევხვდები ავჭალის.
ხვალღიდან
 მეომრად,
 მეომრად
 მიგულეთ,
მოიღეთ ბეტონის აბჯარი.

გრანიტის გომბეუო

ყარაყორუმში, მონგოლთა იმპერიის ყოფილ
სატახტო ქალაქში, დგას ერთადერთი ძველი
დაღუპული იმპერიისა — გრანიტის გომბეუო

წევს იმპერია დაქანცული
 და ცივი დუმილით გასცქერის
ჟამს ტაძარივით იავარქმნილს,
 უღმერთო ხილვებით გათქერილს,
... ყარაყორუმში აფოფრილა,
 მონგოლის სულივით ხორშაკი,
მსოფლიოს ათასი კუთხიდან
 მიითვლის ძღვენსა და მოსაკითხს,
ზრიალებს ქალაქი კარვოსანი,
 ფრიალებს დროშები გაშლილი,
დრტვინავენ ხელმწიფენი,
 ერები,
 ხალხები,
ცოცხლად გადარჩენით დასჯილნი.
კარავში მორთხმულა მსოფლიოს ბედისწერა,
 მკბენარს იჩიჩქნის და კუმისით ილეშება,
ყორანი დაპბრუნავს ნასოფლარებს,
 გუშაგნი ფხიზლობენ დილეგებთან.
კენესა ხორეზმის და ინდოეთის,
 ოხვრა ერანის და თურანის,
მოპყვება ყივჩაღურ ტრამალეებს,
 აღწევს ნოვგოროდის ყურამდის,
ვის ახსოვს ნარინი და ულუ,
 ვის ახსოვს საქართველო შენი,
ზეცად მიიწია მეფე თამარ,
 გელათს განისვენებს დავითი ბრძენი.
აზია შავად გაფოთლილა,
 აწამებს ბორგვა და ელდა,
რა ძალით,
 რა ჯაფით,
 რა სისხლით, გადურჩი,
დიდება, მამულო, შენდა!

შენ ცხოვრობ ტყეთა

სილურჯის ზღვაში,

ჟამიდან ჟამზე მესმიანები,
მოაცურებ წნელის ხომალდებს,
ღიმილს გაჰკიდებ

ჩემი წილი

სინათლის ცაზე,

და მხიარულად აკისკისდები.
ჩემო თეთრო და კეთილო დაო,
არ მყოლებიხარ

და გიპოვე სიზმრების ველად.



უ ვ ი ლ ი

თომას მამას ეპიფანე რქმევია. ეპიფანე გამრჯე მოხუცი ყოფილა. საუზმეს პირთან არ მიიკარებდა, სანამ ერთი კაცის საქმეს მაინც არ ვააკეთებდაო. შუადღისას ჩრდილში არ წამოწვებოდა და საღამოთი კი მანამდე არ დაიძინებდა, სანამ ერთ გლეხს მაინც ეღვიძა სოფელშიო. ძილი ყველამ უნდა დაგასწროს და აღგომა ყველას დაასწროო. ძმამ ძმას აჯობა რითაო და — აღრე აღგომითაო. სიკვდილის მეტი ყველაფერი აღრეული სჯობიაო.

— თომა, წამოდი, ბიჭო, ვენახი გავტონხნოთ. — შიგადაშიგ შეახსენებდა ეპიფანე.

— რად უნდა მაწვალო, მამილო, შენ ხომ ათი ჩემოდენა შეგიძლია და მე რაღად უნდა ამიტორღილო?! —

— პო და პო! — ჩაერეოდა თომას დედა, — რა გინდა, ვაინებვიროს ბალღმა. შენი ძვალ-სისხლიც მენანება ამ უბატრონო დედამიწისთვის და ახლა ამას უნდა ჩააღვრევიანო ოფლი?

— ამ ტახტზე ვინლა დაწვეს, მამილო, მეც რომ იქ წამოვიდე?

— რა ენა აქვს ამ გასახარელს — გადაიკისკისებდა თომას დედა, კისერში წაულიტინებდა და შუბლზე აკოცებდა.

— თქვენ რომ ერთმანეთს პირიპირს მისცემთ, ენა მუცელში ჩამივარდება ხოლმე. — ამ სიტყვებს დააგდებდა, ხუთგირვანქიან თოხს გაიდებდა ეპიფანე და მარტოკა გაუდგებოდა ვენახის გზას.

— მოიცადე, კაცო, ისევ მე გამოგყევები. — გულისტივილით ეტყოდა ცოლი და სანივრე თოხით აედევნებოდა. თოხნიდა ეპიფანე და ჩორკნიდა მისი მეუღლე.

ვინც წლით იზრდებოდა, თომა დღით იზრდებოდა. მკლავ-მუხლი და კისერი უმსხვილდებოდა.

— თავ-პირი კამეჩის ბუღას მიუგავს, — ჰკვირობდა ხოლმე მათი მეზობელი წრიპა. — ღმერთმა რომ მაგისი შექლება მიწყალობოს, სათოხნს კი არა, დედამიწას გადავაბრუნებდი.

დაკაცდა თომა, მაგრამ სამუშაოდ მაინც ვერც ერთხელ ვერ გაიტყუეს.

— ნახე, ნახე, რა კარგი დილა გათენდა! — ტუჩების ცმატუნით იტყოდა ხოლმე ეპიფანე და თან თითქოს იმ ლამაზ დილას იგემობდა.

— რა გინდა?! — მოქნარებით გაიხმორებოდა თომა და კედლისკენ გადაბრუნდებოდა.

— ამისთანა დილას მუშაობით გაძლომა ერთ რამედა დირს, მე და ჩემმა ღმერთმა.

— გაძეხი, მერე, ვინ დაგიშალა, შეკაი კაცო. მუშაობით გაძლომას ნედლი ლობიოთი გაძლომა მიჩვენია, თუნდაც ფუშრუკით.

თუ მოხდებოდა და როგორმე სამუშაოდ გაიყვანდა (ეს კი მარტო მაშინ ხდებოდა, როცა ყურძენში თვალი შევიდოდა), იქ უნდა გენახათ მისი ოინები: სევს რომ დააღებოდნენ, მაშინ



გაახსენდებოდა, რომ შიოდა ან სწყუროდა. ან ხელის ტყვილს მოიმინებებდა და ან — თავისას. თუ არც ერთს არ მოიმინებებდა, გამოსავალს მაინც პოულობდა: დაეყრდნობოდა თოხის ტარზე და სთვლემდა ზეზეურად.

მუხღაუხრელად მუშაობდა ეპიფანე. თუ ცოტას შეჩერდებოდა ამოსაქაჩენებლად, თომა მაშინვე დაჯდებოდა, თუ ეპიფანე ჩაიმუხლებდა, თომა მახლობელ გრილოში გაიშლართებოდა და ხვრინვას ამოუშვებდა. მერე თუნდაც ზარბაზნანი დაგეცალათ, ფეხსაც არ გაიქნევდა და ყურსაც არ გაიბერტყავდა.

— ეპ, შვილო, — ამოიოხრებდა ხოლმე ეპიფანე და გულსაც თან ამოაყოლებდა, — ჩემზე არ მედარდება. სანამ პირში სული მიდგია, ლუქმა პურს როგორმე ვლოღნი და ჩემს მონაგარსაც ვუპატრონებ. მაგრამ როცა თავს გადავკრავ, შენ რა გეშველება?

— მაგაზე ნუ იდარდებ. როცა აღარავინ მეყოლება, ვიმუშაებ კიდეც და ვიცხოვრებ კიდეც.

— ჰო და ჰო! — წამოეშველებოდა დედა, — გაზრდა აღარ უნდა დააცალო მაგ თითის სიგრძე ბაღსა. რა გინდა, გაიმაგროს წელი. შენ რომ გადაგაღრძუა მრწასთან ბრძოლამ, ეგ კი არ გეყოფა. ეს ბაღი მართალია. ვინცა მუშაობს, ისიცა კვდება და ვინც არა მუშაობს — ისიცა.

— რით ვერ გაგიგია, რომ მეც სწორედ ეგ მაწუხებს, დედაკაცო. ძალღონეს დახარჯვა სჭირდება. უმუშევარი მკლავ-მუხლი ჭია-ღუას რად უნდა შევაჭმევინოთ? ისე უნდა გამოვიფიტოთ მუშაობითა, რომ შავ მიწას მარტო ძვლებიდა ჩავაბაროთ.

— უიმე, ეპიფანე, გრისხავდეს მაღალი ღმერთი და თხავ კუთხის სალოცავები! ეს რა ცოდვის სიტყვები გამაგონე. საკუთარი შვილი ესე უღვთოდ როგორ გაიმეტე. მაგასთან სიკვდილს რა ზელი აქვს?!

— შენვე სჭრი და შენვე ჰკერავ. შე დალოცვილი შვილო. — ამოიოხრებდა

ეპიფანე, — ნათქვამია: ასი დედაკაცი ტერის ერთი კურდღელი აიცილებსო. ეს სწორედ შენისთანა დედაკაცებზეა ნათქვამი, თუ ჩვენი შვილი უკვდავი იქნება, მაშინ ხომ უეჭველად დასჭირდება მუშაობა. და თუ ჩვენსავით მოკვდავია, მაშინ — მით უმეტეს. გამოუყენებელი ძალღონე რად უნდა ჩააბაროს მიქელ-გაბრიელს?

— უი, გრისხავდეს მთელი ქვეყნის სალოცავები, შე დაწყევლილო, შენა! — მოჰყვებოდა წყევლა-ქრულვას ეპიფანეს მეუღლე, — არ გერჩია, სული ამოგსვლოდ მაგ სამიწე პირიდან, სანამ ეგ სიტყვები ამოგივიდოდა?! ჯიგარი არა გაქვს, შე უჯიგრო, შენა. ღვიძლი შვილი ასე უნდა გაიმეტო?! მათხოვრად ვივლი და შვილს იმას არ ვეტყვი, თოხი და ბარი აიღე-მეთქი. რა იქნება, ცოტა მეტჯერ გაიქნियो ეგ დასამიწებელი მკლავები და ჩვენ შვილს კი სული არ ამოჰხადო.

— დედაკაცო, სანამ ილაჯი მაქვს, თავს არ დავიშურებ, მაგრამ როცა მარხილივით გადავბრუნდები, — მაშინ რა ეშველება?

— შენ ოღონდ მოახერხე რამე და მე თვითონ მოვუვლი. როგორც გავაჩინე, ისე დავარჩინ. შენსავით უჯიგრო ხომ არა გგონივარ? ვენაცვალე ჩემს ფუნჩულა თომასა... დაიძინე, დედა გენაცვალოს. გასუქდი და გაღონივრდი, მაღნაზისაც გაასწარი, ნიკოსაცა და სიკოსაცა, ვალიკოსაცა და ლევანასაცა, გურგენასაცა და ალიასაცა. ქვეყანაზე რამდენი ნაციაც მოიძებნება, ყველას აჯობე.

— შენ ასე გაავირო და მე ვიცი, როგორც აჯობებს. — ჩაიბურტყუნებდა დამარცხებული ეპიფანე, ნაცემივით გაუღდგებოდა მინდვრის გზას, ჩაღუნავდა თავსა და ხაროვით განავრძობდა მუშაობას.

ერთი ღღეც დადგა. დადგა ის ერთი ღღეც...

ცისკრის უამს წამოიწია ეპიფანემ სამუშაოზე წასასვლელად. წამოიწია,

მაგრამ წელი აღარ აპყვა. იფიქრა, ეს რა დარღუბაა მიდგებაო, ძალ-ღონე მოიკრიბა, ხელახლა წამოიწია, მაგრამ საქმეში ხართ: სახსრები თითქოს განგანზე გაუწევიათ და შუაში ტყვია ჩაუსხამოო.

ცოლმა რომ ქათმებს საკენკი დაუყარა და შიგნით შებრუნდა, ეპოფანე ისევ ლოგინში იბღუნებოდა. გაუქვირდა. თვალს არ დაუჯერა. იფიქრა, ალბათ მეჩვენებო. საწოლს მიუახლოვდა და ნელი ხმით წაუძღერა:

— ე-ბი--ფა-ნეე!..
— ჩემი კირი შენ.

— რაო, კაცო?
— ვკვდები, შე ჩემი ცოდვით სავსეკ.
— ეგ არ გამაგონო, თორემ დავიკივლებ. — გააფრთხილა მეუღლემ.

— გინდა დაიკვილე და გინდა დაფაზურნა დაუკარი. მაგით ველარაფერს მიშველი.

— ისეთი რა უშველებელი გემართება, შე კაი კაცო?

— წელშიც გადაწყვეტილი ვარ და მუხლებიც აღარ მომდევნენ. წუხელვე ვიგრძენი, მაგრამ ვიფიქრე, დაღლილი ვარ და გამივლის-მეთქი. ახლა კი ნათლად ვხედავ, რომ სიკვდილი კარზე მომდგომია. აი, ამ დღისა მეშინოდა. უჩემოდ რა გეშველებათ, თქვე საცოდაებო.

— ჩუმაღ, კაცო ბაღს გაეღვიძება!

— ისე, რომ ანდერძიც აღარ გინდა, მათქმევინო?! მოვიდეს და დაინახოს, რომ სიცოცხლაც არსებობს ქვეყანაზე და სიკვდილიც. რატომ უნდა იფიქროს, რომ ქვეყანა მხოლოდ ჭამასა და ძილზე ჰკიდიაო?

— მაშ, აღარა ხუმრობ, კაცო?

— რა მეხუმრება, შე ოჯახკეტიანი-სა? კაცს არაქათი აღარა მაქვს და წელი ველარ ამიღია.

— ეგ არაფერი, კაცო, დაღლილი იქნები და გადავივლის. ალბათ წელი გელრძო და განა აღიაქოთი უნდა ატეხო.

— რატომ შენ არ გელრძობა ენა მაგ გაუთავებელი ლაქლაქითა. კიდევ წელი

მელრძო და ჯერ არ მოგვედები, ჩემს ოჯახს ლოგინში წოლა დაარჩენს? არ გაგვიგონია, გინდა მკვდარი და გინდა შინმოუსვლელო. რა თავში ვიხლი ასეთ სიცოცხლეს.

— დამშვიდდი, კაცო, ახლავე ექიმს გადმოვიყვან გავმა უბნიდან. თუმცა იქნებ მკითხავმა აჯობოს. თუ მართლა წელში ხარ გადაწყვეტილო, ავი სული დაგარტყამდა. მკითხავ ფეფუსას ჩამოვიყვან, ფთილებს დაახვავს და ყველაფერს ჩამოგიკაკლავს.

— მკითხავთან შენ წადი და შენ აკითხვინე, რომელი ხატისგან ხარ გადარეული. ეგ ბიჭიც მკითხავთან წაიყვანე. მე კი როგორმე შევებრძოლები ჩემს სულთამაშუთავსა. თუ დავჯალთე, ხომ კარგია, თუ დამჯალთა და... ალალი იყოს იმაზე ჩემი სიცოცხლე, ხორცი მაინც არ დავუტოვე მუცლის ჩასახეთქად და ცარიელ ძვლებს რა თავში იხლის, ამასაც დავინახავთ.

ეპოფანეს შუბლს ცივი ოფლის წინწყლები ეყარა. თვალეები გაბლანტებოდა და უცნაური სევდით აესებოდა, ცოლს თავის დღეში არ ენახა ამგვარი ეპოფანე და მთელი სულით შექრწუნდა. მაშინდა გაუბედა თომას:

— თომას!.. ჩემო ბიჭო, გაიღვიძე, დედა გენაცვალოს!.. გაიღვიძე, შენი კირიმე!

— რა გინდა, რატომ თავს არ დამანებებ? — შეიმშუმუნა თომა და გვერდი იცვალა.

— აღეჭი, გენაცვალე. საცაა, მზე ამოვა.

— კარგი დილა ხომ არ გათენდა?.. წაივდეს და გაძღეს მამაჩემი მუშაობით.

— მამა ავად არის, შვილო, და მუშაობა სად შეუძლია?!

— ავად არა, ტოროლა!

— ჰო, შემოგვევლე, ძალიან ავად არის და ექიმთან უნდა გადაიბრინო.

— ექიმი რად უნდა. ცივი ტილო დაადე და მორჩება.

გიორგი ავაუაშვილი
ზვილი



— ჰო, მართლა, კაცო, ცივი ტილო რომ დაგადო, იქნებ ვაგვიაროს მაგ რაღაც ოფლმა?

— ცივი ტილო კი არა, ცხელი შანთი, დედაკაცო, ცხელი შანთი მომიხედება თქვენს ხელებში შემყურესა.

— განა არ ვიცი, ახლა შანთებისთვის გამაგზავნის სადღაც. — აბუზღუნდა თომა და ისევ გვერდი იცვალა.

— ადექი, შვილო, ექიმის მეტი ვერაზინ ველარ უშველის. ამ საცოდავ კაცს ნულა ვავაბრაზებთ.

— ჩვენი ექიმი გუშინ ქალაქში მიდიოდა.

— ვიცი, შვილო, ჩვენი ექიმი ყოველ შაბათ-კვირას ქალაქშია. გაღმა უბნელი ექიმი უნდა გადმოიყვანო.

— გაღმა უბანში ავი ძაღლები არიან, კაცო. — შეიშმუშნა უხალისოდ.

— ბიჭები გაიყოლიე და ისე წადი, შენ გენაცვალე. მე წავიდოდი, მაგრამ ავადმყოფს მარტოკა ხომ არ დავაგდებ?

— ოხ, რა გამიჭირებთ ხოლმე საქმეს. ერთ დღიას აღარ მაძინებთ რიგიანად. წელი ვის არ ასტყეინია, რომ მაშინვე ექიმთან არ გაქცეულია. — ბუზღუნნი განაგრძო თომამ, — როგორც იყო, წამოჯდა საწოლზე, შარვლის ტოტში ჯეხი გაუყარა და გაირინდა. მერე დაამოქნარა და გაიზმორა:

— რა ვჭამო?

— ჯერ წადი და როცა ჩამოხვალ, მაშინ გაჭმევ ყველაფერს.

— რას ამბობ, კაცო, სანამ ჩამოვალ, ხომ მშიერი მოვკვდები?!

— მაშინ უმი კვერცხები გადაყლაპე და ისე გაიქეცი, ჩემო სიცოცხლე!

სანამ თომა ტანზე ჩაუცვამდა, სანამ ხელ-პირს დაიბანდა (თუმცა სხვა დროს ყოველთვის ავიწყებებოდა), სანამ ბუთიოდე უმ კვერცხს გადაყლაპავდა და კიშკარში გაიზლახნებოდა, დედამ წივილ-კივილი ატეხა. თქვენი ჭირი წაიღო ეპიფანემ.

დედის კვილმა ყველაფერს მიახვედნა თომა, საკვირველია, ეწყინა, მაგრამ

თან თითქოს... ბოლოს და ბოლოს მთან წასვლა აღარ დასჭირდა და ცოტა საქმე ხომ არ იყო. ხმაამოუღებლად მიბრუნდა უკან, ერთი დაიყვირა, ვაიმე მაგილოო, მაგრამ, რაკი დედამ ნუგეშისცემა დაუწყო, გული დაიარხებინა და ღირებუე ჩამოჯდა.

იმავე საღამოს დაიწყეს მოსვლა, მოდიოდნენ ბებრები და ქარმაგები, ქუდმოხილილი კაცები და თავსაფრიანი დედაკაცები. ხელს ართმევდნენ თომასა და დედამისს, ჰკოცნიდნენ, ვიშვიშებდნენ, ზოგნი ტიროდნენ კიდევ და თავსა და ფერხითთ უსხდებოდნენ მიცვალებულს.

ოცნაფიანი დახარჯეს დასაფლავებაზე. ორი ცხვარი დაკლეს და ერთი დეკეული. ხორბალი და ბრინჯი ღვთის მადლით ბევრი ჰქონდათ. ისე რომ შილაფლავი და შოთის პური თავზე საყრელადა ჰქონდათ. ერთი სიტყვით, გვარიანი ქელები გადაუხადეს საწყალ ეპიფანეს. მეზობელი სოფლებიდანაც კი მოვიდნენ ნაცნობ-მეგობრები, ნათესავებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

ქელებზე ისეთი სადღეგატელოები ითქვა და ისეთი ქებით შეამყეს თომა, რომ ცამდე აიყვანეს. ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ თომა დედა შრომისმოყვარე და თანაც გამრჯე ვაჟკაციო. მის ცოლობაზე კი სამი ხელმწიფის შეილიც არ იტყვის უარსო.

როგორც კი ეპიფანე დააბინავეს, შევიდოც გადაუხადეს და ჰურჰელიც მირეცხ-მორეცხეს, თომა ისევ ტახტზე წამოგორდა და ღმილით გააბა დედასთან საუბარი:

— დედი, ხომ ვაიგე, რა თქვეს: თომასთან გამრჯე და ლამაზი ვაჟკაცი დედამიწის ზურგზე არ იპოვებაო?

— გვიგე, გენაცვალოს დედა.

— მამაჩემს კიდევ ზარმაცი ვეგონე და მეუბნებოდა, უჩემოდ ვერ იცხოვრებო. ეგე, თუ ვერ ვიცხოვრებ. სუ მე მკოცნიდნენ.

— გკოცნიდნენ კი არა, გისამძიმებდნენ.

— ჰოდა, სულერთი არ არი. მისამძიმებდნენ კიდეც და მკოცნიდნენ კიდეც.

— ყოჩაღად უნდა მოიქცე, ჩემო ვაჟკაცო, რომ სხვამ არ დაგვცინოს.

— დაგვცინოს და დედას ვუტირებ... თუ არა და რამდენიც უნდათ, იმდენი დაგვცინონ. იმათი ლოცვით ხომ არ გაეჩენილვართ, რომ იმათი დაცინვით დავიხოცნეთ?

— განა დავიხოცებით, მაგრამ სირცხვილია, შეილო.

— განა მაგდენიც არ ვიცი, თომ სირცხვილია?... ვიცი და არც არავის დავაცინვინებ... ის კიდეც რა ლამაზი გოგო იყო, თ, ხურჯინიან კაცს რა შემოჰყვა. თვალს თვალში გამიყარა და კედარ მაშორებდა. ძალიან მოვეწონე, როგორც შევატყე.

— უი, ის ხომ ჩვენი ნათლის ძმის-შვილია, ბიჭო?

— ნათლია არა, ბათლია. მე უნდა ვაბოგოვ,

— ვი, ქა, რა ძალიან გულზე შემოვგარდნია?

— შემომივარდა, მაშა სუ აექა ფუტ-ფუტებს. — გულზე ხელი მიიღო თომამ და სიამოვნებით ახითხითდა.

— უყურე ამ ეშმაკს, ეს რაები დამართვია, ქა?! — გაეცინა ჭირისუფალს. — ეგ ესე იყოს, შეილო, მაგრამ რით უნდა შევიანახოთ პატარძალი, განა ისეც თავზე გვადგია სოფლის სადარი მაშაშენი?

— იმ კაცებმა ხომ გითხრეს, ყოჩაღიო, შენ ოღონდ დამნიშნე და მაშინა ნახე ჩემი სიყოჩაღე. სუყველას გავავი-ვებ.

— ჯერ სირცხვილია, შეილო. იტყვიან, კაცი მიწაში არ გაციებულა და ბიჭი დანიშნაო.

— ვის რაში ეკითხება ჩემი დანიშნა. მე თუ მიწა, დავანიშნები და თუ მიწა, ორმოზე გადავხტები. ვისი რა საქმეა... არა და სუ გავიქცევი შინიდან. დარჩი და იდარჯე.

— კარგი და ორმოცი მაინც გადავხტა ხალთ.

— ჰო, კარგი. როგორც კი გადავიხდით იმ ორმოცსა, მაშინვე უნდა დამნიშნო. თუ არა და იმ გოგოს მამტაცებენ და იმის ვარდა, სამი ხელმწიფის შვილი რომ მომიყვანონ, ცოლს აღარ ვინდომებ.

როგორც კი ცხონებულ ეპაფანეს ორმოცი გადაუხადეს, მაშინვე ცოლი მოპგვარეს თომას. რაკი მგლოვიარე სახლში ქორწილი არ შეიძლებოდა, უქორწილოდ მოპგვარეს თავისი ნათლის ძმისშვილი აჩქმა; იმის იქით საქალეთს ნუ დამანახებთო და მეტი რაგზა იყო.

ვენახში ისევ თომას დედა დადიოდა ნიურის თოხით. თომა კი ტახტზე წამოგორებულაყო. თუ მოხდებოდა და ცოლი ახლოს გაუვლიდა, ამაყად ეტყოდა:

— ჩემი ცოლი ხარ, განა.

— ჰო, ვიცი, კაცო. — უპასუხებდა წამოჭარხლებული პატარძალი და მოშორებით დაიწყებდა საქმიანობას.

საკლავი როგორღაც გამოიჩინეს ებიფანეს წლისთავისათვის. ღვინოც აღმოაჩნდათ გადანახული, მაგრამ ხორბალი ვერსად იშოვეს. შეებრალათ მეზობლებს: მშრომელ კაცს წესის აუგებლად ხომ არ დაგტოვებთო და თითო ფუთობით შეუტროვეს. თომამ წაიღო წისქვილში.

ერთი დღეც დადგა. დადგა ის ერთი დღეც...

თომა და თავისი მეუღლე მარტონი შემორჩნენ ამ წუთისოფელს. მართალია, მალე შეილიც ეყოლათ და ისეც დასამდნენ, მაგრამ შეილმა ჯერ მუშაობა არ იცოდა და თომას კი მზრუნველი და შემნახველი სჭირდებოდა.

ახალშობილს ებიფანე შეარქვეს: პაპის მუყაითობა დაეხედებო.

დადგებოდა გაზაფხული. თომასა და მის მეუღლეს ხელიკივით წელი გაუთბებოდათ და მყუდროზე გავიღოდნენ.

ვიორჯი აბაუაზვილი
შვილი



— თომა, იქნებ აჯობოს, ცოტაოდენი რომ ძოვნნათ და მოვთესოთ? — ჰკითხავდა მეუღლე.

— რას ამბობ, დედაკაცო, ჰკვიანი კაცი ნახნავეში თესლს გადაჰყრის? ნახევარს ყვავი და კაჭკაჭი აჰყრევს, ნახევარს კი ქარ-სეტყვა გააფუჭებს. აბა, იანგარიშე, რაღა დაგრჩება? წლევანდლისთვისაც დაეკარგო და მომავლისთვისაც, შე კაი ქალო?

— მაშ, მომავალში რაღა ვქამოთ?

— ვინც ღმერთს გაუჩენიაო, ღმერთსვე დაურჩენიაო. თუ ღღემდე შიმშილით არ დავხოცილვართ, არც ღღეის შემდეგ დავიხოცებით. ან კი სად გავფინილა, რომ მამაჩემის შვილი მშვიერი მოკვდეს?!

დადგებოდა ზაფხული. თომა კაკლის ქვეშ გაიტანდა თავის საყვარელ ტახტს, წამოგორდებოდა და ბოლქვას დაიწყებდა:

— ჰოჰო, რა ძალიან დაცხა, კაცო, ეს პატრონდავსილი! ალბათ ესეთ სიცხეზე იტყვიან ხოლმე, კვერცხი შეიწვებაო. ნეტავი ერთი კვერცხი მომცა და მაცდევინა, მართლა შეიწვება თუ არა!

— იქნებ წასულიყავი და შეშა ჩამოგეტანა, თომა, ზამთარში ბალებს შეგვიცივა.

— ნეტავი შენა, რომ მოცლილი ხარ და სიცხე გაჰიკვიკვებს! ამისთანა პაპანაქებაში გარეთ რა გამოყვანს. ორი თავი ხომ არა მაქვს? ერთიც ვნახოთ და სიცხემ დამარტყას თავში, ხომ მთელი ოჯახი დავიღუპებით? ავრილდება და ჩამოვიტან. თუ არა და ეს ისეთი ცხელი ზაფხულია, რომ ზამთარიც თბილი იქნება.

დადგებოდა შემოდგომა. გრძელ ჭაგოს აიღებდა თომა და ცალობით აყრევინებდა მსხალს. ან კაკალს ჩამობერტყავდა. მერე ტახტზე ჩამოჯდებოდა, შეექცეოდა სასუსნავს.

— შენ აგაშენა ღმერთმა, შემოდგომა ხარ თუ რაღაცა. ნეტავი, ვინ ქრისტიანი იყო, შენ რომ გაკურთხა? მსხალი — მწიფე, ყურძენი — მწიფე, ატა-

ში — მწიფე. ნეტავი ვინ ეშმაკმა ედგა მწიფა ყველაფერი ერთნაირად.

— თომა, ამ ზამთარს რომ არც შეშა გვექნება და არც — საჭმელი, რა გვეშველება?

— ნეტავი შენა, რომ მოცლია და არაყუნებ. ვითომ რატომ არ უნდა გვექონდეს? თუკი ლექსოს ექნება, მიხოს ექნება და გიოს ექნება, ჩვენ რაღა დარდუბალა შეგვიდგება? ეგ რომელ კარაბადინში სწერია, რომ თომას შეშა და პური არ ექნებო? ჯერ თვალთ მიჩვენე და მერე ავღვები.

დადგებოდა ზამთარი. სახლის კარს შიგნიდან ჩარახავდა, ჩაჯდებოდა ლოგინში და ანეგლოტებს უყვებოდა თავის ცოლს. სიცივე რომ მაგრად ამოუჭერდა, მაშინდა შეებდავდა ცოლი:

— აღექი, კაცო, ცოტაოდენი შეშა ჩამოათრიე. დავიხოცებით ამ ყინვამი.

— საბანი ამოიგე, დედაკაცო, საბანი. საბნის ამოგება არ იცი და იმიტომა გცივა. აბა, კარებიდან თითი გაყავი, როგორი ამინდია?!

ადგებოდა ცოლი, სახლსაც მიალაგებდა და კარსაც გააღებდა. ოთახში სუსხი შემოიჭრებოდა.

— ოჰოჰო, დამნამქრა, შე ოჯახეკტიანისავ! ახლავე მიჯარე კარი!.. მეუბნება, ტყეში წადიო. ამისთანა ყინვა-ყიამათში ძაღლს არ გაავდებენ და მე უნდა გამიშვან? ერთი სადმე ჩავინამქრები და მოგუამა ჭირი თომამა. განა დედაჩემი კიდევ ცოცხალია, რომ ხელახლა გამაჩინოს?!

— აღექი, კაცო, ბალდი გაიყინება!

— საბნის ქვეშ შემომიძვრინე, შე ოჯახეკტიანისავ! როდის იყო, ბალდი სიცივით კვდებოდა, რომ ახლა მოკვდეს. მე გამიგონია, ბოშები თავიანთ ახალშობილს თოვლში აგორავებენო და ეგ ხომ უკვე მეორე წელშია და თანაც აკვანში წევს. ნეტავი მე ვიწვე მაგ აკვანში და შენ კიდევ ესე გალაკლაკა.

— ყველა ყველას და სულადი რომ აღარ გაგვაჩნია: აღარც დაფქული გვაქვს და აღარც — დასაღუქველი,

ალარც — გამოცხვარი და ალარც —
გამოსაცხობი, მაგაზე რალაც იტყვი?

— ეგ აკვანი აქ მომითრე, შე გადა-
ვარწებ. შენ კიდეც დედაშენთან გადა-
იბზინე და დიდი საქმე არ იქნება, ორი-
ოდე ლიტრა ფქვილს თუ გამოვატანს.

გამწარებული ცოლი აკვანს მაუთრე-
ვდა და თვითონ კი მართლაც მშობლებ-
თან მიდიოდა. იქიდან ორიოდე ლიტრა
ფქვილს აიკიდებდა და ისე დაბრუნდე-
ბოდა.

— გამოდი, კაცო, გამოიხედე! აქამ-
დე ხომ შე მოვითრე და შინ მაინც შეი-
ტანე.

— შე ოჯახაშენებულისავე, თუ კი აქამ-
დე გადმოიტანე, შინ ველარ შემოი-
ტან? პატიოსნად ჩათბუნებული ვარ და
ხელ-ფეხი უნდა გამიყინო? შენ იცი,
რაც შენ წახვედი, ძილი და მოსვენება
არა მქონია.

— ჰოო, იწუნაე ბალღას მოვლა?

— ვიწვინე და მეტიც იყო. დედაკაცი
კი არა, ღომი ყოფილხარ, ჩემმა მშემ.
ფქვილი კი მოიტანე, მაგრამ ფქვილს
ხომ გამოცხობა სჭირდებოდა:

— შეშა რომ არა გვაქვს, რით გამო-
ვაცხობ, კაცო?

— მიდექ-მოდექი და იშოვნი რამეს.
შეშის შოვნას რა უნდა, შე კაი ქალო.

— სად უნდა ვიშოვნო, შე მართლა
გასაშეშებლო და დარღუბალა ასატე-
ხო!

— მართლა და მართლა უნდა გამაზ-
რაზო, შე ოჯახკეთიანისავე?! გაყავი ხე-
ლი და მეზობლის ღობეს გამოამტკრიე
სადმე ყველაფერი მე როგორ უნდა
გასწავლო?! ღობის კუნძებს უფრო კა-
რგად ეკიდება, ვიდრე ტყიდან ჩამოთ-
რულ გაქოლილ შეშას.

— მართლაც გამოამტკრევედა ცოლი
მეზობლის ღობეს, გააჩადებდა ბუნარს,
გაახურებდა კეცებსა და პურის ცხობას
შეუდგებოდა.

— უფ-უფ, რა გემრიელად დამიარა
სითბომ ამ დალოცვილმა. კაცი ისა ყო-
ფილა, ვინც ცეცხლი გამოიგონა და
პურის ჩაკერა გვასწავლა. პირველად

რომ გამოცხვება, ჩემი იყოს და ღონა-
ჩენში არ შეგეცილებით. ხომ იცი, რომ
მოცდა არ შემიძილა.

მეორედ რომ გაუთავდებოდათ ფქვი-
ლი, ცოლისძმასთან გაგზანვიდა დედა-
კაცს, მესამედ — ცოლისდასთან, მეო-
თხედ — იმ თავის ნათლიასთან და ამა-
სობაში გაზაფხულიც დადგებოდა. ეზო-
ში კინჭარი, მხალი და ღოღო ამოიწვე-
რებოდა, ჰკრეფდნენ და ჰხარშავდნენ
ძლომისად.

— შენ ავამენოს ღმერთმა, ღოღოს
მომგონო! ჩვენი წინაპრები ღოღოთი
იზრდებოდნენ და ღონიერები იმიტომ
გამოდდიდნენ. მაშ არა და ქადა-ნახუ-
ქითა და ფუნთუშებით ვაზრდილებსა
ჰკავდნენ. თითო ისეთი ვაჟკაცი იყო,
რუსული ცხენის ნალს აეკრე ვაჰკრავდ-
ნენ სოლმე ხელსა და გაასწორებდნენ.

ის იყო, კოლმეურნეობაც ჩამოყალი-
ბდა. მეზობლებმა უთხრეს, შენც ჩვენ-
თან გამოდი და იმუშავეო. რასაც კირ-
ნახულს ავიღებთ, თანაბრად გავიყოფთ
და ვიცხოვრებთო.

— ნწუ, არაა!.. თქვენ რალაცას მატ-
ყუებთ. კოლექტივიც თქვენი იყოს და
კირნახულიც. იმისი არც მოტანილი მი-
ნდა და არც — წალღებული. მე თუ მუ-
შაობა მეხალისება, მამაჩემის ვენახშიც
ბევრი საბარია.

არაო და მისცეს პირიპირს და ვის-
თანაც უნდა მივიდეს, არავინ გავიკით-
ხოთო. შემწე რომ აღარავინ ეყოლება,
ყურებს გამოიქეჭავსო.

ერთი გაზაფხული კიდეც გაატარა,
როგორც იყო. მერე შემოდგომა და ისევ
დასაშორდა.

— ადექი, კაცო, ხომ ხედავ. შენი ჯიბ-
რით მეზობლები აღარა ღობავენ და
ალარც ფქვილს გვაძლევს ვინმე.

— ერთ სოფელს რომ კაცის შენახვა
გაუძნელდება, იმ სოფელზე რა გულა
უნდა გქონდეს?!

— ბაღლმა ძლივს აიღვა ფეხი და

ვიორკი კაპაზაზილი
შანილი

ზომ არ ვინდა, რომ დავაკუტოთ. ადგილი, შეშა ჩამოიტანე! — ვაკაპასდა თომას მეუღლე და თავის მართლებს ნება აღარ მისცა.

— მოიცა, დედაკაცო, მოიცა. განა მართლა ისეთი წელანგარადა ვარ, როგორც სხვებსა ვგონივარ. ერთი გზა შეშა რა არის და იმისი ჩამოტანა რა უნდა იყოს. ბალობაში მამაჩემს ტყეში დავყვებოდი ხოლმე, წავაღ და იმ ტყიდან ჩამოვიტან. შენ მარტო ილაპარაკებ და წალდი მომინახე და ჯანჯანაზე წაიხე.

თოკი იქვე ეგდო. ამ თოკის აკვანს დაიგრძელებდა ხოლმე გადასარწვევად, როცა დედაკაცი საშოვარზე მიდიოდა. მაგრამ წალდი ვეღარსად იპოვეს. ბოლოს ისევ მეზობლებმა აიხოვეს: იქნება კარგი წელიწადი დაგვიდგეს, თუკი თომას ტყეში წასვლას ვაბედავსო.

და როგორ ვგონიათ, არ წავიდა ტყეში? და ძალიან შორსაც წავიდა, რატომ? აი, რატომ: ერთ ხესთან რომ მივიდა, ჯიბიდან ხელების ამოღება დაეზარა და იფიქრა, ცოტა იქით წავდგებოთ. მეორე ხესთანაც დაეზარა, მესამესთანაც, მეხუთესთანაც, მეათესთანაც და ამასობაში პირიქით გადავიდა. იქაც გაუყვა ხეებს და სხვა სოფლის ტყეში შევიდა. როგორც იყო, გაბედა ჯიბიდან ხელების ამოღება, კარგად დაიორთქლა და ერთ მომცრო ხეს ჩაარტყა წალდი. კიდევ დაიორთქლა და კიდევ ჩაარტყა. კიდევ და კიდევ. რამდენჯერაც ჩაარტყა, იმდენჯერ დაიორთქლა. ამასობაში არა თუ გაუხურდა ხელები, დააზრა კიდევ.

— ეს რა ძნელი ყოფილა ტყეში წასვლა, ეს ოჯახკეთიანისა! — ამოიხენწემა თომამ, ხელები ილღიებში ამოიღო და წიფლის ძირას მიჯდა დასასვენებლად.

„აეხე უნდა იჯდეს კაცი და შეშა კიდევ თვითონ იპრებოდეს, — იფიქრა თომამ, — თუ კი იმ ღმერთმა ყველაფერი კარგად გამოიგონა, ის რაღად

დაიზარა, რომ შეშა, პური ღამისათვის თავისთავად მიეტანა სახლებში, თომასთვის ტყეში წასვლა ძალიან საქნელოა და ღმერთისთვის კი მარტო ერთი ამოსუნთქვა იყო, იტყოდა, გაჩნდეს თომას სახლში ამდენი და ამდენი შეშაო და მაშინვე გაჩნდებოდა. განა უეჭველია, ყველამ იმუშაოს, ზოგს ეხალისება კიდევ ეპიფანესავით, თომასწარიებს კი თვითონ უნდა მისდიოდეთ ყველაფერი“

ამასობაში ჩაეძინა კიდევ თომას. ისე ღრმად ჩაეძინა, რომ უშუღამემდე ვეღარ გაეღვიძა. გაეღვიძა და აღლო ვეღარ აიღო, საღ იყო და საღ — არა. ეს კია ხელები და ფეხები უყუოდს და ყურებიც უხურდა ყურებზე ხელის მოსმა ეწადა, მაგრამ ხელები აღარ ემორჩილებოდა. სციოდა კიდევ და სცხელოდა კიდევ. ასეთი რამ სიზმარშიც არ დამართებია. თომამ იფიქრა, ნამდვილად გვედებოთ, და სიკვდილს მიენებდა.

მეორე დილას იმათმა სოფლელებმა მიაგნეს. მარხილზე დააკრეს და შინ ჩამოიყვანეს ცოცხალ-მკვდარი.

გონს რომ მოვიდა, ექიმი დასტრიალებდა თავზე. ყურები საშინლად ექივებოდა, მაგრამ ხელი ვერ ვაატოკა.

— რა მომდის, დედაკაცო? — გუშინდელი ტყეში წასვლა სიზმარი ეგონს თომას.

— ჯანდაბა შენა და ღოზანა! — შეუკურთხა დედაკაცმა, — რატომ ტყის მაგივრად მოუსაგლეთში არ წახვედი და მამაშენის კვალს არ გამოუდგეი!.. ხელფეხიანი ღმერთს არ ექენი და უხელფეხო როგორღა შეგინახო?!

— არ მოჰკლა, დედი! — დალიკლიკა პატარა ეპიფანემ და ყველანი გააციანა.

— აკი ვითხარი, ეპიფანე შემინახეს-მეთქი, შე ოჯახკეთიანისავ, რად გამაგდე ტყეში! — აყვირდა თომა და ამან უფრო გააციანა დამსწრე ხალხი.



ვეღრეპა

გამიმეორე, გამიმეორე,
 კიდევ როდისმე გამიმეორე...
 როცა ქედებზე გადაივლის სინათლის წელი,
 მთელად აქციე ჩემი სულის და ხორცის წილი;
 ო, კიდევ ერთხელ მომეცი ხელი,
 ო, კიდევ ერთხელ მაკმარე ძილი.
 ჟინი მომმადლე წვის და ბრძოლისა,
 სასიყვარულოდ ამივსე ჯამი.
 მახორიალე სითეთრეში შენი თოვლისა,
 მახილე შენი ვარსკვლავების წკრიალი ღამით.
 კიდევ მამყოფე მწყემსად, მეურჩეოდ,
 შენი დღისა და ღამის მეურვედ...
 გამიმეორე, ღვთაებრივო, გამიმეორე,
 კიდევ როდისმე გამიმეორე.

ვინ მიახატა სავსე მთვარე შენს ძალად კედელს,
 ვინ გადაქარგა შენი ბალი
 ჭრელი სიწმირებით...

წამოიმართა ჩემი შუადდე,
 ვით უშკაცრესი გარდუვალობა
 და ხვევებისკენ გადამხანდა,
 საითაც მალე დავექანები.
 შენ კი მეძახი პირველ კვირტებთან,
 აფერადებულ დღესთან მეძახი;
 შენ კი მოხსენი ზარებს დუმილი
 და მორჩევებში დამატრიალე.
 ისევ გაგბავშვდი —
 ლომისის ქედზე
 ოცნების ღრუბლებს მოვერგებდი .

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ისევ აცივდა, ისევ გაწვიმდა,
 ჩემი დღეები ისევ დამძიმდა,
 დრო მიდის,
 მაგრამ გულით რაც მინდა,

ვერ გეუბნები. ვერ გეუბნები...
 აწვიმს მახათას,
 აწვიმს მთაწმინდას,
 მიდი-მოდიან რუსი ღრუბლები.

სოტირიოს პეტრულასს

სოტირი, ჩემო ძვირფასო სოტირი.
შენ საბერძნეთის ალვად შლილი ხარ,
დიდებულ ბერძენთა შვილი ხარ,
სოტირი.

დიად წინაპართა შვილი ხარ,
სოტირი,
ეგ შენი ღია თვალები,
განთიადს უყურებს,
ისინი აანთებენ უკუნეთს,
რომელსაც ვწყევლით და დავტირით,
სოტირი.

ისინი მოიტანენ სიკეთეს,
თავისუფლებას და სინათლეს,
რომელსაც ამდენხანს ველოდით,
რომელიც ამდენხანს ვინატრეთ.
დაე, იყვავილოს მიწამაც,
ხეებზე გავიდეს სიმწვანე,
წალკოტში ფერხთით რომ გვედება,
იცეკვონ ამაყმა დედებმა,
პატარძლებს მორთულებს ცისფერად
წამოცდეთ წარსულის სიმღერა, —
გადავიწყებული სიმღერა,
სოტირი!

გმირობის მაგალითი ხარ,
ბერძნული მარგალიტი ხარ,
შენ ხომ ჩვენს გულებში ათენებ,
ქარმა მოგატარა ქუჩები ათენის,
მაინც რა ამაყად ცეკვავდი,
სიკვდილს გულში დაეც, შიგ გულში ეკალი,
და სიკვდილს შეშურდა თქვენი სიჭაბუკე,
შენი და შენთა ძმათა სიჩაუქე,
შენ ხომ საბერძნეთის იყავი მდინარე,
ათენის ქუჩებში ბობოქრად მდინარე
და ვისაც წყურვილის ასრჩობდა ალი,
საკუთარ ხელებით შეასვი წყალი,
თავისუფლების უკვდავი წყალი.

სოტირი, ჩემო ძვირფასო, ძვირფასო სოტირი.
წავიდა ჩვენი იმედები,
გაზაფხულს დავტირი
და ველარ ვიკავებ წამომსკდარ ცრემლებს,
და ქარიშხალის ტალღები მცემენ,

ქარიშხალს უნდოდა ჩაეხშო მართალი ხმები,
 ქარიშხალს უნდოდა მოეშთო ამაყი ძმები
 და თუმცა ცივია საავდრო ღრუბლები,
 გვეწამდეს გაზაფხულებს კვლავ დავუბრუნდებით
 და მზე გაათბობს წამებულ გულებს,
 იმ მზეს გაუმარჯოს, იმ გაზაფხულებს,
 მზე იგი ჩაწვდება შენს ძვირფას საფლავს
 და ბასტიონების წყებას აღმართავს.

სოჭირი, ჩემო ძამიკო, სოჭირი,
 მშობელი მიწა სისხლში დაცურავს —
 მე ვამბობ მშფოთვარე სამდურავს,
 მაგრამ მე მესმის შენი ნაბიჯები
 და მჯერა — მტერი მეტს ვერ გაირჯება,
 მეტს ვერ მოგფრევა, მეტს ვერ იქარბუქებს
 და მშობელ მიწაზე დახვალ სიჭაბუკედ,
 ამაყ სიჭაბუკედ, სოჭირი.
 და შენი შიში აქვს
 ჯალათს და უკუნეთს,
 და მაგ სიჭაბუკეს მიზანში უყურებს:
 „ეგებ მოვარტყაო, ეგებ დავძლიოთ, ეგება“..
 მაგრამ მიზანს აცდენს
 და ბოლმით საკუთარ მახვილზე ეგება,
 სოჭირი!

თარგმანა ნაზი კილასონიაჲ



უუკი უოჩათის

აქ შრიალებდა ხის ჯიში ძელქვა,
და ნანათით ხელში ქალაქის ბაღში
მე დიდხანს, დიდხანს აკაკის ძეგლთან
გარინდებული ვიდგე ბავშვი.

და მედიდურად ყელს ვიდერებდი,
მოგონებები ნეტავ სულ იყოს!
რა აღტაცებით წავიმღერებდი
სევდის გამჭარველ, ჩემთვის „სულიკოს“.

ვიმასხოვრებდი გავონილს, ნახულს,
ფიქრში წასული სახლს ვერ ვავნებდი,
ღმერთკაცის ძეგლთან ყოველ გაზაფხულს
ცისფერ ყვავილებს მიმოვაბნევი.

მე ვერ ვშველოდი მაშინ ვერაფერს,
ვიყავი ეგზომ გულდაისრული,
როცა ვხედავდი ბაღებს, ვენახებს
არბევდა ქარი ქუთაისური.

მიკვირს მთელი დღე მოუსვენარი,
პატარა ბიჭი დავდევდი ღალღებს,
შევერეოდი, როგორც მერანი,
აქაფებული რიონის ტალღებს.

შემომანათა შუქმა შორეთის,
აფორიქდა წარსული მყისვე,
ქანდაკებასთან დიდი პოეტის
სათაყვანებლად მოესულვარ ისევ.



გზა, საუკუნე!

ვლადიმერ მაიაკოვსკის

მეძახი,
ბრძანებ,
მოითხოვ, —
(მესმის!)
ხარაჩოების
მხრებზე შემდგარი...
შენია გული,
შემართება,
სიცოცხლე,
ლექსი, —
აი, საბუთი სიყვარულის
ჩემი შენდამი.
მამულო,
ცაზე შინდისფერი
მზე რომ ანთია, —
ეს ნიშნავს:
ქვეყნად ერთგულების
ჩემი ყურე მაქვს...
917-ში
ნევით მოსულ ხომალდს —
განთიადს
შემოჰყოლია
ეს დღეები მეზღვაურებად.
აფარდეს ალი, —
ვაქანების ცეცხლი მედება
და ყოველი დღე
სალუტს იძლევა;
გზა, საუკუნე! —
ჩვენს პარტიულ შემოქმედებას —
კაცობრიობის
სურვილების გამოღვიძებას!



ს ა რ მ ე ნ ი

ავლანური ჰიქაიათები

მარსკვლავთმრიცხველის გამოთვლა

ერთხელ ფადიშაჰმა ჰკითხა ვარსკვლავთმრიცხველს:

— კიდევ რამდენ წელს უნდა ვიცოცხლო?
ვარსკვლავთმრიცხველი დაფიქრდა და უპასუხა:

— ათი წელია დაგრჩა ამ ქვეყნად ყოფნისა.

ფადიშაჰმა დაიჭერა და მწუხარებისაგან ლოცვით ჩავარდა.

როგორც კი ფადიშაჰის აჯამყოფობის მიზეზი გაიგო, ვეზირმა სასახლეში დაიბარა ვარსკვლავთმრიცხველი და ჰკითხა:

— ვარსკვლავთმრიცხველო, როგორ გვანია, კიდევ რამდენ წელს უნდა იცოცხლო?

ვარსკვლავთმრიცხველმა დიდხანს უცქირა ცას, რაღაც გამოითვალა, მოისაზრა და თქვა:

— კიდევ ოცი წელი მაქვს დარჩენილი.

— ახლავე მოჰკეთეთ თაფი! — ბრძანა ვეზირმა.

ვარსკვლავთმრიცხველს თაფი მოჰკეთეთ. დაინახა რა ეს ფადიშაჰმა. მასწინვე გამოაჯანმრთელდა.

ხეპრე და დედაბერი

ბაზრის ხეაურში ვიღაც ხეპრემ დედაბერს უყვირა:

— შენ, ეი, ვირის დედავ, გზიდან ჩამოშვებულ!

დედაბერმა მორჩილად დაუქნია თაფი და უპასუხა:

— მივიღივარ, ჩემო შეილო, მივიღივარ!

დედაბერი და შეპარდენი

ერთ კაცს შევარდენი ჰყავდა. ზატრონს ეს ამაყი ფრინველი ისე უყვარდა, მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა.

ერთხელ შევარდენი შეცდომით ერთი დედაბრის სახლში შეფრინდა.

დედაბერმა რა თვალი ჰკიდა ლამაზ ფრინველს, ფრიალ გაიხარა. დაიჭირა, მავიდის ფეხზე მიიბა და წინ უამრავი სორბალი დაუყარა.

მთელი დღე გავიდა და შევარდენმა საკენეს პირი არ დააკარა.

„ალბათ იმიტომ ვერა სკამს. რომ ნისკარტი მოხრილი აქვს... თუ არ მოეკერი, შიმშილით მომიკვდება.“ — გაიფიქრა დედაბერმა და ნისკარტი მოსჭრა.

მეორე დღეს შეხედა ფრინველს და მისი ცოდვით დაიწვა:

„რამოდენა კლანჭები გაზრდია, ნამდვილად მაგის მიზეზია, რომ ვერ დადის. უეკველად უნდა დავუშოვლო.“ — მოისაზრა დედაბერმა და კლანჭები დაჭრა.

რამდენიმე დღის შემდეგ დედაბერთან შევარდენის ზატრონი მოვიდა. რა თავისი საყვარელი ფრინველი ამ დღეში ნახა, დიდად დამწუხრდა.

დამახინჯებული შევარდენი აიყვანა, შინ მიიყვანა, შეიღებს უჩვენა და ასე მიმართა:

— თუ ოდესმე რომელიმე თქვენგანი იქ მოხვდება, სადაც მისი ფასი არ ეცოდინებათ, იგივე მოუფა, რაც ამ შევარდენს დემართა.

ავადმყოფი მწარალი

მოვიდა კაცი მწერალთან და სთხოვა წერილი დაეწერა.

— არ შემოძლია, ფეხი მტკივა.

— რა შუაშია ფეხი, მე ხომ შენ არსად გვხვნი?

— ე, ჩემო ძმაო! ვისაც კი წერილი მიეწერე, ყველამ ისევ მე დამიბარა წასაკითხად, რათა როგორმე გაეგოთ შიგ რა ეწერა.

მამა, ზვილი და ძველი ძილა

ერთხელ ბიჭმა წყლიან ქილაში ჩაიხედა და შიგ თავისი ლანდი დაინახა.

ბიჭმა ენა გამოუყო.

ლანდმაც გამოუყო ენა.

ბიჭმა თაფი გაიქნია.

ლანდმაც გაიქნია თაფი.

ბიჭს შეეშინდა, გაიქცა და ეს ამბავი მამამ უამბო.

მამამ არ დაუჭერა. მერე მივიდა და თავადაც ჩაიხედა ქილაში. ჩაიხედა და დიდად გაოცდა, როდესაც იქიდან წვერიანმა კაცმა ამოხსნა.

მაშინ სტატა მამამ ქილას ხელი, ასწია და მიწას დახატა!

ქილას ნატეხები ირგვლივ გაიშალა.
— ეგრე გინდა შენა! — თქვა მამამ — ამოდენა წვერის პატრონი ცელქობას მაინც არ იშლი და ბალღებს აშინებ.

ორი ზარმაცნი

ოღესღაც ორი ზარმაცი ცხოვრობდა. ისეთი ზარმაცები იყვნენ, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ოთხსაც არ განაძრევდნენ.

ერთმა ბრძენმა გადასწყვიტა, მათთვის ჰქუთა ესწავლებინა. ადგა და ბეღელი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ცეცხლს მისცა.

როცა ალი ცას მისწვდა, მაშინ ერთმა ზარმაცმა ძლივს გასაგონად წაიკნა:

— ვიწვი-ი-ით!
მეორე ზარმაცი ვაივაგლასით გადმობრუნდა გვერდზე და ჩუმად სთხოვა:

— შენს ვახარებას, მეზობელო, თუ კაცო ხარ, ჩემ მავიერადაც დაიყვირე „ვიწვით“.

პატირათიანი

ერთ კაცს გზაზე ფეხში ლურსმანი შეერქო. სისხლი შადრევანივით სცემდა.

კაცმა დახედა ჭრილობას და დიდად გაიხარა: — დიდება ალამს, რომ ფეხშიშველი ვიყავი, თორემ კაი დღეს არ დააყრიდა ეს ლურსმანი ფეხსაცემელს!

უცნაური კითხვა

ერთი კაცი მოლასთან მივიდა და სთხოვა: — ო, მოლაე! ილიცე და ყოვლის შემქმნე ალამს შესთხოვე, რათა მან მე შვილი შემშინოს.

— მერე, გყავს ცოლი?
— რა უცნაურ კითხვას მაძლევ, მოლაე! ცოლი რომ მყოლოდა, განა მაშინ მავის სათხოვნელად შენთან მოვიდოდი?

ორთავა მთა და ილიმის მთა

ორივე ვეება მთაა ბუნირში. ერთს ორთავას უწოდებენ, მეორეს ილიმს.

ამ მთების მცხოვრებნი ილითგანვე დავობენ, ვინც მთა უფრო მაღალია. ილიმელებს რომ ვინმემ შეჰბედლოს: თქვენი მთა ორთავაზე დაბალიაო, ცოცხალი ვეღარ გაუაურჩება.

ერთხელ ორთავა მთის ძირა სოფელში ინდოელმა მწირმა შეიარა.

იქაური ამბავი რა მოისმინა, უთხრა მათ: — გინდათ ილიმის მთა თქვენთან გადმოიტანა?

— გვინდა და ეგრე! — იყვირეს გახარებულემა.

— მალიან კარგი. მხოლოდ ერთი პირობათ: სამ თვეს უნდა მკვებობთ კარგის უკეთესი სასმელ-საჭმელთა. ყაბულსა ხარო?

— ყაბულსა ვართ! — კიდევ უფრო გამხიარულდნენ ორთაველები.

სამმა თვემ განვლო. მწირი მომაგრდა, გასუქდა და კარგადაც დაიხსენა.

მთის ვადმოტანის დღე რომ დადგა, მოელმა სოფელმა ილიმისკენ გასწია მწირთან ერთად.

მთის ძირას რომ მივიდა, მწირი წაიკუზა და სოფლელებს უყვირა:

— რა ცხერის ფარასავით დგახართ და შემომყურებთ?! ვაიქეთი და მეორე მხრიდან მოაწიქით! ერთი ზურგზე მოვდებამი მომეხმარეთ და მერე მე ვიცი!

შემოუბრძინეს სოფლელებმა მთას და რაც ძალ-ღონე ჰქონდათ მიაწვენენ მხრებით.

ბევრი იჭიუნენ, მაგრამ რა ეერას ვახდნენ, მწირთანვე მობრუნდნენ პაიკაწყვეტილი და აცნობეს: არა გამოდის ჩათ.

მწირი წელში გასწორდა და გაიკვირა:

— თუ ამ მთას ზურგზე არ წამოამოვდებო, მაშინ თქვენთან რანაირადლა გადმოვიტან? — თქვა ესა და თავის გზას გაუდგა.

„პაპადმეოფი“ ჟურლი

ერთ ღამეს ქურდმა ერთი მდიდრის სახლის ქვეშ ზერელი გათხარა, შეძერა შიგა და რაცია რამ ხელი მოხვდა, მოხვეტა.

ის იყო, უკანვე ძერებოდა, რომ პატრონმა ფეხში ხელი სტაცა.

— ვაი! — ცივი ხმით იკვლა ქურდმა, — მაგ ფეხს ნუ მიჭერ, ეგ ფეხი მტკია!

პატრონი დაიბნა და ფეხს ხელი უშვა. ქურდმა დრო იხელთა და მოუსტა.

ორი მგზავრი

ერთი კაცი გზაზე მიდიოდა და უკან მიმოკოლი მგზავრის ძახილზე უურსაც არ იბარტყუნებდა.

დიდხანს მიდიოდნენ ეგრე. ბოლოს მოსწყინდა ძახილი უკანას და შეკვირა:

— ჰეი, ძია-კაცო, ნახე რამდენი ფული ყრია! წინა მგზავრი ელვის უმაღლ შემოტრიალდა.

— სადა? სად ყრია ფული?
— აქამდე რატომ არ მობრუნდი, მე ხომ შენ მთელ საათს გეჰახლი?

— ყრუ ვარ და იმიტომ.

— მაშ ახლა როგორღა გაიგონე?

— ეჰ, შველო ჩემო, ეს ოსერი ფული ისეთია, ყრუსაც კი მგლის ყურებს გამოასახამს.

მორცხვი ექიმი

ხალხმა შენიშნა, რომ ერთი ექიმი სასაფლაოზე სიარულისას ხანეს საბურველით იფარავდა.

— რატომ იქცევი ასე? — შეეკითხნენ მას.

— იმ მიცვლებებზე მსოფხევიან, რომელნიც ჩემთან მკურნალობდნენ. — უპასუხა ექიმმა.

ერთი ხის სამი მოსავალი

ერთხელ ფადიშაჰი ამალით ველად მიდიოდა უცებ თვალს ჰკიდა, რომ ერთი გადაღრმავებული ბერკიაც ზეთისხილის ხეს რგავდა.

ფადიშაჰი გაუკვირდა, ახლოს მივიდა და ჰკითხა:

— თუ რაღაცა მოხსუო, რას ჩალობო ამ შუადღის ხეატში? უკვე დროა, რომ დასუენო. შენ კი მინც თავს იკლავ მუშაობით! აღბათ თავად აღამაც არ უწყის, შეესწრებე თუ არა მაგის ნაყოფს.

— ო, ყოვლადძლიერი მზრძანებელი! ამ ქვეყანაზე ოდითგანვე დაწყებული: ერთნი რგავენ, ხოლო მეორენი ნაყოფს ირთვილიან. გარდა ამისა, ვერ იმედი არ დამიკარგავს, რომ ამ ხის ნაყოფს მეც შევესწრები. — ღმილით დაუმატა ბერკიაცმა.

ფადიშაჰს პასუხი მოეწონა და ფულით საესე ქისა უწყალობა.

— აი, ხომ ხედავ? — გაიცინა ბერკიაცმა, — ხემ უკვე დიწყო ნაყოფის გამოღება.

ფადიშაჰს გაეღიმა და ბერკიაცს კიდევ ერთი ქისა უწყალობა.

— ო, დიდებულო ფადიშაჰი ამ ქვეყნად ყველა ხე ნხოლოდ ერთხელ ისხამა ნაყოფს, ჩემი ხისგან კი, ხედავ, უკვე ორჯერ მივიღე ნაყოფი!

კიდევ უფრო მოეწონა ეს ხუმრობა ფადიშაჰს. ბერკიაცს მესამე ქისაც გადაუღო და ამალის მიუბრუნდა:

— ახლა კი უკვე დროა აქედან წავიდეთ, მგობრებო, თორემ ეს ბერკიაცი სულ გამაჰორტრებს!

სამართლიანი ფაკირი

ერთ დუქანში ერთი ფაკირი შევიდა და მედუქნეს რაღაც ჰკითხა.

პასუხის მაგიერ მედუქნემ ფაკირი გალანძლა. გაბრაზდა ფაკირი, წაიძრო სანძალი და მედუქნეს უბღბში დაჰკრა.

გამწარებული მედუქნე პოლიციელთან გაიქცა.

პოლიციელმა დაიბარა ფაკირი და უთხრა:

— როგორ გაბედე და მაწანწალა ფაკირმა შეურაცხყავ დარსებული მედუქნე?

ახლავე წყენის საზღაურად რვა ანა გადაუხადე!

ფაკირს გაეცინა, ამოიღო რუბია და პოლიციელს გაუწოდა.

— თუ ამას შენ სამართლიანად სჭი, მაშინ აქედან რვა ანა მედუქნეს მიეცი და დანარჩენი შენთვის დაიტოვე!

თქვა ფაკირმა და ერთი სანძალი პოლიციელს უთავა შებღბი.

საზრიანი გლახაკი

ერთხელ გლახაკმა მდიდრის ქიშკარზე დააკაუნა:

— ქალბატონი შენ არ გახლავთ! — გამოსძახეს შიგნიდან.

— მე ქალბატონს კი არა, მოწყალებას ვთხოვლობ!.. — შესძახა გარედან გლახაკმა.

მინდღის მაგიერი

ერთ გლეხს წისქვილი თვალითაც არ ენახა. ერთხელ აქლემს ხორბლით საესე ტომარა აჰკიდა და დასაფქვეად წაიღო.

მივიდა წისქვილში, მოხსნა აქლემს ტომარა, აიტანა და ხორბალი ღარში ჩაყარა.

წყალმა საფქვევი უშაღვე შეთანთქა.

გლეხს ყურიც არ გაუპარტყუნებია, იფიქრა: აღბათ ვგრე უნდაო და მერე პირდაპირ მეწისქვილეს მიადგა.

— აბა, მომეცი ახლა ჩემი ფქვილი!

— რომელი ფქვილი? — შეცბა მეწისქვილე, — შენ ჰქვავზე აფრაკად ხომ არა ხარ? თვალი კი მომიკრავს შენი ხორბლისთვის? წადი, ძმაო, სადაც ჰაშიში გიგემნია, იქ გამოფხიზლდი...

დიდად გაოცდა გლეხი, მაგრამ რა უნდა ექნა? ადგა და ისევ თავისი აქლემისაკენ გასწია.

მივიდა და სადღა აქლემი? — ვილაცას მოუპარავს!

დაბოღმინდა საწყალი გლეხი და შინისაკენ ძლივს წალასასდა.

მივიდა თუ არა, შინაურებმა მაშინვე ჰკითხეს:

— ფქვილი რა უყავ?

— ჩვენი ფქვილი წყალმა წაიღო...

— აქლემი სადღა?

— რაკი ფქვილი წყალმა წაიღო, ეტყობა, აქლემი მინდღში აიღეს! — ძლივს ამოღერდა საბარალო მესაფქვევემ.

როგორ ჩამოვხვამთ კაცი ხიდან

ერთხელ მთელ სოფელში ყველაზე მოქნილი კაცი ერთ მაღალ ხეზე ავიდა.

ასვლით კი ავიდა, მაგრამ იქიდან ვეღარაფრით ჩამოვიდა.

იწყო ძახილი მისაშველებლად.

მთელი სოფელი დიდ-პატარიადა იმ ზინ
ქვეშ მოგროვდა.

გამართეს ბეობა- რა ესაშველნათ.
— ხე უნდა მოგვრათ! — თქვა სოფლის ერთ-
მა ბრძენმა.

— ბრძნულია შენი სიტყვა, არაფერი გვეოქ-
მის, — გაიცინა მეორე ბრძენმა, — მაშინ რა-
ღა ექნათ, თუ მოჭრილი ხე ზედ დაეცემა და
იქვე მიაკვლავს?

ყველა გაიჟღადა.
— ეი, ძმობილო! დახუჭე თვალები და პირ-
ღარი გადმონახე — ურჩია ბოლოს ყველაზე
გულადმა.

— არა, უმჯობესია ერთმანეთს მხრებზე და-
ვიდგეთ, მიგწვდეთ და ისე ჩამოვიყვანოთ. —
თქვა ყველაზე ღონიერმა.

— უფრო კარგი იქნება, ამ ხის გვერდით კო-
შეი ავაშენოთ! — მოისაზრა ყველაზე ფრთხი-
ლმა.

— სანამ შენ კოშკს ააშენებ, რით უნდა იკე-
ბოს ეგ კაცი, კენწეროდან დაიწყოს ხის ქაპა?
— დაინტერესდა ყველაზე მჭირდაეა.

ხალხი დიდხანს მსჯელობდა რა ეღონა, მავ-
რამ ვერაფერი ვერ მოიფიქრა.

ბოლოს ამ სოფლის ბრძენთაგან ყველაზე
ღიდი ბრძენი მოვიდა და მათი ბეობა რა მოი-
სინია, დამცინავად გაეღიმა.

— ერთი გრძელი თოკი მომიტანეთ! — გასცა
განკარგულება და დაიძვალა. თოკი მოიტანეს.

— ეი, შენ, ბრძევო! დაიჭი! — ასახა ხეზე
მჯდომსა და თოკის ერთი ბოლო ესროლა.

კაცმა თოკის ბოლო დაიჭირა.
— აბა, ახლა წალზე შეიბი და გამოკვანძე...
გამოკვანძე?

— შეიბი და გამოკვანძე კიდევ, ო ჩემო
მსწლო!

— ახლა ხეს ხელი უშვი!
კაცმა ხეს ხელი უშვა და ყველაზე დიდმა
ბრძენმა მთელი ძაღლით მოსწია თოკი.

ხეზე მჯდომი კაცი მოსწყდა ხეს, მიწაზე მო-
აღინა ხლართანი და ლავაშივით გაბრტყულდა.
ხალხი გაბრაზდა და თავიანთ ბრძენს ლაწა-
ლა დაეწყო:

— ეს რა ჰქენი, კაცი მოჰაილი!

— მე კი არ მოვალ, — უპასუხა ბრძენმა,
— ზეო ქვითია საწვალს ასეთი, თორემ ქოდან
ყოველდღე ხელ ვგრე ვებოძება ხოლმე წყალ-
სავსე ვედროს და ჯერ არც ერთი ვედრო არ ვა-
ბტენია.

ღატაკი და ფაღდისაი

ერთხელ ფაღდისაი ემალოდ და ემსახურე-
ბოდ ქალაქის კიშვარს გამოსცდდა. ხის ქვეშ
მჯდარი ღატაკი დინახა და ჰკითხა:

— ერთი მითხარი, როგორი კაცია
ფაღდისაი?

ღატაკმა უპასუხა:

— ნუ მეკითხები! ის კაცი კი არა, მხეცია!
მაშინ ფაღდისაიმა კვლავ ჰკითხა:

— შენ რა, მე ვერ მცნობ?

— აბა, საიდან უნდა გიცნობდე შენ — უც-
ხოქვეყნულს?

— მე შენი ფაღდისაი ვარ, ბრძევო!
მაშინ ღატაკმა ჰკითხა:

— განა შენ მე არ მიცნობ, ფაღდისაი?
ფაღდისაი დიდად გაუყვირდა ასეთი კითხვა,
მაგრამ მაინც უპასუხა.

— არა, არ გიცნობ.

— მე ერთი ვაჭრის შვილი ვარ და თქემი
სამყერ ვცდები ჰკუთხე. — ველარაფის ველარ
გცნობ ხოლმე. დღეს სწორედ ჩემი ჰკუდიან
შეშლის მესამე დღეა.

ფაღდისაი გაეცინა და აღარაფერი უთქვამს.

მხატვარი — მკურნალი

ერთმა მხატვარმა ექიმობა დაიწყო.
ერთხელ თავისი ძველი ნაცნობი გადაეყარა
და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— რატომ მოხუცი ხელი ექიმობას?
მხატვარმა მიუგო:

მხატვრობაში დაშვებული შეცდომა არ იმა-
ლება. მედიცინაში დაშვებულ ყველა შეცდო-
მას კი მიწა ჰფარავს.

ფაღდისაი და მხედლის ქალიშვილი

ერთხელ ფაღდისაიმა მქედელს ჯავშანი შეუ-
ვეთა.

გამოჰქდა მქედელმა ჯავშანი და ფაღდისაის
მიართვა.

ფაღდისაიმა ჯავშანი ძირს დადო, დაჰკრა სმა-
ლი და შუა გაჰყვოთა.

მაშინ ფაღდისაიმა უთხრა მქედელს:

— თუ მეორედაც ასეთ ჯავშანს მომიტან,
თავს გაგაგდებინებ.

შემინდა მქედელი, დაბრუნდა შინ და ყვე-
ლაფერი ქალიშვილს უამბო.

ქალიშვილმა მამა დაამწყვია.

— გამოჰქედე და ნურაფერი ნუ გეწადუნება.
როცა ჯავშანი უკვე გამოხლდა, თვითონ ჩაი-
ცვა იგი ქალიშვილმა, აიღო სმალი და ფაღდისა-
ისკენ გასწია.

წარუდგა ფაღდისაის, გაუწიდა სმალი და თა-
ხრა:

— აი სმალი და ისეც ჯავშანი. დამკარა და
ისე შეამოწმე ჯავშანს გამოსცდობა.

ფაღდისაის მოქწონი ქალის გამბედაობა და
ეკანზე უცნებელი კისტუმბა.

სამწახმომი მხედისაი

ფადიშაჰი და ვეზირი

ერთხელ ფადიშაჰი და ვეზირი ერთად ისდნენ და ინდისსურმას შეეძვეოდნენ.

უხუცებოდ ჩანდა ვეზირი. აქეთ-იქით იტყვირებოდა და ირგველივ ვერაფერს ვერ ამჩნევდა. ფადიშაჰმა მისი გამასხარავება გადაწყვიტა: ინდისსურმის კურკებს აგროვებდა და ვეზირს წინ უწყობდა.

როცა მთელი ინდისსურმა შეიკაშა, ფადიშაჰმა უთხრა ვეზირს:

— არ ვიცოდი თუ ასეთი ღორმუცელა ვეზირი მყავდა.

ვეზირმა თავის წინ დაგროვილ კურკებს დაპყვედა და გაიღომა:

— მამასაღამე, შენ ინდისსურმას კურკიანად შეეძვეოდი? ახლაც ვუბრძანებ, რომ დაუყოვნებლივ მკურნალს მოუსმონ!

მასპინძლობის საფასური

ერთმა ბრძენმა ვაიგო, რომ მესზობელ ქალაქში დიდად ბურმარლიანი კაცი ცხოვრობდა.

ჩაიკვა ბრძენმა გლახაკურად, გადაიკიდა გლახაკის აბჯა, ჩავიდა იმ ქალაქში და მივიდა მასთან

გამოეგება გულუხვი კაცი, და რა შენიშნა სტუმარს ძველი ტანისამოსი, არც კი შეუბატინია, ისე შებრუნდა უკანვე სახლში.

ბრძენმა თავი მოიქექა და წავიდა.

მეორე დღეს შეიმოსა მდიდრულად და ისევ იმ კაცის სახლს მიადგა.

„ბურმარლიანი“ კვლავ გამოეგება. დიდებულად ჩაიკმული მცოვანი შინ პაცივით შეიწვია, მივაღერსა და მასპინძლობაც კარგი უშენა.

ბრძენს გაეღიმა, ქისიდან ფული ამოიღო და თეფშზე დაუდო.

შეცბუნდა „ბურმარლიანი“ ამის დანახვაზე.

— გლახაკა და უპოვარს ლუკმას არ აჩვენებ, ხოლო სიმდიდრით გახულუქებულს თავად შეუძლია დანახარჯის გადახდა. — უთხრა მასპინძელს ბრძენმა და მისი სახლი უმალ დატოვა.

ჰკვიანი კაკაბი

ერთი კაკაბი ბალახებში იჯდა, მზეზე თბებოდა და თან სიამოვნებისაგან თვალებს ლუღუღებდა.

ამ თბობა-თბობაში ჩაეძინა.

უკანინად მელა მიეპარა და პირი სტაცა.

უმალ გამოერკვა კაკაბი, მაგრამ გვიანდა იყო. მაშინ მიუბრუნდა მელას და უთხრა:

— კი ნადევლი იგდებ ხელთ, მელავ. განა გემრიელი სადილი იმად არა ღირს, რომ ალაშს მადლობა შესწვირო?

მელამ დაასკვნა, რომ კაკაბის სიტყვა სიმართლისგან შორს არ იჯდა.

გაიფიქრა რა ეს, დაიხოქა და ლოცვის აღსვლენად პირი დაადო. ამით კაკაბმა ისარგებლა და გაფრინდა.

არც ისე შორს წასულა; იქვე მახლობელ ხეზე დაჯდა და ბუმბულის სწორება დაიწყო.

უყურა, უყურა ბოღმასაგან გაგუდულმა მელამ და უთხრა:

— ის პირი დამოქდეს, რომელსაც ლუკმა არ უნახავს და ალაშს კი მადლობას სწირავს...

— ის თვალი დაბრმავდეს, რომელიც უდროოდ დროს ჩათვლემს. — უპასუხა კაკაბმა და ჩაიკინა.

თავაზიანი სულელი მტარზე შარამისი

— თ, ალაშ! — კენესოდა ფურდელი. — მთელ ღამეს არ დამძინიათ თ, ალაშ! ისე მტკივა თვალუბი, რომ ვეღარაფერს ვხედავ!

მაშინ მის გვერდით მჯდარმა ახმედმა უთხრა ფურდელს:

— ევ არაფერია, ძმობილო. მე მაგისი უებარი წამალი ვიცი. გუშინ ისე მტკიოდა კბილი, ენა წავრ იტყვის. წავედი ექიმთან და მაშინვე ამოვალეზინე მტკივანი კბილი. გირჩევ შენც წახვიდე ექიმთან. როგორც კი თვალუბს ამოვიღებ, მაშინვე ტყვიელიც ვაგივლის.

ეუშაპი კატა და ჰკვიანი თავგვი

კატას სოროდან თავგვის გამოტყუება უნდოდა და შეპირდა:

— თავუნი, ჰვი, თავუნი! ოღონდ გართე სამი ნახიჯი ვაღმოდგი და ას რუბიას მოგცემ.

— თო, სიმდიდრეც ბლომა და მისკენ მიმავალი გზაც ძალიან მოკლეა მხოლოდ, რამდენადაც ვიცი, ევ გზა ნამეტანი საშიშროებით არი საესე. — გამოსძახა სოროდან თავგვა.

ბრძენი

ერთ პატარა სოფელში ისეთი ჰკვიანი კაცი ცხოვრობდა, საიდან აღარ მოდიოდნენ მასთან რჩევისათვის.

ერთ დღეს ამ სოფელში ძაღლები გაწყდნენ. დამწყხრდნენ სოფელნი და ბრძენთან მივიდნენ.

ბრძენმა მოუსმინა ხალხსა და მხოლოდ ერთი სიტყვა დასცდა პირიდან:

— საბედნიერო!

მეორე დღეს მამლები გაწყდნენ.

დამწყხრდნენ სოფელნი და მივიდნენ ბრძენთან.

ბრძენმა მოუსმინა ხალხსა და მხოლოდ ერთი სიტყვა დასცდა პირიდან:

— საბედნიერო!

შესამე ღამეს კერაზე ცეცხლი ვერ დაანთენ.

დამწებნი სოფლები და მივიდნენ
ბრძენად.

ბრძენა მოუსმინა ხალხსა და მხოლოდ ერ-
თი სიტყვა დასცდა პირიდან:

— საბედნიეროდ!

იწყინა ხალხმა და თავიანთი ბრძენის სიბრძ-
ნეში ეჭვი შეეპარათ.

ამ დამეს კი მოულოდნელად დაეცა იმ მხა-
რის მტერი. ირველივ სოფლები ხანძარს მისცა,
ხოლო ბრძენის სოფელს რა მიეასლა, ფრიად
გაოცდა:

არც ერთი სახლიდან შეუქი არ გამოდის!
არც ერთი ეზოდან ძაღლი არ ჰყვფს!
არც ერთი საქათმიდან მამალი არ ყვივის!
„მეტყობა, აქ არავინ ცხოვრობს.“ — დასკე-
ნა მტერმა და უკან გაბრუნდა.

ახლა კი მიხვდა ხალხი ბრძენის ნათქვამს:
რაც მოხდა, — ყველაფერი მხოლოდ სოფლის
საბედნიეროდ.

ზარმაცნი მსახური

— აჰმედ!

— რას მიბრძანებ, ბატონო?

— აბა, ქუჩაში გაიხედე, წვიმს თუ არა?

— ახლახან დაბრუნდა კატა ქუჩიდან. ხელი
გადაუსვი და თუ ზურგი სველი აქვს, მაშასა-
ღამე, წვიმს.

საზრიანი მოწაფე

— ფურდელ, ისწავლე თუ არა მხოლოებით
და მრავლობითი რიცხვი?

— რა თქმა უნდა, მასწავლებელი.

— აბა, მაშ მითხარო: „შარვალი“ მხოლოდით
რიცხვს ეკუთვნის თუ მრავლობითს?

— შარვალი მაღლა მხოლოდითს ეკუთვნის და
დაბლა მრავლობითს, პატივცემულო მასწავლე-
ბელი.

გაჯავრებული ფურდელი

— ფურდელ, ჰეი, ფურდელ! რატომა სჯამ
ნესეს თესლიანად?

— ამიტომ, რომ ამისთანა გემრიელი ნესვი
აღარასოდეს დაეთსნა.

ბავშვის ცრემლები

მგზავრმა გზის პირას ატირებული ბიჭი დაი-
წახა.

— ვინ გაწყენინა, რა გატირებს, ბიჭიკო? —
ჭიოთხა გამვლელმა.

— არავის არ უწყენინებია. მთელი ჩემი სამ-
ლიდრე — ერთადერთი ანა დამეკარვა.

— ოჰ, ეს არც ისე დიდი უბედურებაა! —
გეციონა გამვლელს. — აბა ერთი ანა და მოიწ-
მინდე ცრემლი.

მგზავრმა გაუწოდა ბიჭს ფული და გზა გა-
ნავრძო.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მოტრიალდა და
ხედავს: ბიჭი სადაც იდგა, იქვე ჩამკდარა და
ცხარე ცრემლად იღვრება.

გამვლელი მობრუნდა და ბავშვთან მივიდა.

— რა დაგეპარათა, ბიჭუნო, შენ სომ ისევ
გაქვს ანა?

ბიჭმა ცოტა ხნით შეაჩერა ტირილი და სლუ-
კუნითა თქვა:

— მე რომ ის ერთი ანა არ დამეკარგოდა, ახ-
ლა უკვე ერთი ანა შექნებოდა!

სიკეთის ნიშანი

ერთმა კაცმა თავის მსახურს უთხრა:

— თუ სადმე ორ ყვავს ერთად დიანახე, მი-
თხარო, თრი ყვავი ერთად სიკეთის ნიშანია.

მსახურმა დაიხსნა ეს და წავიდა ყვავებინ
საძებნელად.

ექვება,

ექვება

და

ბოლოს იპოვნა კიდევ:

მიირბინა ბატონთან და უთხრა:

— ჩქარა გავიქცეთ, ბატონო, როგორც იყო,
ვიპოვე ორი ყვავი.

ბატონს გაუხარდა და გაიქცნენ — ბატონი
წინ და მსახური უკან.

მიირბინეს ყვავებთან და რას ხედავენ: ერთი
კი ზის თავის ადგილზე, მაგრამ მეორე გაურე-
წინა.

გაბრაზდა ბატონი და თავისი მსახური კარგად
მიბეგვა.

დაბრუნდნენ შინ. — ბატონი წინ და მსახური
უკან.

უცებ დიანახეს: ბატონისთვის ძვირფასი ძღვე-
ნი გამოუგზავნიათ.

მაშინ მსახურმა უთხრა ბატონს:

— ესეც შენი სიკეთის ნიშანი! მე ორი ყვა-
ვი დავინახე და საჩუქრად კარგი ბეგვა მივიღე,
შენ მხოლოდ ერთ ყვავს მოჰყარი თვალი და
ძვირფასი ძღვენი კი მოგივიდა. რომელს დუ-
კეროს კაცმა?

ცნობისმოყვარე ბიჭი

მამა-შვილი ასკილის ზუჭთან იდგა.

ბიჭი დიდხანს უყურებდა ასკილს და მერე
ჭკითხა მამას.

— რამდენი ღვე დასჭირდებოდა ალაპს, რომ
ამ ასკილისთვის ყველა ეკლის წვერი გაეღესა?

— ჩემად, სულელო! მან მხოლოდ თქვა:

„იქმენ ვალესილო!“ — და იმავე წუთში ყველა
ეკალი იქნა ვალესილო.



ბიჭები შეხედდა მტრაცხელ გელებს, მოიბუზუნა და კვლავ იკითხა:

— ახლა ვის მითხარ, მამაჩემო: რა რჯილა ალას, რატო გელებს წვერს ჭლესაცდა?

ფადღიშაპი და მემორი

ერთხელ ფადღიშაპთან ვაჭრებმა მშვენიერი ცხენები მოასხეს.

ფადღიშაპს ბედაურები მოეწონა, იყრდა და თივლაში დაბა. ვაჭართ ორასი ათასი რუპია კიდევ მისცა და უბრძანა: ასეთივე მერნები სხვანოც მოერეკათ.

ვაჭართ ფადღიშაპს თაყვანი სცეს და წაიკიდინა. გამოხდა ხანი.

ფადღიშაპმა იხმო ვეზირი და უთხრა: — ეშმაკთა შორის უფშაყესო! ჩემი ქვეყნის ყველა სულელის სხეელს დამიწერე და მომიტანე.

ვეზირს გაეღიმა და უბასუხა:

— ო მბრძანებულო, მე უკვე დავწერე მათი სახელები.

— ასე უცებ?! — გაოცდა ფადღიშაპი, — რომელია მათ შორის პირველი?

— პირველი შენ ხარ, ო მბრძანებულო. გთხოვ, მიაბრძო და შემანდო ეს სიტყვებდე. კიდევ უფრო მეტად გააოცა ფადღიშაპი გაუგონარმა გამბედრობამ და ჰკითხა:

— რატომ ფიქრობ აგრე?

— შენ ვაჭრებს მიეცი ორასი რუპია და გირაოდ კი მრავლად დაიტოვე. მგრეა თუ არა?

— აგრეა.

— და არცკი იცი, ვინ არიან და სადაურნი — აგრეა თუ არა?

— აგრეა.

— ნუთუ ფიქრობ, რომ ისინი შენ ცხენებს მოგვეკრიან?

— რომ მოიყვანონ, მაშინ რას იზამ?

— მაშინ ამოვშლი ამ სიიდან სახელს შენსას, ო მბრძანებულო, და მის ადგილზე იმ ვაჭრების სახელებს ჩავსვამ.

ბრძენი

ერთმა ბრძენმა გზაზე ცხენის ნალი იპოვნა. ვერასგზით გაიგო რა იყო.

იფიქრა,

იფიქრა

და

ბოლოს მიხვდა:

— უპ, ეს ხომ ცილან ჩამოგარდნილი ახალი მთებრეა!

ბრძენი მსახური

ერთმა კაცმა ქალაქში მახვლობთანავე გაიგო, რომ იმ ყოველდღე უნებურად ვინმე უნდა გაქურდონ.

კაცს შეეშინდა მსახურს უბრძანა და მისი ცხენისთვის ეყარაულნა

— კარგი, ბატონო! — დათანხმდა მსახური ბატონმა ერთი საათი წიძინა, მერე გაახილა თვალი და ეკითხება:

— არ გძინავს?

— არა, ბატონო.

— მაინც რაზე ფიქრობ?

— რაზე და იმაზე: რომ ყოველის შემძლე ალამა მთელი ღმრთაობა წყალში ჩადო და მტკიცე იძირება.

— ჩემ ცხენს კარგად უყურე; ანაინ მონიპაროს.

— შენ აჩხენინად დაიძინე, ბატონო, ნუ გეღმობ.

ისევ დაიძინა ბატონმა.

შუღამისას გამოეღვიმა და ეკითხება მსახურს:

— შენ ვი, არ გძინავს?

— არა, ბატონო.

— ისევ ფიქრობ?

— ისევ ვფიქრობ, ბატონო.

— ახლა რაღაზე ფიქრობ?

— რაზე და იმაზე, რომ ამ დღოცეცელმა ალამა ამ ღმრთაობას ცა იგრე როგორ დაჭუტრა თავზე, რომ ქვეშ ერთი ბოძი არ შეუყენა. ისევ დაიძინა ბატონმა.

გათენებისას გაეღვიმა, გაიღიმა და იკითხა:

— ისევა ფიქრობ?

— ისევე. ბატონო.

„აბა, ახლა რაღაზე ფიქრობ?“

— რაზე და იმაზე, რომ ის შენი ცხენი მონიპარეს და ღმრთაობის უნაგარი ახლა რომელმა უნდა ატაროს — მე თუ შენა?!

მოხარხმბული მეთევზე

ერთი მეთევზე ყოველდღე იჭერდა თევზსა და ბაზარში ჰყიდოდა.

ერთხელ ისეთი თევზი დაიჭირა, ჭერაც რომ არაფის ენახა თვლით.

მეთევზემ გადასწყვიტა, თევზი ფადღიშაპისთვის მიერთო.

ფადღიშაპმა რა ნახა თევზი, დიდოდ გაიხარა. მაშინვე ბრძანა მეთევზისთვის ასე რუპია მიეცათ.

ვეზირს არ ეტანოდა ერთ თევზში ამდენი ფულის მიცემა და ფადღიშაპს უბრძანა უჩერჩულა:

— ო მბრძანებულო, ერთ ჰიპოქრიზში ამდენი ოქროს როგორ იძლევი?

ფადღიშაპმა ჩურჩულითვე უბასუხა:

— რა თქმა უნდა, ფული ბევრია, მაგრამ მე ჩემს ბრძანებას ხომ ვერ გადავალ. მაშინ რა ვიქნები ამ კონკრეტულად მეთევზის თვალში?

— ეს არც ისე დიდი უბედურებაა, ო, მბრძანებულო! შენ ჰკითხე მაგას: რა თევზი მოგყვინა, — მამალი თუ დედალი? თუ ეს მამალია,

უბრალოდ, რომ დღედაღამ მოგვიყვანოს, ხოლო თუ დღედაღამ — მაშინ მამალი მოგვეცინოს.

ფადიშაჰს გაუხარდა და მაშინვე ჰკითხა მეთუ-
ვნეს.

მეთუვე აბ ლიბინა, ფადიშაჰს თავიანი სეა
და მოხსენია:

— ამ თევზში ორი სანჯისია, ო მბრძანებუ-
ლი: მღვდრობითი და მამრობითი. — თევზი
ორსქესიანი!

ფადიშაჰს გაეცინა და ბრძანა მეთუვესათვის
ასის ნაცვლად ორასი რუბია მიეცეთ.

შარნიანი ბრმა

ბრმა ლამით ბაზარში მიდიოდა და ერთ ხელ-
ში ფარანი ეჭირა, მეორეში სურა.

ხალხი დასციროდა:

— რაში გვირდება ბრმას ფარანი?

ბრმამ უპასუხა:

— ფარანი მე კი არა, თქვენა გვირდებაო. ახ-
ლა სინდელა, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმე თქვენ-
განი დაიფახოს და სურა გამიტეხოს.

ბეღურა, კაპანათი და მონადირა

ერთხელ ბეღურა კაპანათს გადააწყვდა და
ჰკითხა:

— რა ამბავია, რატომ გაპირდებიან ხალხს
და ქვეყანას?

კაპანათმა უპასუხა:

— ამ მოფარებულ ფეტილს თავს უფრო
მშვილდ გვარძნობ.

— მიწაზე რატომღა განათხებულხარ? — არ
მთუშეა ბეღურა.

— იმიტომ, რომ ამჟამად ახა გარ სიღვიდუ
მიიღოდ ალას შეპურის, — აუხანა კაპანათ-
მა.

— ეგრე ლატაკი რატომღა ხარ? — დანტე-
რესდა ბეღურა.

— იმიტომ, რომ ღმერთს ბეჭის ელოცულობ.

— კისერზე თარი რატომღა გაქვს?

— მწიროსთვის ასეთი ტანსაცმელი სკამპარ-
სია. — შორილად თქვა კაპანათმა.

— ეგ ჯობს ნეტად რისთვისღა გინდა?

— ეს ჯობს ჩემი ყავარჯენია.

— ხორბლის მარცვლები რასთვის გიყავს?

— ჩემი საუხმის ნარჩენებია. ვაიკლის ვინმე
გაპირებულს და თუკი ში, მიფეყდნ სხურ-
დოდ.

— განა ჩემზე გაპირებულს კიდევ რქნება
ქვეყნის კიდულდის? ეგ მე მომეცია — უთხრა
ბეღურამ

— სიამოვნებთ! თლონდ ცურა ახლოს მოი-
წი. უკეთესია, შენა სკამო, ვიდრე სხვა ვინმე
ბეღურა ახლოს მიუსკუბდა, მაგრამ როგორც
კი ხორბლის მარცვლებს ჩაწინსყარტა, კაპანათ-
თი უმაღ ყელში ეცა.

— ახ, შე ბორბოთ! შე ყარადო შე ვაჭყუა-

რავ! ეგრე უღარნად განა სხვა ვინმე მოი-
ცეოდა?

სანამ პასუხად რამეს ეტყოდნენ, მინამღე
მონადირეც გამოჩნდა. გამოჩნდა და კაპანათსაც
უფრო მივრად მოუჭირა საბარლოს.

და გაიფურა ბეღურამ: ხალხს მართალი უთ-
ქვამს: ჟენც სიღრთილით იქცევა, უბედურე-
ბას არ გადაეყრება. თავშეხეულდებულ გამბე-
დაეს კი ბოლოს სინანული მოელის. ახლა რთ-
გორ გავნთავისუფლდეთ?*

ამ დროს მონადირეც მიუახლოვდა და მან
ბეღურამ ასე მიმართა:

— კეთილო კაცო! გთხოვ მომისმინო. მე შე-
მიძლია კარგი რჩევა მოგცე. მეტე შენ რცი,
რაც გინდა მოყავ.

მონადირეს დიდად გაუკვირდა და ნება ლარ-
თო:

— ახა, მათხარბ.

— ხომ იცი, რომ ჩემი ხორცი შენ ვერ გავა-
ძღვებს. თუნდა შემიქამე, მაგრამ თუ გინდა ერ-
თი დიდი სიბრძნე შეიქნო, მაშინ იჩნებ: ერთი
რჩევა შენს ხელზეში ჩამქდარამ მოგცე, მეორე
ამ ხის ფეხებიდან, ხოლო შესამე — ხის კენ-
წერადან.

მონადირე დათანხმდა და ბეღურა გაუშეა.

— თქვი.

— პირველი რჩევა ამგვარი იქნება: სანამ
ცოცხალი ხარ, შენგან ჩადენილს ნურას ინა-
ნებ.

ეს რა უცნაური რჩევაა! — გაიფურა მო-
ნადირემ.

ბეღურა ხის ფეხზე დაუჩინდა და კვლავ
აღაპარაკდა:

— მეორე რჩევა ასეთია: სანამ შენ შენი სა-
კუთარი თვალთა არ ნახავ, ნათქვამს სხვებისას
ნუ დაიჭრებ.

თქვა ეს თუ არა, ბეღურა ახლა ხის კენწერო-
ზე შეიმოჭდა და ჩქიდან ჩამოსცა:

— შენ, ეი, კაცო! მე ჩინებში ორი მარგა-
ლიტი მიქეეს და თითო მთავანი ოცნაქევირი
რუბის ოდენს იჭინის. ეს განძი მარტო შენ კი
არა, მთელ შენს შთაშომავლობას ეყოფოდა მო-
ბქვამამდე. მაგრამ, როგორც ეტყობა, შენი ბე-
დი არ ყოფილა!

მონადირე ამას გამვინე ნწარედ ატირდა და
წაიშინა თავში ხელები. მერე კი უთხრა:

— ჭაწაბას ეგა, რაც იყო — იყო, მესამე
რჩევა რომელია?

— მესამე რჩევა შენ რაღაში გამოგადგება?
ხომ ვერ შესწვლი გესარგებლა მარკელი სართი?
მე შენ გოთხარო: ჩადენილ საქმეს ნუ ინანებ
და ნურც იმას ენდობი, რაც შენი თვალთა არ
გინახავს. მეტიც შენ კი ირწმუნე, რომ მე ჩინა-
ხემი ორი მარგალიტი მედო და თანაც წინათ
ოცნახევირ რუბის ტლოც. რატომ თავში ახ-

რად შინც არ მოგვიღია? ბეშტელთან რამ
შემაგდონ სასწორზე, ათა რუხის წონაც არ
გამოვალ?

თქვა რა ეს ბელურამ, ფრთა-ფრთას შემოჰკ-
რა, ვაფრინდა და ვაოგნებული მონადირე პირ-
ში ჩალაგამოვლებული დატოვა.

საზრიანი სპუდენტი

ერთი სტუდენტი სკოტებს:

— არაბულად რა ჰქვია ხბოს?

სტუდენტი ერთ წუთს ჩაფიქრდა და მერე
უპასუხა:

— იცით რა, არაბულში სიტყვა „ხბო“ არ არ-
სებობს. აი, როცა ვაიზრდება, მაშინ მარხას
ეძახიან.

დედაბერი და ჰკვიანი ქალი

ორმა კაცმა თავიანთი ქონება ერთ დედაბერს
მიიბარა და უთხრა:

— ამ ქონებას ვაუფრობილდი, ბებო. წადე-
ნისას ერთად მოვალთ და ერთადვე წავიღებთ.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთი იმ კაცთაგანი
მოვიდა დედაბერთან და თქვა:

— ჩემი ამხანაგი მოკვდა და მთელი ქონება
მე მომეცო.

დედაბერი დაიბნა. ბევრი იფიქრა. ვერაფერი
ვერ მოიფიქრა. აღვა და მისცა ქონება.

ორი დღის შემდეგ მეორე ამხანაგი მოვიდა
და თავისი წილი ქონება მოითხოვა.

— შენი ამხანაგი მოვიდა და თქვა, რომ შენ
მოჰკვდი. მთელი ქონება იმან წაიღო. — უთხ-
რა დედაბერმა.

კაცი გაჯავრდა და დედაბერი ყალბად წაიყუ-
და.

ყალი მცირე ხანს დაფიქრდა, დედაბერი უდა-
ნაშალოდ სცნო და იმ კაცს განუცხადა:

— თქვენ შეთანხმდით, რომ ერთად მოხე-
დოდით ამ ბებერთან და ორივე ერთად წაიღე-
ბდით თქვენს ქონებას. მაშასადამე, უნდა ახლა
ამხანაგი მოიყვანო და ისე წაიღო ამისაგან შე-
ნი ქონება. უიშისოდ ეს დედაბერი ნემსის ოდე-
ნასაც ვერას გაგატანს. პირობა — პირობაა და
იგი ყოველგვარ ქონებაზე ძვირფასია.

ამაზე იმ კაცმა ველარაფერი უპასუხა, აღვა
და გამტკნარებული თავის გზას გაუღვა.

სამი ყალბათბანდი

ერთი ყალბათბანდი სორასნიდან ინდოეთს
გაემგზავრა, რათა ახლა იქ ეცადნა თავისი ხე-
ლობა.

ამავე დროს ინდოეთიდან სორასნის ასეთივე
განზრახვით ორი ყალბათბანდი წამოვიდა.

ათეჟამი შეხედნენ ერთმანეთს მოულოდნე-
ლად, ტყბიულოებით მოეპირის სახლში.

სორასნელი ყალბათბანდი ეკითხება:

— საით ამგზავრებულხართ, ძმანო?

— სორასნის მივიღივართ საყალბათბანდოდ—
უპასუხეს მათ.

სორასნელმა განზრახვა მოუწონა.

ახლა ინდოელები დაინტერესდნენ, სად მიდი-
ოდა სორასნელი და რატომ.

გიაგეს რა საყალბათბანდოდ ინდოეთს მიმა-
ვლობა სორასნელისა, შესთავაზეს:

— მოდი, ვსინჯოთ, ჩვენ შორის რომელია
დიდოსტატი. ვინც დამარცხდეს, გამარჯვებულს
ხუთასი რუბია გადაუხადოს და თავადაც ეყ-
მოს.

შეთანხმდნენ, თითოს თითო ტყუილი ეთქვა.
ხოლო დამარცხებული ის ყოფილიყო, ვინც
მისრობელს თხრობას შეაწყვეტინებდა შეძახი-
ლით:

— „გე სიცრუეა!“

სორასნელმა მათ ორთა პატივი მიაგო და
უთხრა:

— თქვენ დაიწყეთ.

ერთმა ინდოელმა დაიწყო:

— მაშინვე ძლიერ მდიდარი იყო. დაუთვლე-
ლი ქონება ჰქონდა და, მათ შორის, რამდენიმე
ასიათასი ფურ-კამეჩი ჰყავდა. თითო კამეჩი თი-
თო კოკა რძეს იწველიდა.

მამჩინებმა უდაბნოში აუხი ვაზხარა, კირით
შეათეთრა და შიგ მაწენის ჩადღებდა დაიწყო.

როგორც კი აუხი მაწენით გაივებოდა, შიგ
რამდენიმე ათას ფურ-კამეჩს უშვებდა.

კამეჩები ბანაობდნენ, გორაობდნენ, თამაშობ-
დნენ და მაწონს კარაქად ღღებდნენ.

როგორც კი შეიღღებებოდა, კამეჩებს ამო-
რტყავდა, შიგ ტივით შედიოდა, რომელზედაც
ვეება ქვევრი იდო და ნიჩბით კარაქს აგროყე-
ბდა.

შეჯიროვებდა რა მთელ კარაქს, გამოძრობდა
აუხს საცობს, იქიდან ღოს გამოუშვებდა და მე-
რე კარაქს ერბოდ ადნობდა.

სორასნელმა ღრმააზროვნად დაასკვნა:

— რას იზამ, უპქველად არიან ისეთი ფურ-
კამეჩებიც, რომელიც ამდენ რძეს იწველიან
და მერე იმ რძიდან იმდენ კარაქს ღღებენ.

ახლა მეორე ინდოელი მოჰყვა:

მამჩინებში ძალიან მდიდარი კაცი იყო. რამდე-
ნიმე ათეული მილიონი ქათამი ჰყავდა.

როგორც კი გაზაფხულდებოდა, მათ სამყო-
ფელში რამდენიმე ასიათას მამალს უშვებდა.

ქათამები იმდენ კვერცხს სღებდნენ, ვეებერ-
თელა გორები ღღებოდა.

მიადებოდა მამჩინები და ფოცხით კვერც-
ხებს აურ-დაურვედა.

რამდენიმე დღეში იქიდან წიწილები იჩეკე-
ბოდა.

ამ წიწილებს მინდორში უშვებდა, ზრდიდა
და მერე ჰყავდა.

უზარმაზარ ფულს იგებდა ამით.

სორასნელმა კვერი დაუტრა:

— ჭეშმარიტად, როცა კაცს რომელიმე მილიონი ქათამი ჰყავს, თავისთავად ცხადია, კერძებზე ვორებს დაუღებენ. ხოლო თუ კერძები ვორებადა დგას, მაშინ ისინი ფოცხით უნდა აურ-ადურიო. მერე, რაკი ამდენი წიწიალა გამოიჩეკება, ისიც ცხადია, ვარიებად უნდა დაზარდო. ხოლო რა დაზარდი, — უნდა დაპყლო. ვაჟყიდი და — უზარმაზარ ფულს მოვაზებტირებს. ისე, რომ თქვენს მონათხრობში არაფერია ვასაკვირველი.

მოკლედ უნდა ვთქვათ: ხორასნელმა ლაარქმუნა, რომ მათ სიმართლე ილაპარაკეს. მერე მოდგა და თავად დაიწყო:

— მამაჩემი ძალიან კარგი კაცი იყო. უამრავი შვილები ჰყავდა და მათ შორის ერთი ქეციანა.

ერთხელ ქეციანს თავიდან სისხლის ღენა დაეწყო.

ჩვენ ავიღეთ და თავზე მიწის დაყრა დავუწყეთ.

იმ მიწაში ფეტვის მარცვალი ვაღებულოყო.

მარცვალი მაშინვე ვაღვივდა და ამოვიდა. მერე მისი ღივი ნელ-ნელა ღეროდ იქცა, ღერი თავთავად, თავთავი შემოვიდა, თავთავიდან მარცვლები აქეთ-იქით გაიბნა, ახლა ისინი ვაღვივდა და ახალ-ახალი ღეროები ამოიტანა, მერე ესენი შემოვიდა და მარცვლები ისევ აქეთ-იქით გაიფანტა... და ვერე ნელ-ნელობით ფეტვის თვალწუფდენი ყანა აბიზინდა.

გამოხდა ხანი და გავლვა დაიწყო. წვიმის წვეთიც კი არ ჩამოვარდნილა ციდან.

ავღეჭით და ჩვენს ძმას იმ ქვეყნებში დავუწყეთ ტარება, სადაც ხშირი წვიმები იცის.

როცა ფეტვი შემოვიდა, მოჯამბერენი დავიქრავეთ და ჩემი ძმის თავზე ავგზავნეთ.

რამდენიმე ოვე მკიდნენ დაქირავებულნი. მერე ავრეკეთ ხარები, ფეტვი ვავლეწეთ, გავანიავეთ და კალოზე უზარმაზარი ხეაგები დავადგოთ.

ვინ იცის, საიდან აღარ მოვიდა ხალხი სასესხებლად. მათ შორის თქვენი მამებიც იყვნენ: თითო მათგანმა ხუთასი რუბლის ფეტვი წაიღო სესხად.

ჰოდა, როგორც კი დავინახეთ, მაშინვე მამათქვენების ვალი გამახსენდა და გავიფიქრე: შეიძლება ახალა მანც მივიღო მაშინდელი ხუთას-ხუთასი რუბია-მეთქი.

ინდოელი ყალბადანდები დაიბნენ: თუ ნათქვამს მისას სიცრუედ სცნობდნენ, შეთანხმების მიხედვით ყოველ მათგანს ხუთას-ხუთასი რუბია უნდა მიეცა და თანაც ჰუმობოდნენ. ხოლო თუ დავთანხმებოდნენ, რომ სიმართლეს ამბობდა, მაშინ თავიანთი მამების ვალი უნდა გადაეხადნათ.

იფიქრეს.

იფიქრეს.

ბერი იფიქრეს

და

ბოლოს ისევ ვალის ვადახდა არჩიეს.

ხორასნელს იქვე ათასი რუბია ჩაუთვალეს, მერე წამოდგნენ საჩქაროდ და ინდოეთისაკენ გაბრუნდნენ, რათა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყენენ ასეთი უცნაური მევახშისაგან.

ხორასნელსაც, რაკი ფული იქვე იშოვნა, ინდოეთს წასვლა რაოდ უნდოდა? — ადგა და თავდაც უჯან — ხორასნისაკენ გამობრუნდა.

ქურქის საფასური

ერთი მელა შიმშილისაგან ძლიერ დასუსტდა და ვახდა. რა არა სცადა და სად არ იწაწაწა, მაგრამ კბილგასაკრავი ვერაფერი იშოვნა.

ბოლოს ადგა, მგელთან მივიდა და თავისი ლაქარდინი ვნა აუბნა:

— ნათლიმამ, მე განთქმული ქონი ვარ და ქურქებსა ვყვრავ. თუ მასალას მიშოვნის, ისეთ ქურქს შევიყვრავ, როგორც შენი საკადრისია. მგელი დათანხმდა. ფარიდან რამდენიმე ცხვირი მოიტაცა და მელას მიუყვანა.

მელა წამოუწევა და ცხვირის ხორცს ვემრიელად მიამდა.

მგელმა მას შემდეგ ქონს ქურქისთვის ათასჯერ მიაკითხა, მაგრამ მელა სულ ერთი და იმავე დაპირებით ისტუმრებდა:

„ხვალ უმეველად მზად იქნებაო.“

რა მელა კარგა მოჯანიანდა და გასუქდა, დაცუქდებოდა თავისი სოროს პირას და იმაზე იმტრეუდა თავს:

„როგორ დავიჭერინო თვეი მგლისაგან და მისი ქურქისგანო.“

ერთხელ გზად ერთმა ცხენოსანმა ვაიარა, რომელსაც მშვენიერი ცხვირის ქურქი ეცა.

მელამ იფიქრა:

„ასეთ კარგ შემთხვევას ხელიდან როგორ ვაუშვებო?“

წამოხტა და მგელთან მივარდა:

— არიქა, ნათლიმამ! იმ კაცმა შენთვის შევერილი ქურქი მომპარა და მიღის!

მგელს მტეც არ უნდოდა. მაშინვე წამოფრინდა და ცხენოსანს ფსაქა-გლეჯით გამოეწო.

კაცმა დაღვენებულ მგელს მოჰკრა თვალი და იფიქრა:

„თუ არ დავასწარ, ხეირს არ დამაყრისო.“

ესროლა ქამანდი, კისერზე ვადაცა, მერე ცხენს ქუსლი ჰკრა და მგელიც თან ვაითრია

უჯავ დამშვიდებულმა და თავისი ბედით კმაყოფილმა მელამ კი მგელს უჯან მიყვალა:

— ნათლიმამ, შენ ახლა მავ კაცის სამსახურში რომ შეხვედი და უჯან მისდევ, ქურქის შეყერვის საფასურს ვინდა ვადამიხდის?

აგლანური ჰიკაიათები



თუ სანიჰოზ სხვის ჯორ-ბაღეშებზე დაზარალებულნი

ერთ სოფელში ერთი ჩურჩული კაცი ხეზე
ჯიჯიდა, ავიდა. ჩამოვდა განაპირა ტოტზე და მე-
რე ამ ტოტს ცუდით დაუწყო ჭრა.

ხის ქვეშ ვიღაც მგზავრმა ვაიარა, აახუნდა მალ-
ლა და უთხრა:

— რას შერებდი, კაცო, მაგ ტოტს რომ ჭრი,
სამ ძირს ჩამოვარდები?

ტოტის მჭრელმა არამკითხველ მთამბებს ერთი
გულად ჩამოახუნდა და ჩამოსძახა:

— ამა, მოუსვი მანდღვანს! გამოვივიდა ესეც
გულთმისანი! — და კვლავ განაგრძობ ჭრას.

მკითხველს ხნის შემდეგ მოტყუდა ტოტი, ჩურჩულ-
ტი კაცს ძირს დაეცა და გონება დაეკარგა.

როცა გონზე მოვიდა, წამოსტა და იმ მგზავრს
დაედევნა, რომელმაც ხის ქვეშ ვაიარა.

როგორც კი დაეწია, მამინვე წინ გადაუდგა
და მუხლის ხოჭზე დაეცა.

დაეცა და ტირილის ხმით შეპლალადა:

— ლეთის გულთმისანი! ახლა კი გიცანი, ვინ-
ცა ხარ! შენ გულთმისანი ხარ! შენ მე წინას-
წარ მამცნე, რომ ძირს ჩამოვვარდებოდი და შა-
რთლად ჩამოვვარდი. ახლა კი ძალიან კვაზოვ
მოთხრა: რადის მოგვედები?

მგზავრმა ათახუნის არწმუნა, რომ გულთმი-
სანი არ იყო, რომ ვინც არ უნდა მოჭრას ტო-
ტი, რომელზედაც თუთონა ზის, უშეკველად ჩა-
მოვარდება, მაგრამ ვერაფერი შეასმინა რა. მა-
შინ მოსწყვინდა მისი მუღარა, ვადასწყვიტა თა-
ვიდან მოგმორებინა და უთხრა:

— შენ ხვალ სიღამითი მოაკვდები!

რით არის ეს სურათ საინტერესო? მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში შეგავლ ქართლში სოფელ ხაღლაშენში ცხოვრობდა მთელ საქართველოში სტუმართმოყვარეობით სახელგანთქმული სარდიონ და მაკინე ამირჯიბების ოჯახი (მაკინე ავალიშვილის ქალი იყო). სარდიონი თარზე უყრავდა, მაკინე კი შესანიშნავად მღეროდა და ცეკვავდა. ბუნებამ ეს მშვენიერი ცოლ-ქმარი მრავალი შვილითაც დააჯილდოვა. ისინიც მშვენივრად მღეროდნენ და ცეკვავდნენ, მაგრამ ოჯახს მშვენიერა მაინც მაკინე იყო. მისი ჩინებული სიმღერა, ცეკვა, ლიტერატურაზე და მაშინდელ საჯიბრბორტო საკითხებზე სჯა-ბაისი მთელი საქართველოს თავკაცობას იზიდავდა მის სახლში. ეინ არ ყოფილა ამ დალოცვილი ოჯახის სტუმარი, თვით ილია და ბაკაც კი.

1829 წელს ბაკიმ ეს მშვენიერი ლექსი ჩასწერა მაკინეს ალბომში:

ენახ ცოლ-ქმარი მე მეგობარი,
ერთმანეთისა შეთანამტკარი,
და გულგატეხულს უნაველობით
მეგონა მხოლოდ ფეტი სიხმარი.

სმატებლ-ნარინარი ხელთ ეყრათ ქმარი,
შიზლავდა მღერა ვასაოცარი,
მაგრამ მე მაინც შეატაკებულს,
მეგონა მხოლოდ ტუბილი სიხმარი.

გაბინე ნარინავლი
ბიმინჯინე და კავჯავაძე

მას შემდეგ არი, რომ მეც დამტბარამ
მათ თანაუფრანსობ ვით მეგობარი,
მაგრამ ერთხელეე კი გულვატეხილს
ესეც მვონია მხოლოდ სისმარია.

სადილის შემდეგ ნასიაოფენები სტუმრები
სუფრაზე სტოვენდენ თავიანთ აეტოგრაფებს.
შემდეგ მაკინეს ქალებს ნინოს, ალექსანდრას,
თამარს, ხახეს და მერის (მაკინეს უკანასკნელი
ქალიშვილი, რომელიც ახლახანს გარდაიცვალა)
სუფრაზე ფანქრით მიწერილი აეტოგრაფები
ფერადი ძაფებით ამოჰყავდათ. ასე შეიქმნა ეს
ნიშნათი ისტორიული და ლიტერატურული
მნიშვნელობის სუფრა, რომელმაც დაამშვენა
1937 წლის გამოფენა. გვიდა დრო და გიორგიმ,
ნიუსდელად ბევრი დაბრკოლებისა, რომელაც ამ
სუფრის შექმნის დროს შეხვდა, მოახერხა და
მინც შესწლო მისი შექმნა და საქართველოს
ლიტერატურული მუზეუმი, რომელიც ახლა
ნის სახელს ატარებს, გაამდიდრა.

ბაპაის უსნოზი ხელნაწერი

პლენანოვის პრისექტზე, კინოსტულია
„ქართული ფილმის“ პირდაპირ ცხოვრობდა
ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილ ექი-
მი დავით (დათიკო) ფაღავა. დავით ფაღავა შე-
სანიშნავი გარეგნობის, ტკბილმოუბარი, ზრდი-
ლი და ქართული სიღარბისლით აღსავსე ადა-
მინი იყო. ახალგაზრდობაში შესანიშნავად
მღეროდა თურმე, სადაც ის და ვარინკა წერე-
თელი ერთად ანდა ცალ-ცალკე იქნებოდნენ, იქ
ყოფნას არაფერი სჯობდაო — ამბობდნენ. მისი
რამდენიმე სიმღერა გრამფირფიტაზედაც კი
იყო ჩაწერილი, მათ შორის, მისივე შექმნილი
„ციციანთელა“ (ეგრემონის პარტიის გავლენით
გადაკეთო — მითხრა ბატონმა ბატონმა). მისი
ავტობიოგრაფი კი ლევან ალექსანდრეს ძე წე-
რეთელი იყო.

ერთხელ, მასთან ყოფნისას, ლაპარაკი აკა-
კიზე ჩამოვარდა, მისი ხელნაწერი მაქვსო, მი-
თხრა. ქუთაისში მასთან ვიყავი სტუმრად და
მამინ მიაჩქაო. მერე ოთახში გავიდა და გა-
მოიტანა სათუთად აკინძული ხელნაწერი, რო-
მელიც აკაკის „ნათელას“ და „პატარა ტა-
რიელს“ შეიცავს. ვნახე და რა ვნახე. ვნახე ის
უზარმაზარი შრომა, რომელსაც ეს ბუჰეოაზი
პოეტრი თავის ნაწარმოებებს ანდომებდა. ბეკის
კი ჰკონია და ღვთის წინაშე სანამდე მეც ასე
მეგონა, თითქმის აკაკის ჰაეროვანი ლექსი ერთი
კალმის მოსმით იწერებოდა, მაგრამ თურქე ასე
როდი ყოფილა. მისი შრომა ქვის მკოდავის
შრომას ჰგავდა. მამინ გამახსენდა აკაკის ოხუნ-
ჯობა:

— ჩემზე ამბობენ, ზარმაციო, — უთქვამს
მას, — მაშ ეს ჩემი ნაწერები სოსიკო მერკვი-
ლაძემ დაწერა?!

რაკილა სოსიკო მერკვილაძე გავიხსენე, აქვე

მინდა მოვიგონო აკაკის კიდევ ერთი ოხუნჯობა,
რომელიც სოსიკო მერკვილაძეს შეეხებოდა.
სოსიკო თურმე არ შორდებოდა აკაკის, კულა
დასდევდა, ჰოდა, აკაკის უთქვამს:

— ეს სოსიკო რომ სააქიოს არ მშორდებო,
ვაი თუ საიქიოსაც სულ კულში მდიოსო.

ხელნაწერის არსებობა რაკი გავიგე, მაშინ-
ვე ეს ამბავი სოსო გრამაშვილის ვაცნობე და
ჩემი მეშვეობით ბატონმა დათიკომ იგი მას
ათხოვა (სოსო მაშინ აკაკის თხზულებათა სრუ-
ლი კრებულის გამოცემაში მონაწილეობდა).

მერე ეს ხელნაწერი დაბეჭდა კიდევ და
დიდი მადლობაც მივიღე ამის გამო.

„ზაზარატის ნანგრევები“ ლენინგრადში

ერთხელ, ლენინგრადში, ერთ-ერთ რესტო-
რანში სადილობის დროს ერთი მეგობარი კაცი
შემხვდა. იმასაც გავხარდა და მეც. მითხრა, აქ
რახე ჩამოსულხარო. შეც ვუთხარი, რომ ქარ-
თული სიძველეების საქებნელადა ვარ-მეთქი.
ვინ გამოვაგზავნაო? — მკითხა ჩემმა მეგო-
ბარმა.

— არავინ. ასეთი ჩვეულება მაქვს, შეებუ-
ლების დროს თუ კი ცოტაოდენ ფულს ჩავიგ-
დებ ხელში, აქეთვე გამოვრბივარ, იქნებ რამე
ვიპოვნო-მეთქი. გავკვირდა. მე კი, ვისადაღე
თუ არა, ერთ მოხუც მხატვართან გავწიე. მი-
თხრეს, ბევრი კარგი სურათი აქვს და ყიდი-
სო. მალე მივაგვიჩინა სურათი პროსპექტის ახლოს
ცხოვრობდა ძველი სახლის მესამე სართულზე,
ორ პატარა ოთახში. მოხუცი მეტად სასიამოე-
ნო, კულტურული კაცი გამოდგა, სიამოვნებით
მიმიღო და დამათვალეირებინა თავისი მშვე-
ნიერი კოლექცია. ორივე ოთახის კედლები
სავსე იყო პირველხარისხიანი მხატვრების
სურათებით. სურათების დათვალეირების დროს
თვალი მოვკარი ერთ-ერთ კედელზე ჩამოკიდე-
ბულ ნახატს, რომელზედაც გამოსახული ნა-
ნგრევები ძალიან მეცნაურა. ახლოს მივედი და
გული ამიჩქროლდა, ეს ხომ ზაზარატის ნანგრე-
ვები იყო. სურათი გამოჩენილი რუსი მხატვრის
ჩერნიცოვის დახატული აღმოჩნდა. ზედ წარ-
წერაც ჰქონდა «Развалины греческого хра-
ма (!) в Кутанси» Чернецов რაკი ასეთი რამ
ვიპოვე, როგორც მოვეშვებოდი. ვკითხე პატ-
რონს, ხომ არ დამითმობთ-მეთქი.

— რატომაც არაო, — მიპასუხა. მაგრამ ისე-
თი თანხა მომთხოვა, რომ ამდენი ფული უკვე
აღარ მქონდა. კარგა ხნის ჩამოსული ვიყავი
ლენინგრადში და რაც მქონდა, თითქმის შემო-
მეხარჯა.

ვთხოვე მოხუცს: ახლა მაგდენი ფული არა
მაქვს, მაგრამ თუ პატრეს დამდებთ და მომიც-
დით, წავალ თბილისში და სულ მალე ჩამოვი-
ტანთ-მეთქი.

დამთანხმდა.

მეორე დღესვე წამოვედი თბილისში. ერთი საინტერესო ალბომი მქონდა — მხატვარ გავაჩინის კახეთში მოგზაურობის დღიური, საესე ჩანახატებითა და ჩანაწერებით ფრანგულ ენაზე. მაშინვე ხელოვნების ინსტიტუტში გავაქაზე. ავუსხენი მდგომარეობა, ვთხოვე, იმდენი ფული მოეცათ, რომ ისევ ლენინგრადში დავბრუნებულიყავი, ის სურათი შემიძინა და ჩამომეტანა.

ინსტიტუტი დამეხმარა, ფული სასწრაფოდ მომიცა და მეც ისევ ლენინგრადში გავიქე. მოხუცმა დაპირება შესასრულა, სურათი დამახვედრა და გამოიტანა.

შეგინიერი რამაა. ხშირად დიდხანს მიეჩერებოდა და ვტკბებო.

სად წაიყვანა საღაშრას

ზოგჯერ ნიეთსაც ისეთივე ბედი აქვს, როგორც დამიანს. იგი გადალახავს ქვეყნებს და კონტინენტებს. გადასცურავს ზღვებს, გადაივლის მთასა და ზარს და ბოლოს რომელიმე აღამინაზე ხელში მოხვდება, ძალიან შორს თაფისი სამშობლოდან.

ერთხელ, მსოფლიოში სახელგანთქმული ინგლისური ფირმის „ვეჯუდის“ ნახელავე ლამის ლარნაკი ვიყიდე. ხშირად ვტკბებოდი და ახლაც ვტკბები ხოლმე მისი ნატიფი აღნაგობით და მისი ოსტატის დიდი ხელოვნებით. თუმცა მაშინ, როცა იგი ვიყიდე, მას არ ვიცნობდი. მაგრამ გვიდა წლები და აი, ერთხელ ხელთ მომიხვდა ჭეული უცხოური ექვრნალები დასატა, უკეთ რომ ვთქვა, ნაფლეთები. შათი ქეჭვა დაეწიე და ჩემს ვაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ ფურცელზე ეს ჩემი ლარნაკი აღმოვაჩინე. ლონდონის ერთ-ერთი მალაზია, რომელიც ძველ მხატვრულ ნიეთებსა ჰყიდა, აცხადებდა, რომ მუშტრებს სთავაზობს ცნობილ ფლექსმანის ნამუშევარ ლარნაკს. ეს იყო 1913 წელს. მას აქეთ რამდენი რამ მოუხდა ქვეყანაზე: არმა მსოფლიო ომმა გადაიქცა, რუსეთის რევოლუციამ შესძრა ქვეყნებზე და ამ ლარნაკიც ალბათ, რამდენი რამ გამოიარა, მაგრამ ამ ქარტხილებს ვადაურჩა და მხოლოდ ცალყურმოტეხილმა ჩემს ბინაში ჰპოვა ადგილი. მაგრამ გაივლის დრო და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ ელის მას.

მოულოდნელი საჩუქარი

ერთ კვირა დღეს კოლექციონერთა საზოგადოებაში სიმპათიური ახალგაზრდა რუსი გოვიკანი. ჩინებული მოქართულე გამოდგა, თანაც ქართული კულტურის დიდი მოყვარული. წამოსვლას რომ ვაპირებდი, მთხოვა — ჩემთან წამობრძანდით, ძველეთური ხატების კოლექცია მაქვს და ნახეთო. სიამოვნებით დავთანხმ-

დი და ერთ ჩემ ახალგაზრდა მეგობართან ერთად ვაყვედი. პატარა ოთახის კედლებიდან შემოვეცქეროდა ლამაზად დაკიდებული რამდენიმე ძველი ქართული ხატი. აქვე ვიკიდა კონტა ჩარჩოში მითავსებული ქართული პირველნაბეჭდი წიგნის ორი ფურცელი. საუბრის დროს ახალგაზრდამ მითხრა, ანტიკური გემადა მაქვსო. ვთხოვე ეჩვენებია. გემა მართლაც ანტიკური გამოდგა, ლამაზად გაკრიალებულ ქვაზე ნაღობის ქალღმერთი დიანა იყო ამოკვეთილი. ქვა ძალიან მომეწონა. ახალგაზრდამ სიტყვა გადაუყარა რამეზე ხომ არ გამიცვლითმეთქი. მან მოიყრუა. იმ დღეს, თუმცა ძალიან ნასიამოვნები, მაგრამ ცოტა არ იყოს გულდაწყვეტილი დავბრუნდი შინ. შემდეგ კვირას ის ყმაწვილი საზოგადოებაში არ მოსულა. გავიდა კიდევ ერთი კვირა და ახალგაზრდა ისევ გამოჩნდა. მოვიდა ჩემთან და მიხსრა: — ბატონო პაუხა, იმ დღეს ძალიან შეეწუხდი, რომ ხელცარიელი გამოგიშვით, ჩემი გემა მოგვეწონათ და არ მოგართვით, სამაგიეროდ, ახლა მას კიდევ ერთი სხეც დაეუმატა და მიირთვითო. და მართლაც ორი გემა მომიცა. ამ ახალგაზრდის საქციელმა გამოაცხადა და აღტაცებაში მომიყვანა. აფხაზური სისხლი ხომ არ გირეციათმეთქი ვითხრა. არაო, — მიბასუხა. გიორგი შერვაშიძის ნათქვამი გამახსენდა: მეგობარ კაცს ისეთი რამ უნდა აჩუქო, რაც გულს დაგწყვეტსო. ის ყმაწვილი შინ წაიყვანე და მართლაც ისეთი რამ აჩუქე, რის გაჩუქებააც გული დამწყვეტა.

ორი საბარცხული თხვავადსავალი

დაახლოებით 35-40 წლის წინათ, ერთ კარგ კაცთან დავდიოდი. ყოველთვის, როცა კი მასთან მივდიოდი, ჩემ უურადლებას და აღტაცებას იწვევდა ორი ლამაზი საკარცხული, რომელიც მის ოთახში იდგა და იქაურობას ამშვენებდა. ბევრჯერ შურის თვლით შემიხედნია ამ საკარცხულისათვის, მაგრამ ამა მათ ვინ მომცემდა.

გავიდა წლები. ეს კაცი დიდხანია მოკვდა და მეც მის ოჯახში მრავალი წელი არ ვყოფილვარ. ამას წინათ ვიღაც ქალმა დამირეკა, მიხსრა: ამა და ამ კაცის შვილი ვარ, დედა გთხოვთ მოზრძანდეთ, ცოტაოდენი საქმე მაქვსო. მეორე დღესვე მივედი, ისევ იმ პატარა ნესტიან სარდაფში ცხოვრობდნენ, მხოლოდ ახლა ახალგაზრდობა შემატებოდათ. ვამიკვირდა, ამდენ ხანს ქალაქში ცხოვრობდნენ და ბავშვებთან ისევ იმ ბინაში იყვნენ. საქმეზე რომ ვილაპარაკეთ, მივიხედ-მოვიხედე და ის ლამაზი საკარცხულები ვერსად დავინახე. გული დამწყდა, მაშინვე მოვიკითხე, ვიკითხე: რა იქ-

პაპუნა წარითალი

ექიძეზე და კოვხვადე

ნენ-თქო? — დაიმტვრა და სარდაფში ყრიანო. — მიპასუხეს. ვთხოვე ამოტანათ და ეჩვენებინათ. რამდენიმე დღის შემდეგ დაიბარეს, რომ მივედი, ის სავარძლები უკვე ოთახში ამოტანილი იმსხვდა.

— იქნებ მომყოლოთ-მეთქი, — ვუთხარი დიასახლისს. — სიამოვნებითო, — მიპასუხა. მე მაშინვე ვეყიდე და იქიდანვე სახლოსნოში წავიღე, სადაც ისინი შემოიკეთეს და ვუღოთ ვახარებულს შინ გამომატანეს.

დღეს გასაკეთებელ საქმეს სახვლიოდ ნუ გადასდებ — უთქვამს ხალხს. ეს პრაქტიკული ნათქვამი ყველა საქმეში ყურადსაღებია, მაგრამ განსაკუთრებით ყურადსაღებია იგი კონტეკონერისათვის. ზოგჯერ შეიძლება შენთვის საინტერესო ნივთს თვეობით და წლობით სდიო და ბროსს ხელში ჩაიგდოს იგი, ზოგჯერ კი თვეები და წლები კი არა, წუთები სწყვეტენ საკითხს. მე რამდენჯერმე მომსვლია ასეთი რამ. ერთხელ ლენინგრადში ყოფნისას, ერთ-ერთ საკომისიო მალაზიაში შევედი, ფინეთის სადგურთან, დღის ბოლო იყო. კედელზე ცნობილი ფრანგი იმპრესიონისტის სურათი ეკიდა, მასზე პარიზის ბულვარები იყო გამოსახული. ძვირი არ იყო, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, იმდენი ფული თან არ მქონდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვერ გავხედე მეთქვა მალაზიის დირექტორისათვის ეს სურათი ჩამოეხსნა და მეორე დღემდე ჩემთვის შეენახა. ჰოდა დავისჯავ კიდევ. მეორე დღეს, რომ მალაზიაში მივედი (უნდა ითქვას, რომ ეს მალაზია ცენტრიდან ძალიან შორს იყო), იგი აღარ დამხვდა, გაეყიდა. მეორედ ჩემმა დაუღვინებამ კიდევ ერთი შეცდომა ჩამადგინა. მოსკოვში არბატზე ერთი დიდი მალაზია იყო, სადაც უმთავრესად ხელოვნების ნიმუშები და ძველი სურათები იყიდებოდა. სურათები კედლებზე რომ აღარ ეტოლდა, დასტებდა იყო მიყუდებული. საათობათ შეიძლება მათი თვალიერება. ერთხელ მათი თვალიერების დროს ევროპელი მხატვრის მშვენიერი სურათი მომხვდა ხელში, გადავწყვიტე კიდევ მეყიდა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ამ დროს კედელზე დაკიდებულმა სხვა სურათმა მიიბყრო ჩემი ყურადღება, სურათი, ხელში რომ მეჭირა, დავდე და ახლა იქითკენ წავედი. ხუთი წუთი არ გასულა, რომ უკან მოვბრუნდი, მაგრამ უკვე გვიან იყო, ჩემი მოწონებული სურათი ეჭირა კაცს, რომელიც წინავე გვერდში შედგა. ის არც დაფიქრებულა ისე სთხოვა გამყიდველს ქვითარი გამომიწერეო, ამ დროს გამყიდველმა უთხრა, მავ სურათის წყვილიც გვაქვსო და იმავე მხატვრის მეორე სურათი ვადმოიღო. ბევრი ვემუდარე გამყიდველს ეს სურათი მაინც მო-

ეცა ჩემთვის, მაგრამ ამაოდ. სახეგაბარწყინებული მყიდველი მომიბრუნდა და მითხრა: გმადლობთ, თქვენის წყალობით დღეს ორი შედეგური შევიძინეო. ბევრი ვაგინე ჩემს თავს, მაგრამ რა ვაქწყობოდა, დავჩი პირში ჩალავა-მოვლებული. მაგრამ იმავე დღეს ეს მწუხარება სანახევროდ გამიქარწყულდა, იმავე დასტებში ქართული სკოლის მხატვრის იმერელი თავადის პორტრეტი აღმოვაჩინე და, რა თქმა უნდა, მაშინვე შევაჩინე.

ერთხელ თბილისში ჩემთან სტუმრად იყო ქუთაისის მუზეუმის გამგე თავისი საქმის დიდი ენთუზიასტი და პატრიოტი მიხეილ ნიკოლევიშვილი კედელთან მივიყვანე, სადაც ეს პორტრეტი მიკიდა და ვუთხარი: მე რომ მოვეკვდები ეს პორტრეტი და ჩერნოვოცის ნახტი „ზაგრატი“ ტაძარი ნანგრევები“ ქუთაისის მუზეუმის იქნება-მეთქი.

— ბატონო პაპუნა, — მითხრა მან, — ჯგერაჲ დიდხანს გაცოცხლოთ, მაგრამ თქვენ 'ოკლიოს' სანატრელად ნუ გაგივხდით, ასლავ მოგვეცია, რაკილა ჩვენ გვაძლევთო.

ამის შემდეგ კიდევ ბევრჯერ მითხრა ასეთი რამ. მაგრამ ვერა და ვერ გამიტხა. ჩემ სიცოცხლეში მე დატკბებები მათი ცქერით, მერე კი დემრთმა მოახმარათ.

მისაპა

არიან ადამიანები, რომლებიც ქალაქს რაღაც თავისებურ კოლორიტს უქმნიან და უიშობოდ ეს ქალაქი ვერ წარმოგიდგენია. ისინი მის ღირსშესანიშნობას წარმოადგენენ. ასეთი იყო, მაგალითად, სოსო გრიშაშვილი. ქალაქის ქუჩებში რომ დავდივარ და ილღიაში წიგნბამოდებული სოსოს ვეღარა ვხედავ, თითქოს რაღაც მაკლია, თითქოს თბილისს ერთი დიდი და საინტერესო რამ დააკლდა. ასევე ამშვენიერდნენ და თავისებურ კოლორიტს უქმნიდნენ თბილისს ძველი ფრესკიდან ჩამოსული წმინდანის მსგავსი ვასილ ბარნოვი, დარბაისელი ნიკო ლორთქიფანიძე, ტანორჩილი, საყვარელი დავით კლდიაშვილი, ვეფხვივით თვალებიდან ცეცხლის მკვესავი პაოლო, დენდი ტიციანი, ლომივით მტრგვინავი ვოლკა და სხვები.

მათხედ ბევრად პატარა ადამიანებიც იყვნენ, რომლებიც ასეთივე შთაბეჭდილებას სტოვენდნენ. ასეთი იყო ქართველი ეზრებელი მიხაკა, პატრიოტი და ქართული სიძველეების თავმოყრის ენთუზიასტი. არ ვიცი, საიდან ან როგორ შოულობდა მიხაკა ქართული ხელოვნების იმ შედეგურებს, რომელიც პირველად უქვევლად ძველი ქართული ხელოვნების "ჩინებულ მცოდნესა და დიდი პატრიოტის იროდიონ სონილუაშვილთან უნდა მიეტანა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ზოგჯერ, ქუჩაში შემოიხვედებოდა თავისი განუყვარი ფუთით ხელში. ვაეაჩრებდი.

- სად მიდიხარ? — შევეკითხებოდი.
- იროდიონთან, — მიპასუხებდა.
- რა მივაქვს?
- რაღაც უნდა ვაჩვენო.
- მიხაკ, მეც მაჩვენე რა.
- არ შეიძლება, ჯერ იროდიონმა უნდა ნახოს.

- მაჩვენე და მერე იმას წაუღე.
- არა, ჯერ იმან უნდა ნახოს.

მართლაც, რასაც კი იშოვიდა, ბირველად იმას აჩვენებდა. არც არასოდეს შეევაპრებოდა, რა ფასსაც იროდიონი დაუღებდა, დაყაბულდებოდა.

მხოლოდ იროდიონის მიერ დაწუნებულ ნივთს მიჰყიდდა სხვას. მაგრამ ისეთი დიდი გემოვნების ადამიანი, როგორც იროდიონ სონდულაშვილი იყო, ხელიდან როგორ გაუშვებდა ქართული გამოყენებითი ხელოვნების რაიმე თვალსაჩინო ნიმუშს.

ანდერძი კაცს არ მოჰკლავს

სულ სხვაგვარი კაცი იყო თბილისის კიდევ ერთი მკვიდრი ილიკო შიუკაშვილი. ისიც მუდამ ილიკაში ფუთაამოჩრილი დადიოდა. სად არ ნახავდი მას, ყოველ კვირადღეს ხომ „ხარახურის ბაზრის“ უეპველი მომნახულელები იყო. უბრალო კაცი იყო, თერძი, მაგრამ რა დიდი გემოვნება ჰქონდა. ასეთი გემოვნება ზოგჯერ დიდად განათლებულ ადამიანებსაც კი არა აქვთ. როგორც ჩანს, ეს თანდაყოლილი ნიჭია. თავისთავზე სულ არ ზრუნავდა, ოღონდ რაიმე იშვიათი ნივთი შეეძინა. ბრძაღედებოდა. მაგრამ ვერც ერთ ნივთს ვერ იმეტებდა, რომ გაეყიდა და ფილატოვან წასტლიყო საქმიოდ ოღესაში.

ზშირად ვეტყვოდი:

— ილიკო, ცოლი შენ არა გყავს და შეილი,

ამდენი გიშრომია, ასეთი ლამაზი რაღაცეები შეგიგროვებია და შენს მერე ვის უნდა დარჩეს. აიღე და ეს შენი კოლექცია ხელოვნების მუზეუმს დაუტოვე. საქვეყნო საქმესაც გააკეთებ და სსახელოსაც, თორემ უპატრონოდ მოკვდები და მთელი შენი ცხოვრების საქმე უქმად ჩაივლის, ყველაფერს ვილაც ვივინდარები ჩაივლებენ ხელში და გაანიავენ, შენ კი შენ ლამაზ ოთახშიაც კი არ დაგასვენებენ.

— უეპველად, უეპველად აგრე მოვიტყევი, ანდერძს შევადგენ, — დამეთანხმებოდა ხოლმე, მაგრამ გადიოდა დრო და ილიკო არ ჩქარობდა, ეგონა კიდევ დიდხანს იცოცხლებდა.

უკანასკნელად ქუჩაში შეგხვდი, თავისი განუშორებელი ფუთა ამოედო ილიკის ქვეშ. კიდევ დავაბრძვი, ვუთხარი: კაცო, რას სჩადი ანდერძი კაცს არ მოჰკლავს, გააკეთე რასაც გირჩევ-მეთქი.

— კარგი, კარგო, — დამეთანხმა.

არ გასულა რამდენიმე დღე და გავიგე, მომკვდარიყო. იმ დღესვე წავედი, მართლაც ახლომოდა საწყალს ჩემი ნათქვამი. ხელოვნების ნიმუშებით საეცე მისი ბინა დაბეჭდილი იყო, თითონ კი დერეფანში დადგმულ დაგლვჯილ ფარდაგადაფარებულ ძველ ტახტზე ესვენა (შეგნით კი ვინ იცის რამდენი ლამაზი ქირმანშალი და ხალიჩა ეწყო დაეცილი).

როგორც გავიგე ვილაც არამზადებს კედელი გამოეთხარათ და ძვირფასი ქირმანშლები და ხალიჩები წაეღოთ. დანარჩენი (უმთავრესად ფაიფური) ხელოვნების მუზეუმს დარჩა.

არ ჯობდა, რომ ამ უცოლშვილო, მარტოხელა ადამიანს, დროზე შეედგინა ანდერძი და თავისი ნება-სურვილით თავისი კოლექცია ხალხისათვის ეჩუქებია. მაგრამ, როგორც ჩანს, ცრუმორწმუნე იყო და ეშინოდა, ვაითუ ანდერძი რომ შეეადგინო მოკვდეთო...



ქრიშვიან და პუბლიცისტიკა

თამაზ ნივინიძე

ნიგნი და რედაქტორი

წერილი პირველი

შენიშვნები „შენიშვნების“ ბაზო

ახალი წიგნის წაკითხვას ყველა თავისებურად იწყებს. ზოგი წინასიტყვაობას სულ ბოლოს კითხულობს, ზოგი კიდეც ჯერ ბოლოსიტყვას გაეცნობა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს წიგნის კითხვას. კანონი, რომელიც ამ თვალსაზრისით მკითხველის თავისუფლებას შეზღუდავდა, ჯერ არ დაწერილა. მეც ჩემებურად ვიწყებ ახალი წიგნის გაეცნობას. სანამ წინასიტყვას, ბოლოსიტყვას, შენიშვნებსა და სქოლიოებს არ გავეცნობი, სანამ ყველა შპუტტიტულს არ დავეხედე, ყველა პორტრეტს, თავსართსა და ბოლოსართს გულდამსმით არ დავათვალიერებ, სანამ წიგნის პასპორტს არ ვნახავ ან ინდექსს არ გადავხედავ თვალს, წიგნის კითხვას ვერ დავიწყებ. ამჯერადაც ასე მოსდა. ჩემს ხელთაა გამოჩენილი ქართველი პოეტის ალექსი გომიაშვილის ორტომეულის პირველი ტომი (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი ა. აღმაია), რომელშიც პოეტის ლექსები და პოემებიცაა დატანებული. ჩემთვის სასიამოვნოა იყო იმის გაგება, რომ მეორე ტომში პოეტის პროზაული თხზულებების გამოქვეყნება ჰქონია განზრახული. ქართველი მკითხველი არ იცნობს ალექსი გომიაშვილს — პროზაიკოსს, და, ამდენად, მისი თხზულებების მეორე ტომი აღბათ სასიამოვნო სურათში იქნება ჩვენთვის. მაგრამ ეს სხვა საკითხია და ამჯერად ჩვენი განხილვის საგანი ვერ იქნება. მე, ჩვეულებისამებრ, რომელზედაც უკვე მოვასწენე მკითხველს, გულდამსმით დავათვალიერებ ჩემი საყვარელი პოეტის ტომი, პოლიგრაფიული თვალსაზრისით უნაკლოდ შესრულებული, გავეცანი აპარატურას და ამის შემდეგ დავიწყებ წიგნის ბოლოს დართული „შენიშვნე-

ბის“ კითხვა. აი, სწორედ ამ „შენიშვნებს“ ეხება ჩემი შენიშვნები.

უფრო სწორედ, შენიშვნები ეხება წიგნის რედაქტორს, გამოჩენილ მწერალსა და გამომცემელს ალიო აღმაიას, რადგან, ჩემი თვალსაზრისით, სწორედ რედაქტორის ბრალია ის ზარბეზები, რაც მცირე ჩრდილს მაინც აყენებს პოეტის ამ საეტაპო წიგნს. დიახ, რედაქტორის, და არა პოეტისა, რომლის მთავარი საზრუნავი საკუთარი ლექსების გამოცემისას არის... საკუთარი ლექსები, და არა, ვთქვათ, „შენიშვნები“. მაინც რაშია საქმეო, იკითხავს მკითხველი, რომელიც ჯერ კიდევ არ გაეცნობია ხსენებულ წიგნს. მოგახსენებთ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კრებულს დართული აქვს „შენიშვნები“, რომლის შედგენის პრინციპი არ მოგვეწონა. მაგრამ ის, რაც ჩვენ არ მოგვეწონა, მკითხველისათვის ბევრს არას ნიშნავს. ამიტომ ქვემოთ გამოეთქვამთ ჩვენს შენიშვნებს „შენიშვნების“ გამო:

სწორად არ მიგვაჩნია, დღეს ქართველ კაცს განუმარტო ჩამოთვლილ სიტყვათა მნიშვნელობა: ავგაროზი, არხოტი, ბაქსანი, ბეგთარი, ბეთლები, ბონდის ხიდი, ბოსელი, ბურსაქირი, გუდამაყარი, დარუბანდი, დეკა, დუშმანი, ერდო, თეთნულდი, კიშაური, კარკუჩა, კურანტი (სიტყვის სწორი ფორმაა: კურანტები), ლარსი, ლაშარი, ლილეო, მაითადი, მინარეთი, მღეთა, ნადური, ნაწვერალი, ოხშივარი, პირიმზე, ხარქალი. საფიხნო, სტეფანშინდა, ფასკუნგი, ქალაშვა, ღვია, შატილი... და სხვაც მრავალი.

„შენიშვნებში“ განმარტებულია თეთნულდი. ლექსებში გვხვდება უშგულისა და შხარას სახელებიც, მათ „წარმოშობაზე“ არაფერია

მინიშნებულნი. რატომ ენიჭება უპირატესობა თეთნულდს? იქნებ აქ სილამაზისა და სიმალღის ფაქტორი მოქმედებს? მაგრამ ლექსიკონი ამ პირინკობით ჯერ არავის შეუღდენია.

სხვა მხრივ არა გვგონია, თეთნულდი უფრო უცნობი საგნის სახელი იყოს ქართველი მკითხველისათვის, ვიდრე უშუალო ან მხარა.

ასევე, „შენიშვნებში“ მოხვედრილან დეკა, პირიმზე, ღვია. მის გარეთაა: მთიები, ქუჩი, ქათამი...

გაუგებარია რატომ არის განმარტებული: „ახალი რეინის ვაჭეთი“, „ვალპურგის ღამე“, „უოლ-სტრიტი“ და რატომია „ხელუხლებელი“: „ნერუნგის ისარი“, „ხაიგეტის ქვა“, „ვანდომის სვეტი“...

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ „შენიშვნებში“ გათვალისწინებულია არაქართველი მკითხველისათვის. ამას შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს:

განმარტებულია (გეოგრაფიული სახელები): არხოტი, ბაქსანი, ბეთლემი, ბურსაქირი, გუდამაყარი, ღარბანდი, კიშაური, ღარსი, სტეფანშინდა, შატილი, ჭუთა, კარკუჩა...

განუმარტავია (გეოგრაფიული სახელები): კახოჯა, კურსკი, არხატი, კუბანი, თავრიზი, ელბა, ვისლა, ამურდარია, პერეკოვი, ტემზა, არაქსი, ნილოსი, ყოისუ, ვოლგაანი...

განმარტებულია (სიტყვები): ბეგთარი, ბონდი, ხიდი, ბოსელი, დუშმანი, ერლი, მამითადი, ლილეო, ნადურე, ოზშივარი, პირიმზე, სარქილი, ფასუენჯი, ქალაშავა, დეკა, ღვია...

განუმარტავია (სიტყვები): სურახანი, თიოსი, აული, „ლანცი“, შრაბნელი, ჰაუზიციები, ნიბელუნგი, მეჩეთი, შეიხი, უნდუკულები, ბაზალი, ბატარეა, ფლეიტა...

ათასი ვარაუდი მიტრიალებდა თავში იმის შესარკვევად, თუ რას უნდა შთაეგონებინა ამ „შენიშვნების“ ავტორი!

ერთმა გულმა მითხრა, რომ ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ყოვლად უწყინარი სურათი, წიგნი ღამეგვანებინათ ავადმთური გამოცემისათვის, რომელიც შესადერისი სამეცნიერო აპარატურითაა გაწყობილი!

მერე ვიფიქრე, „შენიშვნების“ ავტორმა ეს სიტყვები განმარტა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მეტრისმეტად დაბალი აზრისა ქართველ მკითხველზე!

სულთ ცოდვილო, ერთი გაფიქრება ისიც კი გაუფიქრე, რომ „შენიშვნების“ ავტორმა განმარტა ის სიტყვები, რომლებიც არ იცოდა თავად!

მოკლედ, ვერა და ვერ მივაგენი სისტემას, რომლითაც ეს შენიშვნა-ლექსიკონია გამართული!

რატომ არ არის შიგ განმარტებული, მავალი-და, „ნაიჭი“?

ანდა რა დააშავა „პურმა“, „ქალმა“, „ხა-შურმა“...

ამასთან, გაუმართლებელია ისიც, რომ ეს ფუნქციის მოკლებული „შენიშვნები“ ალექსანდრე გომიაშვილის ერთი წიგნიდან ვადადის მეორეში (მხედველობაში გვაქვს პოეტის „რჩეული“, რომელიც დასტამბა ამავე გამომცემლობამ 1969 წელს — სხვათაშორის, ამ „რჩეულში“ მკითხველს არ მოეწონება ერთი „ორიგინალური“ სიახლაც, კერძოდ, ის, რომ „სარჩევი“ ასეთნაირად შეუღდენიათ:

ლექსები გვ.

7 წუთისოფელი

26 მღეთის აღმართი

42 „დავითიანი“ დადესტანში

69 ქართველო, ხელი ხმალს იყარ!

ტრადიციის დარღვევა შეიძლება, თუ ამით რაიმე სასარგებლო და საჭირო საქმე კეთდება. ასეთი „საძებნელი“ არავის სჭირდება. და აი, რატომ: მკითხველს წიგნის 69-ე გვერდზე რაა დაბეჭდილი ის კი არ აინტერესებს, არამედ ლექსი „ქართველო, ხელი ხმალს იყარ!“ რომელ გვერდზეა დასტამბული!

ამიტომ, ჯერ უნდა დაიწეროს ნაწარმოების სათაური (როგორც აღნიშნულა), მერე მივანიშნოთ გვერდი, რომელზედაც ისაა დაბეჭდილი.

„შენიშვნებში“ განმარტებული სიტყვების მნიშვნელობა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდანაა“ გადმოწერილი, ამის შესახებ კი არაფერს გვეუბნებიან.

კიდევ ერთი რამ: როცა წიგნის ბოლოს დაბეჭდილ „შინარსს“ ვათვალიერებდით, იქ მითითებული არ ვახლდათ, რომ წიგნში შეტანილია პოეტის თარგმანებიც.

წიგნის კითხვისას კი მკითხველი მოულოდნელად წაადგება ასე დასათურებულ პოემებს: „საუბარი მამასთან“ (რ. გამაზატოვიდან), „ლუგენდის დაბადება“ (პ. ვორონკოვიდან). და აქ გამაზატოვისა და ვორონკოს პოემების რომელიმე ფრაგმენტი კი არაა თარგმნილი, არამედ მთელი პოემები შესავლიდან დასასრულამდე.

საინტერესოა, რა გუნებაზე დადგებოდით ქართველები, გამოჩენილ რუს პოეტს ზაბოლოცის თავისი საკუთარი ლექსების წიგნში რომ შეეტანა „ვეფხისტყაოსანი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „აღლდა ქეთელური“ და მხოლოდ მცირე შენიშვნას დასაყრდემოდა: რუსთაველიდან და ვაჟა ფშაველადანი. იქნებ გულიც დაგწყვეტოდა! ასე რომ, არა მგონია, მთლად სწორი იყოს საკუთარი ლექსებისა და პოემების წიგნში სხვისი პოემების შეტანა. ჩვენ შევეცადეთ, გვებოვა ამის მიზეზი და აი, რა აღმოჩნდა. გამომცემლობა „საბჭოთა საქარ-

თავაზო წიგნიდან
წიგნი და რედაქტორი

თელოს" პრაქტიკაში არ ჰქონია ტომეულზე-
ში თარგმანების შეტანა. ჰოდა, თუ გინდა, რომ
ესა თუ ის თარგმანი შენი ნაწარმოების ტომ-
ში მოხუდეს, იგი ჯერ შენს ორიგინალურ
ტექსტზედაც უნდა აქციო! გამოცემლობასა
და მის რედაქტორებს უნდა ვუთხრათ, რომ
ეს ცუდი პრაქტიკაა. მეტისმეტად მოკრძალებ-
ული წარწერა — „გამხატვრიდან“, „ვლორ-
კოდან“, — საქმეს არ შეეღოს. ჯობს, აღდგეს
ის, ტრადიცია, როცა ნათარგმნი ნაწარმოებზე-
ბნისათვის არსებობდა ცალკე რუბრიკა: „თარ-
გმანები“.

და, ბოლოს: ალექსანდრე გომიაშვილის :
ტომისთვის შესავალი სიტყვა ბესარიონ
ელენტის დაუწერია. ჩვენს სახელმოხვევილ
კრიტიკოსს პოეტის პორტრეტი შესაძლებელი
გულმოღვინებით დაუხატია. აი, რა დღედაუ-
ლად, რა ჩვეული პათოსით გვესაუბრებდა იგი
ალექსანდრე გომიაშვილის შემოქმედებაზე:
„რატუდაც არ უნდა წერდეს პოეტი, — მშობ-
ლიურ მთებში ცხოვრების გარდაქმნისა და
განახლებისათვის განაღებულ ბრძოლაზე თუ
სამოქალაქო ომის რომანტიკულ დღეებზე,
თბილისზე თუ მოსკოვზე, ევროპის შუაგულ-
ში აღმოცენებულ ფაშისტურ ბარბაროსობაზე
თუ დიდი სამამულო ომის სწორტოვარ ეპო-
პეაზე — ყოველთვის და ყველაფერში იგრძე-
ნობა ის არწივისებური შემართება, ქარიშხ-
ლებისა და გრივალების გამოძახილი, ნაპრა-
ლებისა ჩანჩქერების სტიქია, რაც თვალახელ-
ის, სამყაროს პირველი ხილვის დღეებიდანვე
შეუთვისებია და შეუსისხლბორცვია პოეტს“.

ასე სასიამოვნოდ, ასე კლავდიკოეურადა
დაწერიალი წინასიტყვაობა. და რა გულდასა-
წვევტია, რომ ამ პარმონიაში ერთი უჩვეუ-
ლო აკორდი შემოგვესმება, რომელსაც, რასა-
კვირვებია, მელოდურობა არ აქვია, მაკ-
რა სისუსტისა რა მოგახსენით: ალექსანდრე
გომიაშვილის პოეზიას „თავს დაქატილებს
მარად უღნობი ყინულის ბროლით მოვლვარე
„ბერი მყინვარი“, სადაც დგანან ცამდე აწე-
დილი ზვიადი კავკასიონის მთები თავისი ქედე-
ბით, მწვერვალებითა და თხემებით, ზეავებითა
და ნაპრალებით, გრივალებითა და ქარისხლე-
ბით, სადაც ვაზაფხულის მზიან დღეებში
მთის უნაზესი ყვავილები ყვავიან, სადაც ვე-
ფხვებო, ჭიხვები და ირმები ბინდრობენ...“

ამას ალ. გომიაშვილის პოეზიაზე მოგვახსე-
ნებს კრიტიკოსი.

შეველებით მოტანილ ციტატაში გავარკვი-
ით ვეფხვების საკითხი.

პატეცემულ კრიტიკოსს უნებლიეთ მხედ-
ველობიდან გამორჩენია, რომ საქართველოში,
და არც საერთოდ კავკასიაში, ვეფხვი არ ბი-
ნადრობს. ამ განცხადებას სიმართლე არ აკ-
ვია, მაგრამ ჯერ კიდევ საბუთის ძალა არა
აქვს. დავიმოწმით წყარო: საქართველოს

„თბილისის მიდამოებში 1922 წელს მო-
ღეს ერთი თურანული ვეფხვი — იგი საქართვე-
ლოში შემთხვევით იყო შემოსული“. („საბავშვო
ენციკლოპედია“ ტომი I, გვ. 240, თბილისი,
1963 წელი, ქართული გამოცემის რედაქტორი
აკად. ნიკო კეცხოველი).

მოგეხსენებათ, ვეფხვს ხშირად ჯიქში ურე-
ვენ. იქნებ სწორედ ეს ცხოველი ჰყავს მხედ-
ველობაში კრიტიკოსს! მაგრამ ჯიქიც სასთით
საძებარი გამხდარა. დღეს, ზემოთღასახლე-
ბულ ენციკლოპედიაში გარკვევითაა ნათქვამი:
„მე-20 საუკუნის საქართველოში ნაპოვნია
ორი ეგზემპლარი. ჯიქი ჩვენი ფაუნის იშვიათი
წარმომადგენელია“-ო.

მოგეხსენებათ, თემისა და მასალის არჩევი-
სას შემთხვევა ზოგჯერ ვადამწვევტ როლს ას-
რულებს. უკვე განხილული „შენიშვნების“
კითხვისას სწორედ ასე შემთხვევით დიხადა
ჩემს თავში იდეა, დამეწერა წერილი სათაუ-
რით: „წიგნი და რედაქტორი“. კიდევ ერთხელ
მეთქია იმ პასუხისმგებლობის ვაჟი, რაც წიგ-
ნის „ლოცმანს“ — რედაქტორს აკისრია, და
უურადდება მიზეზყო უნებლიე შეცდომებისა
თუ შეგნებული კომპრომისებისათვის, რომლე-
ბიც, სავოლო ანგაროში, ერთსა და იმავე შე-
დგეს იძლევა — დაბლა სცემს წიგნის ღირსებას.
ამისთვის სავანებოდ არ გავცნობივარ გამო-
მკვებლობის რედაქტორთა უფლება-მოვალეო-
ბებს, და ამ მხრივ დავეჯრდი ცოდნას, რაც ამ
საკითხში ყოველ ჩვენგანს გავაჩინა. ბევრი
კითხვა, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირე-
ბით დაგვებადა, სამწუხაროდ, შესაძლოა, უპა-
სუხოდ დარჩეს. ვინ ახსნის, მაგალითად, იმას,
თუ რატომ ხდება ასეთი რამ: გამოცემლობის
მავანი და მავანი რედაქტორი დაწერს შინა-
რედაქციო რეცენზიას და დაიწუნებს წიგნს.
დაწუნებულ წიგნი მაინც გამოვა და მისი რე-
დაქტორი იქნება. მისი დამწუნებელი რეცენ-
ზენტი!

ან ვინ ვაცემს პასუხს ამგვარ შეკითხვაზე:
რატომ ხდება, რომ წიგნს რედაქციას ვაუწყებს
(და საამისოდ, ცხადია, ზოგჯერ დიდ სამუ-
შაოს შეასრულებს) გამოცემლობის რედაქ-
ტორი, მის მიერ გავრულ შრომის საფასურს
კი მიიღებს ე. წ. გარეშე რედაქტორი, რომელ-
საც თითო თითზე არ დაუჯარებია, რათა წიგ-
ნი უკეთესი გამოსულიყო. მტკიც, ზოგჯერ წა-
კითხულიც კი არა აქვს მის მიერ „რედაქტი-
რებული“ ნაწარმოები!

ზემოთ მოვახსენეთ, რედაქტორის უფლება-
მოვალეობანი სავანებოდ არ შემისწავლია-
მეთქი. დიახ, არც მე ვიცი და ალბათ არც
ათასობით ჩემნაირმა მკითხველმა, რა საზღე-
რებამდეა დასაშვები გამოსაქვეყნებელი მა-
სალის სტილისტური სწორება! სამკვირდოდ,
უფელამ კარვად ვიციო, რომ არ უნდა გამოი-
დგეს

ოდეს ცუდი ქართულით დაწერილი წიგნი, არ უნდა იბეჭდებოდეს უგემოვნო, დაბალმხატვრული, უიდეო, არაფრისმთქმელი ლექსი, მითხრობა თუ წერილი. ამის ბარიერი მხოლოდ რედაქტორი შეიძლება იყოს. ჩვენი გამოცემლობების რედაქტორები კი ყოველთვის ერთნაირ პრინციპულობას როდი იჩენენ. უცნაური ის არის, რომ რაც უფრო გამოცდილი, მკოდნე და კვალიფიციური მწერალი პაყენ წიგნს რედაქტორად, მით უფრო მეტი ლაფსუსი, ენობრივი ხარვეზი და შეცდომა შეგიძლია შიგ იპოვო. ამასაც ხომ უნდა ახსნა!

მე დროულად და სამართლიანად მიმაჩნია კრიტიკის ქარცეცხლი, რომელშიაც ჯიშვებრ თათმერია ველდარ მიქაძის ლექსების პირველი კრებული გაატარა. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ჩემი გაცემა. როცა გავიგე, რომ წიგნის რედაქტორი იყო ქართული სიტყვის ისეთი აღიარებული ოსტატი, როგორიც იოსებ ნონეშვილია.

მუდამ ალტაცებაში მოვაყვდი და დღესაც მოყვარი ქართული კრიტიკის აღიარებული ლიდერის ბესო ელენტიის შეურიგებელ ბრძოლას ყოველგვარი ლიტერატურული წუნისა და უნიჭობის წინააღმდეგ. წარმოიდგინეთ, რა დიდი უნდა ყოფილიყო ჩემი გაცემა, როცა მისი გვარი ამოვიკოთხე ფაცია ჩიჭვიშვილის ყოვლად უმწიფარი მოთხრობების წიგნის გარკვეწე.

ქართული ხალხის საყვარელი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი მურმან ლებანიძე იშვითად უწინამძღვრებს ხოლმე წიგნს. პაგამ გამოწყალისი, ეტყობა ყველაფერში, და რაივად შექუწხლი, როცა ამგვარ გამოწყალისთა შორის ვნახე ებიფანე ცინცაძის წიგნისთვის დაწერილი წინასიტყვა, რომლის ავტორიც მ. ლებანიძეა. მერედა, არის კი ეს ფესტი ჭეშმარიტი დიდსულოვნება? რა ფასი აქვს ერთი ადამიანის ისეთ შებრალებას, როცა ამით შეუბრალებლად ვექციეით, ვაბნევთ და ვაწუხებთ ათასობით მკითხველს!

ვიორგი ნატროშვილს არ სჭირდება დამატებითი რეკომენდაციები. იგი ჩვენი გამოჩენილი მწერალი და კრიტიკოსი კი არ არის პარტო, არამედ შესანიშნავი რედაქტორიც — ეურნალი „დროშა“ ამას შეტყეული საბუთია. და აი, სწორედ გიორგი ნატროშვილი, კარგი ეურნალის გამომცემელი — არის ისეთი მღაჩე ლიტერატურული ნაწარმოების რედაქტორი, როგორიცაა ილია მეღაძის „ცისკრის ვარსკვლავი“.

ან ვინ დაიჭერებს, თითქოს, ცნობილი „ჩვენი საუნჯის“ ოცტომიანი სერიის გამომცემელმა, პოეტმა ხუტა ბერულავამ არ იცოდეს, რომ პოეტის წიგნში, თუ შიგ პოეზია ვერა მანდა და მანც სასურველ დონეზე, ელემენტალური გრამატიკული და ორთოგრაფიული

ნორმები მანც უნდა იყოს დაეული. იგი კი რედაქტორია უშანგი ბედიას ლექსების პირველი კრებულისა, სადაც ამ თვალსაზრისით ყველაფერი თავდაყირა დგას.

დაბოლოს, ეურნალ „ცისკრის“ კრიტიკის განყოფილების გამგე, პოეტი ტარიელ ჭანტურია, სწორედ ის ადამიანი, ვინც, „ცისკრის“ რედაქტორის დაფლებით, ალბათ ჩემს ამ წერილსაც მოამზადებს დასაბეჭდად, რედაქტორია მიხეილ კაიტელაშვილის წიგნისა, რომელსაც — ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ პოეზიასთან და ნამდვილ მწერლობასთან.

ვიმორებ, რატომ ხდება ეს, ხომ უნდა ახსნა ყოველწე ამას!

მე ისევე ზემოთ გამოთქმულ თვალსაზრისზე ვდგავარ: ხარვეზები, რაც ცუდ წიგნებში გვხვდება, მხოლოდ ორგვარი ხასიათისა შეიძლება იყოს — ისინი ან უნებლიე შეცდომებია, ან შეგნებული კომპრომისი. ჩვენს შემთხვევაში მეორე რიგის მოვლენასთან უნდა გეკონდეს საქმე, რადგან უმაღ ქვეყნის დაქცევის დაეიჭერებ, ვინც მისა, რომ მურმან ლებანიძეს ერთმანეთში ვრევა ნიჭიერი და უნიჭო ლექსი, ან კიდევ ვიორგი ნატროშვილს — ნიჭიერი და უნიჭო მოთხრობა.

ვის ეგნარებთ, ვის ვუქებთ მხარს, რა წიგნს ვაძლეეთ გზას, რომელს ველობებით წინ — ამას განუზომელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კულტურისთვის, საერთოდ, და ჩვენი ლიტერატურისთვის, ვერძოდ.

ბერედა ბერიაშვილს, ისეთ პოეტს, რომელსაც გერგერობით არაფრით გამოუჩენია თავი, დიდი ლიტერატურის გზა დაულოცეს ნიკოლოზ ტიხონოვმა, ვიორგი ლეონიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, სანდრო შანშაშვილმა, სერგი კილაიამ... მის პირველ წიგნს ურედაქტორა გრგოლ აბაშიქემ. და ეს მაშინ, როცა არაფერი ამის მსგავსი არ ღირსებიათ მუხრან მაკვარიანს, რევაზ ინანიშვილს, შოთა ნიშნიანიძეს, ოთარ კილაძესა და სხვებს, რომელთა ჩამოთვალა შორს წაეეყვანდა!

ისევე და ისევე კითხვა: რატომ ხდება ეს!

სანამ რაიმე დასკვნის გამოტანას შევეცდებოდეთ, მანამდე, ჩვენი ეს გულისწყრომა რომ მოგონილს არ გავდეს, მავალითისთვის განვიხილავთ რამდენიმე წიგნს (ცხადია, მხოლოდ მათი რედაქტირების თვალსაზრისით).

ეიფანე ცინცაძე: „კრილოსანი“, რედაქტორი მურმან ლებანიძე, „მერანი“, 1971. დღეს ხანდაზმული პოეტი ებიფანე ცინცაძე „20-იანი წლების საბუთთა ლიტერატურაში მწრომელი მასების წიაღიდან ტალანტებო“

თამაზ წიხვიძე
წიგნი და რედაქტორი

პირველ მოძალეებას მიჰყოლია“. ლექსების პირველი კრებულიც მაშინ დაუსტამაბავს. მერე ცხოვრება სხვა გზით წამართვია და ლიტერატურას კარგა ხნით გამოსთიშვია. აგერ ახლა კი პოეტის ახალი კრებული მოგვაწოდა „მე-რანმა“.

როგორც უკვე ვთქვით, წიგნის დეტალურ განხილვას ჩვენი წერილის ხასიათი არ ითვალისწინებს. გვაქვს კონკრეტული შენიშვნები გამომცემლებთან.

წინასიტყვაობაში წერია: „წაიციხხავთ რა ეპიფანე ცინცაის ლექსების კრებულს... ამდენ სიტოხსა და სიკეთესთან, ამდენ გულითადობასა და ადამიანობასთან ერთად, თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაო ოსტატობაც გამოსჰქვივის...“

მკითხველთან პოეტის ასე წარდგენა უხერხულია!

არსად გავვიგონია, გამომცემლობა სტამბადღეს წიგნს, მერე მკითხველს აუწყებდეს, ჩვენს მიერ შემოთავაზებულ კრებულში „თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაო ოსტატობაც გამოსჰქვივისო“...

უნიკალური შემთხვევა!

აბა, სხვა რა უნდა გამოსჰქვიოდეს პოეტის ლექსთა კრებულში, თუ არა ოსტატობა? ან არადა, რა უნდა იყოს აქ ვასაკვირი, რომ გვეუბნებოდნენ, „თქვენ წარმოიდგინეთო“? მოგახსენებთ: გამომცემლობას, მიზეზთა გამო, საჩოტორო საქმე უკისრია. წინასიტყვაობის ავტორი ცალკერძ მსოფიან პოეტს დახატრებულა, ცალკერძ — მკითხველის გემოვნებას.

გამოსავლის ძიებისას თავად ჩავარდნილა უხერხულ დღეში!

„ეპიფანე ცინცაქე, როგორც პოეტი, არც კაბინეტის ესთეტიკა და არც მქუხარე ტრიბუნი. იგი ცხოვრების ავკარგზე, ადამიანის ხინჯსა და სიკეთეზე დაფიქრებული გულშემატკივარი ადამიანია, ჰუმანისტია და მორალისტი. ამ სიტყვას საუკეთესო გავებით... პოეტს ენარჩეება ცხოვრებისეულ სიბრძნე-გამოცდილებათა — ერთი შეხედვით საყოველთაო კუშმარტებათა სხარტი, მოხდენილი განზოგადებანი... ეს გამომცემლობის აზრი ვახლავთ პოეტის შემოქმედებაზე. ჩვენ არ ვაპირებთ მკითხველის გადარწმუნებას: მხოლოდ წიგნიდან ვაღმოვიწერთ რამდენიმე ლექსს:

1. ქვა მომარტყეს — ვერ გამტყეს!
ჯოხი მირტყეს — ამაწად ვერ

მატრია!..

მაგრამ ეს რა მოხდა? ხმაური ატყეს,
ბასრი ენა მომწედა — მაშინვე

გამგმირა!

2. თუმც სუსტი ჩანს, სჩვევია აღმაფრენა,
თუმც მცირე ჩანს, ძალა აქვს

სანაქებო...!

თუ ოსტატმა კალამს აუღდა ენა
ძრწოდით მაშინ, მქუხარე ზარბაზნებო!

3 ნემსმა შეკერა:

ტყავი,
შალი,
ჩით-სელი,
ფარსა,

ყველა შემოსა

და თვითონ კი
შიშველი
ღარჩა.

4. წყალმა

ციცხლს ჰკადრა:
თუ მათობო,
მეტად
ნუ გამაცხელებო,
გაღმოვდუღდებო,
ჩაგაქრობო,
ჩაგახშობო,
ჩაგაბნელებო!

5. რა უფრო ტყბილია,

რომელი შემთხვევა,

როდისაც კაბუჯი

მშვენიერს ეხვევა,

თუ ამგდარისთვის

ღვაწლის დაფასება,

როს გაღიზრდება

ის ქებათა ქებად?

რა უფრო კარგია:

ძიება და სწავლა,

თუ ამ სოფლან მოჭმა,

ხერხიანის ხედრი?

მიჭირს ვუპასუხო,

არც მსურს გვერდის ავლა,

გეითხავთ, გამოცდილნო,

ამისხენით, ვვედრიო!

ამ ლექსებში მართლაც იგრძნობა, რომ პოეტი ცხოვრების ავ-კარგზე დაფიქრებულა, მაგრამ ვერ ვიტყვით, თითქოს აქ მართლაც გამოსჰქვიოდეს „საკმაო ოსტატობა“, რის გამოც დააწყისში სიგანგებოდ გავგეთრთხილეს: „თქვენ წარმოიდგინეთო“...

„კლასიკური პოეზიის ერთგულებით აღბეჭდილ ამ წიგნს ინტერესით გაცნობთ ჩვენი „ლითხველი“ („წინასიტყვაობიდან“).

რამდენიმე შემთხვევაში „კლასიკური პოეზიის ერთგულებით“ იმდენად აშკარაა, სჯობდა, გამომცემლებს თავი შეეკავებინათ მისი დასტამბავსაგან:

სამშობლო მიწავ, მას შემდეგ, რაც

თავი ვიცანი,

შენღამე ტრეობით განვიმსკველე შენი

ხიზანი...

(ეპიფანე ცინცაქე).

მას აქვთ, რაკი შენღამი ვცან მე
სიყვარული,
პოი, მამულო, გამიერთა მე ძილი და
შეება!
(ილია ჭავჭავაძე).

„კრილოსანში“ არაკის მარკით დაბეჭდილია ცუდად გალექსილი ერთი საკმაოდ ცნობილი ანეკდოტი. ყველა, ვინც ეს ანეკდოტი იცის, დაგვეთანხმება, რომ იგი „ადგილზე“ ბევრად უკეთესია. ე. ცინცაძეს იგი, ასე ეთქვათ, „ღა-უშმუშავებია“, შეუყვეცია და, ანეკდოტისთვის დამახასიათებელი ეუმორისტული მომენტა რაკი დაუარგაუა, მეტი რომ არა ეთქვათ, ელემენტარული უხამსობა მიუღია. ჩვენ ვერ გავიზიარებთ, მაგალითად, „მორალს“, რასაც ეს არაკი გულასხმობს. მოგაგონებთ არაკის წინაარსს:

გმირი (?) ბელურა ფრენამ დაღალა, სიცო-ვემ დააზრო და ბოსელში ჩავარდა. რა თქმა უნდა: „ვერც კი შენიშნეს ძროხებმა მათ შო-რის ჩიტი პატარა და ერთმა ფურმა ხებრმა მარცხად ნაკელით დადარა. ნაკელის სითბომ ბაწის ძალდონე ახლად შემატაო“. — გვამ-ცნობს ავტორი და აქედან გამოჰყავს „მორა-ლი“:

ვინც უნებურად ჭუქუს გვაფენს,
მსჭაერს ნუ, ნუ დაეღებთ მის ჭქევის;
ნახეთ? მოხდება, ის გვალხენს —
კეთილ შემთხვევად იქცევა!

ნაკელში მოხვედრილი ჩიტის ბელი ვერა-ფერი სახარბიელა. ბელურას მღვთმარბოზი-დან ასეთი დასკვნის გამოტანას — თუ თავზე გუზეს გვაყრინა, მსჭაერს ნუ დაეღებთო, — მკითხველს ვერ ვურჩევთ.

უშნავს ბედია: „ხვალ“, რედაქტორი ხუტა
ბერულავა, „შერანი“, 1970.

ვერძნობ კვილამდე პოეზიას და მზე
ფოთლებში
იძირება, როგორც ჩალა .

პოეტი რომ კვილამდე ვრძნობს პოეზიას,
ეს მან კი არ უნდა გვითხრას, ამას ჩვენ უნდა
მიუხედავოდ!

მე ამინდებში უფრო მომწონს შენი
შუაღდე .

აქ პოეტს „შუაღდე“ — ე. ი. დღის გარკვეუ-ლი მონაკვეთი — ამინდი ჰკონია! სასაცილო იქნება, არა? რადიო ან ტელედიტორში ამინ-დის ბიუროს ცნობის მოწოდებისას რომ გავ-გაფრთხილდეს: ხვალ თბილისში იქროლებს ქარი, მოსალოდნელია შუაღდეცო...

მეტს აღარ ამოვწერთ, ვიტყვიეთ კი, რომ ამ პატარა კრებულში გასასწორებელიც ბევრია და უარსაყოფიც, მაგალითად, როგორც ეს სტროფი:

ვაზია ჩენი სისხლი და ხორცი,
ჩვენ ასე მოგვღვამს მამა-პაპიდან
და, თუ ღვინისთან არა ხარ მორცხვი,
ქართველ კაცს ამის მეტი რა გინდა!..

ღვინე ვის არ დაუღვია, მაგრამ არც ასე გაღვრევა შეიძლება, ზომა-წონა ყველგან სა-ჭიროა!

უ. ბედიას წიგნში ერთ მომენტს გვინდა განსაკუთრებით გაუხსნათ ხაზი. ესაა პუნქტუ-აღისის საკითხი. როცა აპოლონიუსი, ნუზვალის, ანრი მიშოს ან სხვა მოლოდინისტი პოეტების ლექსებში პუნქტუაციის ნიშნებს ვერ ვხვდუ-ბით, ჩვენ ვიცით ამის, ასე ეთქვათ, „სასატიო მიზეზი“: აღნიშნულმა პოეტებმა, განსაკუთ-რებული მოსაზრებების გამო, უარი თქვეს მასზე! მაგრამ რით ავსნათ იგივე მოვლენა უშნავი ბედიასთან? ფექტობთ, ესეც წიგნის რედაქტორს ხება. ამგვარი პარალელი იმით-ვის კი არ გავატარეთ, თითქოს მკითხველის გაღიშება გვინდოდეს, არაედ იმისთვის, რომ მომავალში ჩვენს რედაქტორებს ამ საკითხის-თვისაც მივაქციეინოთ ყურადღება!

კემალ ჭაყელი: „მუშაჯირი“, რედაქტორი
სერგო კლდიაშვილი, „საბჭოთა აქარა“ ბათუ-მი, 1971. აქამდე დედაქალაქის გამომცემლო-ბებში დასტამბულ წიგნებზე მოგახსენებდით. ჩვენთვის, ალბათ მკითხველისთვისაც, საინ-ტერესოა, რა მღვთმარბოზაშია წიგნის ბეჭე-ვის საქმე დღეს პერიოდებში.

ხელთა გვაქვს „საბჭოთა აქარაში“ გამომცემუ-ლი ისტორიული რომანი კემალ ჭაყელისა — „მუშაჯირი“. წიგნის სატიტულო გვერდზე წერია: რედაქტორი სერგო კლდიაშვი-ლი. ჩვენი სასიქადლო მწერლისადმი უზო-მო მოკრძალებისა და სიყვარულის მიუხე-დავად, გულახდილი საუბარი აუცილებელია ჩვენი ფიქრით, გამომცემლობა ამოეფარა მსკოვანი მოლოდინის ავტორიტეტს და მკითხველს მოაჩვენა წიგნი, რომელიც მხატუ-რული ლიტერატურის სფეროში ვერა და ვერ მოგვითავსებია. სხვა ახსნა ამ ფაქტს არ მოე-პიეება. ძალიან გვინდა ვამართლდეს ჩვენი ვაზაუდი, რომ სახელმწიფოებში მწერალა სერგო კლდიაშვილი ამ კრებულის ფექტიური რედაქტორია. ეს აჯობებდა მკითხველისთვის, ქართული ლიტერატურისთვისაც.

პირდაპირ შეიძლება ათქვას, როგორც გა-უმარგლავ ყანას შეატკობ, რომ იქ თოხიან კაცს არ გაუვლია, ასევე ამჟამად იგრძნობა, „რომანის“ სტიქიონებს რედაქტორის კალამი არ შეხება!

ბრალდების სერიოზულობა გვაეაღებს, მკი-

თამაზ ზინვიძაძე
წიგნი და რედაქტორი

ინველს მეტი ფაქტობრივი მასალა მიეწოდო. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდება იმდენად, რამდენადაც შეუძლებელია მთელი წიგნის აქ გადმოწერა.

აი, როგორ ფლობს მწერალი მხატვრულ ღრუბას და რა „შემოქმედებითად“ უღვებია ქართულ ენას:

„ისევ დუმილი ჩამოყრუვდა“

„თუ ხელს შეუწყობს ამისთანებს, არც ფინობა წაუხდება და არც საფაშო, სულთანთან კი პირნათეობები გამოვა“.

„მუდამ სიტყვაძვირმა ვამესმა მიიშალა პირ-დუმილი...“

„მამას რომ ჩაუახლოვდა, თავი დადრიკა და მორიდდებო წარმოთქვა“...

„მორი ალი ბეგმა სადავე მომძაფრა და ცხენი უაღუჯე შეატოტა“.

„შეკრთა და უნაგირზე მიმოიღრძო, რადგან მოქუტრდულ სიამოვნებაში დაიკვირეს.“

„ხალხის უტრადლება რომ მოხვეტა“...

„კვრები ანთო და შეღამის გზა სახლამდე მით ვაიბუტა“...

„შავი ზღვის ჩაქვის ბახინით“..

„წამოგუყვანა ჩემთან და ექვს ოცა იაღს თუ მომტანდი, იმისთანა ნუსხას დაეწერდი, შევლ შენგორს გააწყვეტინებდა.“

— არა, ბატონო, კი არ გადვლებულა, ისე ჩიხიდან გამოვიდა, შეუშტვირაო“.

„სტვენა და ყვირია ნამეტანი აუტანელი გახდა და საქმეში ზაფთიები გავიღენენ“.

„ამის თაობაზე განთქმული მენავე და ძალოსანი ჭორბის შენაკადთან რომ სცემა და ათრია, გადაწყვიტა იმ წელს შეჯიბრებაში მონაწილეობა მიეღო“.

„მოწინააღმდეგე ერთი დარტყმით ნოკაუტში რომ ჩაავდო, ზისლით დახედა და ლამის დააფურთხა — ჩუჩელა უოფილხარ და რინგზე რას მოძებროდიო, მაგრამ წაქეცულმა სათვალავით მეორეს დათვლაზე მოხვტა სხეული და წარმატების დახოცილი შანსებით ელდაწყარავი წამოვდა, ვამეხოლს შეუბღვირა და მის მიმართ გულში შავი ბოღმა ჩაიღო“.

ეს ფრაზაც საკმარისი საბუთია იმისათვის, რომ ვირწმუნოთ, უადრესად დახვეწილი გემოვნების პატრონი სერგო კლდიაშვილი ამ წიგნზე ხელს არ მოაწერდა!

მაგრამ ყველაფერი ნათელი რომ შეიქმნას, რამდენიმე ციტატა კიდევ მოვიტანოთ:

„მორი ალი ბეგმა თვალი მოკრა თუ არა შემართალ დაროს, მამაკაცური ზრახვებით ვადიხარხარა. თითქოს ეს არ იყოო სამარისი, ახლა ცხენმა დაიხვისვინა და გზისაკენ გადმოხუნქილ ცირცელის ტოტზე ფოთლები შეაწრიალა. ცხენოსანი მიეჭრა შემართალ ქვეითს და უპატიოსნო მამაკაცის თვალებით გადმოხედა, თუმცა თავისთვის „პატროსხე-“

ში“ ღრმად დარწმუნებული იყო ეს უსრდელი“.

„მორი ალი ბეგმა პირი ისე დაალო და ახარხარდა ქვედა ყბა საყელოს ბრჭყვილა ღიღი დააბრინა. ჩამოყრილ-ჩამოღვსილი მხრებზე შეათახთახა და ვერცხლით გაწყობილ ოქროსფერ უნაგირზე ადულდულდა, მერე დორბლიც კი გადმოუფარდა და „ქოსტეგინი“ საათის ბრჭყვილა ქავეზე ჩამოეცადა. ამ ხარხარმა ისე დაუგრძელა ბაშკირული ნესვივით გრძელი სახე, ლამის დაამახინჯა. ის ამ მომეტებულ სიცილით ქალის უმწეობას დასცილოდა. თანაც სიამოვნებდა, როცა ახალგაზრდა ლამაზ ქალს აწამებდა...ასეთი იყო მისი სიამოვნების მამარჯვებოთა გავება“.

„მუხლზე მტერმა მოგვცა, ქალო, და უპატრონოდ დარჩი ამ უსიერ ქვეყანაზე! წუ გეშინია! — თითქოს დაამშვიდა და თავისი ზონზრობა ზედატანი ისე შერეკლა, გასაგები იყო, რომ... მხად იყო, ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე აუყვანა ხელში, მოღზე წამოეწვინა და... მისი მარალიანი ცრემლების შეგრძნებით კიდევ უფრო ავსილიყო იმ ვნებით, რომლის შემდეგაც ხარებზე ვედარ იოკებენ სურვილებს და რქებით მიწის ჩხვერას იწყებენ“.

„რა ლამაზი ქართველია?“ — გაისმა ვოკონების ჩურჩული. ვერც ხანუმებმა და ხათუნებმა დაფარეს აღტაცება ლამაზი მამაკაცის ნახვით. მათთვის სულერთი იყო, თუ ვინ გამარჯვებდა, მთავარი იყო, ლამაზი და ძლიერი მამაკაცების ბრძოლა ენახათ, გამარჯვებულნი იმ დღეს თავიანთ გმირად ეღიარებინათ და ქმრებთან ხორციელი სიახლოვისას ოცნებოთ გამარჯვებულთან ენებიერთა“.

„შენ მე მეცოდები, ზაფთივე, ასეთი პირუტყვი რომ ხარ, მაგრამ არ მეცოდები, რაკი პირუტყვი ხარ და მინდა ახლა ისე ლამაზად გავლახო, როგორც გაჯიუტებულ ვირის გულახვევს ხოლმე. სხვა ამბებია, თუ ახლა არა მაქვს ამის საშუალება — მე მხოლოდ ჩემს სურვილს მოგახსენებ მთელი გულახდით“.

კურობული შემთხვევები წიგნში სავანებოდ არ დაგვიტეხია, მეტიც, ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია იმისთან, რაც არ ამოვიწერეთ. თანაც, მხოლოდ ფაქტობრივი მასალის მოწოდებით დავემყოფილდით. კონტენტარების დართვა პატრიცემულ რედაქტორს (რაკი მისი სახელი და გვარი წიგნს აწერია) ჩვენგან არ ეკადრებოდა.

ქუჩი ძიძიშვილი: „მხოლოდ ლექსად ამონათქვამი“, რედაქტორი იზა ორჭონიკიძე. „მერანია“, 1972. „მერანია“ გასულ წელს პოეზიის მოყვარულთ მიწოდდა ქუჩი ძიძიშვილის ლექსთა კრებული „მხოლოდ გულით ამონათქვამი“. წიგნს დართული აქვს მოკლე წინასიტყვაო-

ბა, იგი ავტორს დაუწერია. მკითხველი აქვე
გნობა პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთ დე-
ტალს: „ლექსს, ერთი ქართველთაგანი, ჯერ
კიდევ ყმაწვილობისას ვწერდი. დავავაყადე
და შეცნიერების ძნელად სავალ ბილის გავყე-
ვი... მაგრამ შექირებების ეამს ლექსს მაინც
წერდი. დღესაც, თუ სუნთქვა გამიჭირდა,
ლექსით ვიბრუნებ სულს“. მერე პოეტი მოყ-
რბალებით გვიტყვობა: „როცა გულში გავივ-
ლებდი, ჩემი ლექსი სხვამაც უნდა მოისმინო-
სო, შიში მეუფლებოდა: ვაი, თუ სხვას ჩემ-
გან თქმული ისე ვერ განეცადა, როგორც მე
განვიცდიდი. ეს შიში იყო, ლექსების დასტამ-
ბეზე ფიქრსაც რომ არ მახდენინებდა“...

მოსაწონი თავმდაბლობაა, მაგრამ, სამწუხა-
როდ, კრებულის გაცნობის შემდეგ სხვანაირი
შთაბეჭდილება გვექმნება: ეს მორცხვი, სასი-
ამოვნოდ მოხატრებული პოეტი საღდაც ქრე-
ბა!

ბილების უამრავი სტრიქონი დავაკელით, მეო-
რეც, უზომოდ შევაწუხებთ მკითხველი ამლა-
გვარი პრეტენზიებით ლექსებზე, პოეტზე, პო-
ეტობაზე.

თავს ვიმიედებთ, ამ საყვედურს ჩვენთან
ერთად გაიზიარებენ წიგნის რედაქტორი და
გამომცემლობა, საღდაც იგი დაიბეჭდა!

ასლა ვეკითხოთ, ერთ მომცრო კრებულში
ცოტა ზედმეტი ხომ არ არის ასე გაუთავებე-
ლი საუბარი საკუთარ პიროვნებაზე, ინტიმურ
სატრფილო თავგანსაჯვლებზე? ნუთუ ეს ვე-
რაიენ შენიშნა? არა გვერნია! მაგრამ რაკი
ასე მოხდა, იძულებული ვართ რამდენიმე მო-
წინებზე მივიანიწნოთ:

წიგნში, რატომღაც, საკუთარი პიროვნების
უდიერად მოხსენიების ბევრი მაგალითია:

ხომ არ დავიწყვდა? გახლავარ ქუჯი
ყბელი, მეოცნებე და მარტივით
ჯიუტი,

რაც პოეზიის საგანი ვერ იქნება, მაგრამ
ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა საკუთარი
ოჯახის დახასიათებამ. იმ ლექსზე მოგახსე-
ნებთ, 73-ე გვერდზე რომ არის დასტამბული და
„მაისთვის, ბოლიმეით ნაანდერძევი“ რომ
ჰქვია:

ზოგჯერ თვალებით გსურს შემომჩვილო,
შემომქერ, ხმა კი ვერ გავიცია,
რომ დედა შლეგი გამოდგა, შვილო,
მამამ მამობა ვერ გავიწია...
და როს ურჩხული დამე, უძილო,
კვლავ მოგანატრებს ხრინწიან ნანას,
მაშინ ცრემლებით შეუწნე მამას,
მშობლებ-ცოცხლო, თბოლო შვილო!

უპრეტენდენტო შემთხვევაა! ეს სტრიქონები
დაწერო საკუთარ ოჯახზე და მერე იგი საზეი-
მოდ და სახალხოდ მიუძღვნა შვილს. იქნებ პო-
ეტი — მამა ამ სტრიქონებით იწონებს თავს
შვილთან: „დავხვდე შიშით და მამის მიხედვი:
ყვავსაც რად უყვარს თავის ბახალა“.

ლექსში „სოცოცხლის წიგნის არმაზე მი-
წაწერი“ ავტორი პირდაპირ გვიცხადებს:

„და თუ ლექსებით სულს ვიბრუნებ
ამხნას ვაყვავი,
გამიგებს იგი, ვინც სიყვარულს
გადააყოლია!“

და მართლაც, მთელი წიგნი, პირველი სტრი-
ქონიდან უქანასკნელამდე, სიმღერა თუ გამო-
ხატება საკუთარი სატრფილო ინტრიგებში
ა. სხვა რაიმე საზოგადო მოტივით ავტორს
კრებული არ „დაუფიქმებია“. აქ არის მიძღუ-

დავასაბუთოთ ნათქვამი:
„ხომ არ დავიწყვდა? გახლავარ ქუჯი,
ყბელი, მეოცნებე და მარტივით
ჯიუტი“.
„რაა, რომ ასე ვამიწყნებდე ჯიუტი
ქუჯი,
მერე რაა, რომ მეც დამდედეს ასეთი
სეუდა!“
„მე კი მახჩობდა ჩემი ვრძობა,
ნაქარავმევი,
საშემოდგომო მძიმე ლექსად,
გადმოღვარული“
„დავხსნა ურდული, რომ პოეტობას
აღარ ვამწყვედებდე გულის საყავში“.
„მოგვიდეს ქუჯო, თუ ბოლით სავსემ
დღეს სიხარულით არ მოვილინიო!“
„გვსმის ეს ლექსი: გულის ბორჯვა და
ღრინელო.
ეს განწირულის ყვირილია
სიყმაწვილისა!“

დაბოლოს, ამოვიწეროთ ერთი სტროფი ქუ-
ჯი ძიძიშვილის ლექსიდან „გაბაასება საყუ-
თარ თავთან“:

ნუთუ იმისთვის დავიბადე, რომ
დღენიადავ
მომეცნიერო კაცუნებთან მქონდეს
ვიდილი;
ვგავდე უბადრუქს, ბრბოს ფეხებთან
დავარდნილ ქადაკს
მე, სიყვარულის და ლექსების
ოქრომქვედელი ...

საქმე ზარზის საბოლიშოდ გავიხადეთ: ჯერ
ერთი, პოეტს საკუთარი წიგნიდან ამ განწყო-

თამაზ წიხვიშვილი
წიგნი და რედაქტორი



ნითი ხასიათის მისამართიანი ლექსები: „აბა, ეს ჩემი გაშლილი გული, შენ, სიზმარეთის თავანო თამარი! ღე გულმა გულთან ჰპოვოს სადგური, გული თამარმა გაათამამა!...“ „მე ჰროდა თვალებს დაეასვენებ შენს შემკრთალ მკერდზე და გულში ვეტყვი: ეჰ, მშვიდობით, კეთილი თამლიმ“. „მეკი რაც სიყრმით დამლანდებია, ესლა მომიზლო ჩემმა გრძობამა! ბედი ზინდებთან დამლოდებია და იარები დამიროდამა“.

ახლა რამდენიმე ამონაწერი, სადაც ავტორის სატრფონი ანონიმებად რჩებიან:

„შენ დღეს ვთხოვდები, ხვალ კი ატირლები დაკარგულ ქუჩიზე, ძვირფასო ბავშვო!“

„საყვარელო, სადა ხარ, სადაური სად წახვედ, დაკოდილი დამაგდე როგორც გადამთიელი!“

„და მე თუ შენგან მოველოდი სხვა სიქალწულეს, და მე თუ გული გავიშალე გადასათელად, ან თუ ბევრი რამ კიდევ დამრჩა შენდა სათქმელად, გთხოვ მომიტეო ჩამორჩენილ, რეკვენ კაცუნას...“

ეს წერილი — ლექსები მიწერილი თამლიმთან, თამართან, აგრეთვე ანონიმ ქალბატონებთან, რაკი პოეზიად ვერ იქცა და ავტორის გარდა არავის ინტერესებს, აჯობებდა, ისევ აღრესატების პირად არქივში დარჩენილიყო!

ვერტიკო ანჯათარძისადმი მიძღვნილი ლექსის სათაური თავისთავად ძალზე საინტერესოა: „ვერტიკოსთვის, მიძღვნასავით“. მაგრამ აქ მიძღვნა მიძღვნასავითაა, ლექსი — ლექსივითაა, საბოლოოდ კი არც ერთია და არც მეორე:

ანგელოზობა არ ისურვე, ცხოვრება გასურდა, — ძმად ვაგეფიცა ქამშეშლილი ემშაყეული...

კრებულში დასტამბულ ლექსებს, უკლებლივ ყველას, მიწერილი აქვს დაწერის თარიღი, რამაც ცუდი სამსახური ვაუწყია პოეტს. სამამულო ომის პერიოდში დაწერილ ლექსებზე მოგახსენებთ. იმ დროს, როცა იწერებოდა ვალაქტიონ ტაბიძის „მშობლიურო ჩემო მიწევ“, გიორგი ლეონიძის „არ დიდარდო, დედაო“, ალექსანდრე აბაშელის „არ მოუშვა, დაკარგი“, ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხიძე“, გრიგოლ აბაშიძის „დროშები“ თუ რევაზ მარგვიანისა და იოსებ ნონეშვილის მებრძოლი სტრი-

ქონები, სარეცენზიო წიგნის ავტორი ქუჩი დიშვილი აი, რა თემებით ყოფილა გატაცებულნი

შენს საულავებზე, ძეძვის ბუნქთან, სისხამ დილით რიყრაყივით გაიფურჩქნა ერთი მორცხვი ყვავილი, მაგრამ ესეც ხბომ მოსძოვა, და ბოჩოლა დაეკლალი არე-მარეს აყრუებდა შემზარავი ბლაგილით. („ძეძვის ბუნქზე თქმული“, 1941 წლის ზაფხული).

ალბა მყავხარ, რომ ცოცხალი გამომიტირო და სიყვარულით ჩაიხუტო ჩემი ლექსები („მძიმე სიზმრის მოგონებასავით თქმული“, 1943 წლის თებერვალი).

შენ გულის ძვებასაც შურთხივით უფრთხი, შენს თავსაც უკურთხებ ბრაზით და ფურთხით... და მინც მიღიხარ ტორტმანით, გამარცხულ იმედებს დაუვლი კარდაკარ. და როგორც მეგობარს, ხარხარით, მზარდამზარ დაგყვება პირმყრალი ყოყმანი („მოსაწყენი რამ, თავთანაც ძნელად გასამხელი“, 1943 წლის ნოემბერი).

იცნობ კაცობას? — შემართებით რომ გაპყიოდა, ესლა წუწუნით დაწანწალებს ზაზრის ხმაურში, ვით ფერ-შემარულ ჩამოცლილი, უძლური მრუმი, ულუქმაპუროდ გაგდებულნი საროსკიპოდან... („მინც ბუზლუნით ნათქვამი“, 1944 წლის მარტი).

ქუჩის ჯაგრი სიზმრადაც რომ მოჯარეობდა, ალბათ მიწას განერთხმოლი, ცრემლით შევაჯერებდი („შენს ნათქვამზე თქმული“, 1944 წლის აპრილი).

შენ, ქრუანტელო ხორცშესხმელო ლანდების გმინავ, ქალო პატარავ, საწყაულო დიდი გრძნობისა! („ვერტიკოსთვის, მიძღვნასავით“, 1945 წლის მაისი).

ჩვენ კეთილსინდისიერად ამოვიწერეთ ციტატები იმ ლექსებიდან, რომლებიც პოეტს დაუწერია 1941 წლის ზაფხულიდან 1945

წლის პაისამდე, და ეს გახლავთ მთლიანად ქუჩის კიბეების სამამულო ომის პერიოდის პოეზია!

პოეტს, რომელსაც ეუფენის სტრიქონები:

რა მინდოდა მეოქვა? — უკვე დამავიწყდა.

მანც, რა უნდა ვოქვა? — უკვე დავიბენი.

ეხლა ფიქრით ყველგან დავიბრინე, კვლავ შენთან მოვედ და ახრიდ ვამიწყდა.

გამომცემლობისა და რედაქტორისა რა მოგახსენოთ, პირადად ჩვენ კი ვერ ვერწმუნებით ლექსში „გაბაასება საკუთარ თავთან“ გატარებულ მისეულ აზრს:

ნუთუ იმისთვის დავიბადე, რომ დღეშიაღაგ მომეცნიერე კაცუნებთან მქონდეს

კიდილი,

ვკავდე უბადრუკს, ბრბოს ფეხებთან დავადრნილ ქადაგს

მე, სიყვარულის და ლექსების ოქრომკვდელი!

იქნებ მომეტებულად მკაცრი ვიყავი იმ ადამიანის მიმართ, ვინც, ასე ვთქვათ, „სახალისოდ“, ლექსების ერთი კრებული გამოაქვეყნა და ვინც, როგორც იტყვიან, „პრეტენზიას არ აცხადებს“. უეშარიტი პოეტის ტვირთზე, მაგრამ სწორედ ამგვარი არასწორი შეხედულების გასაფანტავად უნდა ვთქვა ხმამაღლა: არა, არ არის ეს სწორი! ის, რაც სხვისთვის მთელი სიცოცხლის საქმეა, არ შეიძლება ზოგიერთებისთვის ჰობი იყოს! ხოლო თუ მანცა ვკაქვს ასეთი ჰობი, ლე, იყოს იგი ჩვენი (და

მხოლოდ ჩვენი) სიხარულის წყარო, და სხვებს მისით ნუ შევაწუხებთ!

წერილის დაასრულს გვინდა მკითხველის უბრალებდა ერთ ვარემოებაზეც მივაყროთ. სხვათა შორის, უკანასკნელ ხანებში წიგნის თაროებზე სულ უფრო გახშირდა წიგნები, რომელთა ფორმა და შინაარსი უნდგემოდაა დაშორიშორებული. აქ, ეტყობა, გადაწყვეტ როლს ასრულებს ავტორთა პირადი ინიციატივა, პოსტები, რომლებიც მათ უკავიათ, აგრეთვე პოლიგრაფიულ სამყაროსთან სიახლოვე. მხოლოდ ამით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ ლაღო ასათიანის, მირზა გელოვანის, კოლა ლომთათიძისა და სხვათა წიგნები შავ და უხარისხო ქაღალდზე იბეჭდება მუდამ, და ეს მაშინ, როცა უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე დაბეჭდილი და ლამაზად გაფორმებული გამოდის წიგნები, რომელთა ჩამოთვლისაგან პრაქტიკული მოსაზრების გამო თავს ვიკავებ.

P. S. იქნებ ახალბედა კრიტიკოსისაგან მეტი-მეტი სითამამე იყოს ამგვარი წერილის ასე წერა. მაგრამ პირადად მე, ვარდა ობიექტური და საპატიო მიზეზისა, საამისო საბაბიც მქონდა. ვაზთ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ ჩვენი სახელმძღვანელო კრიტიკოსის ბესო ვლენტის წერილმა და იქ ჩვენი მისამართით გამოთქმულმა შენიშვნამ — ახალგაზრდები ახალგაზრდების კრიტიკით კმაყოფილდებიანო, — გამაბედვინა, ვუფილიყავი უფრო გაბედული.

„წერილი პირველი“ — ასე აწერია ამ მიმოხილვას. რეაქციის მიხედვით, რასაც ეს წერილი გამოიწვევს (ან არ გამოიწვევს), ალბათ მიგზვდები, უნდა დავწერო „წერილი მეორე“ თუ არა!..



როლანდ ბერიძე

ისევ ქართული ღებვის მიუგნებად საზოგადოება

ქართულ „მაცნეს“ 1972 წლის მეორე ნომერში დაბეჭდილია ა.ვ. ხინთიბიძის საპაექრო სტატია „თანამედროვე ლექსის საზომებისათვის“, რომელიც ავტორს ჩემი წერილის — „ქართული ლექსის მიუგნებელი საზომების“ პასუხად გამოუქვეყნებია. მეიხვედრს შევახსენებ: ჩემს წერილში („მნათობი“, 1969, № 8) კრატეულად არის განხილული ა.ვ. ხინთიბიძის ორი ნარკვევი და სათანადო არგუმენტების საფუძველზე ნაჩვენებია მკვლევარისეული უზუსტობანი, ფაქტობრივი და პრინციპული შეცდომები.

სამწუხაროდ, პასუხის ავტორს კამათის სათაჯილო გზა აურჩევია; ამასთან ერთად, ფაქტებს არც ახლა ამოწმებს ჭკრთუნად, რის გამოც, ბუნებრივია, ისევ ზერეულ და უსაფუძვლო დასკვნებით გვიმასპინძლებდა.

I. ა.ვ. ხინთიბიძე ზოგჯერ ისეთ დებულებას მომწიწებს, რასაც დაბეჭდილებით უარყოფ, ხოლო თვითონ არც ისე იშვიათად იცავს თავის ნარკვევებში. კერძოდ, იგი ამბობს:

1. „ლექსის საზომი, ავტორის (ესე იგი ჩემი — რ. ბ.) აზრით, იგივე ლექსწყობაა: რიტმით და მეტრით, რითმითა და სტროფით. არსებობს იგი თავისთვის, ცალკე, მიევა მასთან პოეტი, ისევე როგორც რთაილთან მუსიკოსი და ახმინანებს. პოეტური შემოქმედება ფაქტიურად საზომთა ახმინანება და მეტი არაფერია“.

ეს „დებულება“ ა.ვ. ხინთიბიძის ფანტაზიის ნაყოფია. მე კი ვწერ: „არც ერთ მეტრს არასოდეს არა მქონია თავისთავადი მნიშვნელობა. პოეტისათვის იგი, თვითმიზანი კი არა, ხაშუალებია. ოცმარცვლედის ფისტიკაური წყობა (5//5//5) ჩვენს მწერლობაში, როგორც დადასტურებულია, ჯერ კიდევ 1.300 წლის წინათ ელავს, თითმეტმარცვლელი (5//4/5) მთლიანი ლექსის საზომად ბესიკმა აქცია, ოღონდ არც ერთი, არც მეორე საზომით გენიალური ლექსი ბარათაშვილის დაბადებამდე არ დაწერილა. ეს ორი თანაზომიერი მეტრული აღნაგობა სასწაულებრივი სიმშვენიერით „შერანში“ გამოვლინდა პირველად“ და სხვა („მნათობი“, გვ. 146).

ამის შემდეგ, ვგონებ, გასაგები უნდა იყოს ნამდვილი ფასი მკვლევარის მიერ ჩემი მისამართით წარმოთქმული სიტყვებისა: რეცენზენტი საზომს „უნივერსალურ მოვლენად“ მიიჩნევსო, „რალაც დამოუკიდებელ რეალობად“ სახავსო და სხვა მისთანანი.

2. ა.ვ. ხინთიბიძე წერს: „რეცენზენტი გადაკარბებულ (?) მნიშვნელობას ანიჭებს საზომს იმ მხრივაც, რომ მისი ყველა (?) ვარიანტი უყოყმანოდ შემოაქვს პოეტის სამსჯელო ცნებათა რიგში“. კერძოდ რომელი? მკვლევარი დუმს. ან: „რეცენზენტი შეამჩნევდა, რომ საზომი (ა.ვ. ხინთიბიძის „თანამედროვე ლექსის საზომები“ — რ. ბ.) შემოფარგლულია 1958 წლამდე დაწერილი ლექსებით... ხოლო მის მიერ მოტანილი საზომების დიდი ნაწილი 1958-60 წლების კუთვნილებაა“. საბუთები? მკვლევარი ამჯერადაც დუმის ამჯობინებს.

შევეცდები ოდნე მაინც დავარდლო ეს მრავლისმეტყველო დუმილი: ვალაკტიონ ტაბიძის „ლომინო“ 1916 წელს დაიბეჭდა პირველად, „არდაბრუნება“ — 1919 წელს, „ვისმენ და ნატრულ ხმას“ — 1925 წელს. ათეული წლები წინათ დაისტამბა ვალაკტიონისავე „ფოთლების ლანდი“, „სისიორით შენით“, „მერის თვალებით“, „მივალ, გადავკონი“ და სხვანი. ამ პოეტურ ქმნილებებში გამოყენებულ საღეჭსო ფორმებს ხომ არ გულისხმობს, როცა მოპაექრე გვარწმუნებს, რეცენზენტის მიერ დამოწმებული საზომები 1958-60 წლების კუთვნილებათა...?

3. ა.ვ. ხინთიბიძე განაგრძობს: „რეცენზენტის აზრით, პეტრომეტრული საზომების საჩვენებლად საკმარისი არ არის სტროფის მხოლოდ ერთი ნახევარი, უსათუოდ მთელი სტროფი უნდა იყოს ამოწერილიო“. არ არის მართალი. მე ვწერ: „თანამედროვე ქართულ პოეზიაში ცამეტმარცვლელი თორმეტმარცვლელთან რაფინირებულაა ერთმანეთისაგან გამიჯნული სამნაირი იერსახით. ნიშანდობლივია, მკვლევარი არც ერთს არ იხსენიებს. აი, ისინიც“ („მნათობი“, გვ. 157). იქვე სათანადო ნიმუშები ალ. საჯაიას, იოსებ ნონეშვილისა და მუხრან მა-



გაგრიანის პოეზიიდან ორ-ორ ტაქედ არის მოტიანილი, რადგან, ავ. ხინთიბიძის ფრაზა რომ გავივიროთ, „როცა ოთხტაქეანი პეტრო-მეტრული სტროფი ურთიერთიდენტური ნახევრებისაგან შედგება, ყოველგვარ ექვს გარეშეა, ერთ-ერთი ორტაქედი მთელ სტროფზე გვიქმნის წარმოდგენას და ილუსტრაციისათვის სრულად საკმარისია“. ხოლო ზემოთ მითითებული უთანაბრობა შეფარდება სტროფის მეორე ნახევარშიც რომ კანონზომიერად მეორდება, ამის დასტურად მუხრან მაქავარიანის ოთხტაქედით იკმარება:

პუშკინი ტფილისის ქუჩებშია გაიტაცეს...
 ბაღში ქეიფია... თავადი თამაშობს...
 მჭინვარებს ქეიფი აზურ ყაღაზე...
 — ალექსანდრ პუშკინი! იცნობდეთ, თავადო!

როგორც ვხედავთ, სტროფი იდენტური ნახევრებისაგან შედგება (3/3//3/4 და 3/3//3/3), წერტილში კი მხოლოდ ორი ტაქეა დავიმოწმე. ასე რომ, მკვლევარის მიერ ტენდენციურად შექმნილი ილუსტრაცია რეალობის ოდნავი სიოც კი ჰქონდა.

საინტერესოა, რისთვის დასჭირდა ამ ილუსტრაციის შექმნა? ალბათ, წუთიერი შთაბეჭდილების მოსახდენად, მკითხველის დასაბნეველ. საქმე ის არის, ავ. ხინთიბიძისეულ „საზომებში“ პეტრომეტრული წყობის მიმოხილვამდე ნათქვამია: „ჩვენ აღნუსხული გვაქვს ერთმანეთის გვერდით მდგომი ყოველი (sic) ორი არათანაბარზომიერი სტრიქონი, რომელიც იძლევა რეალურ შესაძლებლობას ლექსის საზომ ერთეულად გახდომისა“.² აი, ამ შემთხვევაში, როგორი ორტაქედების გამო ვედავებოდით. სადავო კი საკმაოდ გახლავით.

ა) განვიხილოთ, მაგალითად, ოთხმარცვლელი შედმარცვლელთან (4 და 4/3). „მაცნეში“ მოკამათე წერს: XX საუკუნის პოეზიიდან ამ წყობის ნიმუშებიან ვალაკტიონის —

ქროდა ქარი,
 თრთოდა იასმანი.

და გიორგი ლეონიძის —

თუ ხარ მონა,
 აქ არავინ გენდობა.

„ორივე მაგალითი, — დასძენს ავ. ხინთიბიძე, — რომლებიც მთლიანი სტროფების სახით არ არსებობს, მაგრამ პოტენციურად ამ საზომს გულისხმობს, რეცენზენტს შეეძლო „თანამედროვე ლექსის საზომებშივე ენახა“. ენახეთ. და შოთა ნიშნიანიძის პოეზიიდან სათანადო მაგალიტი სწორედ იმიტომ დავიმოწმეთ („მნათობა“, გვ. 149), რომ „პოტენციური“ წყობა მკვლევარის დაკვირვების წინააღმდეგ, მთლიანი სტროფების სახით არსებობს.

მონათესავე მაგალითები მრავლად შევახსენე. „მნათობში“ წარმოდგენილ დაქტებს აქ აღარ

გავივირობ. პეტრომეტრული კომბინაციები, რომელთაც ახლა დავახსენებ, მხოლოდ „მნათობის“ თმანეთის გვერდით მდგომ ორ არათანაბარზომიერ სტრიქონად“ როდი მოიპოვება, პირიქით, ისინი კანონზომიერად მეორდება ცალკეულ სტროფებში, ლექსის გარკვეულ მონაკვეთში, ანდა ლექსის ყველა სტროფში: რვა მარცვლელ თერთმეტმარცვლელთან — 4/4 და 4//4/3 (სიმონ ჩიქოვანი, „წყლის ამალგება“); „ათმარცვლელი თერთმეტმარცვლელთან — 4//4/2 და 4//4/3 (მირზა ზელოვანი, „სლამარი“); თერთმეტმარცვლელი ზთმარცვლელთან — 3/3//3/2 და 3/2 (ანა კალანდაძე, „თქვი, კია-მარიაე“), თორმეტმარცვლელი თერთმეტმარცვლელთან — 3/3//3/3 და 3/3//3/2 (პაოლო იაშვილი, „გათავდა ნაღიმი“; კ. მაყაშვილი, „O STELLA“; კოლხე ნადირაძე, „ვერსალი წვიმაში“), ოთხმეტმარცვლელი ცხარმარცვლელთან — 5//4/5 და 4/5 (ანა კალანდაძე, „შენ მისმენ ისე, ვით მზე უსმენს ოკეანებს“, „ციცფერ ფილებზე ისახიან თეთრი ღრუბლები“). მსგავსი ნიმუშების დასახელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, დამოწმებული მასალაც იკმარება ზემოთქმულის ნათესაყოფად: შესაძლებლობა დიდი ხანია სინამდვილედ არის ქცეული.

ბ) მეტს ვიტყვოდი: სიმართლეს არ შეეფერება მკვლევარის განცხადება, თითქოს მას აღნუსხული ჰქონდეს „ერთმანეთის გვერდით მდგომი ყოველი ორი არათანაბარზომიერი სტრიქონი, რომელიც იძლევა რეალურ შესაძლებლობას ლექსის საზომ ერთეულად გახდომისა“. ჩემს წერილში განხილულ მაგალითებს ნულარ გავიხსენებთ, ახალ ნიმუშებს წარმოვადგენ. ქვემოთ მოტიანილი პეტრომეტრული კომბინაციები, უძველია, ბუნებრივ სტროფულ კომპოზიციითაა შექმნილი რეალურ საფუძველს ქმნის:

ზთმარცვლელი ოთხმეტმარცვლელთან
 (5 და 5//4/5). ვალაკტიონი, „მე მინარე ვარ“,

ბერს ეზინოდეს
 ჩემი სახტიკი, უღმომბელი გამოდვიძების.

შვიდმარცვლელი ექვსმარცვლელთან (3/4 და 3/3). ვალაკტიონი, „სალამი ახალ გზით გაერთიანებულ საქართველოს“:

სინათლეს გაუმარჯოს,
 სინათლის ყვავილებს!

თორმეტმარცვლელი ოთხმეტმარცვლელთან
 (2/4//2/4 და 3/4//3/4). ვალაკტიონი, „რომელი საათია“:

კვიის სადგურიდან ზარი შეცამეტე...
 რომელი საათია, რომელი საათია?

როლანდ ბერიძე
 ისამ ძარბოული ლემსის მიუზნებულ
 საზომთა ზამო



ანალოგიური მავალითების გამრავლება. მწე-
ლი არ არის. აქ წარმოდგენილი პეტერომეტრუ-
ლი კომბინაციები, როგორც ითქვა, ბუნებრი-
ვად გამოიწვევს ქართული ენის პრო-
სოლიდინს. ეს ფორმები, უნდა ვიფიქროთ,
სტროფის ორივე ნახევარში დაფესვიანდება სა-
თანაოდ პირობათა წარმოშობისთანავე. ზოგი-
ერთი მათგანი (თქვათ, 3/4 და 3/3) უკვე
ამართლებს ამ ვარაუდს:

ო, არა გაზაფხულზე,
ამ მწეში... ამ დარში...
ო, არა გაზაფხულზე,
წამთარში... წამთარში...

(ირ. აბაშიძე).

ეს ყოველივე თვალნათლივ გვიჩვენებს —
მკვლევარისეულ დაკვირვებათა არეს გაერცო-
ბა და ჩაღრმავება სჭირდებოდა. თქმული სხვა
მხრივაც მტკიცდება. მისა ვარაუდით, მაგალი-
თად, ალო მირსტულავს „კომპაეშირის მარ-
ში“, რომელიც მთლიანად ცამეტმარცვლით
არის შესრულებული (4/4/5), „თუ არ ვცდე-
ბით, ამ მხრივ, ერთადერთი შემთხვევა უნდა
იყოს“ („საზომები“, გვ. 90). ცხადია, ცდება.
მის დაუდვირებელ განცხადებს მარტო ნოე
ჩიჭიკაძის განხილვაც დაარღვევდა (ივლისს-
მება გახმაურებული ლექსი „N“-ს). კიდევ უფ-
რო საოცარია (და მოულოდნელიც), როცა
მკვლევარი სერიოზულად აცხადებს, გალაკტიონ
ტაბიძე ცამეტმარცვლით საზომს არ იცნობსო
(იქვე). შეცდომაა. გალაკტიონს ვიმორწმნე:

ზღვის ფსკერიდან ზევით-ქვევით უნდა იარო
და ბუზების გუნდის შესხა სამგლოვიარო.

მთელი ლექსი „ზღვის ფსკერიდან“ სანიმუ-
შოდ მოტანილ ფორმას ემორჩილება. შეადარეთ
ამავე პოეტის „დაიღუბა ის ზომალი“ და სხვა.

4. აკ. ხინთიბიძე წერს: „რეცენზენტი, რომე-
ლიც სხვებს უეჭვინებს (?) ლექსის საზომთა
მიუგნებლობას, ჩრდილში დატოვებს, თვად
ჩრდილში ტოვებს თანამედროვე ლექსის რამ-
დენიმე საზომსა თუ სახეობას“. და ნათქვამის
დასამტკიცებლად მოაქვს ათმარცვლი ცხრა-
მარცვლიდან (5/5 და 3/3/3). საკმაოდ საკ-
ვირველი „საბუთია“. ჩემი სურვილი აკ. ხინ-
თიბიძისაგან მიუგნებლად საზომთა ჩვენება იყო.
დასახელებული პეტერომეტრული კომბინაცია
კი მის „კლასიფიკაციაში“ შეტანილია. გადათ-
ვალურად მკვლევარმა თავისი „ლექსმოდერნო-
ბის საკითხები“ და 130-ე გვერდზე უაქველად
იხილავს მითითებულ სქემას, 81-ე ნომრით
ფიქსირებულს. შევახსენებ: ნიმუში დამოწმებუ-
ლია ვიორგე ქუჩიშვილის ლექსიდან „სიმღერა
გაზეთების გამყიდველ-დამბარებლებისა“.

მსგავსი მავალითები, სხვათა შორის, აკ. ხინ-
თიბიძე მრავლად შეეძლო მოეხანა. ივლისს-
მება: მისგან აღნუსხული და, ამდენად, ჩემთვის
ინტერესმოკლებული სალექსო ფორმები.

5. ამასთან ერთად, ჩემს საეურნალმწეველ
ში ყველაფერის თქმა და ჩვენება, ცხადია, ვერ
მოხერხდებოდა (სამწუხაროდ, ვერც ახლა ხერ-
ხდება). მკვლევარს კი, თანამედროვე ქართულ
სალექსო საზომებზე საგანგებო ნაშრომს რომ
წერდა, უსათუოდ ევალდებოდა, „მანათობში“
ჩემგან მითითებული ფორმების გარდა, შემდე-
გი პეტერომეტრული კომბინაციებიც აღნუსხა:
რვა მარცვლიდი ხუთმარცვლიდთან — 4/4 და
2/3 (გ. ტაბიძე, „მე ხომ სხვა ვარ“); ცხრა მარ-
ცვლიდი რვა მარცვლიდთან — 4/5 და 4/4 (ალ.
საჯია, „სვანური მოკრებიდან“); თერთმეტ-
მარცვლიდი რვა მარცვლიდთან — 3/3/3/2 და
3/3/2 (რევაზ მარგანი, „ოცნებით ვხედავლით
თბილისს“); „თერთმეტმარცვლიდი თორმეტ-
მარცვლიდთან — 3/3/3/2 და 3/3/3/3 (ონს-
ტანტრევი ჰეიზაძე, „ავაგროლი“); ცამეტმარც-
ვლიდი თორმეტმარცვლიდთან — 3/4/3/3 და
3/3/3/3 (ვ. ვაფრინაძე, „ტრაგედიის დაბა-
დება“); თოთხმეტმარცვლიდი ათმარცვლიდთან
— 4/4/4/2 და 4/4/2 (ბესარიონ საიანოვი,
„ნათალა ვორბატოვა“, დავით ვაჩიჩიას
თარგმანი); მეტრული ვარიანტი — 3/4/3/4 და
5/5 (მუხრან მაკუავარიანი, „ივინებენ მუხე-
ბი“); თხუთმეტმარცვლიდი თოთხმეტმარცვლი-
დთან — 4/4/4/3 და 4/3/4/3 (ილო მოსაშვილი,
„მონადირული“); თექვსმეტმარცვლიდი თორ-
მეტმარცვლიდთან — 4/4/4/4 და 4/4/4 (ვა-
ლაკტიონი, „სიხარულით ეგებება დღის სალა-
მი“); თექვსმეტმარცვლიდი თოთხმეტმარცვლი-
დთან — 5/3/5/3 და 5/3/5/1 (ალ. მექვირიძე,
„კომუნისტები, წინ“, ხეტა ბერულავას თარ-
გმანი) და სხვანი.

გვონებ, საჭირო არ უნდა იყოს იმის მტკიცე-
ბა, რომ აქ თვალსაჩინოებისათვის მითითებული
ფორმები, რომლებიც ხან მთელი ლექსის მან-
ძელზე მეორდება უცვლელად, ხან კი აქა-იქ
ცალკეულ სტროფებად შეინიშნება — 1958-60
წლებში არ შექმნილა...

II. აკ. ხინთიბიძეს ქართულ სალექსო საზომ-
თა ბუნებაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. მა-
გალითად, მის „კლასიფიკაციაში“ 34-ე ნომრით
რეგისტრირებულია „თხუთმეტმარცვლიდი ერ-
თი ცეზურით (8/7)“. დავაუსტოთ: თხუთმეტ-
მარცვლიანი საზომის არც ერთ სახეობაში არ
შეიძლება მარტოდენ ერთი ცეზურის ასესუ-
ბა. აქ აუცილებლად მეორე ცეზურებიც ივა-
რაუდება. სიტხადისათვის ლადო ასათიანის
ტაეპებს —

ისე მტკიცე იყვენ თურმე, ვით მეტების
კედლი,
გმირი თინა წავსიელი და მიაა წყნეთელი —
შეადაროთ მურმან ლებანიძის ტაეპები:
ჩემი ბავშვობის სიწმრებში შენ მინახვიარ
ხშირად,
მე ბნელ მუხნარში ვიჭექი იმ ცისფერ რუხს
პირად...

ორივე მაგალითში მთავარი ცეზურა რვა მარცხის შემდეგ მოდის, მაგრამ განა მათი მეტრული სქემები ერთი და იგივეა? ცხადია, არა, სხვაობას მცირე ცეზურის თავისებური განლაგება ქმნის: ლაღო ასათიანის ტაეპები, თუმცა მათი კალაუზულა დაქტილურია, თხოთმეტრამარულიანი საზომის ქორეულ-პეონურ წყობას ემყარება (4/4//4/3), ხოლო მურმან ლებანიასა — ქორეულ-დაქტილურ აღნაგობას ეფუძნება (5/3//5/2). ვლებულობთ განკერძოებულ რიტმულ წყობათა საფუძვლებს.

მკვლევარს ტერფების ცნებაც თავისებურად ესმის. მაგალითად, იგი თავის „საზომებში“ სანდრო შანშაშვილის „მკვდეღ ზაქაროს“ ეხება და წერს: ტაეპის „მეორე ნაწილი დაქტილისა და ერთმარცვლიანი სიტყვისაგან შედგენილ პეონს (L L : L)“ შეიცავსო. შეცდომაა. სილაბურ-ტონურ ლექსწყობაში პეონი, ავ. ხინთიბიძეს მოეხსენება, ერთმახილიანი ტერფია და სწორედ ამ ნიშნის მიხედვით განარჩევენ პეონის ოთხ სახეობას. ესენია: პეონი პირველი (L L L), პეონი მეორე (L L L), პეონი მესამე (L L L), პეონი მეოთხე (L L L L), ხოლო მკვლევარის მიერ ორმახილიანად აღქმული პეონი ბუნებაში არასოდეს არსებულა და არც ახლა არსებობს.

ამნაირი შეცდომები უხვად მოიძებნება მკვლევარის ნაწერებში და მას მორალური უფლება არა აქვს სხვებს უსაყვედუროს—ლექსის სპეციფიკურ საკითხებში კარგად ვერ არიან გარკვეულინი. ერთი მხრივ, მკითხველს შთააგონებს: „მეტისმეტე უნდობლობა რომ არ გამოეჩინა სერგი გორგაძის მონოგრაფისადმი, რეცენზენტი ანგარაშს გაუწევდა მის სიტყვებს: გრაფიკა (ლექსების წერა სტრიქონებად) ყოველთვის არ უდრის მეტრიკას“. მეორე მხრივ, იმავე მკითხველს გულმოდგინედ უმაღავს უქილურესად საპირისპირო შეხედულებას, თავის ტრექსიტოლდნობის საკითხებში“ კატეგორიული ონეტი გამოთქმულს: „ს. გორგაძის კლასიფიკაცია... მთლიანად უგაულებელყოფს ტაეპის ზომას და ამდენად საფუძველშივე შემცდარია“ (იქვე, გვ. 124).

რომელ მტკიცებას დაეუჭეროთ? შემდეგ:
ა) სერგი გორგაძეს იოსებ გრიშაშვილის „მიყვარდა“ თანაზომიერ წყობად ესახებოდა:

მიყვარდა, მის გარდა არვის ვეტრფოდი,
გრძნობდა ის, რომ მისთვის ვიტანებოდი.

ბ) ავ. ხინთიბიძე ამ ტაეპებს ოთხტაეპოვან პეტერომეტრულ სტროფად მიიჩნევდა:

მიყვარდა, მის გარდა
არვის ვეტრფოდი...

გ) მე გრიშაშვილისეული გრაფიკა — სტროფის ექვსტაეპოვნება (aabccb) საესებით მიზანშეწონილად ვცანი:

მიყვარდა,
მის გარდა
არვის ვეტრფოდი...

დაესაბუთე, რომ ამ ნაწარმოების გრაფიკა და რეალური მეტრი ერთმანეთს შეესაბამება.

ავ. ხინთიბიძემ ჩემი შენიშვნა გაიხილა. ესე იგი „მიყვარდას“ ჩემული გაგება გაცილებით სარწმუნო ყოფილა, ვიდრე სერგი გორგაძისა, ვის მიმართაც „მეტისმეტე უნდობლობას“ ვიჩენ. ავ. ხინთიბიძეც შემცდარა, თუმცა „უნდობით“ ეკიდება, მისივე თქმით, „ქართული პოეტის პირველი სისტემატური კურსის ავტორის“ მართებულ (ოლონდ არაორიგინალურ) შეხედულებას — გრაფიკა ყოველთვის არ უდრისო მეტრიკას.

მას, რისთვისღა კამათობს ავ. ხინთიბიძე?

მისი ვარაუდით, თურმე „ი. გრიშაშვილის“ „სურნელება ძველი ხელნაწერებისა“ დაწერილია რეამარცვლიანი იზომეტრული საზომით... რა ვუყოთ, რომ ავტორმა ეს ლექსი პეტერომეტრული წყობით წარმოგედღინა: თქვენსმეტრულეული რეამარცვლედთან (პირველმეორე და მეოთხე-მეხუთე სტრიქონები შეაერთა!)“ ეს პათეტიკური შეძახილი საბუთად ვერ გამოდგება. ვერც ამ ლატონ განცხადებას ვაღიარებთ პროფესიულ ენად: „ავ. გამსახურდიას...“ ზღვისღერი გაქვს თვალად და“ პეტერომეტრული წყობისა... ხუთმარცვლიანი ლექსი ტაეპები აქ ისე მკვეთრად არის გამოყოფილი რეამარცვლიანებისაგან, რომ ამ სტროფს ვერ მიიჩნევთ ცამეტმარცვლიანი საზომის იმეშ-შად“. თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად იოსებ გრიშაშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას ლექსებს იერშეცვლილად გეთავაზობს, მთავარცეზურებთან მექანიკურად ჰყოფს ტაეპებს, ესე იგი პოეტების „შეცდომებს“ ასწორებს და ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, არ აგონდება საკუთარი სიტყვები: „ტაეპების ამგვარი მექანიკური... გაყოფის ტენდენცია ს. გორგაძიდან მოდის“ (ლექსიტოლდნობის საკითხები, გვ. 109).

აქვე საჭიროდ მიმანინა ჩვეს მოპაქტრეს ქართული ლექსის მკვლევარ გივი მიქაძის შემდეგი აზრიც შევახსენო: „ავ. ხინთიბიძეს საერთოდ კანონად აქვს ქართული ლექსების გრაფიკის თვითნებური ცვლა, რაზეც მას სამართლიანად მიუთითებს.“

ჩემი აზრით, პოეტისეულ გრაფიკას ექვის თვლით მაშინ უნდა შევხედოთ, როცა იგი ნამდვილად სცოდნება ლექსის რეალურ მეტრს. ამგვარ შემთხვევაში საკითხის გადასაჭრელად, თვლით კო არა, უწინარეესად სმენაა საჭირო სმენამ უნდა აღიქვას მეტრი, რიტმი, ინტონაცია და ლექსის სხვა თვისობრივი ელემენტები. სა-

როლანდ ბერიძე
რამე პართოული ლეშისი მიუგნობილ
საზომთა ბაშო



ამისო მაგალითიც ვსინჯოთ. აკ. ხინთიბიძე გვი-
საყვედურებს, რეცენზენტმა მიუგნებელ საზო-
მებში შეიტანათ შოთა ნიშნინაძის შემდეგი
სტრიქონები:

კაფე-თეხ,
გაგაუ, გაგაუ, გაგაულო,
მოდი დღეხვე,
მოდი, ნუ ხარ უგაულო.

„აქ ხომ იგივე მეტრია გამოყენებული, —
ფაქრობს აკ. ხინთიბიძე, — რომლითაც აკაკი
წერეთელმა კრილიას „ყმაწვილი და ლანდი“
თარგმნა (ოთხმარცვლიანი შედმარცვლელადი).
მოაქვს მაგალითი:

ბავშვმა ლანდის
მოინდომა დაქერა,
გამოუღგა,
ხან აქ, ხან იქ ეძგერა.

ამ თარგმანის აკაკისეულ გრაფიკას ჯერ კიდევ
30 წლის წინათ დაუქირაო მხარი აწ განსევე-
ნებულმა პროფესორმა ანა ჩხეიძემ. სწორია,
მხარი დაუქირა, მაგრამ შეცდა. ჩვენი მკვლევარ-
იც უმეტელია ცდებდა და იმ რატომ: აქ, გრა-
ფიკული მსგავსების მიუხედავად, ერთიმეორი-
საგან განკერძოებული ორი ფორმაა. პირვე-
ლი უთანაზომოა (4 და 4/3), მეორე — თანა-
ზომიერი (4//4/3). შოთა ნიშნინაძე თერთმეტ-
მარცვლიან საზომს მთავარცხურასთან ჰყვეთს
და ამ გზით მიღებულ რიტმულ ერთეულებს
ჯვარედინი რითმით ამთლიანებს. უმართებულო
იქნებოდა ამ დამოუკიდებელი ოთხტაყეულის
გადაქცევა ორ თერთმეტმარცვლიან პეკარად,
ვინაიდან ასეთ ნაძალადვე, ხელოვნურ ოქრე-
ციას ხელს შეუშლიდა რითმა, რომლის ერთ-
ერთ დანიშნულებაზე ხინთიბიძისეულ „საზო-
მებში“ (გვ. 69) უდავოდ სწორი შეხედულება
მოიძებნება: „რითმა... წარმოადგენს ტაქტის დამ-
თავრებას ხიგნალს“. ოღონდ აქ თვალს ლიტე-
რატურული პირველწყაროს აღმნიშვნელი ვარ-
სკვლავი აკლია, ვინაიდან ბოლორიტმის ერთ-
ერთი ფუნქციის ასეთი მარჯვე განსაზღვრა ჩვე-
ნი მკვლევარის დამსახურება როდია, არამედ
პროფესორ აკაკი ვაჭერელისი: „რითმა... წარ-
მოადგენს ხიგნალს სტრიქონის მეტრული დახ-
რულებიხას“. რაც შეეხება აკაკისეულ თარ-
გმანის ტაქტებს, ისინი პროპორციულ რიტმულ
ერთეულებად ეღერს და ასეთ ბუნებრივ აღქ-
მას წინ არავითარი დაბრკოლება არ ეღობება.
ამიტომ ჩვენს უტრთსმენაში, მთარგმნელისეულ-
ლი გრაფიკის საწინააღმდეგოდ, უთანაზომო
ოთხტაყეუდი როდია ისმის, არამედ — თანაზო-
მიერი მრწობლელი:

ბავშვმა ლანდის მოინდომა დაქერა,
გამოუღგა, ხან აქ, ხან იქ ეძგერა.

შეადარეთ აკაკის ცნობილი სტროფი: „აღ-

მართ-ალმართ მივედიოდი მე ნელა, ^{საბჭოთა ქვეყანა}
შედეგ, კმუნვის ალი მეწელა“; ან — მისივე
„მუხამბაზის“ რეფრენა: „რომ იცოდე ჩემი
გულის დარღები, // გეფიციები, ტურფაჲ, შე-
ვიყვარღები“.

ლექსის რეალურ მეტრზე მსჯელობა შეიძ-
ლებოდა აქ დავემთავრებინა, რომ აკ. ხინთი-
ბიძის ასეთ „მიგნებას“ არ მიეცია ჩვენი ყუ-
რადღება: „ზუსტად ერთი ო იმავე საზომით
დაწერილი ლექსები „მშვიდობისათვის“ და
„ჩვენ მშვიდობა გვიღდა“ ი. გრიშაშვილმა ერთ
შემთხვევაში თექვსმეტმარცვლიანად დაბეჭდა
და მეორე შემთხვევაში — რვა მარცვლიანად,
მაგრამ ამით ლექსის მეტრი ხომ არ შეცვლი-
ლა?“

აკ. ხინთიბიძე, სამწუხაროდ, ვერ ამჩნევს,
რომ „ზუსტად ერთსა და იმავე მეტრზე“ სა-
უბრისას ამყარა უზუსტობას გვთავაზობს. ი.
გრიშაშვილის „მშვიდობისათვის“ თექვსმეტმარ-
ცვლიანად არასოდეს დაბეჭდილა იმ უბრალო
მიზეზის გამო, რომ 12-მარცვლიანი საზომით
არის დაწერილი (4/2//4/2):

აბა მოიგონეთ, განა სადმე თქმულა,
რომ სხვას დავცემოდით უჩაღღურად, თულად?

ასევე: „ჩვენ მშვიდობა გვიღდა“ არცოდის
დასტაბებული რვა მარცვლიანად, ვინაიდან ეს
ნაწარმოებიც 12-მარცვლიანი საზომით არის
შესრულებული (4/2//4/2). ხოლო როდესაც
პოეტმა ტაქტები მთავარცხურებთან ჩატეხა,
რვა მარცვლიანი კი არა, ექვსმარცვლიანი პეკა-
რები მივიღეთ:

ვერ დაოკდა მეტრი,
ვეღარ დაშოშინდა,
ის ომიხკენ გვიწვევს, —
ჩვენ მშვიდობა გვიღდა.

დ) ჰეტრომეტრიკაში დაქტილური სიტყვა
დამოუკიდებელ ტაქტად რომ გამოიყენება,
მკვლევარი დარწმუნდა. ოღონდ მის რეცენ-
ზენტს თურმე ავიწყდება, რომ ქართული ლექ-
სის ხინთიბიძისეული ნუსხაში შეტანილი ყო-
ფილა ოთხმარცვლელი სამმარცვლელთან, „სა-
დაც სამმარცვლიანი სტრიქონი, ცხადია, დაქ-
ტილს გულისხმობს“ („მაინე“, გვ. 164).

მკვლევარი უწინ ცოტა სხვაწარად ფიქრობ-
და: „ჩვენ მხოლოდ პირობითად ვუჭერთ მხარს
ეგრონიხულ გრაფიკას“ (იველისხმება გ. ქუ-
ჩიშვილის „მუსიკა“, რომელშიაც ნახმარია შემ-
დეგ მეტრული სქემა: 4 და 3 — რ. ბ.). ასე
წერდა აკ. ხინთიბიძე თავის „საზომთა“ 101-ე
ფურცელზე, ხოლო იმავე ნარკვევში დაბეჭი-
თებით ამტკიცებდა: „სამმარცვლიან ტაქტს ქარ-
თული ლექსი არ იცნობს“ (გვ. 70) და „კლა-
სიფიკაციაშიც“ კატეგორიულად იმეორებდა:
„ქართული ლექსი... არ იცნობს ოთხმარცვლი-
ანზე უმოკლეს ტაქტს“ (გვ. 109).



ცვალოთ ჩაოდნობრივ პრინციპს, „ერთიან გაბმულ პრინციპს“, ერთიან გაბმულ ქვერადობას“, XX საუკუნის პოეტებისა კი — „მხავილიან და უმხავილო მარცვლებსა მონაცვლოების პრინციპს“ ეფუძნება, „ტონის ჩვეულ მოძრაობას“ ავლენს.

ხოლო სიმართლე, ნაწილობრივ მინც, მკაფიოდ გამოსკვივის აკ. ხინთიბიძის შემდეგი სტრუქტურებიდან. იგი მუდამ ლებანიძეს იმოწმებს:

გავტოპავლით და
გამოვტოპავლით ხეორს,
შურადულით ხელში
ვეფარებოდით ღვოს...

და დასძენს: „გრაფიკული სხვაობის მიუხედავად, მუდამან ლებანიძის ეს ლექსიც („გახსოვს, ვიღო?“ — რ. ბ.) თორმეტმარცვლიან საზომს ქმნის ტაიპური იამბიკური ცეზურიით (5/7)“. სრული კვშპარტებაა, რითაც დამაჭრებლად ბათილდება მკვლევარისავე თავზიანი შენიშვნა: „ამაოდ ჰგონია რეცენზენტს, რომ „იამბიკური საზომი (5/7)... დღესაც ცოცხლის“.

საკუთარ წინააღმდეგობას, რასაკვირველია, ვერ ამჩნევს და განავრძობს: „საბოლოოდ დადასტურებული არ არის ჰიმნოგრაფიაში პეტეროგეტრული საზომების არსებობა. ის, რაზუდაც ჩვენი რეცენზენტი ვადაქრით და გადაწყვეტილ ლაპარაკობს, სპეციალისტთა წრეებში უდავო და უშეველი არ გახლავთ“ („მაცნე“, გვ. 165).

ამგვარადც ფაქტების დამახინჯებასა და ანბანურ ცნებათა აღრევასთან გვაქვს საქმე. გარკვევით ვამბობდი: „პეტეროგეტრული... ხანებით (და არა საზომებით — რ. ბ.) იწერებოდა ჰიმნოგრაფიული პოეზიის ლიტერგიკული კანონის ვალბათა ძლისპირები და მათი შესაბამისი დასდებლნი“ („უმთაობნი“, გვ. 157). ხანა, მოგვსენებათ, ქართული სახელია სტრაფისა, მასასადაძე, საზომებზე რიდი ვლასარაკობდა, არამედ — სტრაფებზე. მათ შორის კი ვარკვეული სხვაობა არსებობს.

III. მკვლევარის დაკვირვების თანახმად, თოთხმეტმარცვლით (4/4/4/2) „წერდნენ მამუკა ბარათაშვილი და“... („საზომები“, გვ. 92). სინამდვილეში: მამუკას არასოდეს გამოუყენებია მითითებული სალქსო ფორმა. ან: გიორგი ლეონიძის „ღღაღანაში“, აკ. ხინთიბიძის გამოკვლევით, „ყოველი I და III ტაქტი რვა-მარცვლიანია, ხოლო II და IV ტაქტი — შეიღმარცვლიანი“ (იქვე, გვ. 71). უტრიობაა. აღნიშნულ ნაწარმოებში ერთი სტრაფიც კი არ მოიპოვება, აკ. ხინთიბიძის ნუსხბათეუ განცხადებას რომ შეესატყვისებოდეს. ავიღოთ, მაგალითად, პირველივე ხანა:

ჩვენი წიგნი, ჩვენი ღედა,
ჩვენი ენა ქართული,

ვარდნაბაში ფურცელი,
ჩვენს ურბობაში ჩართული. ზემოქმედება

როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ პირველი ტაქტია რვა-მარცვლიანი (4/4). ასეთივე სურათია მეხუთე სტრაფში. დანარჩენი ლექსი კი წმინდა შეიღმარცვლიანი საზომით არის შესრულებული (4/3). საიდან მომდინარეობს აკ. ხინთიბიძის შეცდომა? მან „ღღაღანაში“, ეტყობა, მარტოდენ პირველი ორი სტრაფიონი წაიკითხა და სასოფირო შედეგიც მიიღო — მთელი ლექსი ტოლფარდი პეტეროგეტრული ნახევრებისაგან შედგენილ ნაწარმოებად მიიჩნია. დასკვნა: აკ. ხინთიბიძეს „ღღაღანა“ ბოლომდე არ წაუკითხავს.

მკვლევარის ნიშანდობლივი ნაკლი — სინქარე — „მაცნეში“ დასტამბული პასუხიდანაც ამკარავდება. მაგალითად, ვამტკიცებთ, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში შეინიშნება განსაკუთრებული სალქსო სახეობა — ორზე მეტსაზომიანი სტრაფი, რომელიც ლექსის საზომობას კისრულობს. სანიმუშოდ გალაკტიონის ლექსიდან („სიმორით შენით“) პირველი ოთხტაქტედი მოვიშველიე. აქ გამოყენებული საზომების თანრიგი (5/4/4/5, 5/5, 5/4/4/5, 5) კანონზომიერად მეორდება მოცემული ნაწარმოების ყველა ხანაში. სხვა, მონათესავე მაგალითებიც დავიმოწმე. ვწერდი, ასეთი ლექსები „არავის კვლევის საგნად არა ქცეულა, მათი ბუნების შესწავლით არავინ დაინტერესებულა-მეთქი“.

„მართლა ასეა?“ — კითხულობს მკვლევარი და ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქმე ასე არ არის; მოგვიწოდებს გადავშალოთ მისი „პოეტური ხელოვნების საკითხების“ 72-ე გვერდი და წავიკითხოთ: „ჩვენს პოეზიაში არის შემთხვევები არა მარტო ორი, არამედ რადენიმე სხვადასხვა საზომის კომბინაციისა სტრაფში (მაგ., გ. ტაბიძის „სალამი ახალ გზით გავრთიანებულ საქართველოს“). ნაქარაგვი დასკვნაა: „აქ ზომ პირდაპირ, სახელდაქმნევით არის ნათქვამი ის, რაც ჩვენს რეცენზენტს აინტერესებს?“

აკ. ხინთიბიძე აინუნშიაც არ ავლენს ერთ რამე: ზომ შეიძლება ვინმე დაინტერესდეს, გადაფურცლოს გალაკტიონი, მოძებნოს მითითებული ნაწარმოები და წაიკითხოს. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში? გამოარკვევა, რომ პირველი სტრაფის ყველა ტაქტი თანაზომიერია, კერძოდ, შეიღმარცვლიანი საზომით არის ვაწყობილი (5/2). მეორე ხანაში ამნაირი საზომები მონაცვლეობს: 9(3/3/3), 8(3/3/2), 7(3/4), 6(3/3), მესამეში, — 6(3/3), 6(3/3), 6(3/3), 10(3/3/4). უკანასკნელი ოთხტაქტედი კი მეორე სტრაფის რეფრენული განმეორებაა. საკითხავია, რა მეტრული კანონზომიერება შეიმჩნევა დასახელებულ ნაწარმოებში? ამ კითხვას თვით აკ. ხინთიბიძემ უპასუხოს, აღნიშნულ ლექსთან (და ანალოგიურ ლექსებთან) დაკავშირებით რომ

ფიარებს იმავე წიგნის იმავე გვერდზე: „ამ კატეგორიის ლექსებში ჩვენ ვერ ვიპოვეთ (sic) გარკვეული მეტრული კანონზომიერება, რომ რაიმე ნიშნის მიხედვით მათი ცალკე დაჯგუფება მოგვეხდინა“ (sic)...

მაშასადამე, აქ სტროფი ლექსის საზომობას ვერ კისრულობს.

რაც შეეხება მეტრიკებს, დავით გურამიშვილის „ქაიცი მწყემსის“ სტროფები სხვადასხვა საზომისაგან შედგებათ, სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩინებულად ცნობილი ამბავია და წყაროს მიუთითებლად განმეორებული „მიკვლევა“ ჩვენი მკვლევარის აღმოჩენად ვერ ჩათვლება. სხვათ არა იყოს რა, აღნიშნულ მოვლენას ყველაზე ადრე, ჟერ კიდევ გასულ

საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს, პეტრე კაშივილიმა შეასწრო თვალი.

... და ეს ყოველივე სათქმელის უმცირესი ნაწილია. ა.ე. ხინთიბის ნაშრომებში კიდევ მრავალი რამეა გადასასინჯავი და შესასწორებელი, უარსაყოფი და უკუსაგდები. მას, ცხადია, სწორი ცნობებიც მოაქვს, მართებული დასკვნაც მოეძებნება, ზოგჯერ სხვა მკვლევართა მიერ დადგენილ საფუძვლიან დებულებებსაც იმეორებს, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, მთელი მისი კვლევა-ძიება ლექსის „მათემატიკურ-სტატისტიკური“ დახასიათებით იფარგლება. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ლექსის მცდარ თეორიათა ხელაღებით, ან თითქმის ხელაღებით განმეორების შედეგია.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი :

¹ „თანამედროვე ლექსის საზომები“ (პოეტური ხელოვნების საკითხები, 1961, გვ. 58-123) და „ქართული ლექსის კლასიფიკაციისათვის“ (ლექსმცოდნეობის საკითხები, 1965, გვ. 106-134).

² ეს ფრაზა, სხვათა შორის, ჩინებულად ნათელჰყოფს — გულწრფელობას მოკლებულია განცხადება, თითქოს მას, ა.ე. ხინთიბიძეს, თანამედროვე ქართულ სალექსო საზომთა შესწავლისას განზრახვა არა ჰქონია, „ამოეწერა ყველა (sic) საზომი“ („მაცნე“, გვ. 157). როგორც ვხედავთ, ა.ე. ხინთიბიძე უკან იხევს,

³ გივი მიქაძე, ქართული ლექსის სახეების საკითხის გამო, ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, VI, 1972, გვ. 161.

⁴ აკაკი გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 170.

⁵ შლრ: გიორგი კალანდიაძე, ლადო ასათიანი, „მნათობი“, № 10, 1971, გვ. 116.

⁶ აკაკი გაწერელია, ქართული ვერსიფიკაციისა და ჰიმნოგრაფიის საკითხები, „მნათობი“, № 1, 1969, გვ. 135-173.



ლავით გაიხსრავა

გ მ ი რ უ ლ ი ბ ზ ა

სამოცდაათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე ფაქტიურად შეიქმნა ბოლშევიკური პარტია. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან არსებობს. მის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას შესწირა ვ. ი. ლენინმა მთელი თავისი დაუშრეტელი ენერჯია, თავისი ბრძნული გონების მთელი ძალა.

ქუშპარიტად სასახლო და დიდებული გზა განვლო მთელი ხალხის პოლიტიკურმა ბელადმა — კომუნისტურმა პარტიამ. მის შემოქმედებითს საქმიანობასა და გმირულ ბრძოლასთან განუყრელად არის დაკავშირებული XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო-ისტორიული მოვლენები: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება; ჩამორჩენილი, იმპერიალისტებისაგან გაძარცვული ქვეყნის გადაქცევა უმსაღვრეს სოციალისტურ სახელმწიფოდ; იმპერიალისტური რეაქციის დასაყრდენების — გერმანიის ფაშისმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურება; ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული, სოციალისტური რევოლუციების გამარჯვება, იმპერიალისმის კოლონიური სისტემის დაშლა.

კომუნისტურმა პარტიამ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მთელი ხალხისა და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოღვაწეობა წარმართა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ გარდაქმნათა განსახორციელებლად. მან განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფო, განავითარა სოციალისტური დემოკრატია, გააძლიერა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, უზრუნველყო ერთენული საკითხის გადაჭრა მრავალეროვან

საბჭოთა სახელმწიფოში, შექმნა სოციალისტური ერების თანამეგობრობა. პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალისტურმა წყობილებამ ჩვენს ქვეყანაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლესი ღირსა, მშრომელთა მოწინავე რაზმი, ნაცადი ავანგარდი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და უნარიანად წარმართავს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს ენერჯიას კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ ვითარდება ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესთან მჭიდრო კავშირში. თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე იგი იქცა უდიდეს ძალად. მის რიგებში გაერთიანებულია 15 მილიონზე მეტი კომუნისტი — მუშათა კლასისა და მშრომელთა ყველაზე მოწინავე წარმომადგენლები. ზრუნვა პარტიის რიგების სიწმინდისათვის, იმისათვის, რომ ყოველი კომუნისტი ღირსეულად ატარებდეს და ამართლებდეს სკკ წევრის მაღალ წოდებას, პარტიის ცხოვრების კანონია.

რსდმ II ყრილობა არალეგალურ ვითარებაში შეიკრიბა 1903 წლის 17 (30 ივლისს) ბრიუსელში. აქ გაიმართა 13 სხდომა, ხოლო დანარჩენი 24 სხდომა ყრილობის დახურვამდე (10 აგვისტო) მიმდინარეობდა ლონდონში, ვინაიდან ბელგიის პოლიციამ მუშათობის საშუალება აღუკვეთა ყრილობას.

ყრილობის პირველი დღიდანვე რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიებს ვ. ი. ლენინის მეთაურობით მწვავე ბრძოლა ეხდებოდა ოპორ-

ტუნისტების წინააღმდეგ მარქსიზმისა და რევოლუციის ძირითად საკითხებზე: მუშათა კლასის ჰეგემონია გამათავისუფლებელ მოძრაობაში, პროლეტარიატის დიქტატურა, პარტიის ხელმძღვანელი როლი და მისი აგების პრინციპები, აგრარული და ეროვნული პრობლემები. ამ საკითხების გარშემო ჩვენ პარტიას შემდგომშიც არ შეუწყვეტია შეურიგებელი ბრძოლა ყველა კუთხის ოპორტუნისტებთან, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმის მტრებთან როგორც რუსეთში, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

რსდმ II ყრილობამ მიიღო პარტიის მარქსისტულ-ლენინური პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაედო „ისკრის“ რედაქციის მიერ შემუშავებული პროექტი. იგი შეიცავდა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობის მეცნიერულ განვითარებას, ზუსტად განსაზღვრავდა პარტიის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის, საბოლოო მიზნებს და უახლოეს ამოცანებს კერძო საკუთრების მოსპობისა და მის შესაბამისად ექსპლოატატორული კლასების მოსპობისათვის ბრძოლაში. უახლოეს მიზნად დასახულ იქნა ცარიზმის დამხობა, კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაცია და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

რსდმ II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში წარმოადგენდა ერთდეროდ მარქსისტულ პროგრამას, რომელშიც პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა დასახულ იქნა მუშათა კლასის მთავარ ამოცანად. ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვება ოპორტუნისტისა და რევოლუციონისტის წინააღმდეგ.

მეორე ყრილობამ მიიღო პარტიის წესდება მარტოვისებური ფორმულირების მიხედვით, რომელიც უარყოფდა ყოველგვარ შინაპარტიულ დისციპლინას. ყველა მსურველს, მათ შორის ოპორტუნისტულ და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებსაც აძლევდა პარტიაში შესვლის შესაძლებლობას. მაგრამ მტკიცე ისყრებებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირების დასაცავად. უკვე III ყრილობამ მიიღო პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირება, რომელიც მოითხოვდა პარტიის თვითეული წევრის აუცილებელ მონაწილეობას მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში და ერთიან დისციპლინასადმი დასმორჩილებას.

ყრილობის უკანასკნელ სესიონაზე, პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევის დროს, ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა მიიღეს ზმის უმრავლესობა, ხოლო მათმა იდეურმა მოწინააღმდეგეებმა — მარტოველებმა, ანტი-ისკრელებმა და სხვა ოპორტუნისტებმა — უმცირესობა. ამრიგად, მოხდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვა ბოლშევი-

კებად და მენშევიკებად, რომლებიც ფაქტობრივად შეადგენდნენ ორ დამოუკიდებელ პარტიას: ახალ ტიპის, კემმარტივად მარქსისტულ, პროლეტარულ, რევოლუციურს — ბოლშევიკურს და წვრილბურჟუაზიულ, შემოანხმებულურ, ოპორტუნისტულ-მენშევიკურს.

ჩვენი პარტიის მიუღი ისტორია რსდმ II ყრილობის შემდეგ — ეს არის ვ. ი. ლენინის მეთაურობით ბოლშევიკების უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობის, მშრომელი მასების საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, შეუპოვარი ბრძოლა ოპორტუნისტის ყოველგვარი გამოვლენის — რევოლუციონისტის, ტროცკიზმის, ლოგამატიზმის და სექტანტიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმის შემოქმედლებითად განვითარებისათვის.

საქართველოში მარქსისტული ორგანიზაციების აღმოცენება იწყება 90-იანი წლებიდან. 1893 წელს აქ შეიქმნა პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“, რომელიც პოლიტიკურად ერთგვაროვანი არ იყო, მისი უმრავლესობა ნოე ეორდანიას ხელმძღვანელობით „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციებზე იდგა, ხოლო უმცირესობა ი. სტალინის, ლადო კეცხოველის, ა. წულუციძის, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის სახით შეადგენდნენ რევოლუციურ მარქსისტულ ბირთვს. ეს ჯგუფი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ და წარმოადგენდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩანასახს.

1898-1900 წლების პერიოდში „მესამე დასის“ უმცირესობისაგან წარმოიქმნა რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ორგანიზაცია — რსდმ თბილისის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი, რომელიც მალე გარდაიქმნა ლენინური-ისკრულ პარტიულ ორგანიზაციად. მან დიდი პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობა გასწია არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად. ამ ორგანიზაციების მიერ მოწყობილი პოლიტიკური დემონსტრაციები და მუშათა გაფიცვები ხშირად მთავრდებოდა მეფის მთავრობის ჯარებთან სისხლისმღვრელი შეტაკებებით. გაზეთი „ისკრა“ წერდა: „საუცხოოდ დაწერილი პროკლამაციები იმპედებოდა რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე და ფართოდ ვრცელდებოდა თბილისის ყველა კვარტალში“.

1901 წლის სექტემბერში ი. სტალინის და ვლ. კეცხოველის თაოსნობით ბაქოში ქართულ ენაზე გამოვიდა იწყო არალეგალურმა გა-

დავით მაისურაძე
გმირული ბზა



ზეთმა „ბრძოლამ“, რომელიც იცავდა და აწვითარებდა რევოლუციური მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ პრინციპებს. ქართველი რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ეს ორგანო „ისკრის“ შემდეგ ყველაზე საუკეთესო მარქსისტული გაზეთი იყო არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ მთელ რუსეთში.

1901 წლის 11 ნოემბერს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე არჩეულ იქნა რსდმპ თბილისის კომიტეტი, რომელიც მტკიცედ იღვავა ლენინურ-ისკრულ პოზიციებზე.

1903 წლის მარტში თბილისში გაიმართა კავკასიის (თბილისი, ბათუმი, ბაქო) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელმაც დააარსა რსდმპ კავკასიის საკავშირის კომიტეტი.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ბოლშევიკურ ორგანიზაციებად გარდაქმნენ, ხოლო „შესამე დასის“ უმრავლესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მენშევიკურ პოზიციებზე დადგა.

საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაში დიდი როლი შეასრულა რსდმპ კავკასიის საკავშირის კომიტეტის ავღაბრის არალეგალურმა სტამბამ, რომელიც 1903 წლის ნოემბერში შეიქმნა. ეს სტამბა იყო ბოლშევიკების არალეგალური საქმიანობის ბრწყინვალე ნიმუში. მეფის პოლიცია დიდი ხნის მანძილზე ამაოდ ცდილობდა აღმოეჩინა იგი და მხოლოდ 1906 აპრილში შეძლო მისი ხელში ჩაგდება. ავღაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის შრომები „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურა“, „სოფლის ღარიბებს“, რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა, აგრეთვე მრავალი ბროშურა, მოწოდება და ფურცელი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაწერილი იყო ი. სტალინის მიერ. ამავე სტამბაში იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთები „პროლეტარიატის ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლები“, რომლებიც ვრცელდებოდა მთელ რუსეთში.

1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში საქართველოს ბოლშევიკები, რევოლუციურ მასებს რომ ხელმძღვანელობდნენ, მენშევიკების წინააღმდეგ შეუჩინებელ ბრძოლაში მტკიცედ იცავდნენ ლენინურ სტრატეგიასა და ტაქტიკას. პარტიის III ყრილობამ 1905 წლის აპრილში ვ. ი. ლენინის წინამძღოლობით მოისმინა მიხა ცხაკაიის მოხსენება გლეხობის რევოლუციური მოძრაობის შესახებ საქართველოში და თავის რეზოლუციაში აღნიშნა: „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებ-

ბულმა პირობებმა ხელი შეუწყეს პარტიის ყველაზე უფრო მეტბრძოლი ორგანიზაციის შექმნას“ (სკკპ ყრილობების, კონფერენციები და ცენტრალური კომიტეტის პლენუმები რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I, გვ. 101).

საქართველოს მუშები და გლეხები თავის ბრძოლას სოციალური და ეროვნული გათავისუფლებისათვის განუწყრელად უკავშირებდნენ მთელი რუსეთის ხალხთა მასების რევოლუციურ მოძრაობას.

ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება ეთიკომობილური სახეები რევოლუციის რაინდების — თავადებელი კომუნისტებისა, რომლებმაც საპრობილესა და სახარხოზელაზე, გადასახლებასა და კატორღაში ღირსეულად გამოატარეს კომუნისტური პარტიის დიდი ელასის, მის გარეშე შეამკვიდრეს მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის ყველაზე უფრო შეგნებული ელემენტები, გაიყოლიეს მშრომელთა უმრავლესობა. ამის მეორებით გაიმარჯვა ჩვენში სოციალისტურმა რევოლუციამ, ხოლო შემდეგ სოციალიზმმა.

ყოველ ისტორიულ ეტაპზე კომუნისტური პარტია ბრწყინვალედ წყვეტდა თავის პროგრამულ ამოცანებს. მან მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა დარაზმა ექსპლოატატორული წყობილების დასამხობად. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად მსოფლიოში პირველად დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო და წარმოიქმნა ახალი სოციალისტური საზოგადოება.

კომუნისტური პარტია, XX საუკუნის მოვლენათა ცენტრში რომ აღმოჩნდა, გადაიქცა მძლავრ საერთაშორისო ძალად, რომელმაც განაპირობა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიო ისტორიული პროცესის დაჩქარება. 1917 წლის შემდეგ მთელი კაცობრიობა ვითარდება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულ უფრო მხარდის კავლენით. არც ერთ სხვა წარსულ ეპოქას არ ახსოვს ისეთი რადიკალური ცვლილებანი ადამიანთა ცხოვრებაში, ეკონომიკაში, პოლიტიკასა და იდეოლოგიაში, როგორც მოხდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ჩვენ ქვეყანაში განხორციელებულმა სოციალისტურმა გარდაქმნებმა დასაბამი მისცა პლანეტის სოციალური სახის რევოლუციურ ცვლილებებს, შექმნა საერთაშორისო გამათავისუფლებელი მოძრაობის საიმედო ბაზა. საბუთოა ქვეყნის მავალითმა უდიდესი გამარეკოლუციონერებელი გავლენა მოახდინა მთელ დანარჩენ მსოფლიოზე. ორი ბანაკის — სოციალისტური და კაპიტალისტური ბანაკის ბრძოლა გახდა მსოფლიო პოლიტი-

კის, ხალხთა ურთიერთდამოკიდებულების ღერძი.

ჩვენი პარტიის მთელი მოღვაწეობა, მისი მომავალი მუშაობის გეგმები ეყრდნობა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას, მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომელიც კომუნისტების გზის მანათობელი ვარსკვლავია.

კომუნისტები მტკიცედ იცავენ ლენინის ანდერძს, „რომ ჩვენი პარტია არავითარ შემთხვევაში არ ჩაეყენოთ გამამარტავებელი პარტიის მდგომარეობაში“ (ტ. 30, გვ. 346), ყოველ ცოცხალ და სიცოცხლისუნარიან პარტიას, აღნიშნავდა ლენინი, უთუოდ სპირდება კრიტიკა და თვითკრიტიკა. ეს არის პარტიის განვითარების, საზოგადოებაში მისი ხელმძღვანელო როლის განხორციელების კანონი.

სოციალისტური წყობილების მეტად ძნელი გამოცდა იყო 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომი, რაც გამოიწვია პიტლერული გერმანიის მუსხანათურმა თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე. ეს იყო ყველაზე მძიმე და ყველაზე სასტიკი იმ ომებიდან, რომლებიც კი ოდესმე გადაუტანია ჩვენს ქვეყანას. კომუნისტური პარტიის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად გაუძლო ამ გამოცდას. მან დარაზმა, შთაავონა, იდეურად შეაიარაღა საბჭოთა ხალხი მტერთან საბრძოლველად. კომუნისტური პარტიის საუკეთესო შეილები იყვნენ ფაშიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის წინა ხაზზე. საერთო ნებისყოფით, საერთო მისწრაფებით ვაერთიანებულმა მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ, ქალღმა და მამაკაცებმა გამოიჩინეს უნარი ჩადინათ გმირობა, რომლის მსგავსი ისტორიაში არ ყოფილა.

საბჭოთა კავშირის გამარჯვებას დიდ სამამულო ომში მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. შეიქმნა ხელშემწყობი პირობები ევროპისა და აზიის ქვეყნებში სოციალისტურ რევოლუციათა გამარჯვებისათვის. ფართოდ გაიშალა ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა. განსტკიცდა სოციალიზმი და დემოკრატის საერთაშორისო ძალები, შესუსტდა იმპერიალიზმისა და რეაქციის პოზიციები.

კომუნისტურმა პარტიამ თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე შეიძინა მუშათა კლასის, მშრომელი მასების რევოლუციურ-გარდამქმნელი მოღვაწეობის უმდიდრესი გამოცდილება, გამოიმუშავა ორგანიზატორული მუშაობისა და მასების ხელმძღვანელობის სრულყოფილი ფორმები, მისი ძალის წყარო იყო და არის მტკიცე და ფართო კავშირი ხალხთან.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს რომ ახორციელებს, პარტია ეყრდნობა ხალხის კოლექტიურ გონებას, ყურად იღებს მუშების, კომუნისტურ გლეხების, ინტელიგენციის წინა-

დადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს, იზიარებს ხალხის რჩევას, პარტიის მუშაობის სისტემა გახდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე კანონპროექტების საყოველთაო — სახალხო განხილვა. სკკპ მტკიცედ იცავს ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ პარტიამ არა მარტო უნდა შეძლოს მასების ხელმძღვანელობა, არამედ კიდევაც უნდა ისწავლოს მასებისაგან.

მარქსიზმ-ლენინიზმი გეასწავლის, რომ კომუნისტების იდეალების განხორციელება შეიძლება მხოლოდ მატერიალური და სულიერი სიმდიდრის პირობებში. აქედან გამომდინარე, სოციალიზმის მიერ შექმნილ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების, კომუნისტური სულიკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდის ღონისძიებები.

სკკპ XXIV ყრილობამ დაასახა ისტორიული ამოცანა; თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები ორგანულად შეეჯერათ მურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან, უზრუნველყვით საწარმოო ძალების სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება. საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყურადღების ცენტრშია შეუპოვარი ბრძოლა მეცხრე ხუთწლიის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის შესრულებისათვის.

ჩვენი ხალხის მთელი შრომითი, საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრება აგებულია სოციალისტური დემოკრატის მტკიცე საფუძველზე. სულ უფრო ძლიერდება მშრომელთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების — მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის როლი კომუნისტურ მშენებლობაში.

მთელი მსოფლიო რწმუნდება კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სასიცოცხლო ძალაში. საბჭოთა საზოგადოებაში დამკვიდრდა ეროსა და ხალხთა თანასწორობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, შეიქმნა მათი შემდგომი აყვავებისა და დაახლოების მტკიცე საფუძველები.

ეროვნულ რესპუბლიკებში უჩვეულოდ განვითარდა საწარმოო ძალები, თანამედროვე მრეწველობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობა, გამოიზარდა მუშათა კლასის, კომუნისტურ გლეხობის და სახალხო ინტელიგენციის კადრები. იზრდება თვითეული ერის წვლილი კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში.

დავით მინსვარაძე

ზვირჭული ბუა

ხაბჭოთა მრავალეროვანი სოციალისტური სა-
ხელმწიფო პრაქტიკით ცხადყოფს პროლეტარ-
ულ ინტერნაციონალიზმის იდეების გამარ-
ჯებას.

კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უდიდე-
სი მონაპოვარია კულტურული რევოლუციის
ლენინური იდეების განხორციელება. მისი ძი-
რითადი შინაარსია: სახალხო განათლების გან-
ვითარება — ყველა პირობის შექმნა იმისათ-
ვის, რომ მშრომელთა ყველაზე ფართო მასე-
ნი ეზიარონ პოლიტიკას, ცოდნას, ესთეტიკურ
ღირებულებებს; მეცნიერულ-სოციალისტური
იდეოლოგიის გავრცელება, წვრილბურჟუაზი-
ულ შეხედულებათა და ზნეობათა დაძლევა.
სსრ კავშირის მოსახლეობის მესამედზე მეტს
აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება, ხორ-
ციელდება ვადასვლა საყოველთაო საშუალო
განათლებაზე. განუწყვეტლევ მალდდება მუ-
შათა, გლეხთა და მოსამსახურეთა საქმიანი
კვალიფიკაცია.

XX საუკუნე განდიობული მეცნიერულ-
ტექნიკური რევოლუციის საუკუნეა. ამიტომ
სავსებით ბუნებრივია, რომ მეცნიერება, მისი
კვლევის ექსპერიმენტული ბაზის განვითარება,
კადრების მოზადება ვაზდა პარტიის დაუც-
ხრომელი ზრუნვის საგანი. ჩვენი ქვეყნის სა-
ხალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა
დარგში შრომობს 820 ათასზე მეტი მეცნიერი
მუშაკი. ეს მსოფლიოს მეცნიერ მუშაკთა მეო-
თხედი ნაწილია. სულ უფრო სწრაფად მიმდი-
ნარეობს უშუალო საწარმოო ძალად მეცნიერ-
ების გადაქცევის პროცესი. ჩვენი მეცნიერე-
ბის მალწევებმა კონცენტრირებული გამოხი-
ტულება პოვა კოსმოსის შესწავლასა და ათვი-
სებაში.

კომუნისტურმა პარტიამ ფართო გზა გაუხს-
ნა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარ-
ებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამო-
ყალიბდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნ-
ება, რომლის განმასხვავებელი ნიშნებია ღრმა
ხალხურობა და კომუნისტური პარტიულობა,
რევოლუციური ჰუმანიზმი და მოქალაქეობრი-

ობა, სიძირთლე და სინამდვილის ღრმა შეს-
წავლა, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი,
რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას.

საბჭოთა ქვეყანაში სულიერი კულტურის
მთელი სიმდიდრე ემსახურება ხალხის ინტერეს-
ებს, კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სა-
ყოველთაოდ აღიარებული ავანგარდია მსოფ-
ლიო კომუნისტური მოძრაობისა, რომელიც
ჩვენი ეპოქის ყველაზე გავლენიანი პოლიტი-
კურ ძალად გადაიქცა. სკკპ 70 წლიანი გამოც-
დილება შთამავრუნებელი მაგალითია მსოფლი-
ოს თითქმის 90 ქვეყნის მარქსისტულ-ლენინუ-
რი პარტიებისათვის. კომუნისტური და მუშათა
პარტიების მოღვაწეობის საფუძველია მარქ-
სიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაცი-
ონალიზმის პრინციპები, რომლებიც ცხოვრე-
ბით არის შემოწმებული. მარქსისტულ-ლენინ-
ური პარტიების ხელმძღვანელობით მეტ წილ
სოციალისტურ სახელმწიფოებში აშენდა სო-
ციალიზმის საფუძვლები, ჩამოყალიბდა მშრო-
მელი კლასების საზოგადოება.

კომუნისტურ პარტიებს თავიანთ ინტერნაცი-
ონალურ მოვალეობად მიაჩნიათ ხელი შეუწ-
ყონ ყველა ქვეყნის მუშათა კლასის მეგობრო-
ბისა და სოლიდარობის განმტკიცებას, ერთობ-
ლივად იბრძოლონ იმპერიალიზმის წინააღ-
მდეგ.

აველა ხალხთა ინტერესებს შესაბამება ჩვე-
ნი პარტიის ლენინური საგარეო პოლიტიკის
კურსი, რომლის მიზანია: ჩვენს ქვეყანაში კო-
მუნისტური მშენებლობის ხელშემწყობი საგარ-
ეო პირობების შექმნა, მსოფლიო სოციალის-
ტური თანამეგობრობის განმტკიცება, იმპერია-
ლიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ,
საყოველთაო მშვიდობისათვის, სოციალური
პროგრესისათვის ბრძოლა.

კომუნისტური პარტია მუშათა კლასის,
მშრომელი ხალხის ხორცი ხორცთავანია. იგი
მუდამ გრძნობს ხალხის ერთსულოვან მხარ-
დაქერას. პარტიისათვის ძვირფასია მშრომელ-
თა ნდობა, მისთვის არ არსებობს სხვა ინტერეს-
ები, ვარდა ხალხის ინტერესებისა,



რუსთველი ბულგარეთში

ქართულ-ბულგარულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას კარგა ხნის ისტორია აქვს: სათავეს იგი საუკუნეთა წყვილიაღმის იღებს,¹ ერთგვარ წარმატებას გასული საუკუნის ბოლოს აღწევს,² ხოლო ჩვენს ეპოქაში განსაკუთრებულ ქვრიადობას იძენს.

ქართულ-ბულგარული ლიტერატურული ურთიერთობის განვითარება-განმტყიცების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსთველის „ვეფხისტყაოსანმა“. მართალია, ჩვენ არ მოგვეპოვება ადრინდელი ბულგარული ცნობები რუსთველსა და მის პოემაზე, მაგრამ XX საუკუნის მასალა საკმარისია ზემოთქმულის დანსაბუთებლად.

ჩვენთვის ცნობილი მასალებით რუსთველი ბულგარულთაგან პირველად მოიხსენია დიდმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ი. ვაზოვმა (1850-1921). მხედველობაში გვაქვს მისი უადრესად საინტერესო წერილი — „ქართული ხალხის ისტორიული ცხოვრების მოკლე მიმოხილვა“, რომელიც 1901 წელს დაიბეჭდა სოფიაში,³ ხოლო ქართული თარგმანი გამოაქვეყნა თ. სახოკიამ.⁴

ი. ვაზოვმა პარიზში — საერთაშორისო გამოფენაზე — გაიცნო ა. ხახანაშვილის ფრანგული წიგნი, რომელშიც მოკლედ იყო მიმოხილული საქართველოს ისტორიული წარსული და ლიტერატურა.⁵ იგი იმდენად მოიხიბლა საქართველოთი, რომ საკიროდ დაინახა თანამემამულეთათვის მშობლიურ ენაზე მიეწოდებინა მეცნიერულ-პოპულარული ცნობები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ.

ზემოდასახელებულ წერილში, რომელშიც ნათლად ჩანს ავტორის სიმათია და კეთილგანწყობილება ქართველებისადმი, დიდი ქართული შემოქმედი ასეთ კონტექსტში იხსენიება: „საქართველოში ცივილიზაცია განვითარებას უმაღლეს მწვერვალს მიაღწია XII საუ-

კუნეში — ძლიერი თამარის დიდებული მეფობის ხანაში. იმ დროს მოღვაწეობდა ქართველთა უდიდესი პოეტი შოთა რუსთველი, რომელიც დიდად ნიჭიერი იყო და მაშინდელი დროის კვალობაზე საფილოსოფიო განათლება ჰქონდა მიღებული“.

გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ჩვენი თანამემამულის, ცნობილი მუსიკოსის ი. ქურხელის წიგნი — „ვარსკვლავთა კამეაზე, ბულბულთა ენაზე, ლაქვარდ საქართველოზე“, რომელიც სოფიაში გამოქვეყნდა 1924 წელს.⁶ ავტორმა ბულგარულ მკითხველებს საგანგებოდ გააცნო საქართველოს კულტურის აყვავების ხანა — XII საუკუნე, როდესაც მოღვაწეობდა შოთა რუსთველი, და განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე. მისი სიტყვით, პოემის „მაღალი მორალი, დრმა შინაარსი, ლამაზი გამოთქმები დღესაც ზრდის და აეფეციებს საქართველოს მომავალ თაობას. ქალები თავიდან ბოლომდე ზეპირად სწავლობენ მას და ამაყობენ, რომ მისი შესწავლით დიდი სულიერი სიმდიდრე შეიძინეს“.⁷

ი. ქურხელი არა მარტო წერილობით ეწეოდა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას, არამედ ხშირად საჯარო ლექცია-მოსვენებებით გამოდიოდა ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე სოფლებსა და ქალაქებში. მისი საქმიანობა არ დარჩენილა ბულგარულ მოღვაწეთა ყურადღების მიღმა; ქართველი ერის კულტურით დაინტერესებულმა ბულგარულმა მეცნიერმა, პროფ. პ. ცონევა ი. ქურხელი მიიწვია სოფიის უნივერსიტეტში და თავისი სალექციო საათები დაუთმო ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსზე, სადაც სტუდენტებს აცნობდა საქართველოს სულიერსა და მატერიალურ კულტურას, კერძოდ „ვეფხისტყაოსანსაც“.⁸

არაერთი წერილი თუ შენიშვნა გამოქვეყნდა

ნულგარეთში რუსთველის პირველი იუბილე მსაღვებში, ჩატარებდა თუ ახლო მომდევნო პერიოდში.¹⁰ მათმა ავტორებმა მოთხვეულებს გაიცენეს XII-XIII საუკუნეთა მიწის საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, დაუხასიათეს ქართული კულტურული ლიტერატურული გარემო, მიაწოდეს ხალხური ბიოგრაფიული მასალები რუსთველზე, ზოგადი წარმოდგენა შეუქმნეს მის პოეზიაზე. ცალკე უნდა მოვისხენიოთ ბულგარელი ეთნოლოგის ს. კარაკოსტოვის წერილი — „სიყვარულისა და თავისუფლების პოეტიკა“¹¹, — რომელშიც, მართალია, გვეხვება რამდენიმე არასწორი ცნობა, მაგრამ ავტორთდ მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი შეფასება. ავტორმა რუსთველის პოემას ქართული „ილიადა“ უწოდა და დააყენა ისეთ თხზულებათა გვერდით, როგორცაა „სიმღერა ნიბელუნგებზე“ და „სიმღერა როლანდზე“. სხვათა შორის, მან გაავლო პარალელი ტარიელსა და ბულგარელ კრალი მარკოს შორის და მოიწადინა მათი დამახასიათებელი საერთო ნიშან-თვისებების გამოვლენაც. მისი სიტყვით, „პოემის გმირი — ტარიელი სახალხო ბელადია. მასში ეპოქობით ბულგარელი სახალხო გმირის კრალი მარკოსათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. როგორც კრალი მარკოს სახეშია მოქცეული სამხრეთ სლავთა იდეალები, ისე ტარიელში — ქართველთა იდეალები. ტარიელის სახეში ხორციელდება ქართველი კაცის თავისუფალი სული“.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბულგარულ პრესაში დაიბეჭდა ე. ველსნერის წერილი¹² „ვეფხისტყაოსნი“ ახალ რუსულ თარგმანზე, რომელიც შ. ნუცუბაძემ გამოაქვეყნა 1941 წელს.¹³ მასში მოცემულია ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად, გერმანულად და უნგრულად ამტყვევების ცდებზე, დასახელებულია რამდენიმე რუსული თარგმანი, ერთგვარად შეფასებულია შ. ნუცუბაძის ღვაწლი და გულისტკივილია გამოთქმული ბულგარული თარგმანის არარსებობის გამო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ რუსთველის სახელი მალე გაჩნდა ბულგარული პრესის ფურცლებზე,¹⁴ გვიან იგი ენციკლოპედიებში შევიდა.¹⁵ მაგრამ „ვეფხისტყაოსნისაღმა“ ინტერესი ბულგარეთში განსაკუთრებით გაიზარდა ქართველი პოეტის საიუბილეო წელს. აქ სავანეებოდ უნდა აღინიშნოს ის ღვაწლი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციაში მიუძღვრის ბულგარულ ლიტერატურათმცოდნეს ი. ბიჭაძეს. იგი რამდენჯერმე იყო თბილისში, საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ლიტერატურა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დადი ოქტომბრის სოციალისტური რე-

ვოლუცია და ბულგარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა“.¹⁶

ი. ბიჭაძის რუსთველოლოგიური წერილებიდან სავანეებოდ უნდა გამოვყოთ „უქნობი დიდება“¹⁷ რომელშიც მეცნიერმა საესებით სწორად გაითვალისწინა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ვითარება და ღირსეულად შეაფასა რუსთველის როლი ქართველთა ცხოვრებაში. მისი მართებული დასკვნით, „ქართველი ხალხის უკვდავი მგონის უქნობი დიდება განუყრელადაა დაკავშირებული XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ბრწყინვალე აყვავების ეპოქასთან“. ამიტომაც რუსთველის სიდიადე მკვლევარმა წარმოაჩინა თამარის ეპოქის საქართველოს ფინიჯი. მისი განცხადებით, რუსთველმა შექმნა „XII საუკუნის ქართული ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების ენციკლოპედია“, „ღრმად და სიმაღლით გადავიშალა ქართველი ხალხის არა მარტო ხასიათის თვისებები, მისი იდეალები და მისწრაფებები, არამედ მისი ჰუმანიტური სულიკეთებაც, რომელშიც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული შეთავსებულია ვეწლა თავისუფლებისმოყვარე ხალხის სიყვარულთან“. დიდმა პოეტმა შექმნა „პიანი, რომელიც ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერების დიად მიზანს ემსახურება და რვა საუკუნის საშორიდან კვლავ გვიტობობს გულს და გვინათებს გონებას სიმატლისა და უქყნად ბედნიერებისათვის ბრძოლაში“. ი. ბიჭაძემ წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ არა მხოლოდ კულტურულ-ისტორიული ღირსება, არამედ სწორად შენიშნა და განსაზღვრა მისი მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებრიობის ნათელი იდეალებისათვის ბრძოლაში. მართებულად წერდა მკვლევარი: „რუსთველი უმეტროდა თავისუფალ, ბრძენ, სამართლიან ადამიანს, რომელიც ამაყობს არა დათვლებული წარმომავლობით, არამედ თავისი კეთილი საქმეებით. ბოროტი არ შეიძლება მარადიული იყოს, მას ძლევს ადამიანთა ერთობლივი ბრძოლა კეთილისათვის. პოემის გმირთა წმინდა მეგობრობა სხვადასხვა ხალხთა მეგობრობად გადაიზრდება. ეს დიადი გრძნობა მოგვეწოდებს გვეძულდეს ვერაგობა და ლაჩრობა, იგი სიყვარულსაც კი თავისი მაღალი მიზნებისაღმა დამორჩილებულს ხდის. რუსთველის აზრით, ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიყვდილი სჯობს. ეს გრძნობა გამსჭვალულია მსურველ სიყვარულით ადამიანისაღმა, მისი გონებისა და მისი ბედნიერების უფლებისაღმა. ამ გრძნობით გამსჭვალულია მთელი პოემა“.

ი. ბიჭაძემ მკითხველს მოუთხოო „ვეფხისტყაოსნის“ ბულგარულად ამტყვევების იმ ცდაზე, რომელიც პოეტ-აკადემიკოს ნ. ლილიევის (1885-1960) სახელთანაა დაკავშირებული. ქართველმა საზოგადოებრიობამ კარგა ხნის წინათ გაიგო — (ჩვენში სტუმრად მყოფი ბულ-

გაიღო პოეტის ხ. რადევსკისაგან,¹⁸ რომ ნ. ლილიევი თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“. როგორც ჩანს, პეჭარედითა და კონსულტაციით მას ეხმარებოდა ი. ბიწაძე. სამწუხაროდ, კარგად დაწყებული მუშაობა შეწყვიტა ნ. ლილიევის გარდაცვალებამ (1960 წ.). გარკვეულ ინტერესს იწვევს ი. ბიწაძის ის წერილი, რომელშიც რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხებია განხილული.¹⁹ მასში ნათლად ჩანს ავტორის ღრმა ფილოსოფიური განათლება და რუსთველოლოგიის ურთულესი პრობლემების კვლევის უნარი.

1966 წლის შემოდგომაზე — რუსთველის საუბიბლო დღეებში — საქართველოს ეწვია ბულგარელ მწერალთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ე. ბაგრიანა, დ. ვაზე და ც. ანგელოვი.²⁰

გამოჩენილმა ბულგარელმა მწერალმა ე. ბაგრიანამ (ბელჩევამ), რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია ნაყოფიერად მოღვაწეობს ლიტერატურულ ასპარეზზე და თავის ლექსებში უმღერის ადამიანის გამაქეთილშობილებელ სიყვარულსა და მეგობრობას, ქადაგებს ჰუმანიზმს და მოგვიწოდებს ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად, მხურვალე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამკვებობათა რუსთველისადმი მიძღვნილ პლენუმზე 1966 წლის 26 სექტემბერს.²¹ მისი რწმენით, „ამაღლებული იდეების, თავისუფლებისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, გამირობისა და ადამიანის სიყვარულის, ჰუმანიზმისა და სილამაზისაგან სწრაფვის გამო რუსთველი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას ისევე, როგორც პომეროსი, ნიზამი, დანტე, შექსპირი“. პოეტმა ქალმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „რუსთველმა გადალახა გეოგრაფიული საზღვრები, გადალახა დროის საზღვრებიც, გადააბიჯა რვა საუკუნეს“ და იმედი გამოთქვა, რომ ქართველი შემოქმედის „ათასწლეულის საზღვრებსაც გადააბიჯებს“.

თანამედროვე ბულგარული პოეზიის ნიჭიერმა წარმომადგენელმა ც. ანგელოვმა 1966 წლის 28 სექტემბერს სიტყვა²² წარმოთქვა მწერალთა ბორჯომის საერთაშორისო ფორუმზე, სადაც ხუთი კონტინენტის მწერლები განიხილადნენ თანამედროვე ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს, მსჯელობდნენ პოეზიის დანიშნულებაზე, არაკეთილდენ შემოქმედის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თავის ღრმამაინარსიან სიტყვაში ც. ანგელოვმა დასვა კითხვა: რატომ ცოცხლობს და იტოვლებს მუდამ ქართველთა გულში და მიუღი კაცობრიობის ცნობიერებაში რუსთველის სახელი და პოეზია? რატომ არის მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრთაგანი? ამ კითხვას მან ასეთი პასუხი გასცა: „შუა საუკუნეების ლიტერატურის მრავალრიცხოვანი ნიმუშებისაგან განსხვავებით

რუსთველის პოემა დაზღვეულია მისტიკისა და დოგმატიზმისაგან, სქოლასტიკისა და რელიგიოზური ფანატიზმისაგან. გაუსწრო რა ევროპული აღორძინების მრავალ პოეტს, რუსთველი ნამდვილი ჰუმანიზმის ბაიარატარი, სიყვარულისა და მეგობრობის, ვეჟიკობისა და სიმამაცის მომღერალი გახდა. მის გმირებს ახასიათებთ სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნება; ისინი მამულის თავისუფლებისა და ღირსების დამცველები არიან. რუსთველის გმირები ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის დიადი იდეის განმასახიერებელი არიან“.

აქტიურად მონაწილეობდა რუსთველის საუბიბლო დღესასწაულში დ. ვაზეც, მან სიტყვები წარმოთქვა მწერალთა ბორჯომის საერთაშორისო ფორუმსა²³ და რუსთველის ძეგლის გახსენსადმი მიძღვნილ მიტინგზე ახალციხეში.²⁴

რუსთველის იუბილეს მხურვალე გამოხემაურა ცნობილი ბულგარელი მოღვაწე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი, ხანდაზმული პოეტი ლ. სტოიანოვი.²⁵ „ვეფხისტყაოსანს“ იგი ჯერ კიდევ 1936 წელს გაეცნო (მოსკოვში) მისი 750 წლისთავის წინ და მასწინვე განაცვიფრა „პოეტის მაღალმა ფანტაზიამ, მისი სულიერი სამყაროს კეთილშობილებამ, ღრმა სიბრძნემ, განცდათა რომანტიკამ, რიტმულობამ მისი თხრობის დინამიში, რომელიც ხან ნელია, როგორც ნიავის ქროლა, ხან ბოზოქარი, როგორც მდინარე, კავკასიონის ქედიდან რომ მოჰქუხს გაშლილ ველთა ჭრელი პანორამისაკენ“. მისი დასკვნით, „ასეთი პოეზიის შექმნა შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, რომელმაც თავისი საუკუნის კულტურის მწვერვალს მიიღწია და ეფოდალური წყვედიანის წინააღმდეგ აღდგა“. თავის წერილში ლ. სტოიანოვმა წარმოაჩინა რუსთველის ზოგად-საკაცობრიო იდეალები და აღნიშნა „ვეფხისტყაოსანის“ თანამედროვე ჟღერადობა. მისი სიტყვით, „სამი რაინდის — ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მეგობრობა გამიხატავს პოემის ძირითად იდეას: ადამიანთა ბედნიერება ხალხთა მეგობრობაშია, ბოროტება და სიმუდილი კი არა, სიკეთე უნდა ხელმძღვანელობდეს მათ ქვეყას. ამაშია რუსთველის ქმნილების თანამედროვე ჟღერადობა“.

ასევე თბილად გამოხემაურა რუსთველის იუბილეს ცნობილი ბულგარელი პოეტი, გ. დიმიტროვის პემისის ლაურეატი ა. ტოდოროვი. იგი სპეციალური მოხსენებით გამოვიდა სოფიის საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა რუსთველის დაბადების 800 წლისთავს, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსთველის სახელი სამარადისოდ დარჩება მსოფლიოს უკვდავ შემოქმედთა პანთეონში.²⁶ მანვე გაამხადა წერილი ასეთი სათაურით: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძე-

ლევან მენაბდე
რუსთველი ბულგარეთში



ლია“ და გამოაქვეყნა იგი „ვეფხისტყაოსნის“ ბულგარული პოეტური თარგმანის ნაწყვეტთან ერთად.²⁷

ა. ტორდოროვი მკითხველებს მოუთხრო რუსთველის ეპოქაზე, პოეტის წარმოშობასა და განათლებაზე, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად იდეურ-თემატიკურ მოტივებზე. მან ხაზგასმით ამცნო ბულგარელებს, რომ „იმ მკაცრ ეპოქაში, როდესაც დასავლეთ ევროპაში ცეცხლზე წვაოდნენ ერტიკოსებს, ე. ი. თავისუფლად მიაზროვნებდნენ, როდესაც ყველაფერი მახვილის ძალით წყდებოდა, რუსთველი წინ სწევს ჰუმანიზმის პრინციპებს, უმღერის ხალხთა შორის მეგობრობას და სიყვარულს“.

ბულგარულ მკითხველებს რუსთველსა და მის პოემაზე ზოგადი ხასიათის ცნობები მიაწოდეს აგრეთვე ა. ბარამიძემ,²⁸ გ. გერმანოვმა²⁹, ხ. დუდეცკიმ³⁰ და სხვებმა.³¹

ერთი ავტორის სიტყვით, „უდიდესი პოეტისა და ფილოსოფოსის“ რუსთველის „სახელგანთქმული ქმნილება ცოდნისა და სიბრძნის ენციკლოპედიაა“. პოემის „ზღაპრულ-ლეგენდარული იერისა და გმირთა ქცევის მიღმა ძნელი არაა შეცნობა ჩვენი ეპოქის თანხმეირი პოეტისა, რომელთანაც უკვე შეიმჩნევა აღორძინების რეპრეზენტის დამახასიათებელი ნიშნები“ (გ. გერმანოვი). მეორე ავტორის დასკვნით, რუსთველი თავისი დროის „ერთ-ერთი ყველაზე განათლებული პიროვნებაა“. გვიხატავს რა სამი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, იგი რჩება ინტერნაციონალური სულისკვთების პოეტად. „მეგობრობისა და სოლიდარობის ის პათოსი, რითაც გააღვნილია რუსთველის პოემა, ორი საუკუნით უსწრებს წინ იტალიის ადრეული რენესანსის ჰუმანურ იდეებს“ (ხ. დუდეცკი).

ერთ-ერთი გაზეთის სარედაქციო წერილში მსჯელობა რუსთველსა და მის პოემაზე ასე იყო დაჯამებული: „ვეფხისტყაოსანი“ ადრეული წინამორბედი მომდევნო საუკუნეების ევროპული აღორძინებისა. ის არის მეგრძოლი ჰუმანიზმის დოკუმენტი, რომელიც უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე ევროპაში და მთელ სამყაროში მომწიფდა მაღალი ადამიანური იდეალი. ამრიგად, „შოთა რუსთველმა გაუსწრო თავის დროს და უკვდავად იქცა მსოფლიო კულტურის შემოქმედთა და ჰუმანიზმის ზეიმისათვის მეგრძოლთა გვერდით“ („ნაროდნა კულტურა“).

ორიოდე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ბულგარულად თარგმნის ახალ ცდაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ბულგარულ ენაზე თარგმნა შესამჩნევად დავეიანდა (როგორც აღნიშნეთ, ნ. ლილიეს არ დაცალდა რუსთველის პო-

ემის ბულგარულად ამტკიცებდა). ზეიმისათვის თის საზოგადოებრიობა მწვავედ განიცდიდა ამას და მოუთმენლად ელოდა „ვეფხისტყაოსნის“ მშობლიურ ენაზე. თანამემამულეთა სურვილსა და აზრს ერთი კურნალისტი ასე გამოხატავდა: „რუსთველის იუბილეს ზეიმობისას ვისურვებდით უახლოეს დროში გვეხილა მისი ნაწარმოები ჩვენს მშობლიურ ენაზე თარგმნილი. ეს იქნებოდა მოვალეობის შესრულება მეგობარი ხალხის წინაშე, რომელთანაც ჩვენ ძველთაგან კულტურული ურთიერთობა გვაკავშირებს; ეს იქნებოდა მოვალეობის შესრულება საკუთარი ეროვნული კულტურის მიმართაც.“³²

60-იანი წლების ბოლოს ეს დიდი საქმე თავს იღვა ნიჭიერმა ბულგარელმა პოეტმა ს. ბაიჩიჩიევმა. მან ვაიცნო ქართული ლიტერატურა, შეისწავლა მისთვის ხელმისაწვდომი რუსთველური ნაშრომები, მიიღო სისტემატური კონსულტაციები ი. ბიწაძისაგან და რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად გაამზადა „ვეფხისტყაოსნის“ ბულგარული პოეტური თარგმანი. გასულ წლებში უკვე გამოაქვეყნდა ამ თარგმანის ნაწყვეტები³³ ი. ბიწაძის შესავალი წერილებით, რომლებშიც მიმოხილულია საქართველოს ისტორიულ წარსული და ქართული კულტურის განვითარების გზა, მოთხრობილია „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი და აღნიშნულია მისი ზოგად-საეპოქური მნიშვნელობა.³⁴ როგორც ი. ბიწაძე აღნიშნავს, ს. ბაიჩიჩიევის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი შესრულებულია შესანიშნავად. იგი შევა ბულგარული მწერლობის საგანძურში.³⁵

უკანასკნელად უნდა დავიმოწმოთ ბულგარული ენციკლოპედია, რომელშიც სპეციალური წერილი ეძღვნება რუსთველს. მასში გვითხულობთ: „ვეფხისტყაოსანი“ ადრეული აღორძინების იდეების მატარებელია, უმღერის მიწიერ განცდებსა და ადამიანურ ვენებებს, მისთვის უცხოა რელიგიური მისტიკა. რუსთველის მსოფლმხედველობა პანთეისტური და მატერიალისტური ნიშნების მქონეა. პოემა გამოირჩევა მდიდრული ენით, დახვეწილი სტილით, გმირთა მკაფიო დამახასიათებლთა და ხაზგასმული ლირიზმით“.³⁶

ასეთია ზოგადად ბულგარული ცნობები რუსთველსა და მის პოემაზე. წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ ბულგარელები ჯერ მხოლოდ ეცნობიან „ვეფხისტყაოსანს“. მისი სპეციალური, დრამატიკური შესწავლა უახლოესი მომავლის საქმეა. ამის საწინდარია ის ინტერესი, რომლითაც ბულგარელები ეცნობიან ქართულ პოემას.

¹ რ. სირამე, ქველბულგარულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები, «მნათობი», 1972, № 10, გვ. 179-192.

² მ. კვეციელაძე, ბულგარული ლიტერატურა, თბ., 1953, გვ. 17-20, 240 და შიგ.

³ И. Вазовъ, Погледъ възъ историческия животъ на грузинския народъ, «Българска Сборка», III, София, 1901, გვ. 178—180.

⁴ თ. სქასოკია, ი. ვაზოვის აზრი ჩვენი ხალხის შესახებ, «ცნობის ფურცელი», 6.IV. 1901, № 1428. იხ. აგრეთვე ლ. ჭულაბაძე-ვილი, ი. ვაზოვი და ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა, თბ., 1961, გვ. 9-12.

⁵ A. Khakhanoff. Aperçu géographi- que et Abrégé de l' Histoire et de la Litté- rature géorgiennes, Paris-Tiflis, 1900.

⁶ И. Кургули, За звездите ажчезарии, за славесвите трелли, за Грузия лазурна, София, 1924.

⁷ ი. კვეციელაძე, გ. იმედაშვილი, რუსთ- ველოლოგიური ლიტერატურა (1712-1956), თბ., 1957, გვ. 393.

⁸ ბულგარულ წიგნებსა და წიგნიწებში რუს- თველის პოემა სხვადასხვა სახელწოდებით იხ- სენიება. სახელდობრ, «Вепхисъ Ткаосани» (ი. ქუთხელი), «Посяцать шуба от панте- ра» («Земля»), «Херой въ тигрова кожа» (ს. კარაკოსტოვი), «Юнакът въ тигровата кожа» (ვ. ელსნერი), «Ринарит в тигрова кожа» (ა. დევევი), «Витяз в тигрова кожа» (ა. ტოლოროვი, ტ. ვარვანოვი), «Юнакът с тигровата кожа» (ვ. გერმანოვი), «Юнакът в тигрова кожа» (ბ. დუდევიკი), «Витязът в тигрова кожа» (ი. ბიჭამე) და ა. შ.

⁹ ლ. ჭულაბაძე-ვილი, საქართველოში მო- ხილულენი, «იესკარი», 1971, № 8, გვ. 118-121; ლ. კიკინაძე, მოხეტიალე მუსიკოსი, «საბჭოთა ხელოვნება», 1972, № 1, გვ. 54-55.

¹⁰ Чествуване единъ народенъ поетъ, «Земля», 8. III. 1935, № 2; Седемстотинъ и петдесетъ годишнината на единъ великъ поетъ, «Литературенъ гласъ», 16. IV. 1935, № 270; შოთა რუსთაველი, «Академикъ», 1938, № 3, გვ. 3; В. Елснеръ, Шота Руставели, «Земля», София, 1938, გვ. 89—91.

¹¹ С. Каракостовъ, Поетътъ на лю- бовта и свободата (750 години отъ рож- денито на древния грузински поетъ Шота Руставели), «Бургазки фаръ», 27. VIII. 1938, № 5027.

¹² В. Елснеръ, Новъ преводъ на по- мата «Юнакът в тигровата кожа» отъ Шо- та Руставели, «Народна Просвѣта», 1942, № 1, გვ. 31.

¹³ Шота Руставели, Витязъ в тиг- ровой шкуре. Поэма в стихах. Перевод с грузинского Ш. Нуцубидзе, М., 1941.

¹⁴ А. Деев, Литературата на съветска Грузиния, «Народ», 7. IV. 1946, № 463.

¹⁵ Грузийска ССР (Грузия), Кратка Българска Енциклопедия, II, София, 1964, გვ. 75.

¹⁶ ივანე ბიჭამე — ბულგარელი მეცნიერი, «კომუნისტი», 16.IV.1967, № 90 (13772); ც. ასათიანი, «იხილე თბილისი და იცოცხლე», «თბილისი», 14.VI.1967, № 138 (4289); ი. ბი- წამე, საქართველო, სახარტლო ჩემო! «კო- მუნისტი», 2.IV.1968, № 77 (14073).

¹⁷ ი. ბიჭამე, უკცნობა დაღება, «კომუნის- ტი», 31.VII.1966, № 173 (13567).

¹⁸ ბულგარელი სტუმრები საქართველოში, «ლიტერატურული გაზეთი», 17.II.1956, № 7 (969).

¹⁹ И. Бицадзе, Мирогледът на Шота Руставели, «Философска мисъл», 1967, № 2, გვ. 136—141.

²⁰ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! «თბი- ლისი», 27.IX.1966, № 227 (4072).

²¹ იგი არ გამოქვეყნებულა. მაგნეტოფირზე ჩანაწერი გადმოვიცეა საქართველოს სსრ მი- ნისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყ- ებლობის სახელმწიფო კომიტეტმა.

²² «Иностранная литература», 1967, № 2, გვ. 227-228; «მნათობი», 1967, № 3, გვ. 127-128.

²³ «Иностранная литература», 1967, № 2, გვ. 224; «მნათობი», 1967, № 3, გვ. 123.

²⁴ ახალციხის დიდი ზეიმი. «კომუნისტი», 29.IX. 1966, № 222 (13606).

²⁵ Л. Стоянов, Име- легенда, «Литера- турен фронт», 6. X. 1966, № 41. ოდნავ შე- მოკლებული სახით გამოქვეყნდა ჩვენშიც: Л. Стоянов, На вершине культуры, «Литературна газета», 27. IX. 1966, № 114 (4037), ლ. სტოიანოვი, კულტურის მწვერ- ვალზე, «კომუნისტი», 30.IX. 1966, № 223 (13607). იხ. აგრეთვე «ლიტერატურული საქარ- თველო», 17.II.1967, № 8 (1541).

²⁶ Вечер, посвященный Руставели, «За- рья Востока», 1. X. 1966, № 226 (12770).

²⁷ А. Тодоров, «Злото е недьлготрай- но а добротодьлговечно», «Вечерни пови- ни», 30. IX. 1966, № 4678.

²⁸ А. Барамидзе, 800 години отъ раж- дането на Шота Руставели, «Българо-съветс- ка дружба», 1966, № 9, გვ. 14—15.

ლევან მეხაბღო
რუსთველი ბულგარეთში

²⁹ Г. Германов, Велик син на слънчева Гruzия, «Отечествен фронт», 4. X. 1966, № 6860.

³⁰ X. Дудевски, Баща на грузинската литература (800 години от рождението на Шота Руставели), «Работническо дело», 5. X. 1966, № 275.

³¹ Безсмъртието на поета, «Народна култура», 1. X. 1966, № 40; 800-годишнo рождението на Руставели, «Литературен фронт», 6. X. 1966, № 41.

³² Г. Германов, Велик син на слънчева Гruzия, «Отечествен фронт», 4. X. 1966, № 6860.

³³ «Родна реч», 1971, № 8, გვ. 23 — 24; «Смяна», 1972, № 9, გვ. 44-46.

³⁴ И. Бицадзе, Витязят в тигрова кожа, «Родна реч», 1971, № 8, გვ. 22 — 23;

მისივე, Съкровище на грузинската литература, «Смяна», 1972, № 9, გვ. 44—45.

³⁵ «Родна реч», 1971, № 8, გვ. 23; ლ. ზუბულური, «ვეფხისტყაოსანი» ბულგარულ ენაზე, «კომუნისტი», 1.1.1972, № 1 (15214), «ვეფხისტყაოსნის» კიდევ ერთი ათრგმანი, «სამშობლო», 28.1.1972, № 2 (282).

³⁶ Руставели Шота, Кратка Българска Енциклопедия, IV, София, 1967, გვ. 442.

წერილში გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტის მასალები, რომლებიც კაბინეტს გადმოსცეს ი. ბიჭაძემ (სოფია), ნ. ზაუტაშვილმა, ვ. კახნიაშვილმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, თარგმნეს ნ. ზაუტაშვილმა და ო. გოლიაძემ. ზოგიერთი მასალა ენახეთ სოფიაში (1971 წ.).



ვაზის საგალობელი

პოეტური შთაგონებითა დაწერილი ანდრო ლეკიაშვილის წიგნი „შენ ხარ ვენახი“ (გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972). ამ ნაწარმოებს აქვს შინაგანი რიტმი და ლექსის ამოღლებელი მგზნებარება, თუმცა ავტორს პოეზიაზე არც უფიქრია, იგი მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევს წერდა და ძალაუფლებურად, ხალასი ნიჭით მირონცხებულ, თავდაუზოგავი შრომა ჰეშმარტ ხელოვნებამდე ამაღლდა.

ვაზი, ვენახი, ღვინო უხსოვარი დროიდან გახდა სიმბოლო საქართველოსი. ქართველთა განმანათლებელს წმინდა ნინოს ვაზის ჭვარი შემთხვევით არ ეპყრა ხელთ. ვაზს ეთაყვანებოდა ქართველი კაცი, უვლიდა, ახარებდა. ეს მეცნარე ათასწლეულთა მანძილზე შეესისხლხორცა ჩვენს წინაპართა ყოფას, მათ ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს და თანდათან. ეროვნულ თავისებურებათა ჩამოყალიბების ერთ-ერთ საფუძვლად იქცა. ძნელია წარმოიდგინო დედამიწა უმზეოდ, საქართველო-უვაზოდ...

საქართველოს ვაზის კულტურას სწავლობდნენ და სწავლობენ მეცნიერები. დაწერილია მრავალი წიგნი, მონოგრაფია და ტრაქტატი, ლექსი და მოთხრობა, პოემა და რომანი, მაგრამ დღემდე არ გვქონდა ყველასათვის გასაგებად (განურჩევლად ასაკისა) ამეტყველებული ქართული ვაზის თავგადასავალი დასაბამიდან ე. ი. კაცობრიობის ცივილიზაციის გარეგარეიდან დღემდე.. ეს ხარვეზი ანდრო ლეკიაშვილმა შეავსო და მეფეთა საკადრისი, დიდებული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ წიგნად აქცია.

მეცნიერების პირველი, უტყუარი მაცნეი, ლერსმული წარწერანი გვაუწყებენ, რომ სამხრეთ შუამდინარეთში ხუთი ათასი წლის წინათ მისდევდნენ მევენახეობას. ეგვიპტეში საწნახლის გამოშობატველი იგროგლოფი, სამარხში ჩაყოლილი ჩხა, მეოთხე-მესამე ათასწლეულთა მიწით თარიღდება, ე. ი. ამ დროს პირამიდების

ბის ქვეყანაში უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ვაზის კულტურა. სანდო საბუთებისა და გასაოცარი ხანდაზმულობის მიუხედავად, ვერც შუამდინარეთი და ვერც ეგვიპტე ვაზის სამშობლოდ ვერ ჩათვლება, რადგან ამ მხარეთა ბუნებრივი პირობები ველური ვაზის არსებობას გამოიცხადებს, იქ მხოლოდ კულტურული მევენახეობა იყო განვითარებული, ისიც საიდანაც შეტანის გზით. საღ უნდა ეეძებოთ ქვეყანა, რომელმაც კაცობრიობას შესძინა შეუდარებელი სიხარულისა და მხიარულების სათავე: ყურძენი და ღვინო?!

ამ პრობლემას დიდი ხანია დასტრიალებენ სწავლულნი. იგტორმა ყველა უმთავრესი მონაცემი გაითვალისწინა და გამოთქვა თვალსაზრისი, რომ მცირე აზიასთან ერთად, ამიერკავკასიას საერთოდ, და კერძოდ, საქართველოს ენიჭება ვაზის მოშენების პრიორიტეტი. დიხს, ეს არ არის ახალი აზრი. ქართული ვაზის კულტურაზე დაწერილ ყველა წიგნის თუ წერილის შესავალში შეხვდებით ასეთ გამოთქმას, მაგრამ ხშირად უარგუმენტოდ, ანდა ზოგჯერ აშკარად ყალბი საბუთების მოშველებითაც. ხოლო ა. ლეკიაშვილმა კულტურულ-ისტორიული ფაქტების, მთელსოში მთარული ლეგენდების, ლინგვისტურე მონაცემების დამაჭერებელი და ნათელი ანალიზით მკითხველს მიანიშნა კაცობრიობის ამ მოწაპოვართან დაკავშირებით ჩვენი სამშობლოს როლზე, მაგრამ მას არ ავიწყდება, რომ „კვლევა-ძიება გრძელდება, ენახის თავდაპირველი სამშობლოს საკითხი კულაე მეცნიერთა ცხოველი ინტერესის საგანია. ახალ ფაქტებსაც მოუთმენლად ელის მეცნიერება“ (გვ.10). ბოლო სიტყვის მიანც არქეოლოგის ბარი იტყვის და აი, ვაზის თავდაპირველი სამშობლოს მაძიებელნა არქეოლოგების სტუმრები ეხვდებით, მათთან ერთად გმოვხაურობთ ათასწლეულთა ლაბორინთებში.

კახეთში აღმოჩენილია ბრინჯაოს სასხლაეე-



ბი, რომლებიც სამი ათასი წლის წინანდელია. ეს არის კულტურული მევენახეობის ისეთი უტყუარი საბუთი, რომელზედაც ვერც ერთი სკეპტიკოსი ვერ იტყვის უარს, მაგრამ გაცილებით უფრო აღრეულ თაზის ჭურჭელს, მოხდენილ დოქებს, ხელადებს, ჭამებსა და ფილებს ნუთუ ღვინო არ უგემნია? ნუთუ თრიალეთური სწორუმოვარი თასება ქართული მეღვინეობის ორმოცი უსაყენის წინანდელი მოაპებნი არ არიან? «უმიველია, მომავალი გაოსხრები საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობის უფრო შორეულ კვალსაც გამოავლენს (გვ. 12). მეორე ქათასწლეულის დასასრულისა და პირველი ათასწლეულის დასაწყისისათვის ჩვენთან უკვე განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა ჩანს, ხოლო ანტიკური ხანიდან უხვად გვაქვს კლდეში ნაყვით საწნახლები, ნაირ-ნაირი მარნები, ქვევრები, მრავალფეროვანი სუფრის ჭურჭული, სასისებები, ძველ-ბერძნული მითები და ისტორიული თხზულებანიც მიგვანიშნებენ კოლხეთსა და იბერიაში მეღვინეობის მაღალ კულტურაზე.

ქართული ქრისტიანული მონასტრები მევენახეობა-მეღვინეობის უდიდეს კერებს წარმოადგენდნენ. ბერები დღისით ვენახის მოვლაში ღვრიდნენ ოვლს, ხოლო ღამით წიგნთა გადაწერა და «შეკაზმვას» ეწეოდნენ. სამონასტრო მეურნეობაში გრანდიოზული მარნები ჰქონდათ, მარტო ვარძაში ოცდახუთი მარანი და ას ოცდახუთი ქვევრი დაითვლება. გადაკარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართული ფეოდალური ქალაქები მასობრივი აღმოსავლეთის დიდი მარნები იყო.

ავტორი ნუგზარ ღვინისათვის გვაწაფებს ქართულ ისტორიულ წყაროებს. ანალიზებს უძველესი მატიანის «მოქცევათა ქართლისაის» ცნობას ნასტავისის დიდი რუს ვაყვანისა და ვენახის გაშენების შესახებ, «ქართლის ცხოვრებაში», «შუშანიკის წამებაში», «ვეფხისტყაოსანში», სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებში და სხვაგან დაცულ მასალებს.

ძნელბედობა და ჭართა თმენა დასემდა საქართველოს. ყალიბით მოდებული მტერი, უპირველეს ყოვლისა, წელში ტეხას და ანადგურებს სახალხო მეურნეობის ინტენსიურ და სათუთ დარგს — მევენახეობა-მეღვინეობას. ვერაგმა მტერმა იცის, რომ ქართველთა კეთილდღეობის წყაროსთავალი ვაზია და ამიტომ ვაფთრებით ჩეხს მას, უვენახოდ დარჩენილ ქართველი ხომ გადავაჯერებს საფრთხეშია. იბრძვის ქართველი კაცი და სულს მოითქვამს თუ არა, მაშინვე ვენახს ჩაჰყრის. მრავალი საუკუნე გრძელდებოდა ეს საოცარი კიდილი. «ვეფხისტყაოსან» მატიანეს. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება დამახასიათებელი ეპიზოდები მევენახე ხალხის წარსულიდან, იმ ხალხის წარსუ-

ლიდან. რომლის ცხოვრების განაჩენილია თანამგზავი ღვინო იყო» (გვ. 24).

ღვინო ქართველთათვის აუცილებელი საკვება ისევე, როგორც ჭური. ოდითგანვე სახელი გაითქვა ჩვენებურმა სუფრამ და ნაღიმებმა, რაც კარვად აისახა როგორც ისტორიულ წყაროებში, ისე სიტყვეთაშუა ლიტერატურაში. უცხოელი მოგზაურები გაკვირვებულნი არიან ქართველთა სტუმართმოყვარეობით, სუფრის წესებსა დახვეწილობით. მსმელთა შეჯიბრით და არღათობით, რიანდული მოღვინით და თავდაპირველ, მრავალხმიანი ტბილი სიმღერებით, ნაირნაირი და თავბრუდამხვევი ცეკვებით. დედაშიწაზე ყველაზე უკეთესი ღვინო და ნუგზარი საშემლები ანა ვის დაეაფუდებოდა; ნატიფი სასისებები და ნაირნაირი ჭურჭლეულები არ გამოჰკარგია შორეთიდან მოზრამანებულ სტუმართა მახვილ თვალს. სმა საამებლად, საღადობოდ და დროსსატარებლად — იმ არის ქართული სუფრისა, — ასკენან უცხო სწავლენი კაცნი. ხოლო ღლითა და ღლითები მეღვინეობის ამ ქვეყანაში არ არსებობნო. მართლაც, ღვინოა მყურნალი აუდამყოფური ალკოჰოლიზმისა.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ ყველაზე უფრო ფასეულ ცნობებს ხალხური ყოფი იძლევა, მევენახე ღვინის მამა-პაპათაგან შთამომავლობით ძეგლ-რბოლა გამჯდარი მრავალსაუკუნოვანი ცოდნა-გამოცდილება. ჭერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში საქართველოს ვენახებში ხუთსაზე მეტი ვაზის ჯიში დაითვლებოდა. ჯიშთა სიმრავლე ცხოვრებისეული აუცილებლობით იყო გამოწვეული. ვაზის ყოველ ჯიშს თავისი ხანგრძლივი, საინტერესო ისტორია აქვს. მის გამოყვანასა და შენარჩუნება-შემონახვას სხვადასხვა ფაქტორები აპირთებდნენ. ამათგან უმთავრესია რომელიმე რეგიონის დამახასიათებელი ჰაერისა და ნიადაგის თავისებურება, სამეურნეო დაწინაურება, მოსავლიანობა, ხარისხი და სხვა, ვაზის ზოგმა ქართულმა ჯიშმა მსოფლიო აღიარება ჰპოვა აღსანიშნავია საფერავი, რქაწითელი, ჩინური, ალქისანდრეული, უსაბელოური, ცოლიკოური, ციქა და სხვ.

ვაზი, მზვარი ადგილების, ზეგნების და შუამის ფერდობთა შვილია. მაღალმთიანეთში ვენახს ვერ ახარებდნენ, მაგრამ მთიელები უღვიწოდებდნენ როდი რჩებოდნენ, მათ ბარად ჰქონდათ ზვრები და დაუზარელი გარჯის, შრომის წინადაცული ორგანიზაციის წყალობით, კარგ მოსავალს იღებდნენ.

კარზევენახი, შინავენახი, სოფლის ბოლოს ანუ ათეული კილომეტრებით დაშორებული თავზვარი, ათასნაირი ღობით (წნული, ჭარჭული, ტურქული, ლასტი, ხიმე, ყუდული, ლაფური, მესერა, ყორე, სყდე-ცოცხალი ღობე, საბელები და სხვ) მზღუდული; დაუძნელებელი ხეხი-

ლით შემოფარგლული, ალაგ-ალაგ ბოსტნებ-
გარეული. ფესვმგარი, ტანსრული. „მოღაი-
ანი“ დედოფლები; ვენახი სამოთხე, წალკოტი,
მშრომელი კაცის სიხარული და ნაოფლარის
ხორცუხსნა; ვაზი შევილით ნაზარდი; მცენა-
ხის ერთიციქნა ქობი; ზვარში ჩაბუდებული
ქეტორის ეგება მარანი მძლავრი საწნახლებით
და გაუმადარი ქვევრებით; ვაზნარებში შოლ-
ტივით მოქნეული ბილიკი, ქამარივით შემორ-
ტყმული საურმე გზა; ათქვირებული მტევნებით
დაბარდნილი ტალავები; მოლიკლიკ ნაკლდე-
ლი თუ რუბოძალი, დაცემილი წყაროსთვა-
ლი, ანდა საღმე დაჩრდილული, თავდადებული
ჭაბულაყი; ქუსშები და ტახტრევენები, ოკრობო-
კრო ოროკონი, მიწაყილნი, ქვასამანი, მო-
წამენი და სამიჯნონი, მაღლარები, დაბლარები,
ბაბილონი, დობორინი, შამბილი და მხევიანი,
ოლიხი და ოლიხნარი, ხარდანი და ხალახინი,
ჩხირა, ჩხიროდი, რეული, ქიღნარი... გარეე-
ნახი, შვიგინეხი, წვერიენახი, ვანიენახი, ძი-
რიენახი, ბილოენახი, კალენახი, ვაკიენა-
ხი... ამერეთი, იმერეთი, ვაზნარი დაქარბული.

რა არ შეუძლია კაცის ხელს, ქვეყნად აღბათ
იძღვნი შრომა არაფერს არ სჭირდება, რამდენ-
იც ვენახს. ჭერ სავენახედ რომ შესაფერისი
ადგოლი შეარჩიო, რამდენი ცოდნა და დაეუ-
რება საჭირო. ზომიერად დაქანებული, მზვარე
ფერდობი უნდა იყოს, არცთუ მწირი, არც ძა-
ლიან ნოყიერი („გაზი ვთამამდება, ნაკლებად
დაიხამს“). მიწა მსუბუქი ჯობია — ახალშენი
ფესვს ადვილად გაიტანს. გზა და წყალი უნდა
უფლებოდეს, მაგრამ მყუდრო. თვალს მოფა-
რებული და ადვილი შემოსაკავებელი უნდა
იყოს, ქარი და „უცხო თვალი“ არ უნდა აწუ-
ხებდეს და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენი
წვრილმან-მსხვილმანი გასათვალისწინებელი.
მერე სავენახე ნაკვეთი ქვა-ღორღისა და ზედ-
მეტო მცენარეებისაგან გაიწმინდება, დამუშავ-
დება — „კაცის ხელიდან დაიღლება“, ბოლოს
დაიკვალ-დაიშარება და ვაზი ჩაიყრება. „ჩაი-
ყრებაო“ — ენა ადვილად იტყვის, წინასწარ
რომ რქა უნდა შეირჩეს, გაიხსლას, მოიქნას,
სავენახე შემოიღობოს, აგეგმარდეს. „ვაზის
საწოლები“ გაიჭრას, დანაკლდეს... მერე ახალ-
შენის მოკლა-პატრონობა, თითოეული ნერგის
გაზარებზე ზრუნვა, რწყვა, მარგალა-თიხნა,
ბარეა, სხვა-ხელშიმოყვანა, დატუნება. გადა-
წიღვნა-გადაწვენა. შესარვა-აშენება, აყრა, ახ-
ვევა, გაფურსქნა, გამოსწორვა, ცისვახსნა... რვა-
თი წელი მაინც არის საჭირო ძველებურად გა-
შენებული ვენახის დაფუკცება-დაბრძენებისათ-
ვის. მერე ვაზის ყოველდაფერი „ხელი“, კენა-
ხი ლამაზი, თავება ქლივითაა, ყოველწუთს
ყურადღებასა და სათუთ მოვლას საჭიროებს.

ქართულმა ყოფამ მრავალფეროვანი მარან-
ნაგებობანი და მეღვინეობის იარაღ-ქუთქული
შეაიხინა. ქართლ-კახეთში უმოთხრესად ქე-

ტირით და აგურით ნაშენი მარნები ჰქონდათ
სახლის ქვემო სართულში ან ცალკე „ნადგა-
მობად“, თხარა-განჯინებით გაწყობილი, ზეჟურ-
თმიანი დედაბოძებითა და თაღ-კამარებით დამ-
შენებული; ნაეებით, საწნახლებით, საგოდრე
ბაქნებითა და თვდადგმული ქვევრებით გაწყო-
ბილი. ქართლში ჰუკის საწნეხი საქავევით
იყო, ხოლო წვრილმან ინვენტარს ღარებს, სა-
წურებს, ძაბრებს, ნიჩბებს, სარცებს, კრაზანებს,
ხაირებს, დოქებს, თუნგებს, ხელჩაფებს, ხე-
ლადებს, ვინ დათვლის; კედლები წიწკის, ხახ-
ვისა და ნივრის გალებით მოურთავებ. იქვე
აყუდებული ყველი მუცელგაბერილი გულე-
ნი, წნილიანი კასრები, ქოცოები, ქილები, დე-
რგები... ზოგან პურის საცხობ ვარცლ-ორომსაც
შეხვედებით, ჩხები, ჭანები და ავიღოები ხომ
თვალს მოგტაცებენ. ერთი სიტყვით, თვით ბა-
რაქიანი შემოდგომა ჩასახლებულა მაღლიან
მარანში. იქ თავს იყრის გლეხი კაცის ნაამაგა-
რი, თითქმის მიწელი საზრდო-საბაღებელი. ზა-
მთრობით მოგზავიზე ბუხართან პურ-ღვინოს
მარანში შეექცეოდნენ. მტრისაგან თავის დასა-
ცავად. კახეთს ციხე-მარნები უშენებიათ.

დასავლეთ საქართველოში უმოთხრესად ხის
მარნები და ღია ჰურისთავებია ვაბატონებუ-
ლი. „ღლია“ იმიტომ ვამბობთ, რომ ჰურებს
სავანგებო „ხურელი“ არ გააჩნიათ, თორემ მათ
ღიად ვინ დატოვებს. სავანგებო ნარკავებიო
და ტალავებითაა დაჩრდილული. თავს ოფიკო
და სარქველი ახურავს, ზედ აყალბა დაკლსი-
ლი. აყალბის ფხვიერი მიწა აყრია („ხანხვა-
ლი“ — „უბირი“ — „სამაშინი“). ამას კიდევ
თავისი საცავ-საფარებელი აქვს.

დასავლური მარანი, რომელიც ხშირად ბე-
ლეს დამბობლებია, ორფერდად დახურული,
ლამაზი ფიკრული ან ძელურია. იქ ჩარკებუ-
ლია მეტ-ნაკლები ზომის ინდურიანი და უინდუ-
რო საწნახლები, მერე, ონკარო, ჩაჭრილა,
იხარნა — სატბილე, წებები — ქანაკი; ნაირ-
ნაირი ხრიკები, ორშიმოები, სარცები, სათხ-
ლეები, კოპე, ორკოპე, ოსირო, ოფსირო...
ყველაფერს თავისი ადგალი აქვს მიჩენილი,
ისეა ასხმული, სამუზეუმო გამოფენას შეშუ-
რდება. შედარებით იშვიათად გვხვდება ქვის
სამკელლა მარნებიც, მეტწილად ზემო იმერე-
თში.

საწნახლის ვათლა-გამოკოპიტება მთელი ზე-
ლოენებაა. არა მარტო ხის, იმერეთში მოლიანი
ქვის საწნახლებაც უკეთებიათ. საწნახელში
ყურქმისაც წურავენ და ზოგაერთ კეთხეში
(რაკა-ლენხეში, გურია, ნაწილობრივ იმერე-
თი) ჰაჭავი ტკბილსაც ადუღებენ.

ქართული მარანი, თავისთავადი და ადვილე-
ბელი ელემენტია ქვევრი, უდიდესი — „ჩასა-

ლევან ფაშვიძე
ვაზის საბალობელი



ვალში (რამდენიმე კაცი რომ წაიღოს ვასარეცხად) ათეულობით ფუთის ჩამტევი და პაწია ათლიტრიანი ქოცო. ჭური ღვინის დასადუღებელ — დასაყენებელ, შესანახ-დასამუვლებელი და დასამწიფებელი ჭურჭელია. მეჭვეერობის კერები დღემდე შემორჩა კახეთს (ანაგა, ვარდისუბანი, იყალთო, ახალსოფელი), ქართლს (ცხავი), იმერეთს (შროშა, ბოსლევო, დიდწიფელი, ჩხიროული), გურიას (ავეთი), სამეგრელოს (ნამკოლო), ლეჩხუმს (საირმე).

თავის უკანასკნელ დღეებს ითვისებს ტყვის საღვინე ჭურჭელი (რუმბი, ტოკი, კუბრი, გულა, კოლოტი, ქემელი და სხვ.). ასევე ყოფიდან ქრება ქართული ტრადიციული მეღვინეობისათვის საჭირო ნაგებობანი და იარაღ-ჭურჭელი, ხოლო ძველქართულმა ნაირგვარმა სანადაგოთუ სალაღობო სასმისებმა დიდი ხანია ასპარეზი დატოვა და მუზეუმებში გადაინაცვლა.

რთველის ალო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს დგება. კახეთს რთველი სექტემბერში ესტუმრება და ოქტომბრის ბოლომდე გასტანს, იმერეთს — წიფობისთვის — ნოემბრამდე, ხოლო გურია-სამეგრელოში დეკემბრამდე იყო დამკრახული ყურძნით დახუნძლული მალღარი ვაზები.

გლეხებს რთველი დიდ საზრუნავს უქნის. იწვნება გორბები, გიღლები, კალათები, სალა-სტობი, ხახლები, ძარები, ჯინები... იხებება ქვევრები, ისევტება, სუფთავდება კარ-მიღამოები, მარნები, ირეცხება და ღებება საწნახლები, ჩაჭრილები, კოდები... მოაქვთ აყალო. აი, გაჩაღდა რთველიც. მოიწვიეს ნალი—მეზობლები, მოყვრები და მოკეთენი. ზეცას სწვდება სიმღერები, შექაჩილები. დაბლარი ვენახის საკრფად თვით ბავშვები და მოხეტეები გამოდგებიან, მაგრამ მალღარს გამოცდილი და მკლავმავარი ვაჟაკები თუ შებედავენ. ავაზებოვით მოქნილნი — აცოცდებიან თვალუწვდელიან ზეთა კენჭრობებზე, აიტანენ კაკლადილიან გრძელ თოკომბულ კუმტულან — წვერწურწურტა გიღლებს და კრეფაში ერთმანეთს ეჯობებიან. არის გახურებული შირობა და ფრთიან სიტყვათა გაცეცა-ვამოცეცა.

— ა, გიღლა! — ყვარის მკრფავი და ხშირ ფოთლებში შრიალით ეშვება სავეს ვიღელი.

— მშვიდობით ჩამოდი, — პასუხობს გამცლელი და ახლა ცარიელი გიღელი ზევით მიეპანება.

რთველია, რთველი! ჭრიალებენ ყურძნით დატვირთული ურმები, ტლაშუნებს სახრე და ღლინებენ მეურმენი, ბზუიან ფუტკრები. ყურძნის, ტბილის და მაჭრის თაბბრუდამხვევი სურნელება აესებს პერს, უხვი მოსავლით ხარობს სოფელი. იწურება ყურძენი, ღვინდება მაჭარი, აიცილება ჯანებები, მზეზე შრება ჩურჩხელები და ტბილისკვერები. მერე ღვინობებს გადაიღებენ — გადაწმინდავენ, ქვევრებს დაგოზავენ, მაგრამ ამით როდღე მთავრდება

გლეხკაცის შრომა, თავმოწონე ოჯახის ^{მეღვინეობის} ღვინო უნდა ჰქონდეს, ღვინის ქვევრში დაძველება-დამწიფება კი ხანგრძლივი და რთული პროცესია. კვლავ არაერთგზის გადადება, ჭურბის შერჩევა, ღვინის დაწმინკება და ბოლოს მიღებენ საამაყო — „სადიდებულ“ სასმელს. „ძველ ღვინოს“, „პურ-ღვინო ძველი სგობიო“, — ტყუილად არ უთქვამს ხალხს.

კარგმა მეურნემ „ხელნაკრავი“ ღვინის „მორჩენიან“ იცოდა. საერთოდ ზადიანი, ავადმყოფი ან ყალბქმინილი ღვინის სუფრაზე მიტანა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ღვინო ბუნებრივი და უნაკლო უნდა ყოფილიყო.

ზამთარში „სამწყურგალ სასმელად“ ხმარობდნენ „ნაქანს“, „შამანს“, „წყალმაჭარას“ და „შუაღვინს“. ყველა მთავანს თავისი დამზადების წესი აქვს.

მევენახეობა-მეღვინეობასთან მრავალი რიტუალი და რწმენა-წარმოდგენა დაკავშირებული, ხალხურ წეს-ჩვეულებებში ვაზი და ღვინო უმთავრეს როლს თამაშობდა. ვაზი წმინდა, ბედნიერების მომტან მევენარე იყო აღიარებული, ხოლო ღვინო საღვთო, მაზარებულ და განმწმენდ, საზედაზე საშუალებად. გურია-სამეგრელოსა და ლეჩხუმში ბოლო დრომდე აგუნას გადაძახების საინტერესო ჩვეულება სრულდებოდა. აგუნა ვაზის და ღვინის უძველესი ღვთაება უნდა იყოს.

ასეთია მოკლე შინაარსი იმ შესანიშნავი წიგნისა. როგორც იტყვიან, ყველა სიტყვა აწონილია და თავის ადგილზე ზის. ამომწურავადაა გამოყენებული სპეციალური ლიტერატურა, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალა. ნაღებს მორთმევისაც ხომ დიდი თსტატობა, ზომიერება და ალღო უნდა.

თუ აქამდე ე. წ. „საკითხვე ლიტერატურას“ ეთნოგრაფიაში ერთგვარი გულუბრყვილობის ელფერი გადაკრავდა და მისდამი ინტერესი განპირობებული იყო მასალის სუფხისა და თავისებურების გამო, ახლა, ა. ლეკიაშვილის წიგნის სახით, ჩვენ მივიღეთ მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული, ფართო მკითხველისათვის, სახელდობრ, მოზარდთათვის საგანგებოდ გააზრებული წიგნი, რომელიც თავისუფალია წინამორბედთა უნებური ნაკლოვანებებისაგან. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ამ წიგნით ახალი ეტაპი იწყება ქართულ ეთნოგრაფიაში — წლობით მონაპოვარ მეცნიერულ კეშმარტებათა პოპულარიზაციისა. გზა „წმინდა“ მეცნიერებათა დიდ ფართო მკითხველისაგან უკვე გაცალულია და რა კარგია, რომ პირველი გუთნისდედა ასე ნიჭიერი და ხელმადლიანი გამოდგა. ანდრო ლეკიაშვილს სრულიად დამსახურებულად მიეჩნევა გამოცემლობა „ნაკადლის“ პირველი პრემია საუკეთესო მეცნიერულ-პოპულარული წიგნის „შენ ხარ ვენახის“ შექმნისათვის.

ბუნებრივია, სარეცენზიო წიგნი კვლავ გამოიცემა და სხვა ენებზედაც გადათარგმნება, ამი-

ტომ თავს უფლებას მიეცემთ ზოგიერთი შენ-
შენა თუ სურვილი გამოთქვათ.

ავტორი რატომღაც პოპულარიზაციას უკე-
თებს სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გაბა-
ტონებულ ახრს, თითქოს ბუნებრივად ტკბილი
ღვინოების დაყენებაში უმთავრეს რთლს თამა-
შობს ტკბილის ბოლომდე დაუღვლელობა. რა-
კის შევენახება-მეღვინეობის მონოგრაფიული
შესწავლის შედეგად ეს ახრი უარყოფილ
ქნა, როგორც მცდარი, მიუღებელი და ღვინის
ხალხური ტექნოლოგიის გამუფასურებელი.
ტკბილის დღილის სპეციალურად შეჩერებას
დღეს სპეციალისტები მიმართვენ (პასტერიზა-
ცია, მაცივრები და სხვ.), რათა ღვინოს სიტკბო
ე. ი. შაქრის გარკვეული ნაწილი შეუნარჩუნონ.
ასეთი ღვინო ჩვეულებრივ „აეადმეოფი“, არა-
სრულფასოვანია და დასაძველებლად არ გამო-
დგება. ხალხი კი მხოლოდ დაძველებულ (5
წლის მაინც) ტკბილ ღვინოს მიიჩნევადა საუკუ-
თესო სასმელად. ასეთი იყო, მაგალითად, „ყი-
ფიანის ღვინო“ (ალექსანდრეული), „მანდარიის
ღვინო“ (უსახელოური) და სხვ. ამ ღვინოთა
სიტკბო მდგრადობა-დაძველება განიარაღებულ-
ი იყო არა დღილის ხელოვნური შეწყვეტით
(გლეხს არც მაცივრები გააჩნდა და არც პას-
ტერიზაცია იცოდა), არამედ ბოლომდე დაღუ-
ღებით და მაღალი ალკოჰოლის დაკრძების შე-
დეგად შაქრის ბუნებრივად შენახვით. ამ სასმე-
ლთა მძალა ალკოჰოლიანობა „(ხალხური) —
„სიმარე““ შეზავებული გახლდათ სოციალ სი-
ნაზესთან, არმატთან („კაი გემო“), ბუკეტთან
(„სულტქმა“) და ზომიერ სიტკბო-სიმეფიანო-
ბასთან („გემოტკბილი“), ეს იყო ისტორიულად
სახელგანთქმული ქართული, ბუნებრივად ტკბი-
ლი ღვინო, ხალხური სრულყოფილი ტექნო-
ლოგიის შედეგად მიღებული. ძველი მეღვინენი
შთამომავლობით გადმოცემული ისტატობით
აღწევდნენ გამოემკვლევინათ ყურძნის ყველა
სიკეთე და დაეყენებინათ „ნაციოლიარი“ კი
არა, მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი ღვინო.
ღვინის ბუნებრიობა — აი ქართული ხალხური
მეღვინეობის საფუძველთა საფუძველი, რაც
ეაღის დროზე კარგად შენიშნა დიდაზ ილიამ და
გეროპული მეღვინეობის მოტრფიალეთ თვალ-
ნათლედ დაანახვა. დასანია, რომ ამ კარგად
დაწერილ წიგნში ადგილი დავთმო „ტკბილის
დაუღვლელობის“ უკვე უარყოფილ, მცდარ
შეხედულებას.

ავტორი ხმარობს „ალექსანდრეული“, „უსა-
ხელური“. „ციოლიკური“. მართალია, აკადე-
მიურ გამოცემებში „ალექსანდრეულია“ შეტა-
ნილი, მაგრამ უფრო სწორია „ალექსანდრეუ-
ლი“, მით უმეტეს, ხალხი ორივე გამოთქმას

იყენებს და რატომ მაინცდამაინც ენობრივად
არასწორ ფორმას უნდა მივანიჭოთ უზიარატე-
სობა?!

ხალხი უმთავრესად „უსახელოურს“ და „ციო-
ლიკოურს“ ამბობს. ასეა დამკვიდრებული ლი-
ტერატურაშიც და რატომ აირჩია ავტორმა
მაინცდამაინც არასწორი სახელები? („უსახელა-
ური“, „ციოლიკური“).

მეექვსე გვერდზე ვკითხულობთ: „მკლავის სი-
მსხო. გიგანტური სიმაღლის კრიკინა ვაზი ერთ-
ნაირად მოსდებოდა ტყეებსა და ჭალებს“, იქვე
მეორდება კიდევ „მკლავის სიმსხო“ (გვ. 7). ქა-
რთული ვაზის გიგანტურობა რომ ვაჩვენოთ,
მკლავი ბევრი ვერაფერი შედარებაა. ცნობი-
ლია, რომ ძველ საქართველოში ვაზის მერქნი-
საგან ეკლესიის კარებსაც თლიდნენ, ხოლო კა-
ციის მკლავზე გაცილებით მსხვილი ვაზები ჩვე-
ნში ახლაც უხვად მოიპოვება.

„სეფა განათებული იყო ორმოცი ოქროს
და ვერცხლის დიდი მამულით“ (გვ. 37) —
წერს ავტორი. ოქროს და ვერცხლის მხოლოდ
შანდლები შეიძლება იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის სტილი მე-
ტად მოქნილი, დახვეწილი და სრულყოფილია,
ზოგან მაინც ვხვდებით გაუმართავ ადგილებს,
მაგალითად, მე-16 გვერდის ერთ აბზაცში თი-
თქმის ყველა ბრუნვაში მეორდება „მარანი“,
თვალს კუდად ხვდება ხშირად გამოვრებული
გამოთქმა „კახეთი მევენახეობის კლასიკური
მხარე“ (გვ. 41, 47, 53 და სხვ.).

კარგი იქნებოდა ავტორს „რუსულდანაინი-
დან“ გამოეყენებინა ზღაპრული მარნის აღწე-
რა, რომლის კედლები პატროსანი თვლებითაა
მოთკვილი აუზებში ღვინის შადრევნები სჩქეფს,
ხოლო ქვევრებს ბროლის სარქველები ხურავს...
მხატვრულ საფარველს მიღმა, ფაქტიურად, ქა-
რთული მარნის ერთ-ერთ ძველ აღწერასთან
გვაქვს საქმე, რაც მეცნიერული თვალსაზრისით
მეტად საინტერესოა.

საერთოდ, ჩვენი ახრით, უმჯობესი იქნებო-
და ავტორის ისტორიული წყაროების, სამეცნიე-
რო ლიტერატურის, ეთნოგრაფიული და ფოლ-
კლორული მასალის გვერდით ფართოდ დავთმო
ადგილი მხატვრული ლიტერატურის მონაცე-
მებისათვისაც, ამით წიგნი უფრო მოვიგებდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს წიგნის მაღალი პო-
ლიგრაფიული დონე და მხატვრული გაფორმე-
ბა. მხატვარი ეკავ ორბელაძე ძნელი ამოცანის
წინაშე იღვბა, მას ეთნოგრაფიული რეალობა
და ფსუალობა ზელოვნების დონემდე უნდა
აემღლებინა. ვინც კი ნახავს მის ილუსტრა-
ციებს, უსათუოდ დამეთანხმება, რომ მხატ-
ვარმა ეს წარმატებით შეძლო.



ნანა გუნსაძე

პოპულარიზაციის გზად მწიგნობრის წინააღმდეგ ანტირელიგიური პოეზია

უცნაური ბედი ზედა ხოლმე წილად ზოგერთ მწერალს: შემოქმედის გარდაცვალების შემდეგ ათეული წელიც კი არ გაივლის და მისი პაროფანია ლეგენდად იქცევა. ცხოვრება კი მათად.

ასეთი ბედი ზედა წილად ფრანგ პოეტს ე. ა. რემპოს, მის ცხოვრებას და შემოქმედებას, ოღონდ ამ განსხვავებით, რომ იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა (1886-87 წ.წ.). პარიზში „L'Inconnu“-ში რემპოს ლექსების და პოეტური შრომის შედეგების „ილუმინაციების“ გამოქვეყნებას შემდეგ კრიტიკოსი ლ. ბურლი აფრიკის კონტინენტზე მოხეტიალე უიღბლო კომერსანტ ა. რემპოს წერდა: „პარიზში თქვენ გახდით რაღაც ლეგენდარული პაროფანების მსგავსი“. ცხოვრების ბოლო წლებში ლეგენდამ იგი ხან ღორებით მოვაკტრე გახადა, ხანაც ხანგების მეფე. პოეტი, რომლის შესახებაც სიცოცხლეშივე ამდენი ლეგენდა შეიქმნა და რომელიც თავის ნაწარმოებებში ბუნდოვანებით მისაგდა საკუთარ „წარმოშობას და ის შორეულ სკანდინავიაში გადაჰქონდა“, პოეტი, რომელიც თავისი შესაძლებლობებით თავს ღმერთს უტოლებდა, გარდაიცვალა საშინელ ტანჯვაში, რევმატიული წარმოშობის კანსერული სიმსივნით, ფეხის ამპუტაციის რამდენიმე თვის შემდეგ.

ასე უბრალოდ დასრულდა რემპოს ცხოვრების ლეგენდა... მაგრამ დასრულდა კი?

მისი გარდაცვალების შემდეგ მითმა ფრთები შეისხა. 1892 წელს წერდნენ, რომ „რემპო ლეგენდარულ გმირად იქცა“, 1897-1900 წლებში კი მის სახელს „აეტიომატურად დაუკავშირეს — ლეგენდარული“. მისი სახელი ხან იესო ქრისტესთან იქნა დაკავშირებული და გაიფიქვებელი, ხან სატანასთან თუ ლუციფერთან, პოეტური შემოქმედებით კი მრავალი, სრულიად კონტრასტული წამოწმების დაწყებად და მკ-

მამოვარად აღიარეს. ამგვარად, რემპოს ცხოვრების მითს დაემატა მოაზროვნის და შემოქმედის მითი: ასე გაიწინა რემპო-კათოლიკე, რემპო-მისტიკოსი, რემპო-სიურრეალისტი, რემპო-ნათელმზალევი, რემპო-რევოლუციონერი, რემპო-სიმბოლისტი და ა. შ.

რემპოს ცხოვრების ირგვლივ არსებული უამრავი ლეგენდის გამო მისი ბიოგრაფიულა ფაქტების კომპეტენტური გამოყენება მკაცრ კონტროლს მოითხოვს და უფრო სწორად სიმბოლისიდან დასვლეული არ არის ყველაზე ავტორიტეტულ და კეთილსინდისიერ მკვლევარებშიც კი. ამიტომ, ეფექტობით, უმჯობესი იქნება რემპოს ნამდვილი სახის ამოცნობა და მისი ნაწარმოებების აზრის ასწავლა მისივე პოეზიაში და ეპისტოლარულ მეგვიდროებაში ექვემდებარება, ბიოგრაფიული მომენტები კი მხოლოდ მაშინ მოვიხილოთ, როცა აუცილებლობა მოითხოვს და მათი კომპარატივა ნაკლებ ეჭვს იწვევს.

რემპოს ეპისტოლარული შემოქმედება, მისი „ნათელმზალევის წერილები“ გვაცნობენ ავტორის პოეტურ შეხედულებებს, მის პოეტურ მრწამსს, ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ მათი განხილვა და შეძლებისდაგვარად გარკვეული აზრობრივი კავშირის მოქმედება ამ მონაწილეებსა და რემპოს პოეტურ მეგვიდროებას შორის.

„ნათელმზალევის“ წერილების პირველი ნაწილის გაცნობისას არ შეიძლება არ შეგინდოთ ავტორის ერთი შეხედვით თითქოს პარადოქსული აზრები, გამოთქმული პოეტური მეგვიდროების შესახებ. როდესაც პოეტი თამამად, ზეღადებით უარყოფს მისთვის სრულიად უფერულ და უავტორიტეტო შემოქმედულ და მკაცრად აცხადებს: წარსულში ბრძოლებს პაროფანათათვის ყალბი შეფასება რომ არ მიეჩინებინათ, ახლა გასაგველი არ გვექნებოდა მილიონობით ჩონჩხი, რომელთაც განსაზღვრული ღირსის განმავლობაში უხვად დაუბრუნეს თავიანთი შესუდუღული გო-

ნების პროლექტი და გაკუროდნენ, ავტორები ვართო.

ეს მოსაზრება არცთუ ისე უჩვეულოდ და უმართებულოდ გვეჩვენება. ლიტერატურის ისტორიას ახსოვს მსგავსი მაგალითები გაბერილი ავტორიტეტებისა, რომლებიც არ იმსახურებდნენ იმ დიდებას, მათ სახელთან რომ იყო დაკავშირებული; ამიტომ პოეტის რისხვა და ამბოხი, რომელიც ამ გაბერილ ავტორიტეტებისადმი არის მიმართული, უსაფუძვლო არ უნდა იყოს. მავრამ რით უნდა ავსინათ პოეტის მიერ ისეთი ხელშეუხებელი ავტორიტეტების უარყოფა, როგორცაა რასინი ან თუნდაც მიუსე? უნდა შევხსენოთ, რომ ნათელმხილველის წერილები დაიწერა იმ პერიოდში, როდესაც პოეტის ამბოხი მიმართული იყო ყველასა და ყველაფერისადმი და ტოტალურ ხასიათს ატარებდა; ვფიქრობთ, ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას მის მიერ რასინის შემოქმედების უგულვებელყოფაც, რაც სრულიად არ გამორიცხავს იმას, რომ მან რასინის ფასი არ იცის. რაც შეხება მიუსეს, აქ უკვე სხვა შემთხვევასთან უნდა გვერიდეს საქმე. რემპოს მიერ მიუსეს შემოქმედების უარყოფის მიზეზი დაკავშირებული უნდა იყოს იმ პერიოდში მიუსეს გარკვეულ ლიტერატურულ მეტრად აღიარებასა და მის წარმოდგენილ ფართო გავლენასთან მასინდელ თითქმის ყველა დამწყებ პოეტზე. ამიტომ რემპოს აღშფოთება შეეხება არა იმდენად მიუსეს შემოქმედებას, რამდენადაც ფართო გავლენას, რომელსაც პირველ ხანებში ვერც თვითონ აცდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს პოეტის შემდეგი სიტყვები: „საფრანგეთში ყველა მედღუნეს შეუძლია: როლას ჩამოღერღვა, ყველა სემინარისტი საიდუმლოდ ინახავს უბის წიგნაკში „როლას“ სტრიქონს, თხუთმეტი წლის ასაკში ვნებათაღელვა მისკენ უბიძგებს ახალგაზრდებს, თექვსმეტი წლის ასაკში კი ყველა სემინარისტი, ვისაც კი შეუძლია, ჰქმნის თავის „როლას“, წერს თავის როლას“¹.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის აღშფოთება გამოწვეულია არა მარტო მიუსეს პოპულარობით, არამედ მისი შემოქმედების ზოგიერთი ნიშნითაც, რადგან მისი აზრით, მიუსესმ ვერ შეძლო „სახურველას მიღმა“ დამალული ეპოქისთვის დანახვა. „ილუმინაციების“ ავტორისათვის ასევე მიუღებელია ზოგიერთი რომანტიკოსისა და პარნასელის ღრმად „სუბიექტური“, „უგვიმოვო“ და „ცუდი“ პოეზია. რას ნიშნავს რემპოსათვის „ღრმად სუბიექტური“, „უგვიმოვო“ და „ცუდი“ პოეზია? უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც პოეტი მიუსეს უსაყვედურებს, ვერ შეძლო „სახურველის მიღმა“ დამალული ეპოქისთვის დანახვა, ამით შედეგულბაში აქვს მიუსეს, და საერთოდ, რომანტიკოსთა შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი წყლა — პოეზიის საკუთარი ეპიპოზების გა-

მოსახატავად გამოყენება და ამიტომაც, რემპოს აზრით, რომანტიკოსთა და მათ შორის მიუსეს „სუბიექტური სულმოკლეობით“ დაწერილ ლექსებში არ იგრძნობა საგანთა და მოცენათა ბოლომდე წვდომის და შეუცნობისაკენ შეუნელებელი ლტოლვის სურვილი, ამიტომაც მას რომანტიკოსთა სევდა არ მიაჩნია ნამდვილ სევდად და მათი სიხარული, ნამდვილ სიხარულად. სევდა, რომელიც მიუსესთან და ასევე სხვა რომანტიკოსებთან ერთგვარი სულიერი არისტოკრატისების ელემენტია, რემპოსთან აზროვნების სფეროში გადატანილი, თვით ცხოვრების ფილოსოფიაა და, იმდენად, ღრმად ფესვებგაგამულია, მას რომანტიკოსთა მსგავსად არ შეუძლია სევდა ბუნების წიაღში გააქარვოს და ამით შევება იგრძნოს. თავის ერთ-ერთ ცნობილ ლექსში «Ce qu'on dit aux poètes à propos des fleurs» პოეტი აკრიტიკებს არა მარტო რომანტიკოსთა, არამედ პარნასელთა პოეზიასაც, რადგან პარნასელთა პოეზიაც ასევე „სუბიექტური“, „ცუდი“ პოეზიად მიაჩნია. განსაკუთრებით დასცინის ის ისეთ ლექსებს, სადაც ავტორები უმღერაინ იმ ეგზოტიკურ ცხოველებს და მცენარეებს, რომლის შესახებაც არაფერი იცან.

პოეტის დანაშაულება, რემპოს აზრით, ის კი არ არის, რომ უმღეროს ნაირ-ნაირ მშვენიერ ყვავილებს, ზამბახს თუ ვარდს; თანამედროვე პოეტი უნდა მიიღებდეს შეუცნობისკენ და ეპიბედეს და პოევებდეს სხვებისათვის უხილავსა და ზღაპრულს, წარმოდგენულ ყვავილებს. „ყვავილებს — სკამებს“, ან თითქმის „ქვადქვეულ ყვავილებს“. როგორც ვხედავთ, პოეტი აქაც საგანთა ბოლომდე წვდომის მოთხოვნას უყვენებს „ნამდვილ“, „ნათელმხილველ პოეტებს“.

რემპო, რასაკვირველია, აკრიტიკებს რომანტიკოსების ზოგიერთ წარმომადგენელს, მათ უკიდურესობებს, როცა პოეტი ვერ ახერხებს, სუბიექტური განცდების საზღვრებს გაეცდეს. ე. ი. როცა პოეტისათვის სუბიექტური განცდა მასალა კი არაა შემოქმედებითი ანალიზისათვის, არამედ შემოქმედების მიზანია, და ამდენად, პოეტი საკუთარ ემოციებსა ჰყავს დამონებული და, რასაკვირველია, დაბრმავებულიც.

„ილუმინაციების“ ავტორისათვის პოეზია გაბორობა და თამაში არ იყო. პოეზიას იგი სერიალულ მოვალეობას აკისრებდა; პოეტი წინ უნდა ვაძლიოდა ხალხს, ადამიანის ცხოვრების და არსებობის ურთულესი პრობლემები უნდა წამოეჭრა მკითხველთა წინაშე. რემპოს მიერ პოეზიის არსის განმარტებაში ამკარად ეხედავთ ა. ვინის შემდეგი სიტყვების გამოძახილს: „...უსაზღვროებისაკენ ამ სწრაფ და ხანგრძლივ

ნანა ზუნცაძე

კომპოზირი ტრადიციების წინააღმდეგ

აღმოჩენილი პოეტი

სელაში პოეტისათვის ხალხის ვაძლოა დიდებ-
ბას ნიშნავს...²...

აქვე უნდა შევინწინოთ, რომ ა. ვინმა რო-
მანტიკოსთა შორის ერთ-ერთმა პირველთაგანმა
შემლო თავი დაედო „სუბიექტური განცდებ-
ბის“ ტყვეობისაგან და პოეზიის ენით უნი-
ვერსალურ ფენომენები გამოეხატა.

„იგივე გონება არასოდეს არის ისე თავისუ-
ფალი, როგორც მაშინ, როცა ჩემს შიგნით შექ-
მნილ ნაწარმოებს არავითარი კავშირი არა აქვს
ჩემს ახლანდელ მდგომარეობასთან. ყოველთვის
ისე შემიძლია აწმყოსი და ჩემი ცხოვრების რე-
ალობის, რომ ხელოვნების საშუალებით არა-
ოდეს გამოიხატავს სეველიანი თუ მხიარული
ემოციები, იმ დროსაც კი, როდესაც ამას გან-
ვიციდიდა“³, წერს ვინი და, მარალაც, როგორც
მისი ზემოაღნიშნული მოსაზრებები, ისე „სიმ-
ბოლური დრამების“ გამომატველი „მითო-
ლოგიური პოეზია“, საქმოდ ახლოს დგას
„ილუმინაციების“ ავტორის პოეზიასთან... რემ-
ბო ასევე პატივისცემით ევიდება იმ დიდ რო-
მანტიკოსებს (ე. ჰიუგო, ა. დე ლამარტინს და
სხვ.), რომლებმაც ლიტერატურაში ბევრი სი-
ახლე შემოიტანეს. ეს იმას აღსატყობებს, რომ
რემბო პოეტურ ტრადიციებს ღრმად აფასებს.
სწორედ ტრადიციისადმი ერთგულება კარნა-
ხობს მას მკაცრად გამოიწიოს კემპარტა და ნამ-
დვილი, არანამდვილი და მოიხევენებითი, ინტე-
რესს იწვევს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა პო-
ეტი (რაც მის თაობის მწერალთა, ხელოვნთა
ბიოგრაფიაში საქმოდ იშვიათი მოვლენაა) არ
ცდება თანამედროვე პოეტთა შეფასებაში და
ნათელმხილველ (ე. ი. კემპარტი) პოეტთა შო-
რის ასახელებს ე. ჰიუგოს, ლ. დე ლილს, თ. გო-
ტიეს, პ. ვერლენს და ბოლოს „მოსანათა მე-
ფეს“, „ნამდვილ ღმერთს“ შ. ბოდლერს.

„ნათელმხილველის“ წერილებში რემბო ავა-
ლიბებს თეზისებს პოეტის დანიშნულებაზე:
„მე მსურს ვიყო პოეტი და ესრომოდ, რომ გაე-
ხდ ნათელმხილველი“. უნდა აღინიშნოს, რომ
პოეტის სახელის ნათელმხილველის ცნებასთან
დაკავშირების პარიორიტეტი „ილუმინაციების“
ავტორს არ ეკუთვნის, ეს მან მეკმეკდრობით
მიიღო სწორედ იმ რომანტიკოსი პოეტისა-
გან, რომლებიც მისთვის ხელშეუხებ ავტორი-
ტეტს წარმოადგენდნენ: (პ. ს. ბლანში, ლე-
კონტი დე ლილი, ე. ჰიუგო, შ. ბოდლერი). ამ
ავტორებმა ნათელმხილველის ცნება უშუალოდ
დაუთქამირეს პოეტის სახელს და, რაც მთა-
ვარია, მათ შემოქმედებაში განსაკუთრებით მკა-
ფიოდ ჩანს, ე. წ. ნათელმხილველის ანუ ვიზონი-
რული ხედვის საშუალებით მიღებული კემპარ-
ტი პოეტური სახეები.

პოეტის დანიშნულების ჩამოყალიბებისას
რემბოს მიანიჭა, რომ პირველი სახეობა, რომ-
ელიც უნდა გაიაროს ადამიანმა, რომელსაც
პოეტად ვახდომს სურს, სრული თვითშემეცნე-

ბაა. მან უნდა მოეძებნოს თავისი სული, შეიც-
ნოს და განავითაროს იგი. სულის განვითარე-
ბაში ის ვალისხმობს არა მის ბუნებრივ გან-
ვითარებას, არამედ „გაურჩხელებას, კომპრა-
ნიკოსთა მსგავსად. დიხს! წარმოიდგინეთ ადა-
მიანი, რომელიც სახეზე ინერგავს და ინეითა-
რებს მექუქებს“⁴. როგორც აღენიშნეთ, რემბოს
პოეტის თირთად პირობად მიანიჭა, რომ იგი
იქცეს ნათელმხილველად. მაგრამ „ილუმინა-
ციების“ ავტორი მარტო მშარალი განცხადებით
არ ეკაყოფილებდა. იგი ავალიბებს სულის გან-
ვითარებას იმ სახეებურებს, რომლის დაძლეუაც
საკურთა პოეტის ნათელმხილველად გადაქცევი-
სათვის. სულის განვითარების, მისი „გაურჩხე-
ლების“ საფეხურებად საშუალებად მას მიანიჭა
„ყოველგვარი გრძობების ხანგრძლივი და სისა-
ტემატური აღვირახსნა“. სიყვარულის, ტანჯვის,
სიგივის ფორმებისაგან საწამლავის მიღება და
მისგან კვინტესენციის შენარჩუნება. რემბომ
იცის, რომ ეს უდიდესი წამებაა, რომ პოეტს
ამისათვის ესაჭიროება უდიდესი რწმენა, ზეა-
დამიანური ძალა, „რის გამოც ის სდება მრ-
ავალთა შორის უმამიესი ავადმყოფი, დიდი
წყაული და უდიდესი მეცნიერი“.

ჩვენს ინტერესს იწვევს არა პოეტის სახე-
ლის ნათელმხილველობის ცნებასთან დაკავში-
რების მოთხოვნა (ასეთი მოთხოვნა რემბომდე,
როგორც აღენიშნეთ, სხეებსაც გამოუყენებია)
არამედ გზა, რომელსაც რემბო ირჩევს ამ ე. წ.
ვიზონიერობის მისაღწევად.

როდესაც ვკითხულობთ პ. ს. ბლანშის შემ-
დეგ სტრიქონებს: „შენ ნახებ ნათელმხილველ-
თა მთელ სკოლას, ... რადგან საბურთეებს უჯან-
გარეგნული სახეების ხილვა, წარსულში იქნება
ეს თუ მომავალში, არის ნიჭი, რომელიც ადა-
მიანმა ვითარდება ისე, როგორც ეველა სხვა
უნარი, თუკი ამ ნიჭით ხარ დაჯილდოებული“,
არ შეიძლება არ გავაკვირვოს ნათელმხილვე-
ლად ქცევის ამ განსაზღვრების სიახლოვემ რემ-
ბოს აზრებთან; ვანა თავის ცნობალ წერილებ-
ში პოეტი იგივე მოთხოვნებს არ აყენებს, ეს
ნიჭი (ნათელმხილველად) ბლანშის აზრითაც ხომ
სწავლით, აღზრდით, ანუ იგივე შრომით ვი-
თარდება. ისევე როგორც ბლანშის, „ნათელ-
მხილველის“ წერილების ავტორსაც ვიზონი-
რად ქცევის აუცილებელ პირობად მიანიჭა ის,
რომ ნიჭით იყო დაჯილდოებული ე. ი. „პოე-
ტად დაბადებული“ (რემბო). ამრიგად, რო-
გორც ვხედავთ, რემბოს აზრები პოეტის ვი-
ზონიერად ქცევის შესახებ საქმოდ უახლოვე-
დება ბლანშის შეხედულებებს აღნიშნულ სა-
კითხზე. მაგრამ იქ, სადაც იწვევა მსჯელობა
იმის თაობაზე თუ რა მეთოდი უნდა იქნას გა-
მოყენებული ნათელმხილველად ქცევისათვის
ე. ი. შრომის რა სახეებიანა საჭირო ვიზონიერო-
ბის მისაღწევად, რემბო და ბლანში სრულიად
განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. „ნა-
თელმხილველის“ წერილების ავტორის მოსაზ-

რება — „ყველა გრძობების აღვირახსნა“, სრულიად არ ეთანხმება ბლანშის მოთხოვნას: „იმისათვის, რომ დაინახო, უნდა გქონდეს წრფელი გული“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც „ყველა გრძობების აღვირახსნაზე“ ლაპარაკობს, რემზოს ამით სურს საკუთარი თავის მრავალ ასპექტში გამოქვავება და თვით-შეგუენების საშუალებათა გაზრდა, სწორედ ამას ემუდხებოდა ის სულის არაბუნებრივ განვითარებაში, მის გაურჩხულებებაში. რემზოს ამ განცხადებამდე რამოდენიმე წლით ადრე გამოქვეყნდა შ. ბოლდერის მიერ თარგმნილი ცნობილი ინგლისელი ელენისტიკის კენსის „Confessions of opium eater“, სადაც ავტორი აღიარებს ოპიუმით გატაცებას⁴. „ო, სამართლიანო, ფაქიზო და ყოელისშემძლე ოპიუმო!.. შენ გამოგაქვს შხის შექუე აქამდე დამარტული სიღამაზის სახეები, ახლობელი და ნეტარი სახეები, საფლავის ზიანისაგან განწმენდილი, შენ აძლევ ადამიანს ამ სიგანძურს და შენ ხარ სამოთხის გასაღების მფლობელი ო, სამართლიანო, ფაქიზო და ყოელის შემძლე ოპიუმო!“; წერს კენსი და იქვე დასძენს, რომ ასეთმა თავბრუდახვევამ ხელი შეუწყო მრავალრიცხოვანი და საინტერესო ნაწარმოებების შექმნაში. კენსის შემდეგ, რემზომდე ათეული წლით ადრე „ნამდვილი ნათელმხილველი პოეტი“ თ. გოტიე ირწმუნებოდა, თითქოს ნარკოტიკები აღაგზნებენ გონებას და უჩვეულო ზმანებებს იწვევენ. პოეტი ვარკვეულ პერიოდში სისტემატურად იღებდა ნარკოტიკებს, ხან აბების სახით, ხან თამბაქოსთან ერთად და ამბობდა, რომ ამ აბების საშუალებით წარმოუდგენლად სწრაფად დაწერა საქმოდ დიდი მოცულობის მხატვრული ნაწარმოები. შ. ბოლდერმა კი გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნაშრომი ჰაშიშის შესახებ, სათაურით „ხელოვნური სამოთხე, ოპიუმი ჰაშიში“, სადაც დაწერილებით აღწერს ამ ნარკოტიკული ნივთიერებების თვისებებს, მათი მიღებით გამოწვეულ პალუტინაციურ მდგომარეობას, სამი თუ ოთხი ადამიანის გამოცდილების საფუძველზე. ამ ნაშრომში „შესანიშნავად განსაზღვრავს ჰაშიშით გამოწვეული პალუტინაციების ხასიათს, რომელიც არაფერს ქმნის, მაგრამ უციდურესობამდე ანვითარებს ინდივიდის განსაკუთრებულ განწყობას“⁵.

ბოლდერს რამდენჯერმე პირადადაც განუცდია ამ ნარკოტიკული ნივთიერების მოქმედება, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინვე უტყავდო, როგორც აზროვნებისათვის მეტად მავნებელი რამ, რაც აშკარად მქვადებდა მის სიტყვებში: „ის, ვინც აზროვნებისათვის საწამლავს მოიხვედლებს, მალე ამ საწამლავის გარეშე აზროვნებას ვერ შეძლებს, წარმოიდგინეთ სასმელი ჰედი იმ ადამიანისა, რომლის პარალიზებული წარმოსახვა ოპიუმისა და ჰაშიშის გარეშე კედარ აზროვნებს“ (გვ. 104).

ამგვალად, როგორც ზემოთ მოყვანილი ატრი-

ქონებიდან ჩანს, „როდესაც ყოველგვარ წამლაკვლად კვინტესენციის მიღებაზე“ და „ყველა გრძობების აღვირახსნაზე“ ჰქონდა მსჯელობა, „ნათელმხილველის“ წერილების ავტორს არტურ რემზოს ამ მხრივ უახლოეს წინამორბედად ჰყავდა ფრანგულ პოეზიაში მისთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტები: „ნამდვილი ნათელმხილველი პოეტი“ თ. გოტიე და „პოეტების მეფე“, „ნამდვილი ღმერთი“ შ. ბოლდერის.

როგორც აღენიშნეთ, არტურ რემზო ნათელმხილველად ქცევის აუცილებლობასთან და მისი მეთოდის ჩამოყალიბებასთან ერთად სავსე მეორე ძირითად საკითხს, რაც მღვთმარობის მეცნიერების მიღწევაში შემოქმედების ობიექტად ქცევის მოთხოვნაში და, რაც მთავარია შემოქმედებითი პროცესის დროს მეცნიერული მეთოდის გამოყენებაში — ე. ი. პოეტი არა მარტო შთაგონების ხარჯზე უნდა ქმნიდეს, არამედ დაკვირვების, ანალიზის და შესწავლის შედეგად. რაკ პოეტი არის უმძიმესი ავადმყოფი, დიდი ტანჯული, მაგრამ ამავე დროს დიდი მეცნიერი, მან უნდა გამოიყენოს მეცნიერების, განსაკუთრებით კი ჭადონური ფიზიკის და ქიმიის უახლესი მონაპოვარი, რათა დაგვანახოს უცხო ყვავილები და ელემენტონის ბუბლები, წერს იგი თავის ცნობილ ლექსში „Ce qu'on dit aux poètes à propos des fleurs“⁷. სადაც აშკარად არის ხაზგასმული პოეზიაში ტექნიკური პროზის შემოტანის მოთხოვნა. აქვე მოითხოვს, რომ პოეტი იყოს კომერსანტი, არენდატორი, ე. ი. პოეტი პროფესიულად უნდა იცნობდეს ყველა ფაქტს და მოვლენას, რათა ბოლომდე ჩაწვდეს საგანს და, რაც მთავარია, უნდა იყოს მედიუმი, ე. ი. ასეულის იმ სიმაღლეზე, საიდანაც შეძლებს ყველა ფაქტისა და მოვლენის გაერთიანებას. რემზოს მიერ პოეტის მედღუმად გამოცხადების სურვილს უშუალოდ უკავშირდება მისი ცნობილი აფორიზმი „მე არის სხვა“. აქ რემზო, ჩვენის აზრით, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სამყარო არის მასში და რომ მისი „მე“ არის სწორედ უნივერსალური „მე“, „მე“ მედიუმი, უმაღლესი საფეხურზე მდგარი „მე“. საიდანაც იგი, როგორც „სხვა“, აკვირდება მასში არსებულ სუბიექტურ მოვლენებს, რომელიც ობიექტურად არსებობს და საიდანაც იგი, როგორც მედიუმი, აერთიანებს ყველა ფაქტს და მოვლენას. რემზოს ეს აფორიზმი ორგანულად არის დაკავშირებული მის პოეტურ შემოქმედებასთან, მის მიერ რომანტიკოსთა სუბიექტური პოეზიის უარყოფასთან და ე. წ. ობიექტური პოეზიის დაინებულ მოთხოვნასთან, რადგან ობიექტური პოეზია რემზოსათვის სხვა არაფერია თუ არა

ნანა გუგუნიძე
„რეპორტი ბრადვიციების წინააღმდეგ ანტიკომუნალიზმის კომიტეტი“

ზოგჯერ სუბიექტური განცდის (მოშენის) ყველა აღმანიანათვის საერთო განცდად (რომენტი) დანახვა და მისი გაუნივერსალუბა.

„მე არის სხვა“, — წერს ა. რემბო და ამით კიდევ ერთხელ უჩენს საზრუნავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურულ მკვლევარებს. „მე არის სხვა“, წერს რემბო და როლან დე რენევი სრული პასუხისმგებლობით უკავშირებს ამ ფრაზას: „Bhagavad Gita“-ში კრიშნას შემდეგ სიტყვებს: „მე ვარ სული, რომელიც ყველა არსების სხეულშია“. ამგვარად, როლან დე რენევის აზრით, ამ ფრაზის კონტექსტი შემდეგში მდგომარეობს: როცა არსებას პკონია, რომ მოძრაობს და ფიქრობს, სინამდვილეში ეს უნივერსალური ცნობიერება მოძრაობს და ფიქრობს მისი სმუალებით: „მე არის სხვა“, ამ სიტყვებში ქან მარი კარე ზედავს ამკარა ოპოზიციას ბეჭით, მკარამ მკუსკენარ მოსწავლე რემბოსა და რემბო-პოეტის შორის; ბ. რონშესათვის „მე არის სხვა“, ნიშნავს იმას, რომ „მე არის განსაზღვრული პოეტის აზროვნებაში“. (რემბოს მითი, გვ. 321).⁸

როლან დე რენევი, ქანუ, მელერა და ამ ცნობილი აფორიზმის თეოლოგიით ახსნის სხვა მსურველებიც, როგორც ვებლაუთ, ამ „სხვაში“ გულისხმობენ „უნივერსალურ ცნობიერებას“ ანუ ღმერთს, იესო ქრისტეს. ე. ო. „მე არის სხვა“ ე. ო. „მე არის ღმერთი, იესო ქრისტე“. და მართლაც იტალიელი კრიტიკოსის მადამ დე ლუზატოსათვის „მე არის სხვა ეს არის“ („Cristo in me di S. Paolo“).⁹ (გვ. 322). ამგვარად, როგორც სამართლიანად შენიშნავს რ. ეტიამბლი, თითქმის ყველა, „ეინც „ნათელმხილველის“ წერილების შესახებ წერს, ორ ნაწილად ყოფს მის მიწიერ ცხოვრებას, მის ამ ორ სახეს შორის, მათი აზრით, არაერთი კავშირი არ არსებობს. „მე არის სხვა“ მათ გაცეხული აქვს ისე, თითქოს არსებობს ორი რემბო: ერთი მიწიერი, ჩვეულებრივი აღმანი, არა პოეტი, ხოლო მეორე — პოეტი-ღმერთი.

„გამოღის, რომ ოცი წლის ასაკში, რემბოს თავში ვიღაც სხვამ მოიკალათა და ძველი რემბო განდევნა. ის უკვე ის აღარ იყო“. (რემბოს მითი, გვ. 323).¹⁰

რ. ეტიამბლს თავის ნაშრომში „რემბოს მითი“ მოჰყავს ამ ცნობილი გამოთქმის („მე არის სხვა“) სხვადასხვაგვარი ახსნის გამოყვეული კუთხოვლი დასკვნის მკალოთები: ერთ-ერთი ინგლისელი კრიტიკოსი შენიშნავდა, რომ ეს ლეგენდარული რემბო ორი კი არა, სამი ყოფილა: მამა, რომელიც თვით მასში იყო. 2. დედა, რომელიც მასში იყო და რომელიც თვითონ ის იყო და ბოლოს თავად პოეტი, რომელმაც ჩაკლა პირველი და მეორეც. ლეგენდამ მალე სამი რემბო ოთხად აქცია. 1949 წლის 3 ნოემბერს დაიღვა პიესა რემბოს ცხოვრების შესახებ, სადაც ოთხი მსახიობი ანახიერებდა რემბოს სულის ოთხ განსხვავებულ ასპექტს (რემბოს მითი, გვ. 328).¹¹

აღნიშნულ ნაშრომში რ. ეტიამბლი რემბოს ამ აფორიზმის თეოსოფურ, ძალზე საინტერესო განმარტებას ვეთავაზობს. მას მიანიჩა, რომ აღნიშნულ აფორიზმს პოეტი ნათლად განმარტავს შემდეგი სტრქოვნებით: „ის, რომ ბრინჯაო ცოცხლდება საყვირში, რა მისი ბრალო, მე ვესწრები ჩემი აზროვნების გაშლას: მე მას ვუყურებ, ვუსმენ, ჩამოცვრავ სიმს: სიმფონია მოძრაობას იწყებს სიღრმეში, ან ერთი ნახტომით ჩნდება სცენაზე“¹² (გვ. 345). „რა არის აქ გაუგებარი, ორზროვანი“? წერს რ. ეტიამბლი. ეტიამბლისათვის არაფერი არ უშეძლება იყოს უფრო უტხო, ვიდრე აზრი, რომელიც მის ცნობიერებაში ჩნდება. რ. ეტიამბლის ეს მოსაზრება ძალზე საინტერესოა და ზემოაღნიშნულ განმარტებებთან შედარებით შესაძლოა კუშპირიტებასთან ახლო მდგომარეობა, რადგან, თუ პოეტი აცხადებს, რომ „მე არის სხვა“, ამ შემთხვევაში შესაძლოა მართლაც გვიხსნიდეს, როგორ ესწრება პოეტი თავის „აზროვნების გაშლას“, ე. ო. გვიხსნის შემოქმედებით პროცესში როგორ იბადება იდეები და აზრობი, რომლებიც სრულიად ახალი და უცხოა მისთვის და ამ შემთხვევაში პოეტის „მე“, სახელობრ, ამ აზრების მტარებელი, ისეთივე გარეშე და სხვა ხდება რემბოსათვის, როგორც სრულიად უცხო ავტორი. ამ აზროვნების პროცესის შედეგად კი იქმნება „სიმფონია“ (მხატვრული ნაწარმოები), რომელიც „ერთი ნახტომით ჩნდება სცენაზე“, (გადმოღის ქალაღზე).

შეუცნობისაკენ მსწრაფი პოეტისათვის სიჩუმი თვით პოეზია... მხოლოდ სიჩუმა დაიღი (ა. დე ვინ). „მე განმეაბე სიჩუმებს, ღამეებს“, წერს რემბო „ილუმინაციებში“. ამით ხაზს უსვამს შემეცნების პროცესში ე. წ. მეტყველო სიჩუმის აუცილებლობას, სიჩუმისას, რომელიც მას აუცილებლად ესაჭიროება ყოფიერებასთან ყალიბ კავშირის დასაძლევად და სამყაროსთან ნამდვილი, შინაგანი კავშირის ძიებისათვის. ამის გამოა, რომ ის შემოქმედებისათვის განსაკუთრებულ პირობებს იქმნიდა: „ერთ წელზე მეტია, რაც ჩვეულებრივ ცხოვრებას აღარ ვეწევი, თქვენ იცით ამის მიზეზი... არდენში ჩაკეტილი არაისთან დადივარ, არც არავის ვნახულობ და ამ საძაგელ, სულელურ, ჭოტ, იღუმალ სამეშაოში თავჩარგული, მხოლოდ დემილით ვასახუობ იმ შენიშვნებს და უტყუ, ბოროტ მიმართვებს, რომლის ღირსადაც მთლიან ჩემი ექსტრალეგალური პოზიციის გამოა“.¹³

ასეთია გზა, რომელსაც პოეტი ირჩევს ეთხიონერობის მისაღწევად. რაში მდგომარეობს ამ უღიდესი შრომის და ტანჯვის ფასად შეუცნობის ნაზიარები პოეტის დანიშნულება? პოეტი მის მიანიჩა ცუცხლის ვამტაცებულ პრომეოქოსად, რომელმაც შეუც-

ნობიდან უნდა მოიტანოს ის ნაბერძნული, რაც სხვა უბრალო მოკვადვისათვის შეუმჩნეველია, დანახოს ხალხს დაუნახავი და მოასმენინოს ვაუჯონარი. რემზო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვიზიონერი პოეტი ვალდებულია ემსახუროს პროგრესს, ცაცობრიობას, რადგან პოეტი არის მოქალაქე. ხელოვნებას გააჩნია თავისი ფუნქციები და იგი ძველი ბერძნული პოეზიის მსგავსად მოქმედებდა და მიმოკათა ვასართმად კი არ უნდა არსებობდეს, არამედ წინ მიუძღოდეს ცხოვრებას, სინამდვილეს. შესაძლებელია, ერთი შეხედვით, რემზოს ასეთი მოქალაქეობრივი პათოსი საკუთარ სულიერ სამყაროში ჩანთქმული პოეტისათვის, არც თუ ისე ორგანულად მოგვეჩვენოს, მაგრამ მის ნამდვილად ქაინდა ასეთი მოქალაქეობრივი პათოსი, რასაც ადასტურებს თუნდაც მისი დამოკიდებულება პარიზის კომუნის მღვლეარ დღეებთან. „შე ვიქნები მშრომელი, ეს იდეა მაჩერებს მაშინ, როცა ვახელებული მრისხანება პარიზის ბძოლის ვე-ლისაკენ მიმბიჭებს, — იქ, სადაც ახლა, როდესაც თქვენ გწერთ, ამდენი მშრომელი იხო-ეება“. ამასვე ადასტურებს ახალგაზრდა პოე-ტის მღვლარებით აღსავსე ლექსები, რომელიც მან პარიზის კომუნას მიუძღვნა.

„სულის რევოლუციამ ფორმის რევოლუცია გამოიწვია“, ამდენი ტანჯვა-წამების ფასად მი-ღებული ახალი, განსხვავებული პოეზია გამო-ხატვის ახალ ფორმებს მოითხოვს. ეს უჩვე-ული, აქამდე ვაუჯონარი და უნახავი ვიზიონე-ბი პოეტმა არა მარტო თვითონ უნდა ვაიგო-ნოს და დაინახოს, არამედ სხვასაც დანახოს და მოასმენინოს. ამიტომ ის არ შეიძლება და-კ-მაყოფილდეს აქამდე არსებული მოქმედებული პოეტური ფორმებით: სიღრმით და შინაარსით ახალ პოეზიას ახალი პოეტური ფორმა ესაჭი-როება, „უნდა ვიპოვოთ ადვილი და ფორმუ-ლის წერის ის „ილუმინაციები“. მაგრამ რემზო მარტო ფორმის სიახლით არ კმაყოფილდება და ახალი პოეტური ენას შექმნის აუცილებლობის საკითხს სვამს: „პოეტმა უნდა იპოვოს ენა“, ამბობს იგი და იქვე განვიმარტავს, რომ ეს ენა უნდა იყოს უნივერსალური, რაც „გაეარ-თიანებს ყველაფერს: სურნელებას, ბგერას, ფერს“. ამგვარად, ის აყალიბებს თეზას ბგერათა, ფერთა და სურნელებათა ურთიერთშესაბამისო-ბის შესახებ, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება და მოითხოვს მოკემული შესაბამისობის სადუ-ველზე ახალ, კომპლექსურ შეგარმებათა პოე-ზიის შექმნას. ამის ერთგვარ ექსპერიმენტირე-ბას წარმოადგენს მისი „ხმოვნების“ სონეტი.

საყურადღებოა, რომ პოეტი არ კმაყოფილ-დება პოეტური ფორმების და საერით დემ პოეტური ძიებების სიახლით, რომელიც, მისი აზრით, ბუნებრივად უნდა მოჰყვეს იმ ახალ პოეზიას, რომელსაც „ევიზიონებით შეპკრობი-ლი ახალგაზრდა თაობა“ შექმნის. „სუენცნობის ინვენციები ახალ ფორმებს ითხოვენ და სკი-

როა ამ ფორმების დაქინებული ჰიება“, კატეგო-რიულად მოითხოვს პოეტი, რომელიც, როგორც ვხედავთ, მომავლისთვისაც ითვისისწინებს პო-ეტური ფორმებისა და ენის ევოლუციის აუცი-ლებლობას.

რემზოს ზემოთ აღნიშნული პოეტური შეხე-დულებების გაცნობისას, ცხადია, ნათელი ხდე-ბა, რომ მისი ამბოხი პოეტური ტრადიციების წინააღმდეგ იყო ნამდვილი ამბოხი, სერიოზუ-ლი მიზნით, პოეტის დიდი მისიით გამოწვეუ-ლი და ამიტომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე მიღერი ვავლენით გამოწვეული და ზე-დაპირული. ეს იყო ორგანული მომენტი პოე-ტისა, რომლის ტოტალური ამბოხი მიმართული იყო არსებული საზოგადოების წინააღმდეგ, სა-დაც მას ყველაფერი ფორმალურად ეჩვენებო-და. მისთვის ზომ არსებული წესრიგი ფორმა-ლური წესრიგი იყო, არსებული მორალი — ფორმალური მორალი, არსებული სიყვარული — ფორმალური სიყვარული. ამიტომ იყო, რომ ასე ხაზგასმით აცხადებდა: სიყვარული ხელახ-და უნდა გამოვიგონოთო.

ამიტომ იყო, რომ რემზოს შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, დაკარგული რწმე-ნის ძიება, გამოწვეული იყო იმითაც, რომ მის-თვის მიუღებელია ქრისტეს იდეალიზაციაც კი, რაკი ის ფორმალურ ხასიოს ატარებს. სწო-რედ ამ მომენტთან იყო დაკავშირებული რემ-ზოსთან ხელოვნების რელიგიად გამოცხადების სურვილი, რამაც მარცხი ვანიცადა და, შესაძ-ლია, რისთვისაც რემზომ 20 წლის ასაკში ფარ-ხმალი დაჰყარა და პოეზიას ჩამოშორდა.

ამიტომ, რომანტიკოსთა შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი უკმაყოფილება თუ ბუნებრივად უფრო დეკორატიულ ხასიოს ატარება და ნამდვილ ამბოხად თითქმის არასოდეს მისულა; მაშინ, როცა პოეტისათვის შექმნილია მამინდელმა პირობებმა“ ხელი შე-უწყო „ბორტების ყვავილების“ მიერ წამო-წყებული ამბოხის გაფართოებას, რაც ასევე ფართო მასშტაბით ვანაგრძო „ილუმინაციების“ ავტორმა და რაც ძირითადად გამოწვეული იყო არსებულ საზოგადოებაში ადამიანის დამამე-რებელი ყოფისადმი შეურაცხლობით.

უნდა აღინიშნოს, რომ „ბორტების ყვავი-ლების“ ავტორი ა. დე ვინის შემდეგ ერთ-ერთი პირველთაგანია მათ შორის, ვინც აჭანა-და ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პოეტის და-მამკირებელი ყოფის წინააღმდეგ: „პოეტმა სა-ხელმწიფოს რომ თხოვოს უფლება, საჭრინბო-ში რამოდენიმე ბურჟუა იყოლოს, ძალიან გა-უყვარდება; მაშინ, როცა ბურჟუა იმე მოით-ხოვა შემწვარი პოეტი, სრულად ბუნებრივი მოიჩვენებათ“. — მწარე ირონიით წერს პოეტი

ნანა გუნცაძე

კომპლქანი ტრაპიციების წინააღმდეგ
ამბოხებული კომები

და როგორც თავისი რბული და უცნაური ცხოვრების მიმე წლებში, ისე შემოქმედებაში, პოეტის ამ დაწვევლილ, შეჩვენებულ ყოფაზე უარს აცხადებს.

ასეთივე მწარე ირონიითა და „სასოწარევეთლი ცინიზმითაა“ აღსავსე ამ შემთხვევაში ბოლღერის პირდაპირი მემკვიდრის ა. რემბოს სიტყვები: „მე ვტოვებ ვეროპას, ზღვის ჰერი ფილტვებს გამხებრებს, დამღუპველი კლიმატი მომქანცავს, ვივტურაებ, ბალახს ვავთელავ, ვინადირებ, თამბაქოს მოეწვე! ვახურებულ ლითონივით მავარ სასმელებს დავლეე, როგორც ჩემი წინაპრები ავეთებდნენ ხოლმე ცეცხლის პირას.

დაბრუნდები ვაკაებულო, გარუჯულო, გააფორებული თვალით; მექნება ოქროს უსაქმური და უხეში ვიქნები, ქალები თავს ველეზბიან ცხელი ქვეყნიდან დაბრუნებულ ასეთ ველურ ხეობრებს. პოლიტიკაში მივადებ მონაწილეობას. ვადავრჩები, ახლა კი წყველი ვარ, ამრიგად, „ბოროტების ყვაილებს“ ავტორი

იწვევა „დაწვევლილ“ პოეტთა ზღეადა, ივსება და იზრდება პოეტების დიდი რავი: „ეს არის სამარცხენო სერია „დაწვევლილი პოეტებისა. სამარცხენო იმ საზოგადოებისათვის, რომელმაც დაუშვა მათი შეჩვენება“.

ასეთი ღრმა სოციალური საფუძველი პქონდა ბურჟუაზიული საზოგადოების პიერ დაწვევლილი პოეტის, ა. რემბოს ამბოხს იმ საზოგადოების წინააღმდეგ, რომლის წევრადაც ის იძულებული იყო თავი ელიარებინა: ზოლო წყენა, რომელიც მას საზოგადოებაში არსებულმა და მისთვის მიუღებულმა „სამართალმა და წესრიგმა“ განადგვიანა, ისევე, როგორც პოეტის მიერ განცდილი სხვა სუბიექტური მომენტები, მასთან იქცა ერთგვარი სულიერი ვალიზიანების აქტად, რაც საფუძვლად დაედო რემბოს ტოტალურ ამბოხს და რამაც შეაძლებინა მას „ნათელმზილველის“ წერალებში მის მიერ უარყოფილი „სუბიექტური, უგემოვნო“ ლექსების ნაცვლად ჰეშმარიტი პოეტური ქმნილებების შექმნა.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი :

- ¹ A. Rimband - Oeuvres, 1960, p. 349.
- ² G. Slancier - De Shéhier à Bandelaire p. 118.
- ³ იქვე, გვ. 119.
- ⁴ A. Rimband - Oeuvres, p. 346.
- ⁵ Ch. Bandelaire - Les Freurs du mal p. 61.
- ⁶ იქვე, გვ. 69.

- ⁷ იქვე, გვ. 104.
- ⁸ R. Etienne - Le mythe de Rimband, p. 321.
- ⁹ იქვე, გვ. 322.
- ¹⁰ იქვე, გვ. 323.
- ¹¹ R. Etienne - Le mythe de Rimband, p. 326.
- ¹² A. Rimband - Oeuvres, p. 345.
- ¹³ A. Rimband - Oeuvres, p. 350.



პირამ მეგრეელი

ტყვეთა სვილის საქითხისათვის ღასკელთ
საქართველოში

1555 წელს ამასიაში დადებული ზავის მიხედვით თურქეთმა და ირანმა ბელის ანაბარად მრტოვებული საქართველო შუა გაიყვეს. „სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენსა; იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა ხონთქარსა“ (ფარსადან გორგიჯანიძე). ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს „მფარველად“ ირანი გამოდიოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს ინტერესებს თურქეთი „დაიცავდა“. მეთექვსმეტე საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული საქართველოს შენისლულ ცაზე შავი ღრუბლები ჩამოწვა. ზავის პირობები მზარეებს (ე. ი. თურქეთსა და ირანს) ავალბდა, მტკიცედ ვანეხორციელებინათ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების ერთიანი პოლიტიკა. მართლაც, მაჰმადიანურა სახელმწიფოები — თურქეთი და ირანი საქართველოში რეპტიულად განწყობილ სათავადო — სამთავროებზე დაყრდნობით საუკუნეების მანძილზე ძიძგნიდნენ საქართველოს გულს. სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ფეოდალური საზოგადოების გარყვეულა ნაწილის გადაგვარება და გაზრწა. მკარამ საქართველოსათვის მათივე ყველაზე მძიმე მოვლენა იყო ტყვეთა სყიდვა და ლეიანობა, რომელმაც ისედაც დაბეჩავებული, შინაური და გარეშე მტრებისაგან განადგურებული საქართველოს გლეხობა, კიდევ უფრო გააჩინა და დაასუსტა.

მაღემა კითხვა, როდის ჩაისხა ისტორიულად ტყვის სყიდვა?
აკადემიკოს ნ. ბერქენაშვილის აზრით, ტყვის სყიდვას საფუძველი ჩაეყარა სამხედრო დემოკრატის! გარდამავალ პერიოდში.

ე. ი. პირველყოფილი თემური წყობილების ნგრევისა და ახალი, მონათმფლობელური, კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების გარიტრაზე. „ისტორიულად ტყვის სყიდვა ჯერ კიდევ სამხედრო დემოკრატის ხანაში უნდა ჩასახულიყო“.

მონათმფლობელური წყობილების დროს მონატყვე არსებობდა განსხვავებულა შუა საუკუნეებისა და განსაკუთრებით, გვიანფეოდალური ხანის ტყვისაგან. მონათმფლობელური წყობილებისაგან განსხვავებით, სადაც მონათითქმის უფლებო იყო, ფეოდალიზმში, ამ შემთხვევაში — ყმა-ტყვე, ნახევრადთავისუფალ აღამიანად აქცია.

ისმის კითხვა, რომელი საუკუნიდან დაიწყო ტყვეთა გაყიდვა დასავლეთ საქართველოში? ქართული წერილობითი წყაროების, აგრეთვე ევროპულ და რუს მოგზაურთა ჩანაწერების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობა მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, ხოლო ტყვეთა გაყიდვამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც თურქეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი დასავლეთ საქართველოში (ეს პერიოდი მოიცავს XVII-XVIII საუკუნეებს) ... და იცლებოდა მოსახლეობისაგან საქართველო, მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი, სოხუმი, ანაკლია, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ახალციხე, აღჯაყალა, ქარი და სხვა. რამდენი ხალხის მიერ დაწყველილი პუნქტი იყო, სიდანაც უწყვეტ ნაკადად საუკუნეთა მანძილზე უცხოეთს მიედინებოდა ძალით თუ ნებით სამშობლოს მოწყვეტილი მისი შვილები“.

გეროპელი მოვზაურები და მისიონერები (ლაშბერტი, ცაბა, შარდენი, გულდენშტედტი, რაინევი, კლარტი, ვამბა, დიუბუა დე მინ-პერი, კ. რომელი და სხვ.) სამეგრელოსა და გურიის მთავრების მიერ ტყვეთა სყიდვის სამარცხნიო სურათებს გვიხატავენ.

მეტად საინტერესოა გერმანელი მოვზაურის კ. რომელის⁴ ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ. უცხოელი მოვზაური გელის-ტაიელით წერს იმერულ თავადზე: „იგი იტყებ ადმიანს, რათა გაყიდოს ის“.⁵ „ისინი (იგულისხმება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები გ. მ.) იძლევიან მონებს, რომელიც ონსტანტინოპოლსა და ეგვიპტეს სჭირდება“.⁶ „ყაჩაღი მთიელებმა (დაღესტნელი ლეიბი გ. მ.) საქართველო ისე გააპარტახეს, როგორც ადგილობრივმა თავადებმა“.⁷ კ. რომელი გადმოგვცემს, რომ იმერეთში, იმერლებს შორის ცხოვრობენ ებრაელები, სომხები და თურქები, ხოლო იმერთა მეფე თურქული ფულით სარგებლობს.

გეროპელი მოვზაური საყურადღებო ცნობას გვაწვდის რაქის საერისთავოზე. ქვეყნის (ე. ი. იმერეთის გ. მ.) ჩრდილოეთით მდებარეობს რაქა, მთავარი ოლქი, რომელსაც სუთა აბას ბრძოლისუნარიანი კაცის გამოყვანა შეუძლია, შემდეგ იგი აგვიწერს გურულების ყოფა-ცხოვრებას, დასავლეთ საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო ურთიერთობას. კერძოდ, გურულების შესახებ წერს: „გურულები ფახისის ქვემოთ და შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები პატარა ტომია, რომელიც თითქმის მთლიანად თურქთა ბატონობის ქვეშაა. თურქთა ბატონობას იმდენად ჩამოუქვეითებია ეს მხარე, რომ მეფეებზეა და ნაოსნობა სულმთლად მოშლილა“.⁸

„დასავლეთ საქართველოში მშვიდობიან დროსაც ჩნდება მონები. ბატონი თავის მსახურს აყიდის, მამა საკუთარ შვილს, მამა ღვიძლ დას“.⁹ ტყვეთა სყიდვის საშინელი სენი შავი ჭირით მოედო დასავლეთ საქართველოს. ზოგიერთი გახლებული თავადი თუ აზნაური არ ინდობდა არც ღიღასა და არც პატარას, მამაკაც თუ ღელაკაცს. შეუბრალებლად აყიდნენ ტყვეებს, როგორც პირუტყვებს. მთავრები მარტივ ყმა გლეხების გაყიდვით როდი კმაყოფილდებოდნენ, ყოველგვარ გრძნობას მოკლებულნი ქრისტეს მსახურ მღვდლებსაც პარსავდნენ წვერს და მაჰმადის რჯულზე ნათლავდნენ. მე-17 საუკუნის გეროპელი მისიონერი ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში“ მოგვითხრობს შემდეგს: „ოდისის ერთ უმთავრესს თავადს ჰილაქეს ათი თუ თორმეტი კაცი დასჭირდა, რათა ვადაეხადა ზოგიერთი საქონლის ანუ ნივთის ფასი, რომლის ვიდევაც უნდოდა. ეს რომ მისმა ყმებმა ვაიგვეს აქეთ-იქით გაქცეული თავს უშველეს და მიიმალ-

ნენ, ხოლო ჰილაქემ გაქცეულებს ხელდასავლედ სერხს მიმართა: გამოაცხადა, ამა და ამ ღელასწაულში, ერთ ჩემს ეკლესიაში დი-შვის დღეებით წირვას შევასრულებინებ მღვდელს და ვინც კი დაესწრება, მშვენიერ სადილს ვაუღმართავ და თან დავაანაჟურებო. დანიშნულ დღეს ეკლესიაში მოვიდა თორმეტი მღვდელი და შეუდგნენ წირვას. ჰილაქემ წირვის შემდეგ, ნაცვლად დასანურტრებისა და სადილის მირთმევისა, ეკლესიის კარები დააკეტინა, მღვდლებს ბორკილები გაუყარა, წვერები დააპარსენინა და თორმეტივე მღვდელი მისცა თათრებს, გასამრჯელოდ შიილო ათასი სკუდის (ფულის ერთეული გ. მ.) დიბრებულ-შის საქონელი“.¹⁰

კაცხის მონასტრის შეწირულების წიგნში (1742-43 წწ) ყმა-გლეხების სყიდვის საშინელი ცნობებია დატული: „ბატონმა ზურამ აბაშიძემ ბეჟანა კაპანაძეს შეილი, რძალი და ორი შვილიშვილი გაუყიდა“. იქვე: „მას უკან კიდევ აყარს შოშიტი, მისი შვილი, რძალი, შვილიშვილი და დაყიდეს“.¹¹ ყურადღებას იმეორებს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ იოანე ბერისა და გურიელის საუბრის ერთი აღვლი. ბერი იოანე მიმართავს გურიელს: „თასი ცხენი რომ გყავდეს, ერთ კვიცს ვერ გაიმეტებდი გასავალით, სამაგეროდ: „ოქუნის ყმის შვილებს კი დაჰყიდით და ბევრნი ვაგათათრ-დებიან თქუენის მიზეზით. იფიქრეთ, აწ, რომელითა უმჯობეს იქნება ვაჭრობა“.¹²

ზოგიერთი ქართველი მეფე (მხედველობაში გვხვს ვახტანგ VI, ერეკლე მეორე) აშკარად გრძნობდა, თუ რა უბედურება მოჰქონდა საქართველოსათვის მშრომელი ყმა-გლეხების გაუთავებელ აყრას მამაპაპული კერიდან და ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე აელაგმათ თავგასული თავადები, მაგრამ ეს მხოლოდ კეთილი სურვილი იყო და სხვა არაფერი. მაგალითად, ერეკლე მეორემ ბუკრი იღონა ტყვეთა სყიდვის აკრძალვისათვის, საბოლოოდ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში საკუთარი ხაზინიდან ოთხსი ათასი მანეთი დახარჯა ქართველ ტყვეების გამოსასყიდად, მაგრამ გამოსასწრაფი ტყვეების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ენერგიული მეფის ეს ცდა ნაწილობრივ ჰკურნავდა მხოლოდ ტყვეთა სყიდვით დასწრებულ ფეოდალურ საქართველოს სხეულს.

გერმანელი მოვზაური რაინევის¹³ ვადმოგვცემს, რომ ერეკლემ თურქეთთან ხელშეკრულებაც კი დასდო, რათა სულთანს უარი ეთქვა ქართველი ტყვეების შესყიდვებზე (ოფიციალური ხელშეკრულების რაინევისსურული ცნობა, ტყვეთა სყიდვის აკრძალვაზე, ერეკლე მეორესა და თურქეთის სულთანს შორის, სავაჭროდ გამოიყურება). იგივე რაინევისის ცნო-

ბით, ვერკლე მეორეს ყოველთვის როლა შეს-
წევდა ძალა გათავებდებულ თავადებ დაე-
მორიხებინა...

გარდა ვეროველი მოგზაურებისა, დასავლეთ
საქართველოში ტყვეთა სყიდვის საკითხზე სა-
ინტერესო ცნობებს გვაწვდიან რუსეთის სამე-
ფოს კარის სასულიერო და საერო პირები (ნი-
კიტორე ტოლოჩანოვი, იველიევი, თედოტე ელ-
ნინი, ა. სოკოლოვი და სხვ.) აქედან ცალკე
გვინდა გამოვყოთ ა. ე. სოკოლოვი.¹⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოწინავე ფე-
ოდალები, ეკლესიის მსახურნი, აგრეთვე ვე-
რობელი კათოლიკე მისიონერები, ყოველნაი-
რად ცდილობდნენ თუ მთლიანად არა, წაწი-
ლობრივ მაინც შეემიერებინათ ტყვეებით
ვაჭრობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა
მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ,
1605-15 წლებში, დევით გარეჯის ნათლის-
მცემლის უდაბნოთაგან გურიის სამთავროში
გაგზავნილი ქრისტეს მოციქული ბესარიონი,
მაშა გურიელთან ტყვეთა გაყიდვის აღკვეთის
თაობაზე. „... ესე პირი და წიგნი მოგვიცა:
ჩვენ: ვურიელთან: ბატრონმან: მაშა შენ: გა-
რეჯისა ნათლისმცემლისა: უდაბნოთაგან: ბრძა-
ნებითა: ღმრთისათა. მისაქციულად ჩვენსოვის:
წარმოგზავნილსა: მაშასა ჩვენსა ბესარიონს!
საფიკარი გამოვართოთ, რომ ჩემსა საბატონოს
კაცმა ტყუე ვეღარ გასყიდოს.“¹⁵

1639 წელს საქართველოში ეღბად მყოფ
თელიორე ელნინი წერს:

«Ясиль продают (სტალი დატულია) и
царь и власти и всякие поместные люди,
кто где испомешан и продают все в Но-
сурманскую веру»¹⁶.

თემიურაზ პირველი თავის მიმართებაში რუსე-
თის მეფისადმი აღნიშნავს, რომ სამეგრელოს
დადიანი ყოველწლიურად 10-15, ხოლო გუ-
რიის მთავარი 10-12 ათასამდე ყმაწვილს სყი-
დის ტყვედო. (ჩვენის აზრით, ეს ცნობა ვაზვი-
ლებული ჩანს...).

ვერობელი მოგზაურები (ლამბერტი, შარ-
ლენი) წერენ, რომ ოდნობიდან ორი ათასამდე,
ხოლო საქართველოდან შავი ზღვის გზით,
ოთხი ათასამდე სული ტყვე გაჰყავთ გასასყი-
დათო. მთავრები ცოცხალ ადამიანს ყიდდნენ
უბრალო საქმელში გასაცვლელად. მაშა გუ-
რიელის სალიცარში — გურიამ ტყვეთა სყიდ-
ვის აღკვეთის შესახებ, ამჟამად აცხადებს მთა-
ვარი: „ჩემსა საბატონოს კაცმა ტყუე ვეღარ
გასყიდოს და ჩვენცა ესე აღთქმა დაგვიც დღეს
ამს იქეთ ჩვენთვის საქონლად და სასარგებ-
ლოდ, რომ მოხმარებოლეს და ან სასმელ-საქ-
მელს და ჩვენ ტყუე აღარ გავსყიდოთ.“¹⁷ ტყვე-
ებით ვაჭრობას თან ერთვოდა იმერეთის სამე-
ფოში შემავალი სამთავროების მიერ ყოველ-
წლიურად თურქეთისთვის ხარკის სახით გარ-
კვეული საზღაურის ვალება, ცოცხალი ადამი-

ანების სახით. შარლენის ცნობით, საეკლესიო
იმერეთი თურქეთს წელიწადში 10-12 წლის
ასაკის ოთხმოც ქალ-ეჭვს აძლევდა, გურია კი
46 სულს. ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით
დასავლეთ საქართველო ეკონომიურად ძალზე
ღარიბ კუთხეს წარმოადგენდა. თურქეთის მომ-
ძალავების გამო იმერეთის სამეფოს შინაგანი
სტრუქტურა ღრმა კრიზისს განიცდიდა.

იმერეთის ობ მთავარ ციხეში (ქუთაისი,
ბაღდადი, შორაპანი, ცუცხვათი) თურქი მე-
ციხოვნეები იღვნენ და ხშირად სამეფოს მარ-
თვა-გამგეობაში იმერეთის მეფის დაუკითხ-
ვად ვეროდნენ. ხანგრძლივმა, გაუთავებელმა
ომებმა ისე გამოთვითა იმერეთის სამეფო, რომ
უცხოეთის ბაზარზე თავღისა, აბრეშუმისა და
კოტაოდენი იაფფასიანი დაუმუშავებელი მა-
სლის გარდა არაფერი გაჩნდა გასატანად,
გარდა გასაყიდი ტყვე ადამიანისა. ამდენად,
ტყვეებით ვაჭრობა ერთადერთი გამოსავალი
იყო საქართველო კრიზისის თავიდან ასაქი-
ვლებლად. სამწუხაროდ, ეს იყო ვახრწინა
ფეოდალური კლასის უგუნური პოლიტიკა. იმე-
რეთის სამეფოს ზოგერთი ვადაგვარებული
ფეოდალი, ეკლესიის მსახური, ზოგჯერ თვით
მეფედ (სოლომონ პირველის გარდა) მიწის-
მოქმედ გლეხს მამაბაბისეულ ნაფუძარიდან
იტაცებდა და უცხოეთში ყილდა, იანიარათა
წეთხელებული რაზმების შესესებლად. ეს იყო
არა მარტო ქართველი გლეხის პიროვნულ
უზედურება, არამედ იგი წარმოადგენდა დასა-
რდო საქართველოში ფეოდალური ურთიერ-
ობის რღვევის ნიშანსაც. იმერეთის სამეფოს
პროგრესული ფეოდალური დასი არასოდეს
შერიგებია ასეთ ხელყოფას და საქართველოს
ისტორიის მთელ სივრცეზე ეკლესიასთან ერთად
იბრძოდა ტყვის სყიდვის აკრძალვის წინააღმ-
დეგ. სადალ მოაზროვნე ფეოდალთა ეს ბრძო-
ლა, ცხადია, პირველ რიგში ფეოდალური ურ-
თიერთობის შენარჩუნებისაყენ იყო მიმართუ-
ლი, ხოლო ვახრწინი, ეროვნულ გრძნობას
მოკლებულ თავადთა მისწრაფება — რაც შე-
იძლება მეტი ტყვე მიეყიდათ მამაადიანური
ქვეყნებისათვის, ქართველი ხალხის ფიზიკურ
არსებობას რეალურ საფრთხეს უქმნიდა...

საქართველოს გეიანფეოდალური ურთიერ-
ობის ისტორია ნათლად აღსატურებს ქვეყნის
პოლიტიკური ცხოვრების მწარე სინამდვილეს.
ხშირად დასავლეთ საქართველოს სამეფოს
წარმატება თუ წარუმატებლობა დიდად იყო
დამოკიდებული გურიისა და სამეგრელოს მთა-
ვრების, აგრეთვე ადგილობრივი ერისთავების
(როსტომ რაჭის ერისთავი, არგვეთის მტლბა-
ლი ლევან აბაშიძე და სხვ.) მოქმედებაზე. სო-

გურამ მხტარაშვილი
ტყვეთა სწიშვის საპრობლემის
დასაცვლით საქართველოში

ლომონ პირველმა კარგად აუღო ალღო იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებას და სამეფო ტახტზე ასეღისთანავე დაუნდობელი ბრძოლა გამოიქცადა განდგომილ თავადებს და ტყვეებით ვაჭრობას. ახალგაზრდა, ენერგიული მეფე კარგად ხელადგა, მხოლოდ ამ გზით (ტყვეთა სყიდვის აკრძალვა, იმერეთის ციხეებიდან თურქების განდევნა, სამეფოს გარიდებულ თავადების დამორჩილება ან შემორიგება) შეიძლებოდა დაცემული სამეფოს ფეხზე წამოყენება.

სოლომონ პირველმა შემოირიგა სამეგრელოსა და გურიის მთავრები — ოტია დადიანი და მამია გურიელი, გზიდან ჩამოიცილა განდგომილ თავადები — როსტომ რაჭის ერისთავი და არგვეთის მფლობელი ლევან აბაშიძე (სოლომონ მეფის ნათესავი ღედის მხრიდან გ. მ.). მეფისა და მთავრების შერიგება ახალციხის ფაშას არ გამოჰპარვია. იგი კარგად ხელადგა, რომ სულ მალე ამ კეჰისას ახალი დარტყმა — ტყვეთა სყიდვის შემცირება ან აკრძალვა მოჰყვებოდა. განაწყენებულმა ფაშამ გამოიწვევად შეუთვალა სოლომონს: „ტყვეს თუ არ გაყიდ, არ იქნება“. ამის საპასუხად შორსმშვერტელმა მეფემ გადაწყვიტა, საეკლესიო კრების მოწვევა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ტყვეთა სყიდვის აკრძალვის საკითხიც იქნებოდა განხილული. ახალციხის ფაშამ თურქეთის სულთანს აცნობა იმერეთის მეფის „თავხედობა“ და მისი დასჯა მოითხოვა. 1757 წლის დეკემბერში თურქეთის ლაშქარი ზეჟარის გზით იმერეთს მოადგა. როსტომ ერისთავმა და ლევან აბაშიძემ დრო იხელთეს და თავიანთი ჯარებით მტრის ბანაკში გადავიდნენ. სამეგრელოსა და გურიის მთავრები — ოტია დადიანი და მამია გურიელი, სოლომონს მიემხრნენ. ახალგაზრდა მეფე არ შეუშინდა მოულოდნელად კარზე მომდგარ მტრის და გაიქცევის ფაშს საჭირო გამპრიახობა გამოიჩინა. მან აღვილი შეიტყუა თავის ძლიერებას მინდობილი მტერი ოკრების ხეობაში, ზენისილის ველზე, მოულოდნელად თავს დაესხა და სასტიკად გაანადგურა. თურქთა ჯარის დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე გაწყდა, ბევრი ტყვემ ჩაიღდეს, თეთი ახალციხის ფაშაც; ამ ბრძოლაში დაიღუპა მეფის ნათესავი, მოღალატე ლევან აბაშიძე. როსტომ რაჭის ერისთავმა ამჯერად გაქცევით უშველა თავს...

სოლომონ პირველმა არგვეთის სათავადო საბოლოოდ დაიმორჩილა, ლევან აბაშიძის მამულებით სამეფო საკუთრებად გამოაცხადა. დანარჩენი აბაშიძეები ფიცით შემოირიგა. ხრესილის ბრძოლის შემდეგ იმერეთის მეფის ავტორიტეტი შესამჩნევად გაიზარდა. ჰკვიანმა მეფემ კარგად ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და სამეფოს ხელისუფლების გაძლიერების მიზნით ახალი ნაბიჯი გადადგა. 1759 წლის დეკემ-

ბრის შუა რიცხვებში დასავლეთ საქართველოს საერო და საეკლესიო პირთა კრება მოიწვია. საეკლესიო კრებამ განიხილა და დაამტკიცა სპეციალური გუჯარი, რომლის ძალითაც პირველად საქართველოს ისტორიაში (საერო და საეკლესიო კრების დადგინების საფუძველზე, უფრო ადრე, ქართლის ჯანიშინმა ვახტანგ VI-მაც მიიღო კანონი ტყვეთა სყიდვის აკრძალვის შესახებ, მაგრამ ცხოვრებაში ამ კანონმა სრული ძალით განხორციელება ვერ მოუვალა.) ერთხელ და სამუდამოდ იკრძალვოდა ტყვეთა სყიდვა. ეს იყო პროგრესული მოვლენა, რამაც სიცოცხლე შეუნარჩუნა სიკედილის პირად მისულ იმერეთის სამეფოს. მართალია, სოლომონის სიკედილის შემდეგ დასავლეთ საქართველოში აქა-იქ კვლავ ეწეოდნენ ტყვეებით ვაჭრობას, მაგრამ ეს იყო ცალკეული ფარული შემთხვევები, გუჯარში ვკითხულობთ: „ეს მტკიცე წიგნი... მოგართვით... ჩვენს მღვდელმთავარს კათალიკოსს ბესარიონს (როსტომ რაჭის ერისთავის ძმა გ. მ.) ჰყონდიელის გაბრიელის, გენათელის იოსების (სოლომონ პირველის უფროსი ძმა გ. მ.) შემოქმედლის ნიკოლოზის, ცაგარელის გრიგოლის, მთავარეპისკოპოსების: იოსების, ნიკორწმინდელის, გერმანე მიტროპოლიტის, დანიელის ნინოწმინდელის, ბედიელის, მაქსიმეს და ყოველთა იმერთა. ოღონდათა გურიელთა... მეფე სოლომონ მე დადიანმა კაციაჲ“. მე გურიელმა მამიამ ბატონიშვილმა გიორგიმ, ბატონიშვილმა თეიმურაზ, ერისთავმა როსტომი, დადიანის ძემ მანუჩარ, ნიკოლოზ, გიორგიმ, გურიელისძემ გიორგიმ, წულუკიძემ, ერთობით წერილთა... ერისთავი მაკულტაძე, ნაკაშიძე და მალაშვილებმა... ესე წიგნი მოგართვით ასე, რომ აღამის ტომსა არც პირველს სწენია და არც შემდეგ ისმინება“. „ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნება... სანამდის სული გვიღვას, ეს საქმე ჩვენგან არ იქმნეს, არც ამაში ერთმანეთს უსუსტოთ. კიდევ სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმსრულებელი ვიქნეთ... ერთმანეთს არ ვუმტყუნოთ და ამ საქმეზე ჩვენი თავი არ დავიშუროთ... და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩვენგან იქმნეს“. გუჯარის ტექსტი უფრო ვრცელია, ჩვენ მხოლოდ ნაწყვეტი წარმოვადგინეთ. გუჯარი შეუდგენია არქიმანდრიტ სილიბისტროს. „...მე არქიმანდრიტ სილიბისტროს დაიწერია, ყოველთა დამტკიცების მუშაკი კათალიკოზი ბესარიონ და მისი კრებული ერთობით“³⁰.

ასეთი მოკლედ დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვის სურათი. მწენლა საყურანალი სტატიაში ყველა იმ ზღვა მასალის წარმოჩენა, რაც ტყვეთა სყიდვასთანა დაკავშირებული. ჩვენ მხოლოდ ზოგად ფონზე წარმოვადგინეთ ფეოდალური დასავლეთ საქართველოს ტყვეებით ვაჭრობის ზოგიერთი საკითხი.

შენიშვნები:

1. ტერმინი „სამხედრო დემოკრატია“, პირველად ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიღო ცნობილმა ამერიკელმა ეთნოგრაფმა, არქეოლოგმა და საზოგადო მოღვაწემ ლუის ჰენრი მორგანმა (1818-81). მარქსმა და ენგელსმა მორგანის ამ მეცნიერულ კლასიფიკაციას უდიდესი შეფასება მისცეს და მიიჩნიეს უნივერსალურ-ისტორიულ მოვლენად...
- 2 ნ. ბერტენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“. ტ. 1, თბ., 1964; 244.
- 3 ნ. ბერტენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 243.
- 4 კ. რომელი, K. Rommel. «Die Völker des Kaukasus». Weimar, 1808. «კავკასიის ხალხები», ვიამარი, 1808. (თარგმანი ნ. გიოშვილი-სა).
- 5 იქვე...
- 6 იქვე . . .
- 7 იქვე . . .
- 8 იქვე . . .
- 9 იქვე . . .
- 10 ა. ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, თბ. 1938; გვ. 53.
- 11 ს. კავაბაძე, საისტორიო კრებული, წიგ. III, თბ. 1928; გვ. 58.
- 12 ს. კავაბაძე, საისტორიო კრებული, წიგ. IV, გვ. 56.
- 13 Allgemeine hist.-topogr. Beschreibung des Kaukasus, SPD, 1796.
- 14 სოკოლოვი ალექსანდრე ეგორის ძე (1780-1819) მსახურობდა პრეობრაჟენსკის პოლკში. 1796 წელს გადავიდა რუსეთთან იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში. 1798-99 წლებში მონაწილეობდა სუფოროვის ცნობილ იტალიურ ლაშქრობაში. 1802 წელს რუსეთის მეფის დავალებით გაიგზავნა ციხეში გამომწვევადეული ქართველი უფლისწულის კონსტანტინეს გასათავისუფლებლად. 1816 წელს სოკოლოვი დაინიშნა ირანში რუსეთის დიპლომატიური მისიის მრჩეველად. ირანში ყოფნის დროს თან ჰქონდა ჟურნალი — დღიური, სადაც იწერდა თერანოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. ჟურნალი მეფის ბრძანებით შესანახად გადაეცა სახელმწიფო არქივს. ა.

- სოკოლოვმა განსაკუთრებული სიზუსტით აღწერა თავისი პირველი მოგზაურობა კავკასიაში. ეს აღწერილობა დაიბეჭდა:
- Чтения Московского общества истории и др. рес. 1873 წელს, სათაურით: «Путешествие мое в Имеретию с линии кавказской, мое там пребывание, с ним сношение и обратное оттуда путешествие в Грузию».
- მეფის მოხელის მოგზაურობაში მოცემულია კავკასიის ხალხების მეტად ძვირფასი აღწერილობა. კერძოდ, დასველეთ საქართველოს შესახებ (ისტორიულ-ტოპოგრაფიულ, ტყვეთა სყიდვის, სტატისტიკური და სხვა ხასიათის ცნობები). ა. სოკოლოვმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.
- 15 კავაბაძე, „საისტორიო მოამბე“, წიგ. 1, ტბ., 1925; 183.
 - 16 Белокуров С. Материалы для русской истории Моск., 1888; 337.
 - 17 ს. კავაბაძე, „საისტორიო მოამბე“, წიგ. 1, ტბ. 1925; 186.
 - 18 გუჯარში მოხსენიებული კაცია ოტია დადიანის შვილი. გუჯარი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1759 წელს მიიღეს. ოტია დადიანი გარდაიცვალა 1758 წელს. „დადიანი ოტია მიიცივალა: დადამეზაც ამ წელს იყო“. ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ მინაწერი: 1758-სა წელსა დაბნელდა მზე.
 - 19 საყურადღებოა, გუჯარის შედგენის დროს როსტომ რაჭის ერისთავის მონაწილეობის საკითხი. როგორც ცნობილია, ხრესილის ბრძოლის დროს როსტომ ერისთავმა სოლომონს უღალატა და იმ დღიდან მათ შორის სამუდამო მტრობა ჩამოვარდა. მაგრამ მომდევნო ორ წელს ეკლესიის ჩარევით (შემორიგების საკითხში განსაკუთრებით აქტიურობდა სოლომონის უფროსი ძმა იოსებ გენათელი) სოლომონმა გარეგნულად „აპატიო“ ერისთავს დაღატი და ფიცით შემოიმტკიცა. ეს დაზავება, როგორც ჩანს, 1759 წლის პირველ ნახვარში უნდა მომხდარიყო, ამდენად როსტომ რაჭის ერისთავის მოხსენიება გუჯარში ბუნებრივად მიგვაჩნია...
 - 20 Акты, собранные Кавк. археогр. комиссиею, т. 1; 1866 г.



თამარ გომოჭუჩი

ჩემი დღიურიდან

ფოლკლორული ექსპედიცია ფშავ-ხევსურეთში გამგზავრებას აპირებდა. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დერეფანში ველოდი ჭვუფს, რომელსაც პროფ. მიხეილ ჩიქოვანი ხელმძღვანელობდა.

— იმ თიანელ ხევსურ ქალს დაუძახეთ, — მომესმა აქაღემიკოს გიორგი ლეონიძის ბოხი სმა. დაძახებას არ დაველოდე, რიდით მიეუხსნო.

— ხევსურო, შენ ვირის ხეობას აუყვები, ვაჟაზე კარგ მოგონებებს ჩაიწერ და ჩამომიტან. აბა, შენ იცი!

ვაჟაზე მოგონებების ჩაწერა ერთიდან დავიწყე, სადაც პოეტი საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა.

— სოფელ ღულულებს პირველი მკვიდრნი ღულიდან ჩამოსახლებული ხევსურებია, ამიტომ სოფელსაც ხევსურეთის იმ სოფლის სახელი შემორჩენია, — მითხრა ძია ვანომ, მერე სამეხნა სკამი ვანზე გასწია, ბუხარში ანთებულ მუგუზალს თვალი დააშტერა და დაიწყო:

მართალია, ვაჟა-ფშაველა თიანეთის მაზრაში, სოფელ ჩარდახში დაიბადა და აღიზარდა, მაგრამ მას მშობლიურად მიანდა ამ მთების ყველა უბანი, განსაკუთრებით — ამტნის ხევი. ძველად ჩვენი სოფელი ღულულები იწოდებოდა ამტნის ხევადაც, — მიაბობოდა მამანეში. აქ სკოლა არ ყოფილა. სოფლის თავზე, მდინარე ამტნის ხევის ნაპირზე, იდგა ომა ქისტაურის ფიცრული. სოფლის თავაკეები შეთანხმდნენ, ამ ფიცრულში დროებით უნდა ყოფილიყო სკოლა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა გადაწყვეტილება, რომ ხალხის ფულით ამტნის ხევაში უნდა აშენებულიყო სკოლისათვის შენობა. აკრიფეს ფული, მაგრამ სკოლის ასაგები მასალის მოტანა ამტნისხევში ვი არ დაიწყეს, არამედ ტოლანათ სოფელში, სადაც მეფის ადგილობრივი მოხელეები ისხდნენ. შენობის აგებაში სკოლაც იქ გადაიტანეს, ერთ ფიცრულში.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი და ამ სკოლაში მასწავლებლად მოვიდა ვაჟა-ფშაველა. ვაჟა ვერ შეეგუა იმ დაჭაობებულ სოფელს და მეფის ადგილობრივ მოხელეებს: მამასახლისს, მღვდელს, სოფლის მწერალს და სხვებს. ხშირად ამოდიოდა ვაჟა ამტნის ხევაში — (სოფელი ღულულები) ჩვეთან. მან გაიგო ისიც, რომ საზოგადოების გადაწყვეტილებით სკოლის შენობა ამტნის ხევაში უნდა აშენებულიყო და ტოლანათ სოფელში ეხოლებიან მასალას, რაზედაც დიდი შეჯახება მოუხდა, როგორც ადგილობრივ, ისე სამაზრო მოხელეებთან.

ვახაფხულის ერთ მზიან დღეს, — მიაბობოდა მამანეში, — ამოვიდა ჩვეთან ვაჟა-ფშაველა. ჩვენი სოფლის თავაკეებმა: ომამ, თორღვამ, კრეღამ, უშიშამ და ვეფხვია ქისტაურმა ეზოში მოვიყარეთ თავი და ვაჟას პატარეისაგებულ ტყეშლების ჩრდილში მოგვწყვეთ ჭიფიფი. აქ ვაჟა ძალიან გამხიარულდა და მიუღქმსა თორღვა ქისტაურს:

„თქვენთან მწადიან ბაასი, ეხლა ძლივს შეგხვდით სწორთაო, ერწოა დილის ბაღდადი, ნეტა რა ძალამ შორთაო, იქ ყოფნა აღარ მწადიან გულს მემატება შფოთვაო, ხელმწიფის მოხელეებსა გუშინაც ვეცემე ორთაო.“

ამის პასუხად თორღვამ მიუღქმსა:

„დიდი ხარ ვაჟა-ფშაველავ, მხარბევიანი, კობტაო, ხელმწიფეს უნდა უმღერდე, რო თამარ მეფეს შოთაო.“

შემდეგ კვლავ ვაჟამ მიუღქმსა:

„დიდთან დიდია ვაჟი, პატარისთან — ცოტაო, მოსისხლეს არას ვუმღერებ, მეცა ესენობ თავი სწორთაო.“

აქ ქეიფის დროს ბევრს რამეს შევიჩოდიოთ ვეყის, უმთავრესად იმას, რომ სკოლა აქ, ამტნის ხევში დამტკიცდა და მასალას ტოლიანთ სოფელში ეზიდებინაო. ამაზე ვაყის უფრო მოუფიქრა გული. წამოდგა, გაიარ-გამოიარა. ერთ დღეილზე რამოდენჯერმე გაბარაზეებით მაგარად დაპრა ფეხი და თქვა: — სკოლა იქ კი არა და ი, აქ უნდა ამუნდესო. ამის შემდეგ ვაყა დიდხანს აღარ დარჩენილა მასწავლებლად. სკოლა ტოლიანთ სოფელში ამუნდა, სახელწოდება კი ამტნის ხევისა შემორჩა...

გულჩახვევლობითა და სიტყვაძვირობით ირჩევა მთის ვაყი ბარელისაგან. ხეესურის ენას ადვილად გერაფერს დააცდენ, თუ ღრეობაში სდმე არ ვადაყარე. თუ იტყვის — აქ იტყვის, თავის ტოლ-სწორებში, ამიტომ ვაყუყუვი გზას, დშავისაკენ მიმავალ გზას...

... საყდრის წინ, ხავსომოდელ კედელზე ვამისახებუ ჭვარს რამდენჯერმე ემთხვია მოხუცი, მუხლმოყრით შევევდრა ლაშარს: — შემიბრალე ბედკრული დედა, შენი კალთა გადააფარე ჩემს იმედს! — მოხუცის უყანასკელი სიტყვა მისმა ყრუ კენესამ შთანთქა. თავშლის ბოლო მაგარად ჩამოისვა ყვითლად ჩამომკვნარ ლოყებზე. უმიდლობით აღსავსე თვალებით ახედა ტყეისფერ გუმბათს. მარჯვენა ხელით, ვინ იცის, მერამდუნედ გამოისახა პირჭვარი. აცახცახებული სხეულით დაყარდნო ცივს კედელს. დაუძლურებულმა მუხლებმა უმტყუნა მოზუტეს და იქვე ჩაიკეცა.

— ბეჩაო ნინო, — მოისმა ამ დროს საყდრიდან გამოსული ქალის ხმა.

— დავალა დარდმა და შეილის მოლოდინმა, აღიარის თავი ვეაქ განა? — შუახნის დედაყა-ი ახლოს მივიდა მოხუცთან. დაიხარა, ორივე ხელი მაგარად ჩაავლო მხრებში, მოხუცმა ყავარჩენიც მოიშველია და კენესით წამოდგა ფეხზე.

ამსობაში მათს ვარშემო რამდენიმე დედაყა-ცმა მოიყარა თავი. ოხრავდნენ შავადმოსულნი, ანთებულ სანთლებითა და ცრემლმორბეული თვალებით შესწიოდნენ ხატს თავიანთ ვარამს.

— მაგრამ ხატი დუმდა. დუმდა კაშაშა ცა. დუმდნენ თოვლივით თეთრად გადალესილი მთები და ლაშარის ტყეისფერი გუმბათი, რომლისგანაც რამდენიმე შინმოუსვლელოთა დედა ოხროდა შეულისა და განციოხვას.

დალა, ხატის საყარადან, ფშაური სიმღერის ხმა ისმოდა. ხატმა შეიწირა სანთლებით რქებ-შეტრუსული რამდენიმე ჰედლია. ხევისბერმა აღიდა ლაშარის წმინდა გიორგი. შინმოუსვლელოთა შინდაბრუნება შესთხოვა ხატს. ლოცვა-კურთხევილი დასკრა ხშიადები და ქადები. დასტურებმა იჩქარეს. სახელდახელოდ გამოუ-

რის ორჯაა კირჩხებზე დაკიდეს საცავები. ჩამოატყავეს. აყაფეს. რამდენიმე წუთი და, აგუზგუზებულ ცეცხლზე თორმეტოდე ქვაბი ამიშინდა. ნაწილი ხორცისა შამფურებზე წამოაგეს. ნალოცი ქადები და მწუვადები სუფრასზე ჩამოარიგეს.

— წყალობათ ხატისა, ფშაველნო! ახალმო-სულის ამყაბა ხმამ მოახედა ხატის კარს სალოცავად მისულნი.

— შენიმც მწყალობელიას, ჩენო ვანო, — უბასუხეს ხევესურული კილოთი და ქუდმოხ-დილნი, ჩოხა-ახალუხშემოკვალოთული ფშაველნი ფეხზე წამოიშალნენ. ვანომ მადლობის ნიშნად ხელი მაღლა ასწია და ნელი ნაბიჯით გიორგი გიგაურისაყენ წაიდა.

— გულს გული იცნობსო, — შეაგება გიორგიმ და ჩიხვის ყანწი წინწანაქრით შეუესო. ღრეობას უფრო მეტი გამოცოცხლება დაეტყო. სუფრისათვის მჯდომმა გიგაურმა ვანოს მიუღუქსა.

„თქვენთან მწალიან ბაასი, ეხლა ძლივს შეგხვდი სწორთაო...“

ქისტაურმაც არ დააყოვნა პასუხი და ფშაური სიმღერის ზარიანი ხმა აგუვუნდა ლაშარსში.

ვანო ქისტაურს ჩეულებად აქვს, ქეიფის დროს საგმირო, სათავგადასავლო ამბების მოყოლა. ყანწი შეავსო, ფეხზე წამოდგა და ქეიფის მიანწილთ თვალი გადაავლო.

„თქვენთან მწალიან ბაასი, ეხლა ძლივს შეგხვდით სწორთაო...“

ეს სიტყვები ჩენი არ არის. ვაყის კაფიაა, თორღვა ქისტაურთან მიღუქსილი.

ყანწები შეავსეს, ერთხმად წამოიშალა ყველა ფეხზე. ვანოს მისჩერებოდნენ სუნთქვაშეკრულნი.

— ზღვაში წვეთია ჩენი სიტყვა ვაყის სახელის დიდებისათვის, — დიწყო ქისტაურმა. ვაყა მთაა, ბუმბერაზია, მწვერვალია, ჩვენ კი მის კალთაზე ამოსული ბალახ-ციცნარენი. იდიდოს მისმა მთამ, იდეღვრძელოს მისმა ხალხმა! — გამოცლილი ყანწებით მძიმედ დაფშენენ ფშაველნი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვანოს სათქმელს ელოდა ყველა და ხმის ამოდებას ვეღარავინ ახერხებდა. მცირე ხნის დუმილი ქისტაურის ხევესურულ კილოზე, ამყაბა, თავისუფალი ხმით წამოწყებულმა საუბარმა დაარღვია.

— პატარა ვიყავ, მასსოვს ერთი ზავზულის დღე, როდესაც მამაჩემი და ჩემი ძმა-ბიძაშვილები ემზადებოდნენ მთა ხევესურეთში სამლოცველოდ წასასვლელად. წასვლის დღეს მამაჩემმა უარი თქვა ხატში წასვლაზე — წუხელ ცუდი

თამარ გომეზური
ჩემი აღიზრდიანი

1 დასტურები — ხატობაში ღრეობის წამყვანნი, რომელნიც ხელმძღვანელობენ, მასპინძლობენ ხატობას.

სიზმარი ენახე და ფათერაკი მოივლინო. მაგრამ მოვიდნენ გამზადებული ანაბიძაშვილები და კვლავ გააბედინეს მამაჩემს.

მოიყვანეს ცხენები, აჰკიდეს ხატისთვის გამზადებული ძღვენი და წავიდეთ ხევსურეთისაკენ.

არავის ხეობას რომ გადავხედეთ, ჩამოიქვეითეს ცხენოსნებმა და გზის პირას, ერთ ნანგრევში შეუხვეეს. ეს სისაურთ საჯვარებოა და სადიდებელი უნდა შევსვათო. აინთეს სანთლები, გასჭრეს ქაღები და დაიწყეს სმა. ამ დროს გამოიარა თიანეთისკენ მიმავალმა, ჩერქეზულ ტანსაცმელში გამოწყობილმა მგზავრმა, რომელმაც გადმოსძახა ჩვენებს: — წყალობით ხატისა, ერწოელნო. შენიმც მწყალობელისა, ვეაფ, მობრძანდი, ჩამოველოცენა.

ვეამ მოაბრუნა გაოფლიანებული ცხენი. — მეჩქარება, დღეს თიანეთში უნდა ჩავიდე, ხვალ ღულის ქალაში დგეფწევითო. გადაჰკრა ცხენს მათრახი და ვააქენა. ჩვენც ვაეუღეკით გზას, ნელ-ნელა შევუყვებით არავის ქალას, ზოგი ცხენებით, ზოგი ფეხით. მორე დღეს შეგვადამდა. ორწყაით ბოლოში, ერთ კლდოვან გადასასვლელში დასხლტა მამაჩემი ცხენი და გადაეშვა არაგვში.

მამაჩემმა თქვა: — აბა სად არიან ხატდმერთნი, რატომ არა გეშველიან? მამაჩემი თანამგზავრებმა გააჩუმეს: მაგის თქმა მაინც არ შეიძლებაო, საფარი იყო შენი ცოლშვილისაო. არავის გაღმა გასული მგზავრები დაედევნეს წყალწაღებულ ცხენს და სადღაც ფონიდან გამოათრის ცოცხალმკვდარი ცხენი. წაღებულ ძღვენზე სულ არ დარდობდა მამაჩემი. — ჩვენ თუ გადავრჩით, ვც ძღვენი ხატისა იყო, თუ ძალა ჰქონდა, რატომ არ გადაარჩინა და, მივართმევიდო.

ცოტაც შევიარეთ და ღულის ქალაში ერთ მყუდრო ადგილას მოხადეს ცხენებს. დაანთეს ცეცხლი. დაბინადდნენ დამის გასათევად. ცეცხლის პირას ვაშალეს სუფრა და ყანწებით ჩამოარიგეს არაყი. ნია ქისტაური ჩქარობდა ღულში ასასვლელად, მაგრამ არ უშეებდნენ. ამ დროს შემოგვესმა აჩქარებული ცხენის ფეხის ხმა და გაოფლიანებული ცხენით მოვიდა ვეაფშაველა, რომელსაც სინაბრული შეხვდნენ. ჩამოართვეს ცხენი და მიიწვიეს სუფრასთან. მას უამბეს გზაზე მომხდარი ამბავი. ვეაფ მამაჩემს მოუღუქვა:

„ვერ გადაურჩი არაგვსა,
იცრას კოპალა გშველოდა,
ან რას გიშველდნენ ყორენი,
რომ მითქემას არა გეჭეროდა.“

მამაჩემმა მოუღუქვა ვეაფს:

„იქვე ვიცილი ამ გზაზე
ეს ფათერაკი მელლოდა,

თქვენს სანახავო წამოვედ,
რად მინდა მათავ ფერობა.“

ამ დროს ნია ქისტაური წამოვდა წასასვლელად, რომელსაც ვეაფ დაუჭირა ჩოხის ვალთა და მიუღუქვა:

„ჩამოვე შამამიძერე,
ნიაგ, ნუ ასდევ გულსაო,
დავიღამებდა, ხევსურო,
ბნელა, ვერ ახვალ ღულსაო“.

ნია ვეაფს მოუღუქვა:

„სულ ღამით დავა ნიაგი,
მთავრეს არ ვუვლებ ყურსაო,
ვახშმად მიუსწრებ ქალბათა
სანამდინ სვამენ პერსაო.“

ნია ვაუხსლტა ხელიდან წასასვლელად, შემდეგ შემოუბრუნდა, ვეაფს მიუჭდა და მიუღუქვა:

„შენც ჯვარბაში მოხვალა,
ფშავ-ხევსურეთის მგოსანი,
შემოზონობ ჰიუხვებს,
როგორც არწივი ფრთოსანი,
ხორნალუმ არსად მოგასწროს,
ამბობენ, შუაფხოს არი“.

პასუხად ვეაფ ნიას მიუღუქვა:

„რას დამაკლებენ ჩარგელსა,
კაწალხეველი ბრიყვები,
სულ ვგრე დაწაწალობენ
ხელმწიფის აბშიყვები,
ბერე დაუჭირავ ვეაფსა
ე მაგისათანა ციყვები,
კიდევაც აფერი აბჯართა,
სახლის კარამღე მიყუყუბი“.

იმ ქალაზე რამდენიმე ადგილას ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ დამისმთვეელი ფშაველები და ხევსურები, რომლებიც მთელს დამეს ღერობაში ატარებდნენ. ერთმა ჯგუფმა ფშაველებსამ, ჩხუბი აუტეხა ხევსურებს. თავპირგასისხლულებმა დაერივნენ ერთმანეთს. აწიოკდნენ დიაცები. ვეაფს დიდხანს არ უტკერია იმ სერიასათვის, რადგან ფშაველები პატრეს არ სცემდნენ ღიაცების მანდილს, რომლებსაც სამეფლო უვდებდნენ მოჩხუბრება. წამოვდა გაზრახებული ვეაფ, შეუტია მოჩხუბარ ფშაველებს წაართვა ხანჯლები, მთარაზევი და არაგვში გიდაუყარა. მორე დილას აფეყართ ბინა და დავეშვიდობეთ ერთიმეორეს. ვაეწიეთ სხედასტეა მიმართულეთათ. ვეაფ წაივინა პირდაპირ ხანჯლისაყენ, საიდანაც უნდა გადასულიყო არხოტში, ქისტების სოფლებისაკენ.

იმის შემდეგ გავიდა რამდენიმე წელი. ერთსეულ მამაჩემს ესტუმრა მეგობარი მწყემსი ბერო ზურაბიშვილი. დიდხანს ისაუბრეს მათ სოფლის პირ-ვარამზე. ბერო მამაჩემს უმზობდა:

— 1905 წლიდან 1907-10 წლებში თიანეთი-დან ვეფხთხევაზე გადმოსახლებულმა ფშაველებმა თავად ბარბარე ბარათაშვილისაგან შეისყიდეს რამდენიმე სხა ღვსეტინა სახნავ-ხათესი, სასაძოვრე მიწები. მიწების გამოსასყიდლად გლეხებს სათავადანაწარმო ბანკში ფული უნდა ნაწილ-ნაწილ გადაეხადათ, მხოლოდ მიწების ჩაბარება სათანადო აქტებით მოხდებოდა მაშინ. როდესაც მონასყიდლები უკანასკნელ შესატანსაც დაფარავდნენ. მონასყიდე ამხ-ნაგობაში სულ ათი კომლი უმიწაწყოლად შედიოდა. ფშავეზ ხევიდან გადმოსახლებული იყო ურჯუჯა ფოცხვერაშვილი რომელსაც ვაჟა-ფშაველა აძრევე სცნობდა და მათთან რაღაც მეგობრული ურთიერობაიც ჰქონდა. ურჯუჯა ფოცხვერაშვილმა აზნაუგებს უღალატა, მან ფარული თვალთმაქცობით შეძლო ყველას მაგიერ თვითონ დაეფარა მიწის გამოსასყიდლად უკანასკნელი შესატანი და მიწა „ატორგით“ თვითონ გამოეყიდა. ამის შემდეგ ურჯუჯამ გადაწყვიტა ყველა მოწინააღმდეგის განდევნა ვეფხთხევიდან და ამგვარად უნდოდა გაბატონებულიყო ფეოდალურად. მონაწილე გლეხობამ არ იცოდა რა ეწეა. დაიწყეს სირბილი და დავა, მაგრამ აღარაფერი ეშველიათ, ბრძანება ბრძანებაზე მოდიოდა, ურიადნიყო და მამასახლისი მოსვენებას აღარ აძლევდნენ, ეუბნებოდნენ ვანთავისუფლებინათ დაკავებული საკარმიდამო მიწებიც და წასულიყვნენ აქედან სხვაგან.

გლეხებმა კიდევ ბევრი დახარჯეს ახალი ფეოდალის გულის მოსაგებად. გაყიდეს ყველაფერი: ჩოხა, ქამარ-ხანჯალი, პირუტყვი და ცოლის მშობლებიც, მაგრამ საქმეს აღარაფერი ეშველა. ბოლოს გადაწყვიტეს, ეთხოვინათ ვეფხთხევის საქმეში ჩარეულიყო და ჩაეგონებინათ ურჯუჯასათვის. აფრინეს კაცი ჩარგალს. ვაჟას უარი არ უთქვამს ვეფხთხელებისათვის. ის მეორე ღღესვე ესტუმრა ვაჟა ძველ მეგობარს — ურჯუჯას და დიდხანს ელაპარაკა აღძრულ საკითხებზე. გადიდაცების სურვილით გზნებლადაკარგულ მემამულეს — ურჯუჯას არ ესმოდა ვაჟას საუბარი, ის უტარს არ უგდებდა ვაჟას არცეფას და სულ სხვა საგნებზე გადაჰქონდა სალაპარაკო თემა. სამი დღე დარჩა ვაჟა ვეფხთხევეზ ხან ერთი გლეხის ოჯახში იწვევდა ურჯუჯას სალაპარაკოდ და ხან მეორე გლეხის, მაგრამ ურჯუჯას პასუხი მხოლოდ ერთი იყო — დარჩირა ხანიც ვინდა, მე შეგინახავ, მხოლოდ მეგ საგანზე ნუ შელაპარაკებ, მამული ჩემიაო.

მესამე დღეს ნადირო ზურაბიშვილმა თავის ოჯახში მიიპარტა ვაჟა, მათ წინათაც ნაცნობობა ჰქონდათ ერთმანეთთან.

ვაჟას თან ახლდნენ ურჯუჯა ფოცხვერაშვილი და მეზობელი გლეხებიც. როდესაც მაგიდას შემოუსხდნენ, ვაჟამ უკანასკნელად კიდევ სთხო-

ვა ურჯუჯას — ძმურად გაენაწილებინა მეზობელი გლეხებისათვის წართმეული მიწები და ეცხოვრათ შშვილად, მაგრამ ურჯუჯასაგან ისევე ცივი უარი მიიღო. მაშინ ვაჟა ადგა მაგიდიდან, მაგიდა ცოტა განზე შეაქანა და ისე ღონივრად გაართყა სილა ურჯუჯას, რომ ურჯუჯა სკამიდან იბრს დაეცა და ერთი საათი ვონსუე აღარ მოსულა.

ვაჟა გლეხებს მოუბრუნდა და უთხრა:

— თქვენი ფშაველობაც შევარცხენო, თუ ამის შემდეგ ვაჟას არც რამე უქამია და არც რამე დაუღვევია, შეკარმა ცხენი და გაუღდა ვახს.

ურჯუჯა ფოცხვერაშვილს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უტოვებია.

ვინამ საუბარი დაამთავრა. უკანასკნელად შეაესეს ყანწები. ფშაური სიმღერითა და ფეხზე წამოშლით დაამთავრეს ღრეობა ლაშქარში. მოკვიდე ფშაველება ჭგუფ-ჭგუფად, ხელიხელ გადახვეული გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და ნელი ნაბიჯით გაუყვნენ გზებს სახლბინისაკენ...

... იმედს დედა სახლამდის მიაცილეს დედაკაცებმა. კერაზე ციციხლი დაუნთეს. ანუგეშეს: — დაბრუნდება, უშველად დაბრუნდება შენი შვილიო.

— მხოლოდ შვილის ლოდინით ციციხლობ, იმისი დაბრუნების იმედი მაძლევს თვალში ნათელს და მუხლში ძალას, თორა, დედილამ, ვეღარ ვიცოცხლებდი. ერთხელ კიდევ დავინახო, გავიგონო, ჩემი შვილის ხმა და მერე მოგვედო, აღარას ვიღარდებ.

ლოცვისავით იმეორებს ყოველ ცისმარე... მერე სევერთან დახებება, ჩამოხლავს, აკანკალებული ხელით გახსნის მას და ამოიღებს სათუთად გახვეულ, გაყვითლებულ ბარათებს. ჩქარა დაბრუნებას რომ პირდაპირდუნენ დედას, სატრფოს და ახლობლებს. მაგრამ..

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

— თუ დავიდუპო, არ აცნობათ დედაჩემს. დაე, მელოდოს, იცოცხლოს ჩემი დაბრუნების იმედი, — ასეთი რამ ამოიკითხეს ღონის ველზე მძიმედ დაქრილი ჭარისკაცის უბის წიგნაქში. და ასევე მოხდა...

იღმართსაც მხნედ აივლის, არ დაიდლება. ყავარჩენს მოიშველებს და ხატის კარს მიაღწევს როგორმე. სანთელს აანთებს, პირჭყარს გადააწერს, თავის საღარდებელს იტყვის.

ასე სწამს ფშაველი ჭარისკაცის დედას, რომ ხატი უშველის მის შვილს, ხატი გადაარჩენს იმედს.

ბინდი ჩამოწვა. უფრო მოიღუფა ლაშარი. თითქოს ხატის განრისხებას უფრთხისო. ნიაკიც საღდაც გადაიკარგა. ვერ ისვენებდა მხოლოდ არაგვი. ბორგავდა, ბუტბუტებდა და ტორტმანით ეშვებოდა დეეებივით ზამოწოლილ ლოდებში.

საბჭოთა

მისილ ზოგონიკი

პოლიტექნიკური ინსტიტუტი

სახელგანთქმულმა საბჭოთა დიდოსტატმა, მსოფლიოს მრავალჯგონის ჩემპიონმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა მიხეილ ბოტვინიკმა მთელი ეპოქა შექმნა ჰელდრაკის განვითარებაში. სწორედ ამიტომ, რომ მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა მიხეილ ბოტვინიკის მოგონებებს, რომლის პირველი თავები უფრონალ „იუნოსტში“ გამოქვეყნდა. მომდევნო თავები — „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“ და „მატრი, რომელიც არ შედგა“, მსოფლიოს ექსტრემიონმა უფრონალ „ცისკრის“ რედაქციას შესთავაზა. ვებედავთ პირველ მთავანს.

შესაძლოა, მკითხველი საგონებელს მიეცეს: როგორაა არეული ეს მოგონებები? ხან „ნოტინგეში, 1936 წელი“, ხან „პირველი სვლები“ (1920-1926 წლები) ან „1933 წელი“, ახლა კი „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“ (1927-1937 წლები)... ნუთუ შეიძლება ამნაირად „მოგონება“?

მაგრამ ცალკეულ ღღებებსა და ცალკეულ ებისოდებს როდი ვიგონებ. ცხოვრებაში ყოველთვის გარკვეული მიზნისკენ მივსწრაფვოდ (ამჟამადაც ასევე განვაგრძობ) და სწორედ ამის შესახებ ვწერ. საბჭოთა ჰელდრაკის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მაგალითად — მატრი ფლორთან და ნოტინგემის ტურნირი, ცალკე თავებად გამოყვავი, „პირველი სვლები“ კი ახალი მოვლარაკის დაბადებას გეხება. ქრონოლოგიურად თემები ზოგჯერ კვეთენ ერთმანეთს: მაგალითად, ცალკე თავებად ჩადიქრებული „მატრი-ტურნირი“ და „სალოტორი დისერტაცია“ დროის მიხედვით თითქმის ემთხვევიან კიდევ ერთმანეთს.

„პოლიტექნიკური ინსტიტუტი“ განკუთვნიება ჩემი საქალრაყო მსოფლმხედველობის მიმოყალიბების განსაჯთრებებით მნიშვნელოვან პერიოდს. თუ საშუალო სკოლა, ძარითადად, ცოდნას მარტავს გეაწვდის, უშედლესი — დამოუკიდებელ აზროვნებას გეაწვდის. მე ვერ შეეძლებდი ყოველმხრივ სრულმეყო მომზადების მეთოდი მშობლიური პოლიტექნიკურის გარეშე...

წიგნი ჭერ არ დამიმთავრებია, ხოლო ახალი ნარკვევები დასრულების კვლობაზე ჭვეყნდებია. მე ყოველთვის ვფრთხილობდი და თავს ვარიდებდი ფუქ შრომას. გამოეტყდები: თავდაპირველად ერთგვარად მეეკვებოდა, რომ უკვე გამართლებული იქნებოდა წარსულზე სიმართლის წერა — ამიტომაც ვისროლე რამდენიმე „სასინჯი ქვა!“ ამჟამად ვწერ თავს — „მატრი, რომელიც არ შედგა“ (1937-1946 წლები), რიგშია „მატრი-ტურნირი“ (1946-1947 წლები).

სკოლის დამთავრება, ჭგუფური ფოტოსურათი: მასწავლებლები და მოწაფეები. გამოსამკვებ სექტაკლში — უაილის „სერიოზულულობის ფასში“ ერნსტის როლს ვასრულებდი (უფრო ადრე, ზამთარში დებიუტი მქონდა ფ. სოლოგუბის ვოდევილში „ფთაერაკი სათუთი გულისაგან“).

ორივე სექტაკლი ჩვენი კლასის დამრიგებელმა სერგეი ივანეს ძე ტხოტყვესკიმ დადგა. სოლოგუბის გულუბრყვილო ვოდევილში „სათუთ გულს“ ვანსახიერებდი და მიყვარდა უბრალო, კარგი ვოგონა (მის როლს, რა თქმა უნდა, მერკა ორლოვა ასრულებდა). პიესის მიმდინარეობის დროს კუპლეტები უნდა წარმოეთქვა, მაგრამ რემეტიციებზე ვერაგზით ვერ ვახერხებდი სკაირო ტონალობის ერთბაშად აღებას. ავომაზინიტორი ვერა დენისოვა ვშმაკობდა და წინასწარ მანშუნებდა რა ნოტიო დამეყყო, მაგრამ არატერი მშველოდა. ყოველივე

ეს განმეორდა სპეტაკლზეც. ჩემს ყალბ ხმებს
ღარბაზის სიცილი მოჰყვა. თუმცა მყურებელ-
მა ამაში საწყალი ვერა და დანაშაულმა მეორე
ციდიდან შეეძვლია მუსიკალური „ღაბარკოლების“
ვადლახეა. ვთამაშობდი გულწრფელად და
წარმატებაც შექონდა. უაილდის კომედიაში კი
არაფერი გამომივიდა — ერთობ სერიოზული
როლი შემიხვედა!

ამ დროს 16 წლისა იყო ვიყავი და ინსტი-
ტუტში არ მიმიღებდნენ, რადგან მაშინ ის-ის
იყო აღადვიენს მისაღები გამოცდების პრაქ-
ტიკა და აბოტურიენტი 17 წლისა მაინც უნდა
ყოფილიყო. რა გაეწყობა, უნდა ვითამაშო
ჰადრაიკი, ხოლო შემდეგ სერიოზულად მოვემ-
ხლო, რათა ერთი წლის შემდეგ გამოცდებზე
არ შევტყუებო.

1927 წლის ზაფხულში ემონაწილეობდი ორ
წრედ გამართულ ექვსთა ტურნირში. სესტრო-
რეცის აგარაკზე ვცხოვრობდი და მთელ დღეს
პლაჟზე ვტარებდი (მხარბევი ერთიანად გა-
მიშავდა). კირაში ორჯერ ლენინგრადში მატარ-
ებლით მივემგზავრებოდი (მაშინ ამ გზაზე
მატარებელი ძლივს-ძლივობით მიღოდავდა).
ვიტყობდი ღია ფანჯრიდან: ირავლევი გამჟვირ-
ვალე პავრია, სხულში არაჩვეულებრივ სიმსუ-
ბუქეს ვგრძნობ, გონება ნაილად მუშაობს —
შეიძლება ჰადრაიკის თამაში!

მეორე წრეში გადამწყვეტი პარტია წავაგე
პეტრე არსენის ძე რომანოვისთან და მეორე
ადგილზე გამოვედი. სრ კავშირის ჩემპიონა-
ტში მონაწილეობის მებუფე კანდიდატად ჩამ-
რიცხეს. მაგრამ „კანდიდატის“ უყვე ეშინოდათ,
ჩემს პარტიებს გაზეთები აქვეყნებდნენ...

და აი მოსოვიც. ჩემს სიცოცხლეში პირვე-
ლად ეს ოვრობობ სასტუმროში (სტალინისკო-
ვისი უკ 17 მდებარე „ლიბერალებში“). ვთამა-
შობთ კვეშირების სახლის ოქტომბრის დარბა-
ზის ფოიეში. პირველად ვხვდები კრილენკოს.
ჩემპიონატის გახსნის დროს ბეზიმენსკი კით-
ხულობს პოემა „ჰადრაიკა“...

ჯერ კიდევ მატარებელში (რასაკვირველია,
საერთო ფანჯრით მივემგზავრებოდი), რომანო-
სკი (მაშინ იგი 35 წლისა გახლდათ) ჩვეულებ-
რივ თავს გვერდზე ხრის და ამბობს: „ერთიციე
ენახოთ და პირველი მიწა გახდეს?“ თანაც იცი-
ნის. რომანოვსკი არაჩვეულებრივ მოქადრაკე
იყო, მართალია, ტექნიკით არ ბრწყინავდა, მაგ-
რამ მისი თამაში გამოირჩეოდა ჩანაფიქრის სიღ-
რმითა და მწყვეთი იერიშებით. ფულს არ ეხარ-
ბებოდა, პატივისცემას აღმერთებდა. ზოგჯერ
სამუდამოდ დასამახსოვრებელ რჩევას მოცემ-
დავით: „თუ უტყუო, ფიგურები არ გაცვალოთ“.
(გონიერული რჩევაა: როცა თავდაცვაზე ხართ,
ზედმიწვევით ვულმოადგიწოდ უნდა გათვალოთ
ფარანტები და რაც შეეძლება ფიგურების რა-
ოდენობა, მით მეტია ვარიანტებიც. ამიტომ მკ-
რე იღვწოდით. „გაცვალოთ მხოლოდ მაშინ,
როცა ამას რეალური სარგებლობა მოაქვს...“

ერთხელ, ნახელდობრ, 1929 წლის ზამთარში,
პეტრე არსენის ძესთან ერთად ემონაწილეობდი
მუშათა განათლების საოლქო ჩემპიონატში.
ვეთამაშებოდი ვინმე მეორეთანოვსკისან ბა-
ტურეცს. თერთმეტი დღე უნარატესობა მოვი-
ბოვე, მაგრამ შემდეგ ყოველგვარი შესაძინეტი
შეცდომის დაუშვებლად დაეკარგე უნარატესო-
ბა და პარტია გავაყვივე.

სავსებით დაბნეული გახლდით, როცა პეტრე
არსენის ძეს მივმართე: „როგორ ვერ შევქმნი
ასეთი პარტიის მოგება?“

„თუ ვერ მოიგებთ მიწა, ეს იმას ნიშნავს, რომ
სულის სიღრმეში ამისათვის ვანჭყობილი არც
ყოფილხართ“.

სიე, როგორც უფროსი თაობის ყველა ოს-
ტატი, რომანოვსკიც იქვენულად, განსაკუთრ-
ბული გულითაღობის გარეშე მეპყრიოდა. ჩემს
გამორჩენამდე რომანოვსკი და მისი თანატოლები
მშვილად ბატონობდნენ, და აი, უცერად კარი
შემოალო „უსურპატორმა“...

ფინიშზე ზედოვდ ოთხი პარტია მოვიგე,
ოსტატის წოდება მოვიპოვე და ჩემპიონატში
V-VI ადგილები გავიყავი. დადგა უმძლესში
მისაღები გამოცდებისათვის მზადების დრო!

ფინიასა და მათემატიკაში დამოუკიდებ-
ლად ვმეცადინებოდი, მაგრამ საზოგადოებათმცოდნე-
ობასა და ლიტერატურაში რას გავხდებოდი? ამ
საგნებში მოთხოვნები და პროგრამა სწრაფად
იცვლებოდა. ჩავეწყრე ჯგუფში, სადაც გამოც-
დილი პედაგოგი 12 აბითურინტს „გვეტმავ-
და“. ყველა ეწეოდა. მეც დავიწყე სიგარეტის
მოწევა, რომ თეთრ ყვავად არ გამოჩენილიყა-
ვი; მეცადინეობის დამთავრებისთანავე კი ერთ-
ბაშად მივატოვე.

„მიწა, ფიზიკასა და მათემატიკაში ერთ ძველ
მოკრივესთან ვემზადები (მისი ძმა პოლიტექ-
ნიკურში ცნობილი პროფესორია... ინსტიტუ-
ტის პროფესორები ოცნებობენ შენთან ითამა-
შონ). წამოაყვები მათთან სადილზე?“

გრიშასთან ერთად მეცხრე ნომერი ტრამვაით
ლენინოსკან მივდივარ, გრიშა რაბინოვიჩი
გახლდათ არაჩვეულებრივად მზიარული ყმაწ-
ვილი, სანდომიანი, ერთობ ენასმოსწრებული და
გამპოიაბი. „ოვობწვჯობ“ 5-დან 7 საათამდე, —
ამბობდა, თავის თავზე. ერთხელ, სტუდენტად ყოფ-
ნისას, ნოევიჩი სადილის შემდეგ, საუბარი ჩა-
მოვარდა ერთ ჩვენს საუკეო მეგობარზე: „მე
მას მოვეკლავდი“, — თქვა გრიშამ, მაგრამ ამ
მომენტში, ყველა შესაცხუნებლად დაასლო-
ნა. გრიშამ მაშინვე დაუმატა: „აი ასე!“...

საოქმელი ანტილოტები არ ელოდა და ყველ-
გან საზოგადოების სული და გული იყო. მაგ-
რამ ეს იყო, უყვარდა მოცრუება.

„გრიშა, რატომ მატყუებ?“
„დამიჯერე, ნაღდი სიმართლეა“...

მიხეილ გომბინიძე
პოლიტიმნიშობრი ინსტიტუტი



„არა მკერა“.

ორი დღის შემდეგ:

„აი, ხედავ — მოგატყუე!“ — ხელებს შლიდა გრიშა და თვითონვე ნაღვლობდა.

ძალზე დავემეგობრდი და ისიც მთელი ჩემი საქალაქო ცხოვრების მანძილზე მკვლუმემატიკივრობდა. გრიშას გაეცნობა მდელოზე ერთობ სერიოზული ვიყავი, ხალისიანობა მისგან გადმოემდო. გულთბილად შეყვარობდა: დავაყვლი სპარტიკაზეროში (ემორცხვობდი და თვის გასაქრეველ შესვლას მარტო ვერ ვებედავდი), ხოლო პასტინკაში პირველად წასახველად რომ ვემზადდებოდი, განცხადება დამაწერინა ლენინგრადის საბჭოს სახელზე და განსაკუთრებული განკარგულებით ორი კოსტუმი შემეცირეს. გრიშა დიდი გაქანების კაცი იყო. 40-იან წლებში ქალაქის საფინანსო განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ მუშაობდა. ერთხელ მის კაბინეტში მოვხვდი (ერთხელ თანხები საქალაქო კულტურის შესაკეთებლად და, რაღა თქმა უნდა, დადებითი პასუხი მივიღე) ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიღების დროს: გამგის მოადგილემ ზეპირად იცოდა ამ ორგანიზაციების საფინანსო საქმეები... შემდეგ დაიკვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და პროფესორი გახდა.

გრიშას რეპეტიტორის მეუღლემ, ტანსაცმე, მკაცრი გამომეტყველების ალისფერთმიანმა ქალმა მაგიდასთან მიგვიწვია. ცხელოდა და ცივი წინიანი მოკვიტანეს. ჩინებულნი მადა გვქონდა, ხალისიანად წავევლეთ ხელი კოვზებს და... შემზარავად გადავხედეთ ერთმანეთს.

„რაა ეს?“ — გაუბედავად იკითხა გრიშამ, როცა ორი წუთის შეყოვნების შემდეგ ძლივს გადავლურქა პირში დაავებულნი წვინანი.

ეს გახლდათ ბურაბის შექამანდი. არც ერთს მანამდე არ გვეგემნა იგი, ხოლო მიუჩვენვლად სხაზმებს იწვევდა.

„იციო, — თქვა ჩემმა ამხანაგმა, — შარშანდელ ზაფხულში დედაჩემი ყოველდღიურად ბურაბის შექამანდს ამზადებდა. იგი მომებზრდა და ხომ შეიძლება არ შეექამო?“ ორივემ — მე სინანულით, ხოლო გრიშამ კმაყოფილებით — თვალი გავაყოლეთ ჩემი ამხანაგის კუთვნილი ბურაბის შექამანდიან თევზს. რალა მქენა? გრიშა მაინც უსინდისოდ მომეცა, ასეთ უხედიურებაში რომ დამტოვა და გადავწყვიტე ანგარიში გამესწორებინა!

„იციო, — თქვი მე, — შარშანდელ ზაფხულში დედაჩემი ყოველდღიურად ბურაბის შექამანდს ამზადებდა...“ გრიშას გამოხედვას მომაკვიდნიებელი ძალა რომ ჰქონოდა, ეს სტრიქონები არც დაიწერებოდა.

ჭიბის ფაქულტეტის შენობის საპირისპირო მხარეს მდებარე პროფესორთა სახლში, პავლე ლაზარეს ძე კალანტაროვის ბინაში (რეკლუციამდე მას ქალაქში მგორე თანრიგი ჰქონდა) შეიკრიბნენ პროფესორები გ. ა. ლიტსკი, ლ. მ.

პიოტროვსკი, ა. ბ. ლებედევი, ი. მ. ვაჩუგოვილი დოვი და სხვები. სენსიტივიზაცია. რეკონსტრუქცია. ლურჯი განვივითარა პარტია ი. მ. ვინოგრადოვმა (ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა ცნობილმა მათემატიკოსმა დაბადების ოთხმოცი წლისთავი იხეიმა): პირველ ყოვლისა ყველა პიკი ერთი მწყრივით გადაადვილა წინ (ფიგურებს თავისუფლება სჭირდებათ — განმარტა მან), შემდეგ კარგად თამაშობდა, მაგრამ პარტიის ხსნაველა შეძლო!

მას შემდეგ განვლილი ათეული წლების მანძილზე ივანე მათეს ძეს იშვიათად ვხვდებოდი, მაგრამ მაინც ვემეგობრებოდი. ერთად ვცხოვრობდით ტებერდაში და მამის უფრო ახლოს გავიციანი ეს ღრმა და ორიგინალური პიროვნება. იმის მიუხედავად, რომ ტანდაბალი იყო და ჩიხა ვარგებლობა ჰქონდა, საოცარ ფიზიკურ ძალას ფლობდა! უკანასკნელად 15 წლის წინათ შეხვდები: „ივანე მათეს ძე, როგორ ატარებთ დასვენების დროს?“

„რა გავწყობა, აბრამცევის ავარაჯზე, ანდა ვიკურჩხნება...“

„როგორ ხმარობთ ძალაყინსა და ნაჯახს?“

„ეჰ, ხელის ჩავლება რომ შეეძლოს, ისიც დიდი!“

ძირითადად ისინი იყვნენ ელექტრომექანიკური ფაქულტეტის პროფესორები. სწორედ ამ ფაქულტეტზე შესვლაზე ვოცნებობდი. მაშინ ელექტროტექნიკოსობა იმაზე ნაკლებს როდი ნიშნავდა, რასაც ახლა ფიზიკოსობა ნიშნავს!

უმაღლესში მოხვალა ძნელი იყო. ადგილების 95 პროცენტი მუშაყველებს ეკუთვნოდათ, დანარჩენი 5 პროცენტი კი — გამოსაცდელებს. „განცხადება ინდუსტრიული მიწათმოქმედების ფაქულტეტზე შეიტანეთ, იქ ნაკლები კონკურენცია“ — მიჩრია პ. ლ. კალანტაროვი.

გადიოდი გამოცდებზე. პირს არ ვიხანდი. (ტყუობა, მაშინ ყველა ასე იქცეოდა, დათქმულ ნიშანს არ ცვლიდა). ბოლო გამოცდას ფიზიკაში ვაბარებდი. მცდიდა მომთხოვნი, მკაცრი გამომეტყველების ჭერ კიდევ ახალგაზრდა ქალი. ამოვხსენი ყველა ამოცანა, მათ შორის ერთი ორიგინალური. ქალმა გულდასმით შემომხედა და მკითხა: „რა არის კუთრი წინაღობა?“ ახლა მე შევხედე გაცივრებთან — კრავინის ფიზიკაში ამის შესახებ არაფერიც ნათქვამი! გამომცდელი მხრებს იჩენს, მაგრამ საქმეში ერევა ეკატერინა ნიკოლოზის ასული გორევა (გამორჩენილი რუსი ელექტროტექნიკოსის, ჩემი მომავალი პროფესორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გორევის მეუღლე) და ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება...

ინსტიტუტში არ მიმიღეს. პროფესორებს მაშინ ხმის უფლება არ ჰქონდათ, ყველაფერს „ბოლოტესტული“ განაგებდა. სკოლადამთავრებულებიდან, რომლებიც გამოცდებს წარმატებით ჩააბარებდნენ. მხოლოდ სპეციალისტებისა (ინჟინერების) და მეტეების შეიღებს აღეპანენ.

მე „ფიზიკური შრომის პირთა“ კატეგორიას ეკუთვნოდა (მასში შედიოდნენ დარაჯები, კბილის ტექნიკოსები და ა. შ.). მაშინ პროფკავშირთა საოლქო საბჭოს საქალაქო სექციის თავმჯდომარის მოადგილე მუშაობდა რახლიანი, რომელმაც გაამხადა პროფკავშირთა საოლქო საბჭოს შუამდგომლობა და მიაშურა მარმარილოს სასახლეს, სადაც სააპელაციო კომისია იმყოფებოდა. ორთვიანი დავიდანობის შემდეგ საბჭომ გაიჩარხა და მიმიღეს უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე. იქ სტუდენტები დააკლდით, რადგანაც მუშაყაყალები არ ეტანებოდნენ. ყველას უნდოდა წვლილი შეეტანა ინდუსტრიული რევოლუციის საქმეში!

შემდეგ მაინც ვადამიყვანეს პოლიტექნიკურში. 1929 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მოსკოვში გაიმართა სტუდენტ მოქალაქეთა გუნდური შეჯიბრება. ლენინგრადის გუნდს ხელმძღვანელობდა ივანე დემიანეს ძე პუშკინი, ლენინგრადის „პროლეტსტუდის“ თავმჯდომარის მოადგილე.

პუშკინი თვითონ სწავლობდა ელექტროტექნიკურზე. როცა მოსკოვში პირველი ადგილი მოვიპოვეთ, მან მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: „ეიოი, ვიცი ჩვენთან გირჩევენ... გადმოვიყვანო!“ ამ აი, თებერვლის დასაწყისში პოლიტექნიკურის ახალი სტუდენტი პირველად გამოცხადდა ჯგუფში მეცადინეთაზე დასასწავლებლად.

იქ თითქმის ყველა მუშაყაყელი იყო, 25-30 წლისა. 30 სტუდენტიდან ოთხი მოვიდა სასკოლო მერხიდან. თავდაპირველად უნდოდ მეკიდებოდნენ, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება მალე შეიცვალა. ვინა კალაჩანოვი, ლევ ციტონი (სკოლადაშთავრებული გახლდათ), ვასილი ნიკოლოვი, სერგოჯა ზაბროდინი ჩემი ახალი მეგობრები გახდნენ.

ფაკულტეტზე საერთო ლექციები თითქმის არ გვექონდა. მხოლოდ ე. ვ. სკობელცინი (ახლანდელი აკადემიკოსის მამა) გვიცხადებდა ყველას ფიზიკის კურსს. ასევე მეორე კურსზე ელექტრონულ გაზომვებში ლექციებს გვიცხადებდა უზუცესი რუსი ელექტროტექნიკოსი გ. ა. შატელნი, ხოლო ელექტროტექნიკის თეორიულ საფუძვლებში — აკადემიკოსი ე. ფ. მიტევიჩი. სტუდენტები ძირითადად ცოდნას ეუფლებოდნენ ჯგუფში, სადაც თეორიულ სწავლებასა და საეარჯიშოებს ძალზე კვალიფიციური პედაგოგები ხელმძღვანელობდნენ. კურსის გავლის კვალობაზე ისინი იზარებდნენ გამოცდებსა და საკონტროლო სამუშაოებს (სავამოცდო სესიებში, როგორც ასეთი, არსებითად არც ყოფილა). შეფასება მარტივი გახლდათ — ჩააბარა ან ვერ ჩააბარა! მასწავლებლებმა კარგად იცოდნენ თავიანთი სტუდენტების სისუსტეები, ეხმარებოდნენ მათ, ცოდნასაც იოლად ამოწმებდნენ.

სკოლით მუშაობის გეგმავლიდა არტიკულ-

რიის ყოფილი პორტუკიცი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ზაბოტკინი. დაბალი, ჩამარგვალეული (თავიც მრგვალი ჰქონდა, თუმცა ტანთან შედარებით გაიკლებით დიდი), წელში გამართული მოსიარულე, პატარა ცხვირზე მუდამ ეყვია პენსე და გამოხედვისას ფარული ეშმაკობის ელფერი დაჰკრავდა. ლაპარაკობდა დამაჯერებლად, საქმე ზედმიწევნით კარგად ესმოდა და მასალას საკუთარი სისტემის მიხედვით გადმოსცემდა: ჯერ განმარტავდა როგორ ამოვეხსნა ამოცანები (ამასთან ერთად ფორმულებსაც ჩაგვაწერინებდა), გვავარჯიშებდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდევბოდა თეორიის ასხნას. ზოგიერთ მუშაყაყელს სუსტი მომზადების გამო სწავლა უმარტებოდა. ერთ-ერთი მათგანი, ვინმე დეროვიკინი, დარწმუნებული გახლდათ, რომ ყოველივე ამაში ბრალი მიუძღოდა ზაბოტკინის ორავინალურ მეთოდს.

„ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ხომ უყეთესი იქნება, რომ თავდაპირველად თეორია, შემდეგ კი სავარჯიშოები?“

„არა, უყეთესი კი არა, უპრესი იქნება...“
მაშინ დეროვიკინმა დაუწყით გაცხარებული მტკიცება, რომ თეორია თავიდანვეა საჭიროთ, ხოლო ზაბოტკინი მკოლე და მოხერხებული პასუხებით იცავდა საკუთარ მოსაზრებას. და ბოლოს გამწარებულმა მოდავემ უკანასკნელ არგუმენტს მიმართა:

„კარგი — ხომ სულ ერთია, რომელი იქნება პირველად და რომელი შემდეგ?“

ამ დროს ზაბოტკინი ერთბაშად შეიცვალა, მკაცრი გამომეტყველება მიიღო, თვალები ეშმაკურად აუთამაშდა: „თუ სულ ერთია, ნუ დავარღვევთ დადგენილ წესს“, — დაასრულა მან საერთო ხარხარში. იუმორისტული ფორმით გამოითქვა სერიოზული კენჭმარტება!

რთული ამოცანის წინაშე ვიდგე: ხუთი თვის განმავლობაში პირველი კურსის ყველა სავანი უნდა ჩამეზარებინა. სწავლისათვის დრო არ მჩნებოდა, მხოლოდ „ჩააბრებას“ ეუნდებოდი (ჯგუფში მეცადინეობას ვესწავებოდი, ლექციებს კი ვცდენდი). ფიზიკაში ერთ გამოცდაზე ჩავიპერი (ვანდერ-ვაალისის განტოლება შემზვდა) და ცოდვა უნდა გამომესყიდა ალექსი ივანეს ძე ტხოჩევსკის წინაშე, სკოლაში სწავლისას ჩემი ისტორიის მასწავლებლის ღვიძლი ძმის წინაშე. გამოეტყველები, ვამზადებდი შპარგალებს: საკონტროლოების შესასრულებლად დილის ხუთ საათზე ვდგებოდი, ვაკონსპექტებდი კურსს პატარა ქაღალდის რამდენიმე ფურცელზე. შემდეგ ვსაუზობდი და ნევის პროსპექტის გავლით სასმელი ქარხნის მიმართულებით მივიჩქროდი, ეგრევე შევხებოდა ხოლმე მეცხრე ნომერ ტრამვაის მეორე ვაგონის ბოლო (ღია) დერეფანში და დილის 10-11 საათისათვის აუღი-

მიხეილ ზობოვინი
აკოლიტმქინიკური ინსტიტუტი

ტორიაში ვიყავი. ყველაფერს კარგად ვიმახსოვრებდი, შპარგალკით განსაკუთრებულ შემთხვევაში ესარგებლობდი...

მერხზე ცეიტლინთან ერთად ვიყავი. იგი იყო მაღალი, ცემზღარო, ოდნავ მოკლეხელი, ქვეშავეშად იყურებოდა, ლაპარაკობდა ხმადახლა, იუმორი საკმაოზე მეტი ჰქონდა, მეტადრე — სიჩუტე. მასზე ნიჭიერ სტუდენტს არასოდეს შეეხვედრივარ, წვდებოდა საქმის არსს და საფუძვლიანადაც. მასწავლებლებს მისი ემინოდათ. ცეიტლინთან შედარებით ცოდნას სუსტად ვითვისებდი, თუმცა მერე გამოიჩინა, რომ ძიებაში მე მჭონდა უპირატესობა.

„მე ვიცი, რომ თქვენ არაფერი არ იცით, — დაიცივებარევი და ხუმრობაბარევი მეუბნებოდა ჩემი ამხანაგი, — მაგრამ ვაჩუქებულს ისეთი გამოიმეტველება გაქვთ, რომ მასწავლებელს ჰგონია, თითქოს რაიმე იცით...“

და აი, მეორე კურსზე გადავედი. სამედიცინო კომისიაზე იყო დამოკიდებული გამგზავნიდნენ თუ არა სამხედრო ბანაკში (მე ხომ სათვალეს ვატარებდი). თქვეს — ბანაკი არმია არაა და ვარგისად მცნეს. ისე ნირწამზდარი გამოვიყურებოდი, რომ ამხანაგები სიცილით იგუდებოდნენ.

კარგებში ვცხოვრობდით. ვამოუცდებლობის გამო დანაპირა ადგილი უკარჩიე. როგორც ვაწვიებოდა და ძალში ტენტს შეეხებოდი, ერთიანად ვსველდებოდი — ფარდული წყალს ატარებდა.

თავდაპირველად ზოგჯერ დამით აეროდრომზე მიყავდით. ერთხელ, ჯერ კიდევ მინარემ ჩავიციე, შემავგვიანდა და ჩემს ასეთულ გზაში დაეწვიე, საესებით მხოლოდ მაშინ გამოვხიზულდი, როცა საფრენ მინდორს მივუახლოვდით. მაშინ აეროდრომებზე დიდი ბალახი იყო და ცუარი გიმანსტრუტებს გვიყვებოდა. გვხვდებოდა ადამისდრთინდელი თვითმფრინავები: ვოფრირებული ლითონისაჲან ნაგები იუნკერსი (IOF—3), ქსოვილიან H—2 და P—1... რა თქმა უნდა, ამ თვითმფრინავებით არ ვფრენდით, მათ მხოლოდ ვრეცხდით და ვამშრალუბდით.

ბანაკში (ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ) სამი პარტია ეთამაშე დაფაზე დაუხვდავად და ისიც ერთდროულად, სრულებითაც არ გამქნელება (მაშინ უკვე აკრძალული იყო დაფაზე დაუხვდავად თამაში). ჩავდიოდით ნოვგოროდში, სადაც მატრიც ვაემართეთ ქალაქის ნაყრბთან.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, ვერაფეროშვილი მომზადება იყო სსრ კავშირის ჩემპიონატისადმი, რომელიც ოდესაში ავსტრიაში დაიწყო. მაგრამ შეთხედდინალურ ჯგუფში იოლად მოვიპოვე პირველი ადგილი.

მეთხედდინალის ბოლო ტურში ძალზე დაეცანეთ, როცა სავანებოდა ვედილოვდი მოყ-

გო ა. პოლიაკისათვის. ეს ვ. რაუზერმა მოზოვა შეხვედრის წინ:

„თუ თქვენ მოუხვებთ პოლიაკს და მე დავამარცხებ რიუმინს, მაშინ კოფეციენტების ცხრილის მიხედვით გაუესწრებ პოლიაკს და ნახევათინალში ვავალ“...

ნახევათინალში ადვილად შეიძლებოდა ოსტატის ნორმის შესრულება უკვე მაშინ პატივისცემით ვეპყრობოდი ვსველოდ ალფრედის ძეს და არ შემეძლო უარის თქმა. საბოლოოდ რაუზერმა შავებით 17 სელაში ბრწყინვალედ მოუგრო თვით რიუმინს და ნახევათინალში ოსტატიც გახდა.

ვ. რაუზერმა დიდი კვალი დატოვა საპკოთა ჰადრავის ისტორიაში და არა მარტო ისტორიაში — მისი სადებიუტო იდეები, მკიდროდ დაკავშირებულნი შუა თამაშის გეგმებთან, ხელშეუხებელია დღესაც (ეს გზება ესპანურ პარტიასაც, სიცილიურ დაცვასაც და ფრანგულ პარტიასაც). იგი თეთრებისათვის იკვლევდა მხოლოდ სელას — e2—e4 და ხშირად ღრმა-შინაარსიან პარტიებს ქმნიდა. სამწუხაროდ, ნერეული სისტემის არასაკმაო სიმტიკის გამო მისი პრაქტიკული წარმატებები არ შეესაბამებოდა მისსავე ნამდილ შესაძლებლობებს. ახირებული კაცი იყო (რამდენიმე წლის შემდეგ ფსიქოურად დაავადდა. დაიღუპა ლენინგრადის ბლოკადის დროს).

1931 წელს მოსკოვში, სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალზე, ჩემს კონკურენტს ნიკოლოზ რიუმინს ნახევათი ქულით გაუესწარი, მაგრამ კიდევ ორი ტური რჩებოდა. რიუმინს შემდეგ პარტია შევებით უნდა ეთამაშა რაუზერთან. სწორედ მაშინ მოვავინე ვსველოდ ალფრედის ძეს, რომ ვლას გადახდა უნდა!

„არ შემიძლია ჰადრავის კარგი თამაში... არა მაქვს სახის სწორი ნაყვები (!)“ — ვანცხადა რაუზერმა. (რაუზერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვარგელობას. მუდამ წელში გამართული იყო, პარტიის მიმდინარეობის დროს ზურგზე ხელგადაჭლებილი მიმოდიოდა). თავდაპირველად დავიბენი, მაგრამ შემდეგ უყოფველ სიყრუეს მიემართე:

„ხარკოვში მცხოვრებ ალექსი ალიოხინს იცნობთ? მას სახის სწორი ნაყვები აქვს?“

„რა თქმა უნდა, არა“...

„ალექსი ალიოხინი ამოლონია თაჲის ქმასთან—ალექსანდრე ალიოხინთან შედარებით, მაგრამ ეს უქანასქელი ხომ თამაშობს ჰადრაკს!“

რაუზერმა პარტია რიუმინთან დიდი ძალით წარმართა და მოიგო. მაგრამ დაუბრუნდეთ ოდესის ტურნირს: გადადრის გამო ნახევათინალში სუსტად ვითამაშე და ლენინგრადში დაბრუნების შემდეგ იძულებული ვახვი თაჲი მემართლებიან მეგობრების წინაშე.

მეორე კურსზე ვერ ვსწავლობდი ნორმალურად, თუმცა პირველმა სემესტრმა მშვენიერადაა ჩაიარა. დავდიოდი ლექციებზე, მაგრამ

იქ ბევრი არაფერი მისაკმებლად. ხუთი წუთის შემდეგ ვედარაფერს ვგებულობდი და შევბიძგე მაშინ ამოვისუნთქავდი, როცა ჯიბის ჰადრაკს ამოვიღებდი...

ჩემსი ჭკუდში სავარჯიშოებს ცვლადი დენის კურსში თვითონ მიტყევიჩი ხელმძღვანელობდა. ვლადიმერ თევდორეს ძე მრავალმხრივ განათლებული ელექტრიკოსი გახლდათ და საზღვარგარეთ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1931 წელს მან ხანგრძლივი დროით იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გაეცნო უახლოეს მიღწევებს ელექტროტექნიკის დარგში. ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ნემსის წვერივ არ ჩაუარდებოდა, როცა იგი მოგვითხრობდა თავისი მოგზაურობის შესახებ... ერთხელ გამომიძახა ამოცანის ამოსახსნელად. მე არაფერი ვიცოდი და, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ვლადიმერ თევდორეს ძემ თვითონ ამოხსნა ამოცანა სტუდენტის მავიერ, შემდეგ გულთბილად გამომიტუმრა. ყველა ცდილობდა მისთვის ჩაებარებინა გამოცდა. თუ სტუდენტს არაფერი გაეგებოდა, მიტყევიჩი ჩათვლას მაინც აძლევდა და ასე ანუგეშებდა ხელმოცარულს: „არაფერია, არაფერია, თავს წუმთო ძალა არაა“. ყოველივე მას სასოწარკვეთამდე მიჰყავდა კათედრაზე მისი მოადგილე პ. კალანტაროვი, რომელიც საკმაოდ მკაცრი იყო. მაგრამ შემდგომში, როცა კალანტაროვმა კათედრაზე მიიყვანა ცეიტლინი, თვითონ პავლე ლაზარეს ძე ემუდარებოდა ჩემს ამხანაგს არ დაეღაბებინა ფაქულტეტის მოსწრება... მაგრამ ცეიტლინი ჯიუტობდა და, ბოლოს, კალანტაროვმა „დაუმორჩილებელი“ ასისტენტი სამხედრო-ელექტროტექნიკურ აკადემიაში „გაუშვა“!

1930 წლის იანვრიდან დიდიწყო უმადლესი სკოლის რეფორმა. ქვეყანას სჭირდებოდა ინჟინრები და არა უბრალოდ ინჟინრები, არამედ მუშებისა და გლეხების წრეებიდან გამოსული სპეციალისტები. რა უშველიდა მუშაეკლთა ნაწილის სუსტ მომზადებას? სწავლების გაითრება. პირველხარისხოვანი ინჟინერი, იცოცხლე, კარგია, მაგრამ ამისაკენ სწრაფვა იქნებოდა გამართლებული ინდუსტრიალიზაციის დაწყების კრიტიკულ მომენტში? სამოსაც ხომ გამოჰყავს ადამიანი?

დადგა ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდის ხანა. ჭკუდი დაიყო ბრიგადებულ 5-7 სტუდენტის შემადგენლობით. მასწავლებლების უკმარისობის გამო წარმოებდა მუშაკები მოიწვიეს. აუცილებელი იყო მეცადინეობებზე დასწრება, ყველაფერი დანარჩენი — მხოლოდ სასურველი. პოლიტექნიკური დიშალა, თითოეული ფაქულტეტი დამოუკიდებელი ინსტიტუტი გახდა.

მე სწრაფად მოვიხსარე, რომ შეიძლება არ ისწავლო! თუმცა ცეიტლინი ამ ვითარებაშიც ახერხებდა ცოდნის დაგროვებას...

მაგრამ ზოგი ქიმი მარგებელია — გამოიხანა დრო ჰადრაკისათვის. 1930 წლის გაზაფხულზე გაიმართა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობისათვის მიგვიწვიეს მხოლოდ ოსტატები — ლევენფიში, რომანოვსკი, ილენ-ქენვესკი, გოტვილი, ა. კუბელი, მოდელი, როზლინი, რაგოზინი და მე. კერძოში ორჯერ ვითამაშობდით ფიჭულტურის მუშაყთა სახლში (ვასელით ტურნებიც გვექონდა). ძნელ ბრძოლაში პირველი პრიზი დავისაკუთრე — გერმანული საჰაერაო საათი (იგი ოცი წლის განმავლობაში შემსახურებოდა, სანამ გამდელმა მატრენა სიმონის ასულმა ყოველდღე სახმარად არ გამოიყენა, ამის შემდეგ კი, ბოლოს და ბოლოს, მოცდა). ეს იყო ჩემი პირველი წარმატება ოსტატთა შეჯიბრებაში. ორმოცი წლის შემდეგ შევეწყვიტე საჰაერაო ასპარეზობებში გამოსვლა.

ინსტიტუტს არ ვაცდენდი. უფროს კურსზე სწავლის პერიოდიდან დამამახსოვრდა ერთი მეცადინეობა ელექტროვადენობა მდგრადობაში. სავანს გვიკითხავდა „თვით“ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ველფი, რომელმაც საბჭოთა ელექტროტექნიკის ისტორიაში პირველმა განიგარომა ენერჯის გადაცემის მდგრადობა (ვოლტაჟისიდან ლენინგრადში). „მდგრადობის თეორია“ იქმნებოდა ოცეან წლებში, როცა გადაცემის სახეები თანდათან გრძელდებოდა. მაღალი, გამხდარი, წვრილყელიანი, აუღლეებელი და წყნარი ხმით მოლაპარაკე კაცის ყოფნა თითქოს არც იგრძნობოდა. საქმე ბრწყინვალედ იცოდა. „ესი შექმლია უბასხოს ამ კითხვას?“ (არ მახსოვს რომელ კითხვაზე — ჩემთვის სულერთი იყო, რას ეხებოდა საუბარი. მეცადინეობას ხომ ვესწრებოდი). წუთიერი ღუმლი. ბოლოს, გამოიმანგეს ვინმე დამანოვი. ყველა გაკვირვებული შევეყურებთ (მათ შორის ვულფი) — ჩვენ ვიცოდით, რომ მან არაფერი არ იცოდა...

თავიდან დამანოვმა ერთობ გაუბედავად დაიწყო. ვულფი ქანდაკებასაკით გაიჩინდა. რადგან არ შეაჩერეს, დამანოვი გამოცოცხლდა და ათი წუთის განმავლობაში ცხარედ გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს. ბოლოს შეჩერდა. ყველა მოუთმინლად მოველოდით, რას იტყვოდა პროფესორი. იგი ერთხანს ღუმლა, შემდეგ წყნარად და აუღლეებლად თქვა: „ეს არაა სწორი“.

დამანოვი შეცულობა, მაგრამ ვულფი განაგრძობდა ღუმლას და ისტორია განმეორდა: დამანოვი თანდათან გაშავდა. კვლავ ინტერესით შევეყურებდით პროფესორს: „არც ესაა სწორი“... ასე „გსწავლობდით“.

თუმცა ყოველთვის არა. „საყრდენების, ხალხებისა და ტროსების მექანიკური განვარცხე-“

ვისილილ ზოტინიკი
სკოლიზაციისაში ინსტიტუტი

ბინს კერის ყველა კეცოდით ნიკოლოზ ჰაგ-
ლეს მე ვინორადოვის შეცვლა არავის შეეძლო
და ჩგუფს თავი ერთად მოგვიყარეს. გაგვაფ-
რთხილეს, რომ გამოცდები არ იქნება და
თითოეული მიიღებს დამართებების ინდივიდუ-
ალურ დავიდობას. სახელმწიფო არ არსე-
ბობდა და ნიკოლოზ ჰაგლეს მე ვადმოგვემდა
თავის თეორიას (არსებობდა კრემონის დიავრა-
მაცა და ვინორადოვის დიავრამაც), თითოეუ-
ლი ჩვენგანი აკონსპექტებდა. შემდეგ ძნელი
პროექტის შედგენა ერთმანეთის დასამარებ-
ლად არც ვაეცალა ყველანი კარგად ვსწავ-
ლობდით.

ტანდაბალ ნიკოლოზ ჰაგლეს ძეს ჰქონდა დი-
ბი, რომელიც "ნებივრობდა" საათის ოქროს
ძეწევი. იგი ლაპარაკობდა ტურნოთი და არც
თუ შემთხვევით — შემდეგ შეიტყუებ, რომ
იტაცებდა სიმღერა და საღამოებზე სიამოვნე-
ბით გამოდიოდა.

1931 წელს პრაქტიკას გადვიდით დნებრო-
სშენზე. ტექნიკურ განყოფილებაში მოეხდინა და
დამავალეს შემსრულებელთა ხისაყრდენიანი გა-
დაცემის დროებითი ხაზის განვარაგება. ვი-
ნორადოვის ჩვენთვის არაფერი უთქვამს ხის
საყრდენებზე, მაგრამ ჩაიხიებდ ჩვენი მასწავ-
ლებლის მიერ შედგენულ ელექტრომექანიკურ
ცნობარში და მოეხიბინე განვარაგება.

როგორც არ ვადავაეთე იგი — საყრდენები
იქცეოდნენ უკვე საგონებელში ჩავევარი და
ამ დროს ვხედავ მომლიმარ ნიკოლოზ ჰაგლეს
ძეს — იგი დნებროსშენის კონსულტანტი გახ-
ლდათ.

„რას აკეთებთ აქ?“
„აი, რა — ხის საყრდენები იქცევიან...“
„ზღადარი დროებითია? შეასუსტეთ სადნე-
ბის საწევი.“

ღმერთო ჩემო, რა მარტივი ყოფილა — საყ-
რდენები აღარ იქცეოდნენ.

დნებროსშენზე ჰიარდა. საცხოვრებელი ბინი-
თა და კვებით სამხედრო ბანაკად ვერ შეედ-
რებოდა. ზაპროფილებთან მატრი ვაგამათეთ
და ფიზიკულტურის საქალაქო საბჭო დაგვეხმა-
რა ლენინგრადისაკენ ვასამზავრებელი ბილე-
თების საქმეში — მოგვეცეს ცნობა, რომ თით-
ქმის მივემზავრებოდით „გამოცდილების ვასა-
ზიარებლად მოსავლის ესტაფეტასთან დავე-
შირებით“. მაშინ მოსავლის აღების კამპანია იყო
გაჩაღებული და ბილეთები რეგარეშე მოგე-
ცეს.

მაშ ასე, ინსტიტუტი დავამთავრე. სადილო-
მო პროექტი კი, რა თქმა უნდა, მზად არ მქონ-
და. ვსწავლობდით ოთხი წელი, მე — უფრო
ნაკლები. მალე ქვეყანამ მიიღო საეცილის-
ტთა საჭირო რაოდენობა და უმადლესი სკოლია
ვევლებური რევიმი აღადგინეს.

განაწილების მიხედვით მოვხვდი ა. ა. სმუ-
როვის სახელობის მაღალი ძაბვის ლაბორატო-
რიაში. ეს ლაბორატორია სმუროვმა დააარსა

(პირველხარისხოვანი მოწყობილობა — ამერიკის
შეერთებულ შტატებში შეუყვება). ლაბორატო-
რია პესონაიას ქუჩაზე ელექტროტექნიკურის
შენობაში მდებარეობდა. იმხანად ჩატარებული
რეორგანიზაციის შედეგად იგი ჩვენი ინსტი-
ტუტს გადმოეცა. სმუროვი უკვე მთიმედ დაა-
ვადებული იყო, ერთხელ — მის გარდაცვალე-
ბამდე ცოტა ხნით ადრე, საპროფესორო ოთახ-
ში ალექსანდრე ანტონის ძესთან წარმადგინეს.

ლაბორატორიაში მომიწეყნა. ჭრე კიდევ სტუ-
დენტობისას, პრაქტიკის დროს, დამავალეს მე-
წარმოებინა „ბელორუსენერგოს“ დასაპროექტე-
ბელი სისტემის მდგრადობის განვარაგება.
გათვლას, როგორც იტყვიან, ნაბიჯ-ნაბიჯ ვაწარ-
მოებდი. ახლა ამ სამუშაოს ერთობ იოლად ას-
რულეს ელექტროგამომთვლელი მანქანა, მა-
შინ კი სამი თვე მოუენდი. იმხანად, 1932
წლის ზამთარში, სმუროვის ლაბორატორიას ეწე-
ვია გორევი. მას აჩვენეს ასპირანტების, ჩემი
უფროსი ამხანაგების ვიტა ვერსინისა და ვა-
ნა ტოლტოვის ხელმძღვანელობით ჩემს მიერ
შესრულებული განვარაგება. გორევა ერთბა-
შად მიუთითა, რომ ძირითადი ფორმულა, რომ-
ლის მიხედვით ვამარტივებდი ქსელის სქემას,
მცდარი იყო. თითქმის მთელი განვარაგება
სანაგვე ყოფში უნდა ვადაგვესროლა, მაგრამ
სამუშაოს შესრულების ვადა მიიწურა და მთე-
ლი მასალები (შუუცვლელად) შექვევთს ვავუ-
ზაენეთ.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს ჩვენი პო-
ლიტექნიკურის № 1 დიპლომი ჰქონდა. იგი ვახ-
ლდათ უნივერსალური ელექტროტექნიკოსის
ძალზე მაღალი ზოგადი განათლებით: მისთვის
სულერთი იყო რომელი ტექნიკური ამოცანი-
საკენ მიმართავდა თავის ლოგიკურ აპარატს.
ყოველთვის სატრეკობოდა ვადაწევეტის მკაც-
რი მეთოდებით, თუმცა ზოგჯერ გატაცებაც
იცოდა.

გორევა გამოიყენა განტოლებათა სისტემა
სინქრონული მანქანის მუშაობის რეჟიმის აღ-
წერისათვის, თანაც მკაფიოდ შეზღუდული ამო-
ცანების პირობებისათვის. უფრო ადრე, თუმ-
ცა ნაკლები სიზუსტით, ისინი გამოიყენა ამე-
რიკელმა მეცნიერმა პარკმა. ამიტომაც საბჭო-
თა კავშირში განტოლებათა ხის სისტემა პარკ-
გორევის სისტემის სახელს ატარებს. არგუნი-
თად ისინი გამოიყენებოან არა მარტო სინქრო-
ნული, არამედ ცვლადი დენით მომუშავე ყვე-
ლა მანქანისათვის. ამ განტოლებებთანა დაკავ-
შირებული ჩემი თითქმის მთელი მუშაობა ელექ-
ტროტექნიკაში.

გორევი იყო ტანდაბალი, ფართო მხარბეკი-
ანი, წელში მოხრილი, გრძელკვავებანი. მა-
საიურ ქვედა ყმას წინ წამოსწევდა ხოლმე, ლა-
პარაკობდა მშამალდა და გატაცების შემთხვე-
ვაში არც თუ ისე ნათლად. მუშაობის დროს
სათვლეს ატარებდა, მაგრამ თანამოსაუბრისა-
თვის შეხედვისას თავს დახრიდა და სათვალეს

ზემოდან გამოიხედვდა. მაშინ უკვე გამელო-
ტებული ეთქმოდა და დაძაბულად თუ ფიქრობ-
და, რაიმეს თქმის წინ, შემორჩენილ თმებს შე-
ისწორებდა.

როცა ჩაფიქრდებოდა, საშინელ სახეს მიი-
ღებდა: რაიმესაკენ მიუპყრობელი თვალებით
გამოხედდა არა ამქვეყნიური გაუხდებოდა, ქვედა
ყბა ჩამოეშვებოდა, დაახლოებით ორანგ-ვუტან-
ვის მსგავსად. შემდეგ სათვალეს ამოფარე-
ბულ თვალებში რაღაც ბედნიერი და მოეშვა-
ყო სხვიე ჩაუდგებოდა, ზოგჯერ ბავშვივით
სულმოუთქმელად იცინოდა. რაიმეს გადაწყვე-
ტას მნიშვნელოვნად თუ მიიხსენებდა, ზორბა
მუშტს მავთლას დაკრავდა და რეზიუმეს რი-
ხით წარმოთქვამდა.

კერაში ერთხელ ლაბორატორიაში მოდიოდა.
მას შემდეგ, რაც ინსტიტუტში კათედრა დაუბ-
რუნეს, მხოლოდ თავისი სახლის კაბინეტში მუ-
შაობდა (ერდელ-ტერაპიის არ იშორებდა), აქვე
ქმინა. პროფესორთა სახლის მეორე სართულზე
მთავისებური ეს ბინა კარგად იყო ცნობილი
მისი ყველა თანამშრომლისათვის.

სტუროვის ლაბორატორიაში გორვეს საქმიან-
ი ურთიერთობა უხდებოდა ნიკოლოზ ნიკო-
ლოზის ძე შნედრინთან (ახლა იგი მეცსრე
ათულ წელშია). დაბალი ტანისა და დანაძუ-
ბული სახის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს თავა-
ზიანი გამომეტყველება ჰქონდა, ლაპარაკობდა
წყნარად და გარეგნულად არასოდეს ამჟღავნებ-
და თავის დაცვლებს. შნედრინი სსრ კავშირში
პირველი შეუდგა მოკლე ჩართვის დენის გა-
შითვლას (ასეთი დენის გამოთვლა აუცილებე-
ლია ელექტრომოწყობილობათა შერჩევისათ-
ვის). ისიც უნივერსალური ელექტროსოია.
ორივე ერთად ძალზე შესაძინევი წყვილი გახ-
ლდათ. როცა გოლიათი გორვეი ხმაილა ანვი-
თარბდა რაიმე იდეას, ხოლო პაატა ტანის
შნედრინი მშვიდად აბათილებდა კოლეგის მო-
საზრებას, ამის ცქერა ძალზე საინტერესო იყო.
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დახმარებით შევარ-
ჩიე საკანდიდატო დისერტაციის თემა.

გორვეი ასპირანტებს უბრალოდ ექცეოდა:
თვითონ არასოდეს აგონდებოდა ისინი, ხოლო
როცა ასპირანტი თვითონ მივიდოდა და რაი-
მეს მოყოლას დაიწყებდა, გორვეი სათვალის
ზემოდან გამოიხედვდა და შემდეგ ჩაფიქრდებ-
ოდა. უმრავლეს შემთხვევაში თავიდან მოიშო-
რებდა, ხოლო თავისთვის რაიმე საინტერესოს
თუ იპოვიდა, გაეკამათებოდა.

ერთხელ მასთან მივიდა ვასია ტოლჩკოვი და
უჩვენა თავისი გაანგარიშებანი. გორვემა ჩა-
ფიქრების შემდეგ ჰკითხა: „რომელი ლოგარით-
მული სახისავით გამოიანგარიშეთ ხუთამდე ნიშ-
ნის სიზუსტით? ნახევარმეტრიანი?“ ტოლჩ-
კოვი ამაყად მიუღო, რომ გამოიანგარიშა ჩვე-
ულებრივი 25-სანტიმეტრიანი სახისავით.

გორვეი მთელი ტანით წამოიბარათ: „წადით
აქედან!“ — უყვირა საწყალ ვასიას. ჩვეულებ-

რივი სახისავით მხოლოდ სამ ნიშნამდე გან-
გარიშება შეიძლებოდა. ასპირანტი ტოლჩკოვი
ძილეებული გახდა სამეცნიერო ხელმძღვანელი
გამოეცევა და ვულფთან გადასულიყო.

ქადრას ვთამაშობდი და ამიტომ ასპირან-
ტურა გამოგრძელდა, მაგრამ მაინც ყველა საგან-
ი ჩავაბარე. რადგან ინსტიტუტში სუსტი ზო-
გალი განათლება მომცა, ვორევეს მირჩია მათე-
მატიკა და მექანიკა შემესწავლა. ამას გარდა,
გამოცდა უნდა ჩამებარებინა ფილოსოფიაში.
მათემატიკაში ყველაფერმა კარგად ჩაიარა —
ივანე ივანეს ძე ივანოვი (პოლიტექნიკურის
უხუცესი პროფესორი, იგი ლექციებს კითხუ-
ლობდა პირველ სართულზე მდებარე აუდიტო-
რიაში, რომელსაც შემდეგ მისი სახელი მიე-
კუთვნა) კმაყოფილი დარჩა, ხუთიანი დამიწე-
რა, ხოლო როცა გაიყო ჩემი ვინაობა, ქადრა-
კი ქებით მოიხსენია. მექანიკაში უარესად ვი-
ყავი მომზადებული, მაგრამ ანატოლი ისაკის
ძე ლტრბე — ამ დარგის ერთ-ერთი გამოიქ-
ნილი სამუთაა სპეციალისტი — გულთბილად
მომეპყრო, როგორც მასწავლებელი სტუდენტს.
ფილოსოფიაში მთლად ვაგახად წავიდა საქმე,
შემთხვევითობისა და აუცილებლობის საკითხ-
ზე ჩავიჭერი, დავიხუბრე ენგელსის განსაზღ-
ვრება („ბუნების დიალექტიკიანი“) და ისევე
წავედი ჩასაბარებლად.

„რა ქნინი, შეისწავლეთ საკითხი შემთხვე-
ვითობისა და აუცილებლობის შესახებ?“ გან-
საზღვრება ჩავაბუღებულე, მაგრამ დავემატე,
რომ აზრი ვერ გავიგე-მეთქი. ფილოსოფიის
მასწავლებელი მიხვდა, რომ საქმე სახიფათო
მიმართულებას იღებდა (ეტყობა, ამ საკითხში
თვითონაც ვერ გრძნობდა თავს მაინცდამაინც
მტკიცედ), ოთხიანი დამიწერა და ჩვენ მეგობ-
რულად დავშორდით ერთმანეთს.

ჩემი ასპირანტურის პერიოდის ერთ-ერთი
ყველაზე მნიშვნელოვანი შეგებრება იყო 1935
წელს გამართული მოსკოვის II საერთაშორისო
ტურნირი. ასპარეზობისაღმდეგ უდიდეს ორტე-
რესს იჩენდნენ. პირველ დღეს დაახლოებით 5
ათასი მსურველი მოვიდა, მაგრამ წურვივს
კარგად ვერ იცავდნენ. შემდეგში ა. კოსარევის
დავიწყებული მოთხოვნის შედეგად მსურველ-
თა რიცხვი შეამცირეს. ვთამაშობდით სახვით
ხელოვნების მუხუშუმის (ამჟამად პუშკინის სა-
ხელობის მუხუშუმი) ქანდაკებებს შორის, მაგრამ
ეს ცუდი როლი იყო, ქანდაკებებისათვის ყო-
ველთვის ავებენ დიდი კუბატურის შენობებს.
ცეხოვრობდით სასტუმრო „ნაციონალიში“. სა-
თამაშოდ ფეხით მისვლას 20 წუთს ვანდო-
მებდი, ერთი კარგი გასეირნება გამომიდოდა.
ერთხელ ასეთმა მოგზაურობამ უხერხულ
მდგომარეობაში ჩამაყენა: მეორე პარტიის წინ,

იხივილ ბონტინიკი
პოლიტიმნიკური ინსტიტუტი

ნახევარი გზა რომ გავიარე, გამახსენდა — სასტუმროში დამრიხა თამაშის დროს აუცილებელი სათვალე. სწრაფად გავემართე სასტუმროსკენ, შემდეგ კი სათამაშოდ, მაგრამ 10 წუთი დავგვიანე... კაპაბლანკას ამჟამად განაწყენებული გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი რომ შეიტყო, გაეღიმა (თამაშის დროს სათვალეს უკვე ისიც ატარებდა).

ჩვეულებრივ ტურის შემდეგ შევიბრუნების ახალგაზრდა მონაწილეები თავიანთ პარტიებს ლასკერს ან კაპაბლანკას რესტორანში აჩვენებდნენ. ტურნირის დასაწყისში თითქმის ყველა პარტია მოვიდა. როცა ალატორცევიანმა შეხედრა ყაიმიტო დავამთავრე, ლასკერს მეც მივმართე: „სად ვაუშვებს თეთრებმა მოგება?“ ლასკერი მოთმინებით ისმენდა ჩემს სენტენციებს, მაგრამ ბოლოს გაბრაზებით მითხრა: „თქვენ რა, ყველა პარტია გინდათ მოიგოთ?“

ლასკერი 66 წლისა იყო. გონება კვლავ უპირადა, მაგრამ ფიზიკურად მოტეხილი გამოიყურებოდა. მოქნილად თამაშობდა: რთულ პოზიციებს თავს არიდებდა, ცვლადი ფიგურებს — ამის გაყვითება ახალგაზრდობაშიც შეეძლო, მაგრამ მაშინ ასე ხალისით არ თანხმდებოდა ყაიზზე. მის ამ ტურნირში არც ერთი პარტია არ წაუგია — ფენომენალური მიღწევა.

კაპაბლანკა უკვე შეიღწე მეტის წლის განმავლობაში ექსტრემიზმის სახელს ატარებდა — ეს მას ტრავმას აყენებდა. ცალკეულ პარტიებს იგი ატარებდა საოცარი ოსტატობით, მაგრამ ყველაზე უფრო მე მომწონდა მის მიერ ენდშპილის სწრაფი და ზუსტი შეფასება.

ტურნირის დროს იყო ერთი ეპიზოდი, შესაძლოა, ჩემთვის არც ისე საპატიო, მაგრამ მაინც იყო... ჩემი მეგობრის სლავა რაგოზინის პარტია ლასკერთან გადაიდო ძველი დოქტორის უპირატესობით. პოზიციას გულდაჯერებით „ექვეყავდით“, რადგან იყო იმის საფრთხეც, რომ ლასკერი პირველი იქნებოდა! დაბოლოს მივაგვიანოთ ყაიმიტო „ყველა ვარიანტში“, მაგრამ უფრო იმედიაანად რომ ვყოფილიყავით, ვაღაწყვიტეთ რჩევა გვეყიფთა კაპაბლანკასთვის (ლასკერს ისიც უწყობდა კონკურენციას) — რა თქმა უნდა, ეს არ უნდა გვექნა. კაპაბლანკამ თავის ოთხმა მიგვიღო. სანამ ანალოზს ვუჩვენებდი, ოდნავ იღიმებოდა და თავს გვექნებდა, მაგრამ შემდეგ ერთხელად შემაჩერა და მითხრა, რომ თეთრებმა უნდა წააგონ ერთი მარტივი ენდშპილი, რომელიც მე და სლავას საყაიზოდ ენდაჩნდა. ამ ენდშპილის ხსნა კაპაბლანკას წინააღმდეგ ჩვენ ვერ შეგძელით! პარტიის დამთავრებისას ყაიმი სწრაფად იქნა ფიქსირებული, რადგანაც ლასკერს მხედველობიდან გამოირჩა მეტოქის ეშმაკური ჩანაფიქრი.

მოვიდა ბოლო ტურიც. დაეწინაურდით მე და ფლორიც. მე შევებოთ უნდა მეთამაშა ი. რაბინოვიჩთან, ფლორის — ალატორცევიანთან. კარზე დააკეცეს და ოთახში კრილენკო შემოვიდა.

„რას იტყვი, — მეუბნება იგი, — ბინოვიჩი თქვენთან წააგებს?“

მე შეძრწუნებული ვიყავი — ნიკოლოზ ვასილის ძეს ნერვებმა ემეტყუნეს. „თუ შევიტყობ, რომ ქულას მჩუქნიან, თვითონ დავუხვამ ფიგურას და მაშინვე დავუნებლები“... კრილენკომ აშკარად თანაგრძნობით შემომხედა და თქვა: „მაგრამ, რა ვიღონოთ?“

„ეფიქრობ; ფლორი თვითონვე შემოგვთავაზებს ორივე პარტიის ყაიმიტო დამთავრებას. მან ხომ რაღაც ამისნაირი შემომთავაზა ჩვენი მატჩის დროსაც, — ეშმაკურად ჩაივლიმე მე, — იგი იქნებ იმასაც შემოხედეს, რომ რაბინოვიჩი დამითმობს საპარტიას“...

ამ დროს ოთახში შემოვიდა ს. ვანშტაინი: ფლორი ორ ყაიმიტ გვთავაზობს. კრილენკოს გულზე მოეშვა. რაბინოვიჩი დაგვეთანხმა ყაიმიზე, მაგრამ ალატორცევიანს თავი გამოიღო და მოგებაზე თამაში გადაწყვიტა. მოვეთათბირეთ ფლორს. „დაე ითამაშოს, — თქვა ფლორმა. — მაინც ყაიმი იქნება“.

თამაში დაიწყო. კრილენკოსგან აკრძალვის მიუხედავად, მე პირველმა შევთავაზე ყაიმი. ფლორის ამოცანა უფრო რთული გამოდგა, რადგან ალატორცევიანს სინამდვილეში წაგებაზე თამაშობდა. გამოცდილმა ფლორმა მაინც შეძლო ნახევარი ქულის აღება.

მაშ ასე, პირველი და მეორე ადგილი მე და ფლორმა გავიყავით. ნახევარი ქულით ჩამოგვრჩა ლასკერი, რომელმაც ბოლო ტურში ბრწყინვალედ მოუგო პირს. კრილენკო მოეღაპარა ორ ექსტრემიზმს: როგორ შეხედებოდნენ ისინი ბოტანიკისათვის იდენტობის წოდების მინიჭებას? კვამ (ასე ეწახდნენ მოფიქრებულ კუბულ დიდოსტატს) და ლასკერმა თანხმობა განაცხადეს, მე წინააღმდეგი ვიყავი, — ვთქვი, რომ საქმე წოდება რიოდა.

ჩემმა მეგობრებმა — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა მთავარი სასამართლო მოვლადაკეცებმა — შეამდგომლობა გამიწიეს გ. კ. ორგანიზაციის მსუბუქი ავტომანქანით დაქილდობის თაობაზე (მაშინ კერძო ავტომანქანა იშვიათი გამოწყაილი იყო. ავტომანქანებს არ ყიდდნენ). შუამდგომლობის შესახებ სხუესავე შეიტყუეს. ზოგიერთმა ნიკოლოზ ვასილის ძეს ურჩია, ამის წინააღმდეგი წასულიყო, რათა ბოტანიკი არ გავაფუტოთ: ერთი ამას დამხმედით, ხუთი ათასი მანეთი პრემიად და ავტომანქანაც!

კრილენკომ ყოყმანის შემდეგ მაინც დაურეკა ორგანიზაციის და მოახსენა, რომ ფული ავტომანქანისათვის საჭადრაკო სექციას აქვს, მაგრამ დაგვრთავს თუ არა ამხანაგი სერგო ავტომანქანის ყიდვის უფლებას.

ორგანიზაციე უმალ გავრეკა ვითარებაში: „აან. კრილენკო, მე მაქვს ავტომანქანაც და ფულიც. ამ საკითხს ჩვენ თვითონ გადაწყვიტოთ“. ამას გარდა, ვიორგი კოვსტანტინეს ძემ დამანიშნა

გაპლიცირებული სახსპირანტო სტიპენდია 500 მანეთის რაოდენობით (300 მანეთის ნაცვლად). საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ავტომოყვარუ-ლი ვავხდი...

1936 წლის სექტემბრის ბოლოს შინდრინის მიერ ნაქარნაზევი თემით — გამომეკვლია სინ-ქრონული მანქანის მდგრადობა სტატორის ჩაქვის საფუძვო კუთხით გამლიზიანებლის ძაბვის რეგულირებისას — სამეცნიერო ხელ-მძღვანელის ბინას მივაღდექი. გორვემა სათ-ვალის ზემოდან გამომხედა, ყურადღე-ბით მომისმინა, ერთხანს გამოეთიშა, შემდეგ შეისწორა თმა, ფეხზე წამოღვა (ერდელ-ტერიერი წამოღვა), თაროდან გადმოიღო ერთ-ერთი თავისი ხელნაწერი და მშვიდად მითხრა:

„აქ გადაწყვეტილია ეს ამოცანა გამლიზიანებ-ლის რეგულირების გარეშე. გადაწყვეტეთ თქვენი ამოცანა ასეთივე მეთოდით“. მე მად-ლობა მოვახსენე და წავედი.

მევედი ერთი თვის შემდეგ. დღეში 12 საათი ვმუშაობდი. მუდლვე და დედა ჩამჩიხინებდნენ. ბევრი ფურცელი ავაქრეღე, მაგრამ გადაწყვეტა ჩამდენიმე გვერდზე დაეტია.

„არაა სწორი, არ შეიძლება ასე იყოს, — მითხრა ალექსანდრე ალექსანდრეს ძემ, — მაგ-ნიტური ნაკადის შეცვლა შეუძლებელია. თუმ-ცა...“ აქ გორვემა წაშალა რეგულირებასთან დაკავშირებული მომენტების აღმნიშვნელი წვე-რები და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ დარჩე-ნილი დამეხზვა მისეულ გადაწყვეტას.

იგი ჩაფიქრდა (რა თქმა უნდა, ყბა ჩამოუშ-ვა), შემდეგ გამოცოცხლდა, მუშტი მავიდას დაკრა (ერდელ-ტერიერმა მიაყვია) და თქვა: „ახლა ექსპერიმენტულად დამატკიეთ, რომ მიღებულ ფორმულები სწორია და დისერტა-ცია მზადაა“. შემდეგ საზეიმო განწყობილებით გადმომხედა. მე მადლობა გადაუხხადე და წავე-დი.

ზამთრის განმავლობაში გორვეს იმეიათაღ ვეგდებოდი. აპრილის ბოლოს ექსპერიმენტები დავასრულე. თეორია პრაქტიკას მივსადაგა სა-შუალოდ 7 პროცენტის სიზუსტით. გორვემა ხელში აიღო ჩემი სადისერტაციო ნაშრომი, გადაფურცლა და თქვა: „ელოცა და კარგიც“. მისი გაგებით ეს ბევრს ნიშნავდა...

დისერტაციის გამო 1937 წელს ვერ ვითამაშე სსრ კავშირის მორიგ ჩემპიონატში, რომელიც თბილისში გაიმართა. ილინ-ენენცესი ცხარედ მკიცხავდა. კრილენკომ დეპეშა გამომიგზავნა: „თქვენი საქციელის შესახებ ცენტრალურ კო-მიტეტს მოვახსენებ“. მაგრამ ნიკოლოზ ვასი-ლის ძე ლმობიერი კაცი იყო და მალე გაბრა-ხება მოწყალეობით შეცვალა.

1937 წლის 28 ივნისს ფაკულტეტის საბჭო-ზე დისერტაცია დავიცაე. გორვემა აღნიშნა, რომ ეს ნაშრომი ამ დარგში პირველიაო. მარ-თლაც, ეს მოკრძალებული ნაშრომი პირველი აღმოჩნდა იმ მრავალრიცხოვან შრომებს შო-რის, რომლებიც შემდეგ მიეძღვნა ევრეთ წო-ლებულ გალიზიანების „ძლიერ“ რეგულირებას, როცა მანქანის საინერციო მაგნიტური ნაკადი უცვლელი კი არაა, არამედ მიზანშეწონილად იცვლება...

ძალზე ველეღვი, ქინწრის ციება დამაწყე-ბინა, დაცვის მთელ პერიოდში მახველებდა, მაგ-რამ ალექსანდრე ალექსანდრეს ძის ჟართთ ზურგს უკან მშვიდად ვგრძნობდი თავს! მისი ეშინოდათ, რადგან ბობოქარი ხასიათი ჰქონდა. 1941 წლის ივლისში ქიმიის ფაკულტეტის შე-ნობასთან გავიარე: უკვე აგებდნენ სიმაგრეებს, ასობდნენ ბოძებს მავთულზღარათებისათვის. ვხედავ — რომელიღაც ახმაზი მძიმედ სუნთ-ქავს და მოხერხებულად იქნევს კეტს. „ალექ-სანდრე ალექსანდრეს ძე, — შეშფოთებით ვე-უბნები მე, — თქვენ ხომ სტენოკარდია გექვთ“.

„ახლა ეს ყველაფერზე მნიშვნელოვანია“, — მომიგო გორვემა და მუშაობა არც შეუწყვეტია,



კრეკანის II გვ.-ზე ვლ. შაიკოვსკის პორტრეტი

ტექნიკური ხელმძღვანელი ჭ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშეტეს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ. შვ. შვიდის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ისაწყობად 15/V-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VI-73 წ., ქალაქის ზომა
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.
თაბახი 14,5 შეკვეთა № 1690 უფ 01924 ტირაჟი 28.200

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3560 60 353.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236